

სხადი უმკობელი

აპრილი 2010 №59
ფასი 5 ლარი



ისტორიები
პაატა საბულაშვილი

სოფია გუბაიდულინა
დავით ბუსრიქიძე

თურქული დეარში
ქეთი ქანთარია

ესაი
კოსტკომუნიზმის შვილები
ზორის ბუღეაძე

გომოზლიური შიშო
ზურა ჯიშყარიანი

განდევნილი წარსული
ბიორგი მაისურაძე

ანალიზი
კომფორტიზმი და წინააღმდეგობა
მალხაზ ხარბელია

ლიტერატურა

ენო ლოპორჯინიძე
კ. კ. არტვანი

ქრისტინე ლავანტი
ლემ გუტნარუ

ISSN 1512-2220



მეტი დრო
ცხოვრებისათვის



ჯეოსტეი

BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry, RIM, Research In Motion, SureType, SurePress და სხვა დაცემული საყარო ნიშნები,
სახელწოდება და ლოგოები ნაშრომდგენს Research In Motion Limited - ის სააქციონას და ხელისაწილებელი
დანა გამოყოფენას აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოყოფენას Research In Motion Limited - ის ღირსეობით.



გარეკანზე: პაატა საბელაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

მთავარი რედაქტორი:
ნინო ლომაძე

ალმასრულებელი რედაქტორი:
სალომე კიკალეიშვილი

არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე

კორექტორი: ნინო საითიძე

ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, სანდრო ნავერიანი, გიორგი გვახარია, გივი გულუდანი, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, გიორგი ხასაია, თეო ხატიაშვილი, პაატა საბელაშვილი, მალხაზ ხარბედია, გიორგი ცხადაია, შოთა იათაშვილი, გიორგი მაისურაძე, ზურა ჯიშკარიანი, ია მერკვილაძე

ფოტო: ლევან ხერხეულიძე, თომა ბეგიაშვილი, მარიკა ქოჩიაშვილი, დარო სულაკაური

ილუსტრაციები: მარიამ ზაღდასტანიშვილი

დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე

სარეკლამო განყოფილება: შალვა ჩუბინიძე

დისტრიბუცია: ზვიად შენგელია

გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სხვა გამომცემები: ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეტი.

სტამბა: „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან © „M Publishing“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სხალი შოკოლადი

N59, აპრილი 2010

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვები** 10 თბილისის ტრანსპორტის ისტორიის გამოფენა
დავით ჩიხლაძე
- 11 პათეტიკური სონატა **გიორგი ხასაია**
- 12 ცარიელი სივრცე არტისტული დიზაინისთვის
დავით ჩიხლაძე
- 14 ჯოჯოხეთის დამცინავი „წვიმის ქალი“ **შოთა იათაშვილი**
- 15 „და ასე შემდეგ...“ *დავით ჩიხლაძე*
- 15 ნესტან ნენე კვინიკაძის ახალი მოდერნიზმი
დავით ჩიხლაძე
- 16 ანიტა რაჭველიშვილის მცირე გასტროლოგი სამშობლოში...
დავით ბუხრიკიძე
- აქცენტი** 18 გინდათ კარგი ლიტერატურა? ჰოდა, მოითხოვეთ!
- კომენტარები** 20 რამდენიმე ტერმინოლოგიურ უზუსტობასთან დაკავშირებით
გივი გულუდანი
- 21 მონატრებული ომის ქრონიკა **თეო ხატიაშვილი**
- 22 კონტურები **სანდრო ნავერიანი**
- წერილი** 24 უმარლო ბერლინი და გადამლამებული „ბერლინალე“
გიორგი გვახარია
- ისტორიები** 30 თურქული დემარში **ქეთი ქანთარია**
- 36 პაატა საბელაშვილი
სვაბოდა **პაატა საბელაშვილი**
- 44 *სოფია გუბაიდულინა*
ბრწყინვალე დისპარმონიული გონება *დავით ბუხრიკიძე*
- 54 აღარ იბეჭდება **ერიკ ალტერმანი**
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ
- ინტერვიუ** 50 *ვერა პავლოვა*
მოუთმენლად ველი, როდის დამპატიყებენ საქართველოში
ია მერკვილაძე
- ანალიზი** 58 კონფორმიზმი და წინააღმდეგობა **მალხაზ ხარბედია**
- დისკუსია** 62 „ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემები“
გიორგი ცხადაია
- ესეი** 68 პოსტკომუნისტური მდგომარეობა **პორის ბუდენი**
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ
- 72 ჩვენ არ ნავალთ მოსკოვში **აკაკი ბაქრაძე**
- 76 მშობლიური შიზო **ზურა ჯიშკარიანი**
- საავტორო** 80 ბუტოვი **ლევან ბერძენიშვილი**
- 86 პოსტსაბჭოთა კავშირი ანუ განდევნილი წარსული
გიორგი მაისურაძე



ექსპრეს ჯღინიანა

ბაიოაქტიური ჯანმრთელობაზე ზედხედვა

ჩვენ გიპარტივებთ ექიმთან ვიზიტის პროცესს

- ✓ თქვენს სახლთან ახლოს
- ✓ სწრაფი მომსახურება
- ✓ ხელმისაწვდომი ფასი
- ✓ მოსახერხებელი სამუშაო
საათები
- ✓ წინასწარ ჩაჯარის
შესაძლებლობა



**აღვიღალ ხელმისაწვდომი,
სწრაფი სამედიცინო მომსახურება**

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,
ჭავჭავაძის გამზ. 50, ეოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

ეპატარინა გურგენიძე
ექიმის ასისტენტი



„ტელეხულიგნობის“ წინააღმდეგ თითქოს აქტიური, ყოველ შემთხვევაში ხმაურიანი გალაშქრების შემდეგ ისევ მოჩვენებითი სიმშვიდე დადგა – ცხოვრება ძველ წესრიგს დაუბრუნდა. ამ ამბიდან ერთადერთი, რაც დღემდე შემოგვრჩა – საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის და უსუსურობის მძაფრი შეგრძნებაა, რომელიც ნარუმბატებელი მცდელობის შემდეგ ჩნდება ხოლმე. მაგრამ, არა უშავს, ისიც მალე გაივლის.

არაფერი ახალი. ბოლო ოცი წელია, სულ ასე ხდება – საპროტესტო ტალღა ბოზოქარი ემოციების ჩაქრობასთან ერთად კარგავს ძალას, მერე კი საერთოდ ქრება. „მოგონილ-ნაგებულ“ ომზე და პროტესტზე ფიქრისას ბრედბერის „ფარენგეიტი 451“ და ბრანდმეისტერ ბიტის სიტყვები რამდენჯერმე გამახსენდა. პროტესტი არც ბიტს უყვარს. ის სამყაროში სიმშვიდის შესანარჩუნებლად იბრძვის – სიმშვიდე ყველაფრის ფასად – მისი დევიზია.

„მოკლედ, თუ არ გინდა ადამიანმა პოლიტიკაზე იდარდოს, პრობლემა ორივე მხრიდან არ უნდა დაანახო, ერთი მხარეც ეყოფა. ისე, ყველაფერს ჯობს არც ერთი არ აჩვენო. მიეცით ადამიანს ომის დავინყების საშუალება. სიმშვიდე, მონტეგ, სიმშვიდე უპირველეს ყოვლისა! მოაწყვეთ კონკურსები: ვის ახსოვს პოპულარული სიმღერის ტექსტები; ვის შეუძლია შტატების დიდი ქალაქების ჩამოთვლა; ან ვინ იცის აიოვას შტატს შარშან რამდენი ხორბლის მოსავალი ჰქონდა. გამოუტენეთ ადამიანებს ტვინი ციფრებით, უწყინარი ფაქტებით, სანამ არ ამოარწყვენ, – ეგ არაფერი. სამაგიეროდ ეგონებათ, რომ ძალიან განათლებულები არიან. იმასაც კი დაიჯერებენ, რომ ფიქრი შეუძლიათ, რომ წინ მიდიან, როცა სინამდვილეში ერთ ადგილს ტკეპნიან. ადამიანები ბედნიერები იქნებიან, რადგან იმ „ფაქტებს“, რითიც მთლიანად გამოივსნენ, ალტერნატივა არ გააჩნია. არავის სჭირდება ეს მოუხელთებელი მატერიები. არავითარი ფილოსოფია და სოციოლოგია. ღმერთმა არ ქნას, დასკვნების გამოტანა და მსჯელობა დაიწყონ. ასე ხომ მელანქოლიას ვერ ავცდებით! ჩვენ გვინდა მეტი გასართობი, წვეულებები, აკრობატები და ჯამბაზები, გასაოცარი ტრიუკებით, რეაქტიული ავტომობილები, მოტოციკლები, ვერტმფრენები, პორნოგრაფია და ნარკოტიკი. მეტი ავტომატური რეფლექსი! თუკი დრამა უშინაარსო აღმოჩნდა, კინო ცარიელი, კომედია კი უნიჭო, მომეცით რაიმე აღმგზნები საშუალების დამატებითი დოზა – ჩართეთ გამაყრუებელი მუსიკა! მეგონოს, რომ ასე მძაფრად პიესის შინაარსზე ვრეაგირებ, სინამდვილეში კი ეს ბგერით ტალღებზე მექანიკური რეაქცია იქნება. რა ჯობია ერთ კარგ შეჯანჯლარებას“.

ეს ყველაფერი ხომ დიდი ხანია გვაქვს. და ყველაზე მონდომებით სწორედ ამ ფაქტის დავინყებას ვცდილობთ. ომის ქრონიკის ტელეცელქობაზე ერთჯერადი აღმფოთება მხოლოდ იმის აღიარება ხომ არ იყო, რომ ჩვენ ყველაზე მეტად მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებაზე ვზრუნავთ?

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



იპოთეკური სესხი

- ▲ 1%-იანი ფასდაკლება სესხებზე!
- ▲ განახლებული საპროცენტო განაკვეთი და გამარტივებული პირობები

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge



თიბისი ბანკი
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



დავით ბუხრიკიძე


2003 წლის სექტემბერში, როცა შევარდნაძის ხელისუფლებას ორი თვე რჩებოდა, ხოლო, „აირზენა და „აერო-ფლოტი“ მოსკოვამდე ზეცას ჯერ კიდევ მშვიდობიანად იყოფდნენ, ქართველ ხელოვანთა და ჟურნალისტთა ლაშქარი სამდღიანი კულტურული პროგრამით მოსკოვს გვაფრინეს. პროგრამა რუსეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების შედგენილი იყო და „მეზობელი ქვეყნების კულტურული ურთიერთობებისა და მეგობრობის გაღრმავებას“ ემსახურებოდა.

სამი დღის განმავლობაში, გასარემონტებელ სასტუმრო „მოსკოვში“ ქართველების დაახლოებით ასაკციანი დელეგაცია ცეკვა-თამაშისა და სიმღერის მასტერკლასებს უტარებდა სართულებზე მომუშავე დამლაგებლებსა თუ შვეიცარებს. ასევე ყველა სართულზე უხვად მოედინებოდა ლეგალური ჭაჭა, „საფერავი“ თუ „ბორჯომი“. ისმოდა „წინწყარო“ და „დაიგვიანეს“... ხოლო ძალიან ღამის საათებში, ტრადიციულად ძალიან სხვაგვარად ჩაცმული ქალები დაეხეტებოდნენ.

ამ უცნაური „სამდღიანი კულტურის“ მონაწილეებს რუსეთის კულტურის მინისტრი, მიხაილ შვიდკოი ღამის პირადად გვხვდებოდა... ყველგან, საკონცერტო დარბაზ „როსიათი“ დაწყებული, „თანამედროვე მუსიკის ცენტრით“ დამთავრებული, მოსკოვში მცხოვრები ქართველების ხმაურიანი ჟრიაბული და ზედმეტად მხიარული რუსების სტანდარტული ფრაზები (и все же, как эти грузины волшебни поют) ისმოდა.

თითქოს ყველაფერმა კარგად, უფასოდ და მხიარულად ჩაიარა. როცა უკან ვბრუნდებოდით, „ვენუკოვს“ აეროპორტში“ თვითმფრინავი ოთხ საათს აგვიანებდა და ცხადია, იქვე მოსაცდელ დარბაზში იმპროვიზებულად შეზარხოშებულ ქართველთა იმპროვიზებული კონცერტი გაიმართა. ხოლო ერთმა დაბოლმელმა და პირგამეხებულმა მილიციელმა ასეთი წინასწარმეტყველური ფრაზა თქვა: – Да вы над пропастью стоите, блин... и все время танцуете и поете!

მტრის მშვიდობიანად ნათქვამი უფრო მწარეა!



სანდრო ნაჰერიანი

წარმოუდგენლად რთულია ადამიანები დააჯერო, რომ ის, რასაც ვერ ეხებიან, მათია. აფხაზეთი და სამაჩაბლო სწორად ასეთია – მათ ვერცერთი ქართველი ვერ ეხება.

თუ რეალისტები ვიქნებით, მაშინ ავტომატურად ვალიარებთ, რომ ამ ტერიტორიების დაბრუნება დღეს შეუძლებელი თუ არა, თითქმის შეუძლებელია. ამას სჭირდება წლები, რომელიც მიგვიყვანს ჩვენს მომავალ თაობებამდე და თუ მატარებელი დაიძრება, სადგურამდე მისი მიყვანა სწორად მომავალი თაობების საქმე იქნება. მომავალ თაობას, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტკივილს იაფფასიანი, პროპაგანდისტული სარეკლამო რგოლებითა და აბრებით ვერ ჩაუნერგავ. ეს წამგებიანი ბიზნესია, წამგებიანი ყველასთვის, ვინც კი მასში გამოსავალს ხედავს და ეს ჩემი ახირება არ არის, ფაქტია, რომელიც სულ უფრო და უფრო გვაშორებს აფხაზეთს და სამაჩაბლოს.

დღეს კი ამის მეტი არაფერი ხდება, სადღაც, რომელიღაც საინფორმაციო გამოშვებაში გაუშვებენ სიუჟეტს, დე ფაქტო ბალაფშმა ხელი მოანერა ოკუპანტ რუსებთან რალაცას... ასევე დე ფაქტო კოკოითმა ლავროვი ღირსების ორდენით დააჯილდოვა... რუსები აფხაზეტსაც დევნიან და ოსებსაც და იქ სამხედრო ბაზებს აშენებენ... რუსები აფხაზეთის ბუნებას აჩანაგებენ... ხო, ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ რას მოუტანს ეს სიმართლე იმ თაობას, რომელიც დაბადებულიც კი არ იყო მაშინ, როცა აფხაზეთიც დაკარგეთ და სამაჩაბლოც?



ბიონსე

მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო დისკები





თბილისის ტრანსპორტის ისტორიის გამოფენა ქარვასლაში

ქარვასლის თბილისის მუზეუმი კიდევ ერთ ნოსტალგიურ და მყუდრო გამოფენას გვთავაზობს თბილისის ტრანსპორტის ისტორიის შესახებ. მე-19 საუკუნის კონკადან და კურტნის მუშებიდან დაწყებული, დღევანდელ „ბოდანის“ მარკის ე.წ. ყვითელ ავტობუსებამდე, დამთვალიერებელს შეეძლო თვალი გადაეხედო უნიკალური ფოტოებისთვის, რომელიც „ტფილისის ჰამქარმა“ შეაგროვა და გამოფინა, ეროვნული არქივისა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ხელშეწყობით. აქვე შევიტყობთ, რომ თბილისში სახენდრის შემოყვანა 40-იან წლებში აკრძალულა კანდიდ ჩარკვიანის გადანყვევტილებით, ან რომ თავისუფლების მოედანზე, ყოფილი მერიის წინ ეტლების ბირჟა იყო.

ცალკე სექციებად არის გამოფენილი ლინეიკის, ბორანის, ტივის, ნაუტიკის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტაქსის, მეტროს, საბაგირო გზის ქალაქში შემოსვლისა და განვითარების ეტაპები და ასახავს თბილისის სახმელეთო, მიწისქვეშა, სამდინარო თუ საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურას მის ისტორიულ გარემოში.

ტრამვაიმ 1904 წლიდან 21-ე საუკუნემდე იარსება თბილისში და ათწლეულების მანძილზე კონკურენციას უწევდა მეტროს, რომელმაც 60-იანი წლებიდან დაიწყო განვითარება. გამოფენა შეგვახსენებს და გვაჩვენებს სხვადასხვა მოდელისა და ტიპის ავტობუსს, ავტომობილებს, ტრამვაებს, და ამ ყველაფერს ნოსტალგიური ელფერიც ახლავს. დამთვალიერებელი ნახავს სამვაგონიან ტრამვაის, „შკოდას“ მოდელის ტროლეიბუსებს, მთაწმინდის პარკის რკინიგზის ხაზს, შეიტყობს, რომ მუშტაიდის ბაღის საბავშვო რკინიგზა მსოფლიოში ასეთი პროექტის პირველი და უკანასკნელი განხორციელება ყოფილა.

გამოფენა ჩვენი უახლესი ისტორიის არასასიამოვნო ფოტოებსაც არ ერიდება და კადრებზე ვხედავთ გასული საუკუნის 90-იანი წლების არეული დროის ამსახველ სცენებს, როდესაც მგზავრები ფეხით მიუყვებიან მეტროს გვირაბს, ანდა ავტობუსის სახურავზე სხედან. ბოლოს კი დღევანდელი „მარშრუტკების“ ბუმის დროში ვბრუნდებით და სევდიანები ვტოვებთ დარბაზს.

კათეტიკური სონატა

ავტორი: ბიორგი ხასიაი



მე-9 სიმფონია საკმარისი არ არის. მისი ავტორის სასიყვარულო ვენებზეც საინტერესოა; იქნებ – უფრო საინტერესოც, ვიდრე მე-9 სიმფონია. ის დამთრგუნველად დიადია, იდეოლოგიზირებული, მაგრამ დიადი. გენიოსების, ანდა კულტურული ფენომენების საწინააღმდეგო ოთახში ჭვრიტინი, თუნდაც მათი სასიყვარულო ისტორიების მოსმენა კი, არ ითხოვს ხანგრძლივ რეფლექსირებას. თანაც ჩვენ გვიყვარს, როცა მათ რაღაცაში მაინც ვუტოვდებით, ან სულაც ჩვენს უპირატესობას ვგრძნობთ, სულ ერთია – რას. ეს გვაძმვიდებს, ამოსუნთქვის საშუალებას გვაძლევს. არადა, ზედმეტი ბიოგრაფიზმი ხელოვნებას მაგიურობას უკარგავს, არამიმზიდველს ხდის. პოსტსტრუქტურალისტებმა ზუსტად ამ მაგიურობის შენარჩუნება-დაბრუნება სცადეს ე.წ. „ავტორის სიკვდილით“. თუმცა ამ კონცეფციის პატრიარქის – როლან ბარტის ინტიმური დღიურების გამოქვეყნების მომსწრეც გახდა საზოგადოება. როლან ბარტის საწინააღმდეგო ოთახშიც შევიხედეთ. როგორც ჩანს, ძალიან დიდა ცნობილი არტისტების ადამიანურ ყოფაში ჩანვდომის სურვილი.

ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობისა და გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა თარგმნეს და კრებულის სახით გამოსცეს ბეთჰოვენის, ბრამსის, გოეთეს, შილერის, ბიუხნერის სასიყვარულო ბარათები. ცენტრალური ადგილი მაინც ბეთჰოვენის წერილებს უკავია. რედაქტორი და ერთ-ერთი მთარგმნელი, მაია ჭოლაძე წინასიტყვაობაში წერს: „ტექნიკური გაუცხოების პიკზე მყოფი ადამიანისთვის უცნაურია ორ საუკუნეზე უფრო ძველი სასიყვარულო ბარათების

კითხვა“. ჰო, საინტერესოა, რას წერდა ბეთჰოვენი საყვარელ ადამიანს. ეს მის თითებთან უფრო გვაახლოებს. დიგიტალიზაციის ეპოქაში წერილი გავრცელებულია. თანამედროვეობის რომელიმე დიდი კომპოზიტორი, მაგალითად შტოკჰაუზენი საყვარელ ადამიანს სკაიპით მისწერდა, ცხადია. ბეთჰოვენს კი თავად გამოჰყავდა ასოები, ამიტომ თითებთან უფრო ახლოს ვართ. ასე გვჯერა. ასე გვინდა გვეჯეროდეს. მაია ჭოლაძე, ალბათ სწორადაც, ტექნიკური გაუცხოების კონტექსტში განიხილავს ამ ბარათების მნიშვნელობას, მაგრამ სტუდენტებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ალბათ მაინც სიყვარულია; სიყვარული, რომლის ნაკლებობა და არასაკმარისობა უფრო მძაფრი განცდაა, ვიდრე ის პრობლემა, რაც დიგიტალიზაციას ახლავს – უშუალო შეხების ნაკლებობა, რაზეც ამდენს ფიქრობს და წერს თანამედროვე ევროპელი ინტელექტუალი.

ასეთი წერილების თარგმნას, კულტურის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლის თამაში არ შეუძლია. განსხვავებით ამ პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერის, კინოკლუბისგან, რომელსაც ამდენი ხანია, უყურებს ქუთაისური პუბლიკა; რომელმაც გაავსო მესხიშვილის თეატრის მცირე სცენა ნატა მურვანიძის ხილვის სურვილით. ასეთი წერილები, როგორც ცნობილმა პოეტმა კრუჩინიხმა ზაუმურ პოეზიაზე თქვა, „მხოლოდ მდოგვია, მარტო მდოგვით კი ვერ გაძლები“. ამის მიუხედავად, საინტერესო იყო, რა ფორმით მოხდებოდა წერილების რეპრეზენტაცია მესხიშვილის თეატრის მცირე სცენაზე; თანაც ანონსი იუნყებოდა, რომ მსახიობი

ბი ნატა მურვანიძე თავის სამსახიობო ჯგუფთან ერთად მოაწყობდა ამ პერფორმანსს.

იქ მომხდარი სერიოზულ მოვლენად ალბათ არც აღიქმება – სცენის იატაკზე ფეხმორთხვით მჯდომი ნატა მურვანიძე სამ ახალგაზრდასთან ერთად კითხულობდა ქუთაისელი სტუდენტების ნათარგმნ წერილებს. მონოტონურად, შეცდომებით; კითხულობდა კლასიკური მუსიკის და ზურგსუკან – ბეთჰოვენის, ბრამსის, გოეთეს პორტრეტების ფონზე. აქ არ იყო ამ წერილების თანამედროვე კონტექსტში წარმოჩენის არანაირი მცდელობა, არანაირი გაზრება-გადათამაშება. მხოლოდ ხანდახან ნატა მურვანიძე ღიმილით გადახედავდა ეკრანზე მონაცვლე პორტრეტებს, თითქოს ამბობდა, – ტაში, რომელსაც ბოლოს დაუკრავთ, მათ ეკუთვნით და არა მე, მე მხოლოდ ინსტრუმენტი ვარ დიდი ხელოვნების ხელში. მისი, როგორც არტისტის მცდელობით, ეს წერილები პერფორმანსად ვერ იქცა, თავად კი ამ ფსევდოპერფორმანსში მონაწილეობისას ბეთჰოვენის, გოეთეს, ბრამსის ზურგს ამოეფარა. ტაშმა მოსალოდნელს გადააჭარბა. მსახიობებს მეორედაც მოუხმეს. იგრძნობოდა თავის მოტყუების სურვილი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი მართლაც მოხდა, და რომ მსახიობებს ტყუილად არ გაუვლიათ 300 კილომეტრი; რომ უფრო ხშირად უნდა ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან და, ჯანდაბას არტი, მთავარია თავიანთი ხილვით გაგვაბედნიერონ....

შაბათ-კვირას „კინოკლუბში“ ალბათ ისევ 4 ადამიანი იჯდება. კარგი ხელოვნებისთვის საკმარისია.



ვატო ნარეთალი



კობა მინდაძე

სარჩიელი სივრცე არტისტული დიზაინისთვის

ავტორი: ლავით ჩიხლაძე

18 მარტს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვატო ნერეთლის კურატორობით განხორციელდა პროექტი „ცარიელი სივრცე“. ამ ერთდღიანი გამოფენის თავდაპირველი დიზაინი ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივა იყო, რაც თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად – კერძოდ, იაფფასიანი მასკულტურის ერთგვარი ტერორის ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის პოეზიასა და საერთოდ ხელოვნებასთან ზიარება.

გამოფენა ორ ნაწილად გაიყო. პირველი და ძირითადი ნაწილი სამხატვრო აკადემიისთვის დაიგეგმა, სადაც ექსპონატების წარდგენა არა ჩვეულ საგალერეო სივრცეებში, არამედ შენობის სხვა, არასაგამოფენო ადგილებში უნდა მომხდარიყო – ვთქვათ, დერეფნებში, აივანზე,

ეზოში და ა.შ. საბოლოოდ, ამისთვის სამხატვრო აკადემიის ერთი ყველაზე მოძრავი და ტრანზიტული დერეფანი შეირჩა, სადაც დღის განმავლობაში მრავალ სტუდენტს უნევს გავლა. აქ გამოფენილი იყო მამუკა ჯაფარიძის, კოტე მინდაძის, დიმა დადიანის, გიორგი კეკელიძის, ვატო ნერეთლის სამხატვრო და პოეტური ნამუშევრები.

გამოფენის მეორე ნაწილი კი თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებზე არსებული მონიტორებისთვის იყო გათვალისწინებული, რისთვისაც მამუკა ჯაფარიძის ნამუშევარი „სახელები“ შეირჩა. ეს ნამუშევარი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა, რადგან გამოფენის ორივე კონცეფციას თვალნათლად ეხმიანებოდა – დაემყარებინა კავშირი ხალხთან და ყოფილიყო გარკვეულ-

წილად პოეტური. ამისთვის მხატვარმა ვიდეოფირზე აღბეჭდა კადრები, სადაც ნაჩვენებია ადამიანების მიერ ხეებზე და სხვა ზედაპირებზე ამოჩხაპნილი საკუთარი სახელები, რითაც ისინი საკუთარი თავის და იქმყოფობის უკვდავყოფას ცდილობენ. ამას თან ახლდა აუდიომასალა, სადაც მხატვარი ამ სახელებს გაიძახის, ან შეიძლება ითქვას, ეძახის ამ ადამიანებს. აკადემიის ეზოში გამაძლიერებელი მართლაც მოუხმოდა ამ ადამიანებს: „ზურა!“, „დავით!“, „ელენე!“, „მაია!“. უნებურად მეც რამდენჯერმე მივიხედე. როდესაც დამთვალელები შემოდიოდნენ გამოფენის დასათვალეებლად, მამუკა ჯაფარიძე ზოგჯერ მათ თამაშნარევი ირონიით ეკითხებოდა: „რატომ მოხვედით? დაგიძახეს?“

ვატო ნერეთელი, რომელიც აქვე,



ლაით ჩისლაძე



ლია ლალაიანი

აკადემიაში ხელმძღვანელობს „კულტურის განვითარების კავკასიურ ცენტრს“, ან მეორენაირად მაფ-ს (მედია არტ ფარმს), გამოფენაზე არქიტექტორ მიკა ყრუაშვილთან ერთად წარდგა ნამუშევრით, რომლის სახელწოდებაც იყო „ნაცარქექიას სახლი“. მხატვრები შეეცადნენ, განევითარებინათ ახალი სემანტიკის მითოლოგია ცნობილი ზღაპრული პერსონაჟის ატრიბუტიკის გარშემო. გამოფენის ეს მონაკვეთი ვიზუალურად უკვე ძალზე დამაჯერებელი და თხრობითი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სიტყვა ან ილუსტრაცია არ ყოფილა გამოყენებული.

მხატვარმა კოტე მინდაძემ ორი დიდი ზომის ქალაღზე შესრულებული ტექსტური ნამუშევარი წარმოადგინა, სახელწოდებით „თვალები“ და „გამოცანა“, რომლებიც ბრინჯის ქალაღზე კალიგრაფიულად ასახულ ჩინურ პოეზიაზე წარმოქმნიდა ალუზიას და სკოლის

მოსწავლის დღიურის კონცეპტუალურ გამონაგონსაც წარმოადგენდა. ამ ქალაღებზე კი ნამდვილი პოეტური ტექსტები იკითხებოდა, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა ფერის თვალები, მათი სურვილები და ის, რომ თვალების უკან სულია ჩამწყვდეული.

პოეტი გიორგი კეკელიძე „ქსელური ალუზიების“ ტექსტობრივ სერიას სთავაზობდა მნახველს, რომელშიც ის იკვლევს ან ქმნის ინტერნეტთან და იმეილთან დაკავშირებულ შინაარსობრივ მხარეს, გამოგონილ მითოლოგიურ განტოტებებსა და ალუზიებს. ეს წმინდა პოეტური ტექსტები იყო, პრინტერზე ბეჭდვის შედეგად ოდნავ გადიდებული შრიფტით და საბეჭდი მანქანის მონოტონურობის თუ პოეტური თხრობის ინტიმურობის ეფექტით.

მუსიკოსმა დიმა დადიანმა ფოტონამუშევარი წარუდგინა დამთვალიერებელს – სერიულად გან-

მეორებადი კადრი, სადაც ოქროსა და იოლი სიმდიდრის სემანტიკის გარემოში გახვეული მამაკაცია გამოსახული. ნამუშევარს „ჩემი ოქრო ჩემთან“ ეწოდება და წარმოადგენს ნუვორიშული მერკანტილობის ერთგვარ სოციალურ თუ სულიერ კრიტიკას და ერთგვარ დაცინვასაც.

გამოფენაზე ნაჩვენები იყო ჩემი ნამუშევარიც, რომელსაც „ტყუპების თეატრი“ ერქვა, და ვიდეო, ფოტო და ცოცხალი პერფორმანსის კომპონენტებისგან შედგებოდა. აქ გამოყენებული ერთადერთი ტექსტი ის იყო, რომ გაკვირვებულ მაყურებლებს ვუხსნიდი, რომ ეს ხელოვნური, მოგლეჯილი ხელი, რომელიც 1 ლარად ვიყიდეთ, და რომელიც აშკარად ჰელოუინის ატრიბუტიკას წარმოადგენს, იმიტომ მიჭირავს, რომ, სხვა ნივთებისგან განსხვავებით, მისი გადაღება დაგვაინწყდა, და აქ პირადად მოვიტანე საჩვენებლად.



ჯოჯოხეთის დასმინავი „წვიმის ქალი“

15 მარტს საღამოთი წვიმდა. მეტეოროლოგებს, ცხადია, ამ ბუნებრივი მოვლენის თავიანთი, პროფესიული ახსნა ჰქონდათ, თუმცა წვიმის ჭეშმარიტი მიზეზი მხოლოდ ანა კორძაია-სამადაშვილმა უნყოდა, და იგი „ქარავანში“, მის საღამოზე შეკრებილ, წვიმას არშეპუებულ ერთეულ მკითხველს მაშინვე გაუმხილა: წვიმდა მის გამო! წვიმდა იმიტომ, რომ წვიმიანი ამინდი მისი ცხოვრების „ჯოჯოხეთია“ და ის მას სულ თან სდევს. და ბუნებრივია, რომ მისი პერსონაჟებიც ამ გაუთავებელი უჭმური ამინდის ტყვეობაში არიან და ეს მათ ხასიათზე და ქმედებებზეც ისახება. და აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო ისიც, რომ „ქარავნის“ ლიტერატურული საღამო მან იმ მოთხრობის ფრაგმენტების კითხვით დაიწყო, რომელსაც ჰქვია „წვიმს“.

აი ასე, გარეთ წვიმდა, შიგნითაც წვიმდა, და წვიმისა და ბევრი რამისაგან ცხოვრებაგაბეზრებული ანას ქალები ხან ლოგინქვეშ დაგულეულ ქვას სრულიად მოულოდნელად თავში ჩასცხებდნენ ხოლმე საკუთარ საყვარელს და ხან ვინ იცის, რას არ სჩადიდნენ, მაგრამ რაც არ უნდა საკვირველი ყოფილიყო, დარბაზში ცრემლების წვიმა კი არ იფრქვეოდა, არამედ სიცილი. თავის დაბნეულ, გატანჯულ პერსონაჟებს ენამოსწრებული ანა იქვე კომენტარებს აყოლებდა და სულმთლად აფარჩაკებდა. ჩვენ წინ იყო უმოწყალო და ამავე დროს უცნაურად ხალისიანი ავტორი: იუმორიდან სარკაზმამდე ფართო დიაპაზონით, ირონიული და, რაც ამ დროს ფრიად მნიშვნელოვანია – თვითირონიული.

ანა უკვე შვიდი თუ რვა წელია, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშია და შეიძლება ითქვას, რომ მან აქ თავისი განუმეორებელი სტილი და ხედვა მოიტანა: სამოქმედო სივრცისა და პერსონაჟების სხარტი, ხატოვანი აღწერით; მათი ფსიქოლოგიური შტრიხების თუ პრობლემების, მათი ნევროზული ურთიერთობების რამდენიმე ფრაზაში ჩამოქნის უნარით; რიტმის უჩვეულო გრძობით, აჩქარებული თხრობით და თხრობისას არაორდინარული მონტაჟური აზროვნების ნიჭით... ანას „კინოშნიკის“ თვალი აქვს. მეტიც, ექსცენტრულ-დრამატული პერსონაჟების ის დიდი არმია, რომელიც მან მოიყვანა, ერთად რომ წარმოვიდგინოთ, რალაც ფელინისებურს მივიღებთ, ცხადია, სხვა აქცენტებითა და პორტრეტისტული ხელწერით. გასახარია, რომ ასეთი პერსონაჟები მარტო ქალაქდზე არ რჩებიან და პირდაპირი ვაგებით უკვე ხორცსაც ისხამენ. როგორც იმ საღამოს შევიტყვეთ, ანას მოთხრობების მიხედვით ათონელის თეატრში სპექტაკლი იდგმება და მას მალე უნდა ველოდოთ.

სხვა სამომავლო გეგმებზე მას მაინცდამაინც არ ულაპარაკია. ერთი ის აღნიშნა, რომ დიდი ხანია ამოდ ცდილობს რომანის დაწერას, რაც ჯერჯერობით არანაირად არ გამოსდის: ხან კომპიუტერი უყლაპავს ნაწერს და ხან ჯერ გადაუწყვეტელი წმინდა წყლის შემოქმედებითი პრობლემები უშლის ხელს. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ანა გადალახავს ამ წინააღმდეგობებს და მალე რომანითაც გაგვახარებს.

დაბოლოს, მაინც როგორი მწერალია ანა კორძაია-სამადაშვილი? თუ ვინმეს მისი ტექსტები არა აქვს წაკითხული, იმედი მაქვს, ამ პატარა რეპორტაჟიდან მიხვდა, რომ ის იუმორისტი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებები სიცილს (ნერვიულს?) იწვევს. ტრაგიკომიკოსი? თითქოს კი, მაგრამ, მგონი, არც მთლად ტრაგიკომიკოსია. კომედიურობა მისგან შორსაა. ტრაგიზმიც რალაცნაირი, არასერიოზული ტრაგიზმია, არაკლასიკური. ნევროზულობა ალბათ მისი ტექსტების მთავარი მახასიათებელი. თვით ისიც კი, რისგანაც მისმა პერსონაჟებმა სიამოვნება უნდა მიიღონ (ეთქვათ, სექსი), მათ წვალბად უბრუნდებთ და ცხვირში ძმრად ამოსდით. პატარა ადამიანები ამ დიდმა ვნებებმა რომ არ გაჭყლიტოს, ავტორი მათ ვნებებს დასცინის, დასცინის ისევ მათ გადასარჩენად. და ზოგადად, ანა არის მწერალი, რომელიც ცხოვრებას დასცინის. მას თავისი წვიმიანი, ნესტიანი „ჯოჯოხეთი“ აქვს და სხვანაირი საცხოვრებელი ლიტერატურული ალაგი ვერც წარმოუდგენია. ერთი სიტყვით, ის ჯოჯოხეთის დამცინავი მწერალია... საღამო რომ დამთავრდა და გარეთ გამოვედი, წვიმა გახშირებულიყო. სახლში გალუმპული მივედი. ვიჯექი მერე ქურასთან, მაგიდასთან, კომპიუტერთან, დავბორიალობდი სახლში და ხან მოვიწყენდი, ხან კი ჩემთვის მწარედ მეღიმებოდა... „წვიმის ქალის“ ამაფორიაქებელი ხმა ჩამესმოდა და არ მეშვებოდა...

ავტორი: შოთა იათაშვილი


„და ასე შემდეგ...“

ზამთრის მიწურულს მამუკა სამხარაძის გამოფენამ სახელწოდებით მიიქცია ყურადღება – „და ასე შემდეგ...“. წელიწადის ამ დროს თბილისის კულტურული კალენდარი უფრო ინერტულია ხოლმე. მაგრამ მხატვარი არ შეუშინდა იმ დღეებში სუსხიან ქარსა და უამინდობას. მისი შემოქმედებისთვის უცხო არ არის ბუნება და მას ვერც დაცარიელებული შარდენის ქუჩა გააკვირვებდა, თუმცა მამუკა სამხარაძის გამოფენის გახსნით თბილისის ეს უბანი ცოტა ხნით ზამთარშიც გამოცოცხლდა.


მისი ნამუშევრების ფოკუსში სივრცე და ლანდშაფტია. მისთვის მთავარი ფონი სწორედ ბუნებაა, რასაც მხატვარი თავის გამოგონილ ხელოვნურ, ჩაკეტილ და ლოგიკურ სტრუქტურებს ამატებს. მამუკა სამხარაძის გეომეტრიული ნამუშევრების სერიები რამდენიმე წლის წინ ნაჩვენები იყო მოსკოვში „ეკოტოპიის“ გამოფენაზე. ამჯერად კი, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის ნამუშევრების ზოგადი შინაარსი უსასრულობის ცნების ფიზიკური მასშტაბებით ილუსტრირებას გულისხმობს, აკადემიის ამ მომცრო გალერეაში სივრცე მაინც მაქსიმალური სიზუსტით ადაპტირდა იდეასთან. მხატვრმა გალერეა ერთ მონოლითურ კომპოზიციად აქცია.

გამოფენაზე წარმატებით განლაგდა მისი ერთი სერია, რომელიც თეთრ ზედაპირებზე ლურსმნებით აწყობილ სიმეტრიულ და პროგრესირებად კომპოზიციებს წარმოადგენს. მისი ასეთი კომპოზიციები ერთი წერტილიდან იწყება და თანდათან, ნამუშევრიდან ნამუშევარში სიმეტრიულად განტოტდება, მატულობს და რთულ ორნამენტულ ლაბირინთებად სრულდება, რაც მართლაც სასიამოვნო სანახავია და ერთგვარ თერაპიულ ზემოქმედებასაც ახდენს. სამხარაძის სიმეტრიული განშტოებები უსასრულობას გულისხმობს და გამოფენის სახელწოდებაც პირდაპირ მიგვანიშნებს ამაზე – „და ასე შემდეგ...“. წესრიგში მოყვანილი ეს ურიცხვი ლურსმანი და მათ შორის გაბმული ძაფები, ანდა მინდორში ბამბუკებით აწყობილი კომპოზიციები დეკორატიული, მაგრამ მოსაწყენი სწორხაზოვნებისგან გვიცავს.

მამუკა სამხარაძის ნამუშევრები და გამოფენაც იმას ადასტურებს, რომ თანამედროვე ხელოვნებაში მასალასა და ფორმაზე აქცენტი აღარ კეთდება. მამუკა სამხარაძის შემოქმედება იდეისა და აზრის უშუალოდ გადაცემის ესთეტიკაა, რომელიც ცხადად გადმოსცემს თავისუფლებისა და სინამდვილის შინაარსს.



ნესტან ნენე კვინიკაძის ახალი მოღვაწეობა



რუსთაველის 28-ში, როკ კაფეში უკვე ტრადიციული პოეტური „ხუთშაბათობები“ ამჯერად ნესტან ნენე კვინიკაძის და თომა ჩალაძის ერთობლივი პერფორმანსით აღინიშნა. ახალგაზრდა პროზაიკოსი ქალის თხრობა იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ თითქოს თანამედროვე პრეცედენტი შეიქმნა – როგორ შეიძლება გამოვიდეს მწერალი აუდიტორიის წინ და არ იყოს მოსაწყენი. მისი ტექსტი, რომელსაც ის საკუთარი ნოუტბუკის ეკრანიდან კითხულობდა, ამ ერთობლივი პერფორმანსის იმდენად ორგანული კომპონენტი გახლდათ, რომ პოეტურ ხარისხს იძენდა. დიჯეი თომა ჩალაძე მუსიკალურ სეგმენტებს ამატებდა, და ტექსტს ვიზუალურად აფორმებდა ასევე საკუთარი ნოუტბუკიდან, და ეს ერთ უწყვეტ კომპოზიციას ქმნიდა.

ამ საღამოს გამორჩეულობა ის იყო, რომ აქ არ იგრძნობოდა უკვე მოძველებული მოდელი – როდესაც პოეტი გაუჩერებლად შეგვახსენებს საკუთარ თავს, ტექსტით თუ რაიმე მანერით. ამიტომაც ეს საღამო ძალზე ბუნებრივი იყო, მიუხედავად ტექნოლოგიური აქცენტისა. ამ ორი ხელოვანის ნარატივისა და ინტონაციების გადაკვეთით ულამაზესი პეიზაჟები იქმნებოდა, ინტიმური და მოკრძალებული სევდის ელფერი, და ამ ყველაფერს თითქოს ძველი პოეტური ბოჰემური კაფეს აურაც ახლდა.

ავტორი: ღაბონი ჩიხლაძე



ანიტა რაჭველიშვილის მცირე გასტროლი სამშობლოში... და დიდი სამოთხელო აზიზიები

ავტორი: ღაპით ზუზრიქიძე
ფოტო: ღარო სულაქაროვი

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 10 მარტს დიდი ვოკალური ვნებათაღელვა იგრძნობოდა. თავად ქვეყნის პრეზიდენტი და ქალაქის მერი შეწუხდნენ, რათა ქართველი მეცო-სოპრანოს, ანიტა რაჭველიშვილის სოლო კონცერტს დასწრებოდნენ. კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ კი შორიდან მას უზარმაზარი თაიგული გამოუგზავნა. საღამო ანიტას პედაგოგის, საინტერესო მომღერლისა და წლების განმავლობაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი მეცო-სოპრანოს, მანანა ეგაძის ხსოვნას მიეძღვნა. კონცერტმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ცხადია, დარბაზი გადაჭედული იყო, რადგან ყველას კარგად ახსოვდა ანიტა რაჭველიშვილის შესანიშნავი დებიუტი მსოფლიო საოპერო ცენტრში – მილანის „ლა სკალაში“.

2009 წლის 7 დეკემბერი რომ ქართული ვოკალური ხელოვნებისთვის ისტორიული დღე იყო და არა „მოდე-

ლირებული რეალობის“ რამდენიმე საათი, ღამის დიდ-პატარამ გაიგო. თანაც ფრანგულ-გერმანულმა სახელოვნებო ტელეარხმა „არტემ“ (ერთობ ენაწყლიანი წამყვანის კომენტარებით) საოპერო სპექტაკლ „კარმენის“ პრემიერა live-რეჟიმში თავიდან ბოლომდე გადასცა. ჩვენთვის არსებითი და საამაყო ის იყო, რომ სეზონის გახსნის დღეს, არცთუ უპრეტენზიო იტალიელი რეჟისორი-ქალბატონის, ემა დანტეს დადგმაში 25 წლის ქართველი მეცო-სოპრანო ანიტა რაჭველიშვილი კარმენის პარტიას მღეროდა.

ოპერის ისტორიაში ყველაზე ვნებიანი, საბედისწერო და არქეტაიული ქალის პარტიას ქართველი მომღერალი გასაგები შინაგანი მღელვარებით და შესანიშნავ ვოკალურ ფორმაში შეხვდა. მით უმეტეს, რომ სპექტაკლის დირიჟორმა, მავსტრო დანიელ ბარენბოიმმა მას უდიდესი ნდობა გამოუცხადა და მეორეხარისხოვანი პარტიის ნაცვლად,

მთავარი პარტია ანდო... და ვარსკვლავი ერთ საღამოს დაბადა. თუმცა ანიტას კიდევ ბევრი შრომა მოუწევს არტისტული მონაცემების დასახვეწად. ხმაურიანი დებიუტი კი უხმაურო შრომამ და რამდენიმე საინტერესო სპექტაკლმა შეამზადა.

2008-2009 წლების სეზონში ანიტა რაჭველიშვილი მონაწილეობდა „ლა სკალას“ დადგმებში – „ტრიპტიქი“ (ბეტრიჩეს პარტია) – დირიჟორი რიკარდო შაილი, რეჟისორი ლუკა რონკონი, მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“ (ქერუბინო), პიცეტის „მკვლელობა ტაძარში“ (კორიფეა). 2009 წელს დაამთავრა „ლა სკალას“ აკადემია და სწავლა განაგრძო პედაგოგ დევიდ ჰოლსთან. მოგვიანებით კი პარიზში გაემგზავრა, ვოკალური ხელოვნების ცნობილ პედაგოგთან, ჟანინ რეისთან. ფრანგული სიმღერის გაკვეთილებმა ცუდად არ ჩაიარა, რადაც ამტკიცებს „კარმენის“ ვოკალიც და მონოლოგებიც. ახლახან,



იანვარ-თებერვალში კი ანიტა რაჭველიშვილმა პალერმოს საოპერო თეატრში ვერდის „ნაბუქოში“ ფენენას პარტია შეასრულა.

რაც შეეხება თბილისურ კონცერტს. მომღერლის რეპერტუარი განსაკუთრებულ სიახლეს ან ინტრიგას არ შეიცავდა, თუ არ ჩავთვლით მეორე განყოფილებას, რომელშიც მხოლოდ „კარმენი“ აჟღერდა: უვერტიურა, ხაბანერა, ანტრაქტი და სეგიდილია. თუმცა ანიტა რაჭველიშვილის ვოკალური შესაძლებლობები ყველაზე უკეთ დალილას არიაში გამოჟღავნდა (სენ-სანსის „სამსონი და დალილა“), სადაც მისი ხმა მსუყედ, ვნებიანად და ამავე დროს, ელეგანტურად ჟღერდა. არანაკლებად საინტერესო აღმოჩნდა პრინცესას არია ჩილესა ოპერიდან „ადრიენა ლეკუერერი“, რომლის შესრულებამ ვოკალური ხელოვნების მოყვარულთ ცნობილი მეცო-სოპრანო ფიორენცა კოსოტო გაახსენათ.

თამარ მეფის კავატიანა დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ უფრო ეროვნულ-მუსიკალურ არქეტიპებთან ლირიკული კავშირის დამყარებას ჰგავდა. ვიდრე პუბლიკა მეორე განყოფილებაში ჩაროზად შემონახულ „კარმენს“ მოუსმენდა, ორკესტრმა ერთად დაკვრასა და

პოლიფონიაში წაივარჯიშა. ამისათვის მასკანის „ინტერმეცო“ ოპერიდან „სოფლის ღირსება“ და ვერდის დრამატული განცდებით სავსე უვერტიურა ოპერისათვის „ბედისწერის ძალა“ სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, სიმართლე ითქვას, ამ კონცერტმა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ორკესტრის ბევრი ხარვეზიც წარმოაჩინა (დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი). მაგრამ ეს უკვე სხვა პრობლემაა

ცხადია, „კარმენი“ ყველაზე ზუსტად შეესაბამება მომღერლის ხასიათს და ხმის თავისებურებებს. შესანიშნავი დიქცია და დეკლამაცია საშუალებას აძლევს ზუსტად მოარტყას მიზანში. ეფექტური ხმით და ვიბრატოებით მსმენელს ტკბობისა და განცდის საშუალებას აძლევს. და ეს კარგად იგრძნობოდა „კარმენის“ ფინალურ „ბოშების სიმღერაშიც“, რომელიც ანიტა რაჭველიშვილმა ახალგაზრდა მომღერლების თანხლებით შეასრულა. იმედია, ქართველი მომღერალი მომავალ საოპერო სეზონს კიდევ უფრო დიდი წარმატებით შეხვდება. მომავალი სპექტაკლებისა და საოპერო თეატრების სია ასევე შთამბეჭდავია: ბერლინი, ტოკიო, ვერონა, სიეტლი, ბარსელონა და ამსტერდამი.

„ანიტას დრამატული მეცო და და-

ხვენილი ვოკალური კულტურა აქვს, – ამბობს ჩვენთან საუბარში კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კათედრის პროფესორი, მომღერალი გულიკო კარიაული. – ვნებიანი ხმა, კარგი სმენა, სუფთა ბგერა... ერთადერთი პრობლემა მაინც დაბალი რეგისტრია, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა, რომ რესურსი ბოლომდე არ არის გამოყენებული. ვერდის რეპერტუარში და ვერისტულ ოპერებში სიმღერას ჯერ არ ვურჩევდი, ხმა ჯერ დასახვეწია და ფორსირება, ძალდატანება მას მხოლოდ ავნებს. ალბათ აჯობებს შედარებით მსუბუქი პარტიების შესრულება. მაგალითად, როსინის, მოცარტის ოპერებში.

P.S. ისე, ზოგჯერ „არამოდელირებული“ საინფორმაციო საშუალებებიც ცდებიან. მაგალითად, როცა ამტკიცებენ, რომ პირველად „ლა სკალას“ ისტორიაში საოპერო სეზონი ქართველმა მომღერალმა 2009 წელს გახსნა. არა, კოლეგებო და მეგობრებო, ამ მართლაც სასიამოვნო დღემდე დიდი ხნით ადრე, 1988 წლის 7 დეკემბერს „ლა სკალას“ სეზონი ჩვენმა სახელოვანმა ბანმა, პაატა ბურჭულაძემ გახსნა, რომელიც ვერდის „ნაბუქოში“ ზაქარიას პარტიას მღეროდა. ორკესტრს კი სახელოვანი რიკარდო მუტი დირიჟორობდა.

ბინდათ კარგი ლიტერატურა? ჰოდა, მოითხოვეთ!



– ნაგვიტხავთ სტეფან მეიერი? – ეკითხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეკრებილ მსმენელს დენიელ მენაკერი, – „მწუხრი“ მაინც გაგონილი გექნებათ. დარბაზში სტუდენტების უმრავლესობა თანხმობის ნიშნად ხელს იწევს. სტეფან მეიერის „მწუხრი“ 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მერვე ყველაზე კითხვადი წიგნია ამერიკაში, – ხანმოკლე პაუზის შემდეგ – სიმართლე რომ გითხრათ, ის მეშვიდეა, მოვიტყუე მერვეა-თქო რომ ვთქვი. არ მინდა ასე რომ იყოს და იმიტომ“.

დენიელ მენაკერი, ჟურნალ „ნიუ-იორკერის“ მხატვრული ტექსტების განყოფილების ყოფილი რედაქტორია. ის ასევე საგამომცემლო სახლების – „ჰარპერ კოლინსისა“ და „რენდომ ჰაუსის“ მხატვრული რედაქტორი და ორი წიგნის (The Treatment და A Good Talk) ავტორი გახლავთ. მისი მეუღლეც, ქეთრინ ბუტონი ლიტერატურის კრიტიკოსია, თავის დროზე „ნიუ-იორკ თაიმსის“ და ნიუ-იორკ მეგზინის“ რედაქტორი და ავტორი გახლდათ. მენაკერები საქართველოში ამერიკის საელჩოს მოწვევით ჩამოვიდნენ, რომ ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში დენიელს „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის“ შესახებ საჯარო ლექციები წაეკითხა.

„სინამდვილეში, „მწუხრი“ მეც წავიკითხე, სწობი კი არა ვარ, – ამბობს მენაკერი, – არც მოხუცებისთვის დამახასიათებელი სიახლეების პანიკური შიში მტანჯავს. უბრალოდ, გული მწყდება როცა მახსენდება, რომ 60-იანებში, 70-იანებსა და 80-იანებში ყველაზე პოპულარული მწერლების ათეულში ჯონ აპდაიკი, ნორმან მეილერი, ფილიპ როთი, უილიამ ფოლკნერი ხვდებოდნენ. დღეს კი, ყველაზე პოპულარული თხუთმეტი წიგნიდან, მხოლოდ ერთს თუ ექნება ლიტერატურული ღირებულება. სტეფან მეიერი, დენ ბრაუნი და სხვები კომერციის, გაყიდვების კულტურას წარმოადგენენ“. მენაკერს კი უნდა ამერიკაში კულტურული კერები შენარჩუნდეს.

მენაკერები იმ თაობას წარმოადგენენ, ვისაც კარგად ახსოვს ძველი გამომცემლობების ცხოვრების წესი, სიგარეტის ბოლით გაბულული ოთახები და „ლანჩზე“ მირთმეული ორი მარტინის ჭიქის მერე გაგრძელებული სამუშაო დღე. დღეს გამომცემლობებმა მფლობელები გამოიცვალეს და კორპორატიული მმართველო-

ბის პირობებში სამუშაო ატმოსფეროც ბუნებრივად შეიცვალა – არავითარი ალკოჰოლი და, რა თქმა უნდა, არანაირი სიგარეტი, მხოლოდ დახვეწილი სამუშაო ეტიკეტი და სოლიდური, რესპექტაბელური პერსონალი. „კულტურული პროდუქციის“ მწარმოებელი კომპანიების მთავარი საზრუნავი, სხვა ბიზნესის მსგავსად, დღეს კომერციული წარმატებაა. ლიტერატურული, კულტურული ფასი და კომერცია ჯერჯერობით არცთუ ისე წარმატებით ეთავსება ერთმანეთს.

თუმცა ლიტერატურის, და ზოგადად კითხვის კულტურის დაკნინება, მენაკერის აზრით, კორპორაციებთან ერთად, სამი ეკრანის ფაქტორმაც განაპირობა. პირველი ეკრანი კინო იყო, რომელმაც სინამდვილეში წიგნის პოპულარობა მხოლოდ უმნიშვნელოდ შეამცირა. მეორე ეკრანი ტელევიზორია, რომელიც ბევრად უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე „უწყინარი“ კინო. საშუალო სტატისტიკური ამერიკელის სახლში ცისფერი ეკრანი დღის განმავლობაში ექვსი საათია ჩართული. რასაკვირველია, ბუნებრივად შემცირდა კითხვის საათები. თუმცა ყველაზე დიდი, კულტურული გავლენა წიგნებზე მაინც კომპიუტერის ეკრანს აქვს. ამიტომ, მენაკერის აზრით, კომპიუტერი ლიტერატურული კულტურისთვის ყველაზე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. „თუმცა, ინტერნეტი წყევლაცაა და წყალობაც“, ამბობს მენაკერი. ინტერნეტწიგნები და ინტერნეტსაკითხავი მკითხველს ამავდროულად არაჩვეულებრივ შესაძლებლობას აძლევს – მას ხელი უზარმაზარ ინფორმაციასთან მიუწვდება. ინფორმაციასთან, რომელსაც მკითხველი უფასოდ მოიპოვებს. აქ ჩნდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შელახვის პრობლემაც, რომელსაც ამ დრომდე ვერც მუსიკის ინდუსტრიამ უპოვა გასაღები. თუმცა მწერლებს მაინც აქვთ იმედი, რომ „ამბის თხრობის ძალაუფლება“ ექსტრემიზმისა და პროვინციალიზმის საფრთხეების გადალახვას შეძლებს. წიგნები ბოლოს და ბოლოს სულ რაღაც 300-400 წელია არსებობს. მანამდე ერთადერთი „მედიუმი“ ქვის ფილა იყო, მერე გაჩნდა პაპირუსი. ჩვენ შეიძლება წიგნის ფიზიკურად გაქრობის, ან მისი საგანძურად ქცევის ნინაშე ვდგავართ. მაგრამ ვინ თქვა, რომ ეს ამბავი მაინცდამაინც კულტურულ კატასტროფას მოასწავებს. ხანდახან ახალი ხომ უბრალოდ ახალს ნიშნავს.

თბილღვინო

2009 წლის ოქროს ბრენდი



2010 წლის მარტში ოქროს ბრენდის დაჯილდოებაზე თბილღვინოს ოქროს ბრენდის ტიტული მიენიჭა.

ოქროს ბრენდის დაჯილდოების ცერემონია 2006 წლიდან ტარდება და ის ყველაზე პრესტიჟულ და გავლენიან ბიზნეს დაჯილდოებად არის აღიარებული.

ოქროს ბრენდი ავლენს და აჯილდოებს იმ კომპანიებს, რომლებმაც საქართველოს ბაზარზე ბრენდინგულ საქმიანობაში წარმატებებს მიაღწიეს და პროდუქციის, ან კომპანიის ბრენდის ცნობადობა განამტკიცეს.





რადენივე ტერიტორიული უზუსტობასთან დაკავშირებით

ავტორი: ბიბი ბულაძანი

როცა ვინმე მისვამს კითხვას, თუ როგორია საქართველოში ცხოვრება, ზუსტად არასდროს ვიცი, რა შეიძლება მიუფგო ხოლმე, რადგან ჩემთვის მიუღებელია პასუხის სამივე შესაძლო ვარიანტი: ოპტიმისტურიც, პესიმისტურიც და ნეიტრალურიც.

ამიტომ, ვთვლი, რომ კითხვას – „როგორია საქართველო“ – მაქსიმალურად ორაზროვანი პასუხი უხდება. მაგალითად, „ჩვეულებრივი“ ან „ნორმალური“. ამ არჩევანს ორი პლუსი აქვს – ერთი ის, რომ ყველანაირ პასუხისმგებლობას მისხნის და ამასთან ერთად, შეკითხვის დამსმელს აძლევს ნებისმიერი ინტერპრეტაციის საშუალებას. დაე, კითხვის დამსმელმა იჭყლიტოს თავი იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ქვეყნის ასეთი დახასიათება. სინამდვილეში კი „ჩვეულებრივი“, არა იმდენად ორაზროვანი, რამდენადაც ამომწურავი პასუხი იქნება იმისთვის, ვინც მას ჩაუღრმავდება, რადგან ის მიანიშნებს, რომ ჩვენთან ყველასთვის ყველაფრის ნახვა შეიძლება.

გემოვნების შესაბამისად, თქვენ საქართველოში შეგიძლიათ: გაიცნოთ მოვლილი ქართველი გოგოები „რედისონის“ სპაში, მოინახულოთ ნაჭრების სექცია ლილოში ან „დამ-ლილები“ ელიავაზე, დატკბეთ „შერატონის“ ხედით ბათუმის „ინტურისტის“ აივანიდან, სალამოს გაისეირნოთ ქობულეთის ფსიქოდელოურ სანაპიროზე აგვისტოს შუა რიცხვებში, დაე-ლაპარაკოთ ნამდვილ რუს ოკუპანტებს ერგნეთში, დაათვალიეროთ დმანისის კოლექცია ზეზვას და მზიას ფიტულებით, ეთამაშოთ ნარდი აზერბაიჯანელებს აბანოებთან ჩაიხანაში, შეუკვეთოთ გუაკამოლი სილნალის მექსიკურში ან სულაც, დანაღმული მინდვრების გავლით გადახვიდეთ გალში კარგი პლანის ასაღებად.

„ყველასთვის ყველაფრის“ მოდელით საქართველოს აღწერისას მთავარია მოვერიდოთ ისეთ ბანალურ დრიფტებს, როგორიცაა, მაგალითად, ბევრჯერ გადათელილი გამოთქმა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინი“ ან ამის მონათესავე რომელიმე სხვა კლიშე. ამეებს, ჩვენ, როგორც ნესი, ე.წ. „პოსტსაბჭოთა სივრცეზე“ შეყვარებული დასავ-

ლელი ინტელექტუალები (ასევე, დასავლური უნივერსიტეტებიდან აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, ევრაზიისა და პოსტკოლონიალიზმის სწავლებათა ფაკულტეტების წარმომადგენლები) მოგვაკერებენ ხოლმე.

აქვე, რადგან სიტყვამ მოიტანა, დავამატებდი, რომ თვითონ „პოსტსაბჭოთა სივრცეც“ გარკვეულწილად არაკორექტულ გამოთქმად მიმაჩნია, როცა მას არ ხმარობენ უშუალოდ საბჭოთა კავშირის ისტორიასთან მიმართებაში.

„პოსტსაბჭოთა სივრცე“ ახდენს ყველა პროცესის განხილვას საბჭოთა მემკვიდრეობის კონტექსტში იმის მიუხედავად, რომ ამ „სივრცეში“ გვხვდება უამრავი მოვლენა, რომელიც ამ ტოტალიტარული ველის მიღმა, სრულიად ავტონომიურად არსებობს. კონკრეტულად, რას მოიცავს „პოსტსაბჭოთა სივრცე“ ზუსტად არავინ იცის – მარტო მოძმე რესპუბლიკებს თუ აღმოსავლეთ ევროპასაც? ბალტიისპირეთსაც? იქნებ მარტო თანამეგობრობას? აერთიანებთ თუ არა ამ სივრცეებს რაიმე, იმის გარდა, რომ ყველა მათგანი ადრე თუ გვიან რუსეთმა მიჩექმა? თუ არაფერი, მაშინ კორექტულია თუ არა, რომ ათობით რადიკალურად განსხვავებულ ქვეყანაში მცხოვრებ ასობით მილიონ ადამიანს, წლების მანძილზე, აკადემიური პათოსით, ერთი და იგივე ტერმინი – „რუსეთმიჩექმილები“ უძახო?

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინს“ (რომელსაც, საქართველოს დახასიათებისას ხშირად გადაეყრები ინგლისურენოვან მისიონერულად პოზიტიურ სტატიებში), საქართველოს ფანებს გამოუცდელი მკითხველი აქაც შეცდომაში შეჰყავთ, როცა

ჩვენთან საქმე სულ სხვაგვარადაა – აქ აღმოსავლეთი დასავლეთს კი არ ხვდება, არამედ სცდება და ისინი, ერთმანეთის პარალელურად, დამოუკიდებელ სივრცეებში არსებობენ.

ჩვენს ქვეყანას კულტურული სინთეზების მისტიკურ კერად მოგვისხენიებენ ხოლმე.

თუმცა, აქაც უზუსტობასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე მიზანმიმართულ დეზინფორმაციასთან. საქართველო უფრო კორიდორია, ვიდრე კულტურული ოაზისი. რაც მთავარია, ის ნამდვილად არაა გზაჯვარედინი, რადგან, როგორც ცნობილია, გზაჯვარედინი ისეთი ადგილია, სადაც ორი გზა ერთმანეთს ხვდება. ჩვენს შემთხვევაში კი, საქმე სულ სხვაგვარადაა – აქ აღმოსავლეთი დასავლეთს კი არ ხვდება, არამედ სცდება და ისინი, ერთმანეთის პარალელურად, დამოუკიდებელ სივრცეებში არსებობენ.

არა როგორც გზაჯვარედინი, არამედ როგორც ერთმანეთის თავზე გადამავალი საავტომობილო ესტაკადები, რომლებიც, გზაჯვარედინისგან განსხვავებით, ამ მიწას საერთოდ არც ეხებიან, მაგრამ კორიდორის გასწვრივ შეუფერხებლად გადაადგილებას უზრუნველყოფენ.



მონატრებული ომის ქრონიკა

ავტორი: თაო ხატიაშვილი

მინც რა სასწაულებრივი დინამიურობის ეპოქაში ვცხოვრობთ! სანამ ერთი სტატიის დაწერას მოვახერხებდი, ომი დაიწყო და დამთავრდა კიდევ (სამწუხაროდ, წავაგეთ, განსხვავებით რეალური აგვისტოსგან, რომელიც თურმე „მოგვიგია“ და ისევე ვერ გაგვიგია, როგორც 13 მარტის ე.წ. მოდელირებული რეპორტაჟი). შესაბამისად, ჩემი აღშფოთებისა და კომენტარების თემა – გადაცემა „სიმართლის დროში“ დოღო გუგეშაშვილის (რასაკვირველია, ის ამ შემთხვევაში მხედრიონის კრებით სახეს წარმოადგენდა) ტრიუმფალური რეპაბლიკაცია – დაიწყო და, ერთი შეხედვით, აქტუალურობაც დაკარგა. თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით – რამდენადაც ეს იყო უვერტიჟურა, ერთი ფრაგმენტი იმ აგრესიის, სიძულვილის, ცინიზმის ენისა, რომელმაც შოკისებური ეფექტი მოახდინა 13 მარტს და რომლისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა „იმედის“ ტელეარხი (არა მხოლოდ შეცვლილი მფლობელისა და ხელმძღვანელობის ხელში) და კონკრეტულად ეს გადაცემა. „სიმართლის დრო“, როგორც თავიდან მეგონა, სულაც არ აღმოჩნდა ერთი ჩვეულებრივი მოყვითალო შოუ „ცნობადი სახეების“ პიკანტურ ცხოვრებაზე, არამედ ლაკმუსის ქაღალდი ძალაუფლებების (ხელისუფლების, მედიის, საზოგადოების) ამორალურობაზე – და არა იმიტომ, რომ ვიღაცას ეკითხებიან: „გაგიზომავს თუ არა ერეგირებული პენისი?“, არამედ – „იბანთ თუ არა, საერთოდ?“ (გასათვალისწინებელია, რომ ადრესატის მიმართ ამკარა არაკეთილგანწყობა ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-რელიგიური პოზიციებით კი არ იყო გამოწვეული, რაზეც კეთებოდა თითქოს აქცენტი გადაცემაში, არამედ მისი სოციალური კუთვნილებით); „გრცხვენიათ თუ არა, რომ სომეხი ხართ?“; „გენატრებათ ომი?“...

წარმომიდგენია, წამყვან ნანკა კალატოზიშვილთან ერთად ტელეეკრანთან რამდენი ზიზლით სავსე თვალი იყო მიპყრობილი თეა თუთბერიძისადმი, რამდენი ირონიული და ქედმაღლური მზერა ჯიჯი რეჯინისადმი და რამდენი ალტაცებულ-მონინებული – დოღო გუგეშაშვილისადმი, ალბათ, დროდადრო წამოძახილებით: „ჯიჯარი ხარ!“ „აი, ნამდვილი ქართველი ქალი!“... ქართლის დედა, რომელიც „მამულს უზრდიდა შვილსა“, რომ შემდეგ მისთვის შეენირა და თავადაც ხელში ხმალი ეჭირა. ქალი, რომელსაც ომი ენატრება, რომელიც გაქცეულ მებრძოლებს ფეხებს უმტვრევდა, რომელიც ადამიანს უფრო ადვილად უმიზნებს, ვიდრე – ცხენს... ეს ხატი დღემდე ცოცხალია ჩვენში. რა იყო გადაცემის მიზანი? – ამ, ანუ „ქართლის დედის“ ხატის გახსენება, მხედრიონის

ნის დანაშაულებრივი ქმედებების თუ იმის ლეგიტიმაცია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მორიგი ომი – ჯერ მოდელირებული და ალბათ, შემდეგ „არამოდელირებული“ – გარდუვალა?

წლებანდელ „ბერლინალეზე“ სულ ორიოდე ფილმმა მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება, მათგან ყველაზე ხშირად ერთ-ერთზე – იაპონელი რეჟისორის კოჯი ვაკამაცუს *მუხლუხო*ზე ფიქრობ (მართალია, ცოტა სწორხაზოვანზე, მაგრამ ამჟამად ამას არ აქვს მნიშვნელობა). მუხლუხო, ფაქტობრივად, მთავარი პერსონაჟის – II მსოფლიო ომის გმირის მეტაფორული სახეა, რომელიც ომიდან ოთხივე კიდურით ამპუტირებული ბრუნდება. მას მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებები აქვს: სულ სძინავს, და თუ იღვიძებს, ან ჭამს ან სექსით არის დაკავებული. ამ ყოველად მიწიერი, პიროვნებადაკარგული და დამამცირებელი ყოფის ფონზე კიდევ უფრო გროტესკულად და აბსურდულად ჩანს მის მუნდირზე ჩამოკიდული ორდენები, პათეტიკური საგაზეთო სტატიკა, მისი, როგორც ეროვნული გმირის თავყვანისცემა, რომელმაც იაპონიის ღირსება დაიცვა და თანასოფლელთა სიამაყე, რომ ეს გმირი სწორედ მათი სოფლის მკვიდრია... გმირის (გმირობის) დემისტიფიკაცია ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე ტაბუირებული თემაა – ცხადია, „მუხლუხოები“ ქართულ „ეთერში“ (ამ შემთხვევაში, ზოგადად სადისკუსო სივრცე) კარგა ხანს ვერ გამოჩნდებოდა.

როდესაც ამავე ჟურნალში სამხედრო-პატრიოტულ სწავლებასთან დაკავშირებით გამართული დისკუსიის ჩანაწერს ვკითხულობდი, ჯერ გამაღიზიანა გიგი თევზაძის დემაგოგიამ, გაემართლებინა ხელისუფლების მიერ შემოგდებული სრულიად გაუაზრებელი მორიგი „რეფორმისტული“ ინიციატივა, მერე კი – როცა „გავიგე“, რომ თურმე „პატრიოტიზმი გაზომვადია“, გამეცინა. მაგრამ „სიმართლის დროში“ ნანკა-დოდოს დუეტს რომ ვუყურებდი-ვუსმენდი, მიგხვდი, რომ საქართველოში პატრიოტიზმი მართლაც „გაზომვადია“ – დოღო გუგეშაშვილი „ქართული პატრიოტიზმის“ ეტალონია, მის უკან კი „პატრიოტული არხი“ და „პატრიოტი“ ხელმძღვანელია.

თუმცა ეს არხი მარტო არ არის – უკლებლივ ყველა, ე.წ. სახელისუფლებო თუ ოპოზიციური არხი თავისებურად ცდილობს პატრიოტიზმის უმაღლესი სტატუსის მოპოვებას და ამ ბრძოლაში ერთმანეთს, როგორც წესი, უწინებენ „არასაკმარისად ქართულობას“, რაც პატრიოტიზმის იდენტურია. ზოგი ამისთვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლის აუცილებლობას გვახსენებს მუდმივად, ზოგი ნაციონალიზმ/ტრადიცია/მართლმადიდებლობის წართმევის საშიშროების „საგანგაშო ზარებს“ რეკს. ენა კი ყველგან მსგავსია – აგრესიული, სხვისი აზრის, პოზიციის კატეგორიული მიუღებლობის, არმოსმენისა და ვერგაგების ენა.

იცით, დოღო გუგეშაშვილის ამაყ განცხადებაზე მეტად, – ომი მენატრებაო, – რამ გამოაცა? ნანკა კალატოზიშვილის მასთან დამშვიდობებამ: თქვენ ძალიან ლამაზი და საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანი ხართო. გასაგებია, რომ ის არ ადგენს იმ კითხვებს, რომელსაც გადაცემის განმავლობაში სვამს; გასაგებია, რომ უკვე განსაზღვრულ კითხვებს შორის გასაუბრებისას პროდუსერი(ც) კარნახობს კიდევ უფრო მე-

ტად არაკორექტულ კითხვებს და ალბათ, არხის ხელმძღვანელობა გარკვეულწილად იმაზეც აძლევს ინსტრუქციას, ვის მიმართ რა დოზით ითამაშოს დაუნდობელი წამყვანის როლი (განსხვავება აშკარად ჩანდა, მაგალითად, ცოტნე გამსახურდიას ყოფილი ცოლისა და თეა თუთბერიძის მიმართ დამოკიდებულებაში). მაგრამ დარწმუნებული ვარ, არავინ აიძულებდა უკვე ლამის გამორთული კამერების წინ ქ.-ნი დოდოსთვის ასეთი კომპლიმენტის თქმას.

თითქმის მსგავს კომპლიმენტებად იღვრებოდა სოფო მოსიძე კიდევ უფრო ძლიერი დიდების შარავანდედით მოსილი გიგა არველაძის მიმართ ორიოდე წლის წინ, საზოგადოებრივ არხზე თავის საავტორო გადაცემაში „მონყვიტე წამი“ (თუ არასწორად მახსოვს სახელი, ბოდუშ ვიხდი), თავისი ვითომ

პოეტურად ჩახლართულ-მოძველქართულო ტექსტებით. რალაც ინტუიცია მკარნახობს, რომ სოფო მოსიძეც 13 მარტის ღამეს სრულიად სამართლიანად აღშფოთებულ ადამიანებთან ერთად იდგა „იმედის“ შენობის წინ (ყოველ შემთხვევაში, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან მანც თანაუგრძობდა) და ითხოვდა პასუხს იმაზე, რის რომანტიზაციასაც სულ ცოტა ხნის წინ თავად ახდენდა.

როცა ომი გენატრება, მის სიმულაციასაც (და რომანტიზაციასაც) დაუფიქრებლად აკეთებ – ეს ხომ თამაშია, ადრენალინის გამოშვება, „კაცური კაცობის“ დადასტურება, პატრიოტიზმის უმაღლესი საზომი. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად პატრიოტები ვართ, და აბა, ამ დროს მუხლუხობზე და მუხლუხობაზე ფიქრი რა მოსატანია.



კონტურები

ავტორი: სანდრო ნავერიანი

„მე „იაგუარის თათი“ ვარ, მონადირე, „გამჭვირვალე ცის“ შვილი, ეს ჩემი ტყეა, აქ ნადირობდა მამაჩემი, აქ ვნადირობ მეც და ჩემს მერე აქ ინადირებენ ჩემი შვილები მათ შვილებთან ერთად.“
„იაგუარის თათი“, აპოკალიპტო

ჩემი შვილი ჯერ ორი წლისაც არ არის, თუმცა ეს არ უშლის ხელს, რომ ზებირად იცოდეს მსოფლიოს თითქმის ყველა დროშა და რუკაზე ამ ქვეყნების ადგილმდებარეობა. ამაში მე განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი მეხსიერება აქვს, მეტი არაფერი. ანდრიას (ასე ვუწოდებთ ჩემს შვილს) არ გაუჭირდება, გიჩვენოთ რუკაზე ბარბადოსი, შემდეგ კი ბარბადოსის დროშა; ერთმანეთში არ ეშლება ფილიპინები და ინდონეზია, იცის, რომ ავსტრალიაში ცხოვრობენ კენგურუები, შვეიცარიაში – მამიდამისი. ანდრიამ კარგად იცის საქართველოც და მისი კონტურები არასოდეს ეშლება, მაგალითად დანიის ან კოლუმბიის კონტურებში. ანდრიამ რუკაზე დატანილი ის საქართველო იცის, რომელშიც აფხაზეთიც შედის და სამაჩაბლოც. თუმცა, ცალკე აღებული არც აფხაზეთზე იცის რამე და არც

სამაჩაბლოზე. ალბათ მათ შესახებ არც არაფერი სმენია, თუ არ ჩავთვლით პარალელურ რეჟიმში ჩართულ ტელევიზორს, საიდანაც ყოველთვის ისმის ეს ორი სიტყვა, მაგრამ იმის გამო, რომ ანდრიას ოჯახის წევრები არ რეაგირებენ ამ სიტყვებზე, ანდრიასთვისაც „აფხაზეთიც“ და „სამაჩაბლოც“ ისეთივე სიტყვებია, როგორც „ბარამბო“, „დუტა სხირტლადი“ და „საქართველოს პრეზიდენტი“.

იმის გამო, რომ ანდრია ორი წლისაც არ არის, წარმოუდგენელია მასთან ამ თემებზე სიღრმისეული საუბარი. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ თუნდაც 10 წლის შემდეგ მე ვეტყვი ანდრიას, შვილო ჩემო, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც შენია, და შენ ის უნდა დაიბრუნო ნებისმიერ ფასად, უნდა დარგო იქ ხე, რომ ფესვები გაიდგას და შენმა შვილებმა მისი ნაყოფი მიიღონ. თუმცა, აუცილებლად ვეტყვი ყველაფერს, რაც დღეს და მთელი ამ წლების განმავლობაში ხდება და ვეტყვი ყველაფერ სიმართლეს, ყოველგვარი შეღამაზებისა და უტრირების გარეშე. არაფერს მოვატყუებ და არ მოვატყუებ იმიტომ, რომ ის ჩემი შვილია.

მე მინდა, რომ ჩემს შვილსაც და ყველა სხვა შვილსაც სახელმწიფო მოექცეს ისე, როგორც საკუთარ შვილებს. იზრუნოს მათზე, არ გამოურეცხოს ტვინები, მისცეს ხარისხიანი განათლება, დაიცვას მათი უფლებები, არ იყოს მოძალადე, მისცეს მათ თავისუფლება და არ მოატყუოს. უთხრას მათ ყველაფერი, უთხრას, რომ აფხაზეთი მარტო აფხაზეთმა და რუსებმა კი არ მიიტაცეს, რომ ჩვენც დავკარგეთ. რომ სამაჩაბლო წლების განმავლობაში მათ მშობლებს არ ახსოვდათ და არ აინტერესებდათ, იქ რა ხდებოდა. უთხრან, რომ 2008 წელს შეცდომები დაუშვეს და უთხრან, რა შეცდომები იყო ის – პოლიტიკური თუ სამხედრო ტაქტიკური. და ამ ყველაფრის შემდეგ მისცენ მათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, თავად გადაწყვიტონ, როგორ სახელმწიფოში უნდათ ცხოვრება და თვითონ შემოხაზონ ქვეყნის კონტურები. თვითონ გადაწყვიტონ, არის თუ არა აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ნაწილები, ეკუთვნის თუ არა კახი საქართველოს და გვაქვს თუ არა უფლება, პრეტენზია გამოვთქვათ ტაო-კლარჯეთზე. ერთი სიტყვით, თავად გადაწყვიტონ, როგორი საქართველო უნდათ – ნიკოფსიდან დარუბანდამდე, თუ თბილისიდან გორამდე.

ფოტოკონკურსი

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ და სიდიდით მეორე ავიაკომპანია
ლონდონის ჰისროუს აეროპორტში, **bmi**, გთავაზობთ შანსს მოიგოთ
უფასო ბილეთები ლონდონის მიმართულებით
და ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ერთწლიანი ხელმოწერა

მარტის დღესასწაულების აღსანიშნავად, ყველა მკითხველს გთავაზობთ
ფოტოკონკურსს სახელწოდებით „დედაჩემი“.
მსურველებმა წარმოადგინეთ თქვენ მიერ გადაღებული ფოტოები,
რომლებიც სრულად შეესაბამება კონკურსის თემას.

სამი ყველაზე საინტერესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება სპეციალური პრიზებით:

- ▶ პირველი და მეორე ადგილი მიიღებს უფასო ბილეთებს ლონდონის მიმართულებით ავიაკომპანია **bmi**-ისგან;
- ▶ მესამე ადგილი – „ცხელი შოკოლადის“ ერთწლიან უფასო ხელმოწერას.

გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი ნამუშევრები (1-3 კადრი) ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე:
shokoladiphoto@gmail.com

წერილში მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი.

ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 15 აპრილი.

მოგებული ბილეთით სარგებლობის ბოლო ვადაა 2010 წლის დეკემბერი. ავიაკომპანია არ არის პასუხისმგებელი
საეიზო მომსახურებაზე. რეკომენდებულია ფრენის დაჯავშნა გაფრენამდე რამდენიმე კვირით ადრე.

თბილისიდან ლონდონის მიმართულებით **bmi** დაფრინავს კვირაში ოთხჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა
და შაბათს. **bmi**-ის ბიზნეს კლასის მგზავრებს, ასევე დიამონდ კლუბის ვერცხლისა და ოქროს ბარათის მფლობელებს
შეუძლიათ ისარგებლონ ჰისროუს აეროპორტის საერთაშორისო მოსასვენებელი დარბაზით, **The Great British
Lounge**, სადაც მგზავრებისთვის დასვენების, გაჯანსაღების თუ მუშაობისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.
ბიზნეს კლასის მგზავრებს **bmi** ლონდონში საჩუქრად სთავაზობს პირადი მძღოლის მომსახურებას, რომელიც
უზრუნველყოფს მგზავრის გადაყვანას აეროპორტიდან ქალაქში მისთვის სასურველ ადგილას.
დამატებითი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ვებგვერდს www.flybmi.com



ფოტო: თინა ბახაშვილი

უმარჩილო ბერლინი და გადამლაშებული „ბერლინალე“

ავტორი: ბიორგი ბვახარია

საიუბილეო „ბერლინალეს“ დღეებში ქუჩაში ფეხით სიარული სრულიად შეუძლებელი გახდა. გაყინულ ტროტუარებზე აღარც მარილს ყრიდნენ და აღარც ქვიშას. როგორც გაირკვა, „მარილისთვის“ განკუთვნილი თანხა მერიას ჯერ კიდევ იანვარში ამოეწურა. თუმცა ამან არ შეუშალა ხელი, სოლიდური თანხით დახმარებოდა ბერლინის კინოფესტივალს, რომელსაც წელს იუბილე ჰქონდა – მესამოცედი ჩატარდა.

თბილისის მერიას რომ ელიარებინა, – მარტილი გაგვითავდაო, – მერე კი რომელიმე კულტურული ღონისძიების სპონსორად გამოეცხადებინათ, ჩვენი მრავალტანჯული ხალხი აუცილებლად გამოხატავდა პროტესტს, – რა დროს კულტურაა, ხალხი პანტაპუნტიც ეცემო. მაგრამ ამათ, ბერლინელებს, დიდი ხანია, არავინ უწოდებს „მრავალტანჯულს“; კი, სრიალებდნენ, ეცემოდნენ, „შაისეს“ აყოლებდნენ, მაგრამ მანიფესტაცია არ გაუმართავთ ბერლინის ფესტივალის დახმარების შეწყვეტის მოთხოვნით. სწორედაც რომ პირიქით – წელს „ბერლინალეს“ ახალი კინოდარბაზები დაემატა და კიდევ უფრო

მეტად გაეზარდა მაცურებელი. გრძელი რიგები კინოთეატრების სალაროებთან ბერლინის კინოფესტივალის სახეა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფორუმის დირექტორი გახდა დიტერ კოსლიკი. კოსლიკი შეეცადა, მაქსიმალურად გაეფართოვებინა ფესტივალის გეოგრაფია და ახალ-ახალი „ივენტებით“ გაემდიდრებინა. და ამას მიიღწია კიდევ; ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, „ბერლინალე“ შარშანაც და წელსაც საკმარისად დაფინანსდა, თუნდაც იმისთვის, რომ რამდენიმე ქართველი კინოკრიტიკოსისთვის საუკეთესო სასტუმრო გამოეყო... მუქთად, რა თქმა უნდა.

ბერლინელებისთვის კინოფესტივალი წლის პირველი მთავარი კულტურული ღონისძიებაა და, როგორც თავად ამტკიცებენ, ერთადერთი საშუალება დიდ ეკრანზე ნახონ ის, რისი ნახვაც სხვა დროს გაუჭირდებოდათ კინოთეატრებში.

ეს მიკვირს ხოლმე სულ. ჩვენგან განსხვავებით, გერმანელებს ასობით თუ არა, ათობით კულტურული ტელე-

არხის მიღების საშუალება აქვთ. ახლა უკვე თითქმის მთელ ევროპას მოიცავს ფრანგულ-გერმანული, კულტურულ-საგანმანათლებლო ტელევიზია „არტე“, რომელიც, სხვათა შორის, ბერლინის ფესტივალის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს და მოგვიანებით, როგორც წესი, „ბერლინალეს“ პროგრამაში ჩართულ ფილმებს აჩვენებს. ბერლინელმა კინოს მოყვარულებმა ეს კარგად იციან, მაგრამ მაინც გათენებდნენ იკავებენ რიგს კინოდარბაზების სალაროებთან. როგორც ჩანს, ძალიან დიდია სხვა, ახალ სამყაროსთან ზიარების სურვილი!

1991 წლიდან ბერლინის არც ერთი კინოფორუმი არ გამიცდენია. ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ „ბერლინალე“ ვაიმარის რესპუბლიკის კულტურული პოლიტიკის თავისებური რეინკარნაციაა; ჯერ ერთი, კინოფესტივალი, რომელიც თავდაპირველად დასავლეთ ბერლინში ტარდებოდა, რომელსაც 70-იან წლებამდე ბოიკოტს უცხადებდა საბჭოთა კავშირი, სწორედ „ივიი ომის“ წლებში გადაიქცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ინტეგრაციის მთავარ პროპაგან-



ფოტო: თონა ზახაველი

დისტად. მერე კი, როცა კედელი დაინ-
გრა, ბერლინის კინოფესტივალი „ჩინურ
კედელს“ გადასწვდა და პირველმა გა-
აცნო მსოფლიოს საფუძვლიანად ყვე-
ლაფერი, რაც „კულტურული რევოლუ-
ციის“ კრახის შემდეგ გადაიღეს ჩინელმა
კინემატოგრაფისტებმა. ამიტომ შე-
მთხვევითი არაა, რომ წლევანდელი,
საიუბილეო ფესტივალი გაიხსნა ჩინური
ფილმით „ერთად, ცალ-ცალკე“ – დიდი
სიყვარულის ამბით, რომელიც ჩინეთის
უახლესი ისტორიის ფონზე ვითარდება
– გახლეჩილი ქვეყნის ფონზე... მოგვი-
ანებით, როცა ქვეყანა მთლიანდება, ჩნ-
დება შანსი, აღდგეს და გამთლიანდეს
ეს სიყვარულიც. მაგრამ გვიანაა უკვე...
ახლა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ
ირონიით გადააფასო წარსული.

„წარსულის ნოსტალგია რომ არ გაჩნ-
დეს და ანმყოთი რომ ვიცხოვროთ,
მუდმივად უნდა დავცინოთ ყველა-
ფერს, რაც წარსულში გაგვიკეთებია“, –
წერდა 20-იან წლებში კინორეჟისო-
რი ფრიდრიხ მურნაუ, რომელმაც ამ
მოსაზრებით, თავისებურად, 20-იანი
წლების გერმანული კულტურის არსი
გამოხატა – იმ კულტურის, რომელსაც
ჩაახშობენ ნაციონალ-სოციალისტები...
წარსული მერე ისევ მთელი არსებით
ამობრწყინდება გერმანულ კულტურაში.
თუმცა, საბედნიეროდ, წარსულით ტკ-
ბობა დიდხანს არ გასტანს. დღევანდელ
გერმანიაში, დღევანდელ ბერლინსა და

„ბერლინალზე“ დროის საზღვრები
მეტ-ნაკლებად დაძლეულია უკვე, თუ-
მცა 20-იანი წლების ბერლინის სახის
რეინკარნაცია არა მარტო კულტურულ-
გეოგრაფიული სივრცის გახსნის იდეაში
აისახება.

ბერლინი და „ბერლინალე“ – თანა-
მედროვე ბაბილონია (კათამბჯენები
პოტსდამის მოედანზე, სადაც ფესტივა-
ლის მთავარი ღონისძიებები ტარდება,
„ბაბილონის კოშკები“), სადაც თითქმის
დანგრეულია სოციალური, ეთნიკური,
სქესობრივი, ასაკობრივი „კედლები“.
ბერლინის მეტროში ხშირად ნახავთ
ჯინსებში გამოწყობილ მოხუც ქალებს,
რომელთაც აიპოდი აქვთ გარჭო-
ბილი ყურებში, თურქულ-გერმანულ
წყვილს, ბავშვით, რომელიც დედას –
თურქულად, მამას გერმანულად ელაპა-
რაკება... იმასაც შეამჩნევთ, რომ იგივე
პარიზისგან, ან რომისგან განსხვავე-
ბით, ბერლინში არც გამორჩეულად,
განსხვავებულად, „მდიდრულად“ ჩაცმა
უყვართ; უფრო მეტიც, სისადავისა და
უბრალოების „უნიფორმიზაციაში“ შეიძ-
ლება გაგალიზიანოთ კიდეც. ბერლინი
არც „ზიზილ-პიპილო“ კაფე-რესტორ-
ნების სიმრავლით გამოირჩევა – ყვე-
ლაფერი „ადამიანურ მასშტაბებზეა“ გა-
თვლილი; ისე, როგორც 20-იანი წლების
ბერლინში, სადაც ფრიც ლანგმა თავისი
ყველა დროის შედეგები, „მეტროპოლი-
სი“ გადაიღო – ოცნება იმ დღეზე, როცა

დაინგრევა სამყაროსა და ადამიანთა
არსებობის მთავარი კედელი, ზესკნელ-
ქვესკნელის კედელი და სიკვდილ-სიცო-
ცხლის ბარიერიც გადალახული იქნება.

„მეტროპოლისის“ ეს უტოპია წელს
კიდეც ერთხელ გაიხსენეს – ფრიც ლან-
გის აღდგენილი შედეგის ჩვენება ზედ
ბრანდერბურგის ჭიმკართან გაიმართა
15 გრადუს ყინვაში. შემთხვევითი არაა,
რომ სწორედ ამ ფილმით აღნიშნა ბერ-
ლინის ფესტივალმა თავისი იუბილე –
60 წლის „ბერლინალეს“ კვლავაც სჯე-
რა მიწიერი სამოთხის უტოპიის, და მის
იმიტაციას ხელოვნებაში, განსაკუთრე-
ბით კინოში მიმართავს.

თუმცა რატომ მხოლოდ იმიტაციას?
წელს ბერლინშიც მივაგენი საცუ-
რაო აუზს ფრიდრიჰშტრასეს რაიონში.
მიუხედავად საშინელი ყინვისა, ვცდი-
ლობდი, ცურვა არ გამეცდინა. ჰოდა,
ერთხელ აქ საოცარი სურათის მოწმე
აღმოვჩნდი; „საოცარის“ – ჩვენთვის,
ქართველებისთვის, თორემ, ამ სანახაო-
ბის საოცრება იმანაც გამამაფრა, რომ
არავის ჰქონდა რეაქცია მხარბეჭიან,
ბატერფლაით მოცურავე ახალგაზრდა
კაცზე, რომელმაც გასახდელში ტანი
გაიმშრალა, თავზე პარიკი დაიღო, კაბა-
ში გამოენყო, მაღალქუსლიანი ფეხსაც-
მელი მოირგო, ტუჩები შეიღება და ასე
გამოვიდა აუზიდან!

ბილი უაილდერიც ხომ ბერლინელი
იყო! მან, „ჯაზში მხოლოდ ქალიშვი-



ქალკი ფილმთან „საზაბარინო“



ლები არიან“-ს ავტორმა, ჰოლივუდში პირველმა მიმართა თანამედროვე სამყაროს კარნავალიზაციას, როგორც „რეპეტიციას“ იმ სივრცისა (უსაზღვრო სივრცისა), სადაც მამა-პატრიარქის, „თეთრი ღმერთის“, „მაკასინიანი კოლომბოს“ ძალაუფლება დაემხო და სადაც დევიზი „nobody's perfect“. საზოგადოების თავისებური მოდელი გახდება.

თუკი არ იქნება ძალადობა – იქნება თანასწორობა, და თუკი იქნება თანასწორობა, ადამიანი გამოავლენს მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოს, რაც მის ბუნებაშია და აღარც დანაშაულს ჩაიდენს.

1995 წელს ბილი უაილდერს, რომელიც მაშინ 89 წლის გახდა, „ბერლინალეს“ დირექციამ საპატიო „ოქროს დათვი“ გადასცა. უაილდერი გრძელი სიტყვით გამოვიდა „ცოო-პალასტში“ (ბერლინის ფესტივალის ცენტრი პოტსდამის მოედანზე ჯერ მხოლოდ შენდებოდა): „ყველაზე უფრო ვერ ვიტან ადამიან-მომწესრიგებლებს, თავისუფლების ყველანაირი გამოვლინება რომ ამინებთ და მის ჩახშობაზე რომ ოცნებობენ. 20-იანი წლების ბერლინშიც უამრავი ასეთი იდიოტი ცხოვრობდა. მაგრამ თავდაპირველად ვერ დამკვიდრდნენ და გერმანიის სამხრეთში ნახეს თანამოაზრეები... იმათ შეუერთდნენ და ბოლოს ნაციონალ-სოციალისტების რიგებში გა-

წევრიანდნენ... მოგვიანებით მაინც მიალნიეს თავისას – დანგრეეს ჩემი საყვარელი ქალაქი-კაბარე, ჩემი ბერლინი...

ჰოდა, როცა ბილი უაილდერი ხდება „ბერლინალეს“ თავისებური კერპი, რა გასაკვირია, რომ საიუბილეო ფესტივალის ერთ-ერთი ფავორიტი ისეთი ავტორის ფილმია, რომელიც ოფიციალურ კრიმინალად ითვლება, რომელსაც ხმაურიანი სასამართლო ელის. ფესტივალის დირექცია ყველანაირად ცდილობდა რომან პოლანსკის ბერლინში ჩამოყვანას. მაგრამ – არათუ რეჟისორის ჩამოყვანა, ვერ მოხერხდა თავდაპირველად დაგეგმილი ვირტუალური პრესკონფერენციის ჩატარებაც კი. როგორც გაირკვა, ციურიხიდან პოლანსკის ჩართვაზე პოლანსკის ადვოკატებმა უარი განაცხადეს; ექსტრავაგანტურობით გამორჩეულ პოლანსკის შეიძლება პრესკონფერენციაზე ისეთი რამ წამოცდენოდა, რაც კიდევ უფრო დაამძიმებდა სასჯელს.

არადა, რალა უნდა ეთქვა, რაც აქამდე არ უთქვამს? დანაშაული, დიდი ხანია, აღიარა. მსხვერპლმაც აპატია.

„ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება სტრესებში გაიარა, მართლმსაჯულებამ სიბერეში კიდევ ერთი სტრესი მიაცენა“... – აღნიშნა შვეიცარიის იუსტიციის მინისტრისთვის გაგზავნილი ლიაწერილში საფრანგეთის კულტურის მი-

ნისტრმა ფრედერიკ მიტერანმა. სხვათა შორის, მიტერანის ამ განცხადებას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. როცა მინისტრი ასეთი სახის საპროტესტო წერილს აწერს ხელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთია ქვეყნის ხელისუფლების პოზიცია. ამიტომ, ამ განცხადების გამო, მიტერანს მაგრად მოხვდა საკუთარი თანამოქალაქეებისგან, განსაკუთრებით იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისგან, რომელთა მიზანია არასრულწლოვანებზე ძალადობის ფაქტების შესწავლა.

კულტურის მინისტრს, რა თქმა უნდა, გაახსენეს გადაცემების ციკლი, რომელსაც იგი ფრანგულ გეი-არხზე, „პანკ-ტე“-ზე უძღვებოდა, ვიდრე მთავრობაში მოვიდოდა. მიტერანი ასაკში შესულ ჰომოსექსუალებს განვლილ ცხოვრებაზე ესაუბრებოდა... და, რა თქმა უნდა, სიჭაბუკის თავგადასავლებზეც...

ფრედერიკ მიტერანი, სხვათა შორის, წლევეანდელ „ბერლინალეს“ სტუმრობდა. საფრანგეთის კულტურის მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ერთ რომერის სსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში, რომელიც ბერლინის პატარა კინოთეატრ „სინემა-პარიში“ გაიმართა (დღეს ეს უძველესი კინოდარბაზი ფრანგული კინოცენტრის საკუთრებაა) – კაცი, რომელმაც თავის ფილმებში სიჭაბუკე შეინახაო, – თქვა მიტერანმა ერთ რომერზე.



ფოტო: თომას ბაზინაშვილი



ნეკრილი ბერლინალიდან



ბარაკ ნაჯაჟი

სწორედ ახალგაზრდობაში ჩადენილი, თუ გნებავთ... დანაშაული ვუნოდოთ, გნებავთ 68 წლის თაობისთვის ტიპური „სექსუალური ანცობა“, გახდა რომან პოლანსკის დაპატიმრების მიზეზი.

პოლანსკის ფილმი „უჩინარი ავტორი“, რომელიც „ბერლინალეს“ პრიზით დაჯილდოვდა საუკეთესო რეჟისურისათვის, ბერლინის ფესტივალზე აღიქვეს როგორც დიდი რეჟისორის კომენტარი ამ დაპატიმრებაზე. თუმცა ცნობილია, რომ ფილმზე მუშაობა რეჟისორმა ციურისში მომხდარ სკანდალამდე დაიწყო; უფრო მეტიც, როცა დაპატიმრეს, გადაღება დასრულებულიც კი ჰქონდა.

აბა, რა არის ეს? პოლანსკის წინასწარმეტყველება? ამბავი ბრიტანეთის ექს-პრემიერზე, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ომის უმიზეზო დანებებაში ადანაშაულებენ და ახალგაზრდა მწერალზე, რომელმაც მას მემუარები უნდა დაუწეროს, წესით, ტონი ბლერის ბიოგრაფიის ასოციაციებს უნდა აღძრავდეს. მაგრამ მიინცდამინც არ გამოდის – მაყურებელმა იცის, რომ ფილმის ავტორი რომან პოლანსკია; კაცი, რომელსაც არ აპატიეს დიდი ხნის წინ ჩადენილი „დანაშაული-ანცობა“, მაშინ, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სათავეში კრიმინალი პრეზიდენტები დგანან.

„nobody's perfect“... ამ დევიზითაა გაულენთილი თავიდან ბოლომდე „უსახელო ავტორი“, ერთგვარი რეკვიემი საა-

ვტორო კულტურისა, ირონიითა და შავი იუმორით აღსავსე ამბავი სამყაროზე, სადაც ავტორი (პიროვნება) აღარ არსებობს; სამყაროზე, რომელსაც რაღაც ანონიმური კოლექტივი მართავს. პრინციპში ეს რომან პოლანსკის აკვიატებული იდეაა, მისი პარანოია, რომელიც თუკი „როზმარის ჩვილსა“ და „მდგმურში“ მაყურებლის ძრწოლვას იწვევდა, აქ, „უსასრულო ავტორში“ ფრიად სახალისო განწყობილებას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელს ახსოვს, ფილმის ავტორი დაპატიმრებულია და არავინ იცის ზუსტად, რა ემუქრება.

საპყრობილე. ფსიქიატრიული კლინიკა. მავთულხლართებით იზოლირებული გარემო – ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის მთავარი მოტივი გახდა. მარტინ სკორსეზეს ახალ სურათში „დანყველილთა კუნძული“ სპეკულაცია ამ თემაზე იმდენად აშკარაა, რომ სკორსეზეს შემოქმედების ყველაზე თავგამოდებული დამცველიც კი ჩემთან საუბარში მხრებს იჩეჩავდა და აღიარებდნენ, რომ ძვირადღირებული „დანყველილთა კუნძული“ იაფფასიანი (!) კიტჩია და სხვა არაფერი. სამაგიეროდ, აქ მცირეტიუჯეტიან რუმინულ ფილმს, „თუკი მინდა, ვსტვენ“, გაუჩნდა ბევრი თავყანისმცემელი. არადა, ბერლინის ფესტივალის „ვერცხლის დათვი“, რომლითაც დაჯილდოვდა

რუმინული „დოგმის“ ახალი ნიმუში, ფასს აუცილებლად აუწევს ამ სურათს რუმინელ თინეიჯერზე, რომელიც ბუხარესტთან ახლოს, არასრულწლოვნების კოლონიაში იხდის სასჯელს. პრინციპში, ეს ფილმი სხვა ფესტივალებზე შეიძლება არც კი შეემჩნიათ, რომ არა საიუბილეო „ბერლინალეს“ მთავარი პერსონა, ჟიურის თავმჯდომარე, ვერნერ ჰერცოგი!

პირადად ჩემთვის ყველა ფესტივალის მთავარ ინტრიგას ყოველთვის ჟიურის თავმჯდომარე ქმნის ხოლმე. ბერლინის ფესტივალის ისტორიაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჟიურის თავმჯდომარედ წარმოდგენილი იყო კინოვარსკვლავი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ორნამენტის მნიშვნელობა ჰქონდა. ჟიურში აუცილებლად „ჩასვამდნენ“ ხოლმე კაცს, რომელსაც „ბერლინალეს“ დირექციის პოზიცია უნდა გამოეხატა, და რომელიც დანარჩენ მსაჯულთა მანიპულაციას შეძლებდა. მაგალითად, ელდარ შენგელია, როდესაც 1993 წელს „ბერლინალეს“ ჟიურის წევრი იყო, გაკვირვებას ვერ მალავდა ანი ჟირარდოზე, – რომ იცოდე, რა სისულელეებს ლაპარაკობსო. ეს ის წელია, როცა ბერლინის ფესტივალის მთავარი პრიზით აღინიშნა პოლიტიკური კლიშეებით სავსე „გრანდ კანიონი“; როგორც მოგვიანებით გაირკვა – ჟიურში საგანგებოდ



შეყვანილი რომელიღაც ამერიკელი კრიტიკოსის გაგვინთ.

მაგრამ როცა ფესტივალის ფიურის ისეთი პერსონა ხელმძღვანელობს, როგორც ვერნერ ჰერცოგია – თავად სახელგანთქმული მანიპულატორი – კრიტიკოსებს, წესით, ფესტივალის დასრულებამდე უნდა შეეძლოთ გამარჯვებულის დასახელება; უბრალოდ, უნდა გაიხსენო ჰერცოგის ფილმები, ყველაფერი, რაც „ახალი გერმანული კინოს“ ერთ-ერთ ლიდერს ოდესღაც გაუკეთებია. მაგალითად, თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ჰერცოგი მხარს არ დაუჭერდა ფესტივალის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმს, ბოსნიელი რეჟისორის, ჯასმილა ჟმანიჩის ფილმს „გზაზე“, რომლის ავტორი, თუ არ ვცდები, პოსტკომუნისტურ სივრცეში პირველად, კომუნისტური იდეოლოგიის რელიგიით ჩანაცვლების თემას ეხება. ჰერცოგმა სრულიად უყურადღებოდ დატოვა დანიელი რეჟისორის, „დოგმის“ ერთ-ერთი პირველი აქტივისტის, თომას ვიტენბერგის „სუბმარინო“, სოციალური დრამა, ცოტა არ იყოს ზედმეტად შეზავებული, პროტესტანტული იდეებით. მეტიმეტად ტრადიციულია ჰერცოგისთვის ასეთი კინო – პოლიტიკურად და სოციალურად მწვავე, რეალისტური, პროვოკაციის გარეშე. სამაგიეროდ, ჰერცოგის ფიურში პრიზებით აღნიშნა

თურქი რეჟისორის სემი კაპლანოლუს „თაფლი“ („ოქროს დათვი“ და ალექსეი პოპოგრეზსკის „როგორ ჩავათავებ ზაფხული“ (პრიზები საუკეთესო ოპერატორს და მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლებს). კაპლანოლლუც (თბილისელებს შეიძლება ახსოვთ მისი ამ ტრილოგიის პირველი ფილმი, „რძე“) და პოპოგრეზსკიც ვერნერ ჰერცოგის სკოლას მიეკუთვნებიან – ორივე მეტ-ნაკლებად გულგრილია პოლიტიკის მიმართ, მაქსიმალურად თავისუფალია პოლიტიკორექტული კინოს კლიშეებისგან და, ჰერცოგისა არ იყოს, ორივე ცდილობს მაყურებლის ყურადღების გადატანას ისეთ მარადიულ თემებზე, როგორცაა ბუნება და ადამიანი, ფანტაზია და რეალობა, უკვდავება და სიცოცხლე...

თავის დროზე ვერნერ ჰერცოგი თავის ფილმებში ჯიუტად ამკვიდრებდა აზრს, რომ ტოტალიტარული რეჟიმების საფუძვლები ბუნებასა და ბუნებრივზე, პირველყოფილზე ძალადობაში უნდა ვეძებოთ. თუმცა 80-იანი წლების დასაწყისში გერმანელმა რეჟისორმა ეს „სიმწვანე“ არ იკმარა და, როგორც იმხანად თქვა, „ბუნების უკეთ შეცნობის მიზნით“, სტიქიასთან შერკინება უკვე ფილმის გადაღების პროცესში დაიწყო (გადაღების უმძიმესი პირობების გამო, მას უარი უთხრა მიკ ჯაგერმა „ფიციკერალდოში“ მთავარი როლის

შესრულებაზე). პოპოგრეზსკის ფილმი ზუსტად შეესაბამება ჰერცოგის ესთეტიკას – აქ, ჩუკოტკის უკიდურეს ჩრდილოეთში, რომელიღაც მეტეოროლოგიურ სადგურზე ორი მამაკაცი – ერთი შუახნის, საბჭოთა გამოცდილებით, მეორე ახალგაზრდა, ცალ ყურში გარჭობილი საყურით – ექსტრემალურ სიტუაციაში განსხვავებულ ხასიათს, სტიქიისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს.

პრინციპში, რაღაც მსგავსი ჯერ კიდევ კალატოზოვის „გაუგზავნელ წერილში“ ვნახეთ 60-იანი წლების დასაწყისში... საერთოდ, რომელიმე სხვა ფესტივალზე, საეჭვოა, პოპოგრეზსკისთვის ვინმეს ყურადღება მიექცია. მაგრამ ჰერცოგი, როგორც ჩანს, ფრიად კმაყოფილი დარჩა თავისი „უმცროსი ძმების“ ხილვით. უფრო მეტიც, სწორედ „თავისიანები“ აქცია საიუბილეო „ბერლინალეს“ ტრიუმფატორებად.

რა გამოდის? კარნავალი, თავისუფლება, კაბარე, ადამიანთა ძმობისა და თანასწორობის იდეა ისევ გარკვეულ, შემოსაზღვრულ სივრცეში მოქმედებს? თუკი ამ სივრცეში დამკვიდრებულ აზრებს, თემებს, იდეებს არ იზიარებ, ეს ხალხიც მარგინალად გაქცევს? არადა, ესენი ხომ თავად ებრძვიან ადამიანების, კულტურის, პოზიციის მარგინალიზაციას?

ამიტომ რაღაც ახლის, უცხოს,



რომან კოლასკი „შინარკი ავტორის“ გადასალაზო მოქდანაზო



საქონლო ობიექტი

განსხვავებულის სანახავად ჩამწკრივე-ბულ ადამიანთა რიგი ბერლინის კინო-ფესტივალის სალარობთან, უამრავი მაყურებლისთვის (შესაძლოა, უმრავლესობისთვის) მაინც „თავისიანის“ ნახვისა და შეცნობის სურვილი უფრო უნდა იყოს.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ დასავლეთში (და უკვე არა მარტო დასავლეთში) ტოლერანტობა და ლიაობა ხშირად „ფაქტურის“ დონეზე რჩება და უფრო ხელოვნურად შექმნილი, ფოლკლორიზებული მასკარადის სიყვარულით გამოიხატება, ვიდრე იმ მასკარადით, რომელსაც ბილი უაილდერი 20-იანი წლების ბერლინში ხედავდა.

ნუ დაგვაინწყდება, რომ ვერნერ ჰერცოგი არის ავტორი ფილმისა „ფიცკერალდო“ – ირლანდიელ შემოქმედზე, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ეკვატორის ჯუნგლებში იტალიურ ოპერას აშენებს... უფრო სწორად, „აშენებინებს“ ინდიელებს. ჰერცოგია ავტორი ფილმისა თეთრკანიან კაცზე, რომელსაც ველურ სამყაროში „კულტურა“ მიაქვს... და, მიუხედავად იმისა, რომ იგივე „ველური“ ლათინური ამერიკის კინემატოგრაფი, ბოლო ორი წელია, „ბერლინალეს“ ტრიუმფატორი იყო (შარშან და შარშანწინ „ოქროს დათვები“ ბრაზილიაში და პერუში წაიღეს), „ველურს“ ბერლინის ფესტივალ-

ზე მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა იგი აქაური კარნავალის წესებს დაიცავს.

ეს წესები სულ უფრო და უფრო ერთფეროვანს ხდის ბერლინის კინო-ფესტივალის პროგრამას. მას მერე, რაც „ბერლინალეს“ ძველ დირექტორს მორიტიც დე ჰადელნს ფესტივალის საბჭომ კონტრაქტი გაუწყვიტა (ფესტივალის „მეტიმეტი ჰოლივუდიზაციის“ გამო), ბერლინის ფესტივალს მაყურებელი მართლაც დაუბრუნდა. მაგრამ რა პარადოქსულიც უნდა იყოს, „ბერლინალემ“ ამით კარგი ფილმები დაკარგა. ჰოლივუდი, რომელმაც ყველაფერთან ერთად „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალს თარიღი შეუცვალა და თითქმის დამთხვია ბერლინის ფესტივალს, აღარაა დაინტერესებული, წარადგინოს თავისი საუკეთესო ფილმები იმ კინოფორუმზე, სადაც საეჭვო მხატვრული ღირებულების, ბრაზილიასა და პერუში გადაღებული „აქტუალური კინო“ იმარჯვებს. ფრანგები ხომ „ბერლინალეს“, დიდი ხანია, არ სწყალობენ. აბა, ვინ დაასახელებს ფრანგ რეჟისორს, რომელიც კანის კინოფორუმისთვის არ ინახავდეს ფილმებს?

წელს ბერლინის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იტალია, ესპანეთი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. კონკურსში აღმოჩნდა ერთადერთი, ისიც ძალიან ცუდი ფრანგული ფილმი „მამონტი“. მაგრამ პუბლიკა,

სწორედ იმიტომ, რომ ქუჩაში ყინავდა და ხალხი პანტაპუნტით ეცემოდა ყინულზე, იძულებული იყო, თავიდან ბოლომდე ეყურებინა უსახურობისთვის, რაც მრავლად იყო წლევანდელ ფესტივალზე, ვერნერ ჰერცოგის „კლონიკინოსთვის“.

მარილის დეფიციტზე გამახსენდა.

ბერლინელები ამაცობენ, რომ სამი ოპერის თეატრი აქვთ. ცნობილია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ეს ნონსენსია, ასეთი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ სამი ოპერის თეატრი ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს...

ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერი კი არის, მაგრამ ქალაქ ბერლინის ბიუჯეტს არ განაგებს, ამიტომაც არაფერი გამოუვიდა. ბერლინის მერი, კლაუს ვოვერაიტი, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, სამივე ოპერას ეხმარება და ბერლინის კინოფესტივალისთვისაც არ იშურებს თანხას.

კი, ქუჩაში ეცემიან, „შაისესაც“ ამბობენ. მაგრამ ოპერის თეატრების დახურვას და ბერლინის კინოფესტივალის დაფინანსებაზე უარის თქმას აქ არავინ ითხოვს. კარნავალი, თუნდაც გადამღამებული, თუნდაც ზოგჯერ ყალბი და ხელოვნური, მაინც უკეთესია, ვიდრე ნაცრისფერ რეალობაში გაჭედვა.



თურქული დეგარში

ავტორი: ქეთი ქანთარია

2008 წელს თურქეთში სასამართლოს წინაშე წარდგა სტუდენტი გოგონა, რომელმაც სატელევიზიო შოუს მსვლელობისას ეჭვევმ დააყენა მუსტაფა ათათურქის ავტორიტეტი და განაცხადა, რომ მის იდეალი აიათოლა ჰომეინია. სტუდენტი წურეი ბეზირგანი მორწმუნე მუსლიმია, თუმცა შეიძლება იგივე ბედი ეწიოს ავტორს, რომელიც ათათურქს საპირისპირო პოზიციიდან, მისი ავტორიტარულობის გამო აკრიტიკებდა. თურქეთში, ორმოცდაათ წელიწადზე მეტია, მოქმედებს კანონი, რომელიც ახალი თურქული სახელმწიფოს მამის და ფუძემდებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის კრიტიკას კრძალავს; აკრძალულია ათათურქის გამოსახულების შეურაცხყოფა, ცოლთან მისი პირადი მიმონერის გამოქვეყნებაც კი, რადგან ამგვარი პუბლიკაცია მას ჩვეულებრივ მოკვდავად წარმოაჩენს.

ქვეყანა, რომელსაც, რამდენიმე

ათეული წელია, თვალი ევროკავშირისკენ უჭირავს, 2005 წელს კი საამისო მოლაპარაკებებშიც ჩაერთო, ყველანაირად ცდილობს, თავი ევროკავშირის წევრობის ღირსეულ კანდიდატად წარმოაჩინოს, მაგრამ თან ამგვარ კანონებსაც ვერ ელევა.

ევროკავშირი, განსაკუთრებით მისი ოთხი წევრი ქვეყანა – საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და ნიდერლანდები თურქეთის წევრობის მიზანშეწონილობას დაუფარავად ეჭვევმ აყენებს. სარკოზიმ გასულ წელს ხელისშემშლელ მიზეზად მისი გეოგრაფიული მდებარეობა დაასახელა, თუმცა, ევროპული კლუბის მთავარი თავსატეხი ისაა, რა მოხდება, თუკი ევროკავშირს კიდევ 70 მილიონი მუსლიმი შეუერთდება.

ევროპის ენერგომომარაგების თვალსაზრისით, თურქეთი „საჭირო“ სახელმწიფოა, და დღეს მას, კავშირის თანაბარუფლებიანი წევრობის სანაცვლოდ,

ამ „წარჩინებულთა კლუბის“ პრივილეგიებულ პარტნიორობას სთავაზობენ. წევრად რომ მიიღოს, ქვეყნის შემდგომი მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის გარდა, ევროკავშირი თურქეთს რამდენიმე ძალზე მტკივნეული პრობლემის მოგვარებას სთხოვს. ესენია: კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილიდან ჯარების გაყვანა (გაყვანის დაწყება), ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდის აღიარება (საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში სომეხების გენოციდის უარყოფა სამართლებრივად ისჯება), სომეხთთან საზღვრის გახსნა და სხვა.

მუსტაფა ქემალ ათათურქს ქვეყნის წინაშე მართლაც უზარმაზარი დამსახურება აქვს. ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე მან ძლიერი, სეკულარული რესპუბლიკა შექმნა. 1924 წელს, როცა რამდენიმე თვის წინ არჩეული პრეზიდენტი თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაზე საკუთარი პრინციპების



სტამბოლი, 2008

ერის შემკრავ, შთამაგონებელ მუსტაფა კვლავ გამაფრებელი ეროვნული თვითშეზიარება რჩება, რომელიც მისხრამტა საუკუნეში „ეროვნის ავადმყოფ ადამიანად“ მიჩნეულ ქვეყანას პირველად ათათურქება ჩაუნერბა.



სამხედრო აღლუმი, სტამბოლი, 2007

დასამკვიდრებელ „შესავალ სიტყვას“ წარმოთქვამდა, სეკულარიზმის სასარგებლოდ ის არგუმენტი მოიტანა, რომ იმპერია საუკუნეების მანძილზე ისლამს ბნელი მიზნებისათვის იყენებდა, და სარწმუნოებისთვის „თავდაპირველი დანიშნულების“ დაბრუნება მოითხოვა. ამავე წლის დასაწყისში მუსტაფა ქემალმა გააუქმა შარიათის სასამართლო, დაიწყო ერთიანი საერო განათლების სისტემის შექმნა. 1928 წლიდან თურქეთის სახელმწიფო რელიგიად ისლამი აღარ ითვლება. ათათურქის რეფორმებმა, რამდენად მიუღებელიც უნდა იყოს ისინი დღევანდელი, თუ მისი თანამედროვე ისლამისტებისთვის, ქვეყნის უზარმაზარი ნაბიჯებით წინსვლა განაპირობა. რა თქმა უნდა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მორწმუნე მუსლიმია, რომლებსაც სეკულარიზმის პრინციპებთან, ნაციის დემიურგის უზარმაზარი ავტორიტეტის გარდა, არაფერი აკავშირებს. მაგრამ სახელმწიფოს საერო ხასიათს დღემდე ათათურქის მიერვე გაძლიერებული ორი ინსტიტუცია უმყარებს საფუძველს: კონსტიტუციური სასამართლო და არ-

მია. ერის შემკრავ, შთამაგონებელ მუსტაფა კვლავ გამაფრებელი ეროვნული თვითშეზიარება რჩება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში „ევროპის ავადმყოფ ადამიანად“ მიჩნეულ ქვეყანას პირველად სწორედ ათათურქმა ჩაუნერგა.

ქემალიზმი, როგორც იდეოლოგია, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის „მესამე გზით“ სიარულს და თვითმყოფადი ეროვნული სახელწიფოს მშენებლობას გულისხმობდა. ნაწილობრივ იგი საფრანგეთის რევოლუციის იდეალებს ეფუძნება, მის ორ ელემენტს კი, ქემალისტური ეტატიზმს (ეკონომიკაში

სახელმწიფო ინტერესის უზენაესობა) და პოპულიზმს (საერთო-სახალხოობა) ბოლშევიკური რუსეთის გავლენის აშკარა კვალი ემჩნევა.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში მსოფლიო რუკაზე საკუთარი წარსულის ნანგრევებზე აღმოცენებული ორი ახალგაზრდა სახელმწიფო გამოჩნდა. 1920 წელს ახალგაზრდა თურქული რესპუბლიკა პირველმა საბჭოთა რუსეთმა აღიარა. გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივად კია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის გარკვეული მიზიდულობის ძალა გაჩნდა. ოსმალური წარსული ათათურქმა ისევე დაუნანებლად



ჯემალ შაჰა, ბელგია, 1918

ევრაზიელიზმის, რომლის ფილოსოფიურ-პოლიტიკური მიმართულება, რუსეთში პეტრის რეფორმებიდან მისხრამდე საუკუნის ბოლომდე დაბრუნდა ანტიდასავლურ მუხტზე აღმოცენდა, საკუთარი ისტორიის მიმართ ზიზლის, ფორმით (ხანდახან არსითაც კი) ევროპელიზმის ხანგრძლივი მსდელიზაციის და იმედასკრუების შედეგად.



თურქი ჰარისკასები 1915



მოხროლა სანაგვეში, როგორც ლენინმა – რუსული იმპერიისა ბოლშევიკურ საბჭოეთში. არსით ორივე ეს იმპერია იმთავითვე აზიური დესპოტია იყო, მაგრამ მუსტაფა ქემალის რეფორმების შემდეგაც, და მათ მიუხედავად, არსებობს ფაქტორი, რომელიც ამ ორ ქვეყანას კიდევ დიდხანს დააკავშირებს ერთმანეთთან – ევროპისაკენ მუდმივი სწრაფვა და მისგან გარიყულობის შეგრძნება, აუტსაიდერის როლი და მომხმარებლური დამოკიდებულება მათი წიაღისეული თუ სატრანზიტო რესურსით გამორჩეული სიმდიდრის გამო. დროებითი ურთიერთსიმპათიისა და სოლიდარობის განცდა საბჭოეთის მხრიდან თავის დროზე ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის გადაცემამაც დაადასტურა.

რუსული იდეებიდან (საფიქრებელია, თეთრი ემიგრაციის მძლავრ ტალღასთან ერთად) თურქეთში ევრაზიელიზმაც შეაღწია. ევრაზიელიზმმა, როგორც ფილოსოფიურ-პოლიტიკური მიმართულება, რუსეთში პეტრეს რეფორმებიდან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე დაგროვილ ანტიდასავლურ მუხტზე აღ-

მოცენდა, საკუთარი ისტორიის მიმართ ზიზლის, ფორმით (ხანდახან არსითაც კი) ევროპელიზმის ხანგრძლივი მცდელობების და იმედაცრუების შემდეგ. ევროპისგან რუსეთმა მხოლოდ ქედმაღლური დამოკიდებულება და „უცხო“, „ველურის“ დამლა მიიღო. რუს იმპერატორებს და არისტოკრატებს ისედაც არაადამიანური ძალისხმევა დასჭირდა, რომ იმპერია ევროპულად შეემოსათ, მაგრამ „პოტიომკინის სოფლის“ უკან დასავლეთი შესანიშნავად არჩევდა რუსული მასების „მონღოლურ, მხეცურ“ (მწერალ ალექსეი ტოლსტოის სიტყვებია) არსს და მისი ბატონების ზურგს უკან დამალულ მათრახს. ევრაზიელიზმმა საუკუნენახევრიან წყენაზე ახალი თეორია ააგეს: არაა საჭირო ქედის მოხრა ევროპის წინაშე, სადაც რუსი ყოველთვის მეორეხარისხოვან ადამიანად დარჩება. ჯობს, თვალი და ყური აღმოსავლეთს, აზიას მივაპყროთ, სადაც ყოველთვის პირველები ვიქნებით. ამ ახალ ტალღაზე რუსეთს თავისი აზიური, მონღოლური წარსულისა აღარ რცხენია, მასში ესთეტიკური და პოლიტიკური „სიამოვნების“ ახალ-

ახალ წყაროებს პოულობს, რაც არავის გამოუხატავს ისე, როგორც ბლოკმა თავის ლექსში „სკვითები“:

Мильоны - вас. Нас - тьмы, и тьмы, и тьмы.

Попробуйте, сразитесь с нами!

Да, скифы - мы! Да, азиаты - мы,

С раскосыми и жадными очами!

Не сдвинемся, когда свирепый гунн

В карманах трупов будет шарить,

Жечь города, и в церковь гнать табун,

И мясо белых братьев жарить!...

В последний раз на светлый братский пир

Сзывает варварская лира!

რა თქმა უნდა, სანუკვარი ევროპა დაინყებას არ მისცემია, მის მიმართ „მხეცური“ ვენბა მინავლულია, და საშიში. როცა რევოლუციის ტალღამ ეს მუხტი გააცოცხლა, მასების რუსეთმა საკუთარი ევროპა – სრულიად გაევროპელებული არისტოკრატია, რომელიც ის-ის იყო, ხარისხობრივად სხვაგვარ, გაუმჯობესებულ რუსობას ინყებდა, მონიწებანარევი სიძულვილით სისხლში ჩაახრჩო, და მას შემდეგ დასავლეთისკენ ასეთივე მოსიყვარულე თვალით



ანკარა, 2007



ბარალუსკოში, ერდოღანი და პუტინი, ანკარა, 2009



ქემალ ათათურაკი

იყურება. ერთ-ერთი რუსი ავტორის თქმით, რუსეთი ევროპისადმი დამოკიდებულებით პარტკომის მიტოვებულ ცოლს ჰგავს, რომელიც პარტიას საჩივრის წერილით მიმართავს: „ჩემი ქმარი გარეწარია. გთხოვთ, პარტიიდან გარიცხოთ, დახვრიტოთ ან დამიბრუნოთ“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალი, ათათურქის თურქეთი ევროპულ ინტერვენტებთან ბრძოლაში იშვა. ატლანტიკური პერსპექტივის გვერდით, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, როცა კი გეოპოლიტიკური სულის მოთქმის საჭიროება უჩნდება, მას მუდმივად თავს ახსენებს ევრაზიელობის „აჩრდილი“.

უკანასკნელი წლების მოვლენები აჩვენებს, რომ თურქეთში ევროპერსპექტივის მიმართ აპათია თუ არა, ქედმაღლური დამოკიდებულება ჩნდება. ეს მიმართულება, პროდასავლურის პარალელურად, თურქულ ცნობიერებაში დიდხანს მნიფდებოდა. ევრო-ატლანტიკურ გაერთიანებაში თურქეთი გაცილებით უმტკივნეულოდ და ადრე, 1952 წელს მიიღეს. ამას, როგორც ჩანს, ქვეყნის სამხედრო ელიტის პროდასავლური ორიენტაცია უწყობდა ხელს. ოფიცრის

ვაჟის, თავადაც სამხედრო წრეებიდან გამოსული მუსტაფა ქემალის მმართველობის პირველი წლებიდან ჯარი თურქეთის პოლიტიკური სისტემის ურყევი და უძლიერესი საყრდენია, მოდერნიზაციის, ქემალიზმის ხაზის გაგრძელების ყველაზე სანდო გარანტი.

50-იან წლებამდე ძალაუფლება მუდმივად მისი წარმომადგენლების ხელში იყო, თუმცა, პირველი რესპუბლიკის (1923-60) წლებში არმია, გარეგნულად მაინც, მეორე პლანის მოთამაშედ რჩებოდა. 1946-47 წლებში პოლიტიკური ელიტა ერთპარტიული მმართველობის ქვეყანაში მრავალპარტიულობის დაწინაურების აუცილებლობამდე მივიდა. კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანისთანავე თურქეთში სერიოზული ოპოზიცია გაჩნდა. 1950 წელს არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ პროცესს დაედო სათავე. ერთპარტიულობიდან მრავალპარტიულობაზე გადასვლამ დასავლეთს დაანახა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვანი ვესტერნიზაციის გზას დაადგა. ამან თურქეთისათვის ბევრი სასარგე-

როგორც ბატონმა უზუნმა ბრძანა, „იქმნება ახალი რეალობა“, რომელშიც პარტნიორები პროტაქეხს, და ხანდახან არამხოლოდ მათ, „მსუბუქად“ ღალატობენ.



დაკავშირებული თურქი პენიტენციური მართვის ინსპექტორი, თბილისი, 2010



ბლო პროცესი დაძრა. ქვეყანამ ჯარის და საჯარისო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად აშშ-სგან 100 მილიონი დოლარი მიიღო, 1952 წელს კი ნატო-ს წევრი გახდა.

ბევრი თვლის, რომ თურქეთში იმ წლების ერთპარტიულ მმართველობას მაინც ჰქონდა დადებითი მომენტები. მისი უპირატესობა ის იყო, რომ რესპუბლიკის პირველი ოცოდე წელი, თურქეთის პოლიტიკურ სპექტრში, მმართველ პარტიასთან შედარებით, სხვები უფრო რეტროგრადულ და ისლამისტურ ძალებს წარმოადგენდნენ. დემოკრატიულმა პარტიამ, როგორც ხანგრძლივი ერთპარტიული მმართველობის შემდეგ მოსალოდნელიც კი იყო, თურქეთში დიდი სიმპათიები მოიპოვა. მაგრამ გავიდა წლები, და სამხედრო ელიტამ გადაწყვიტა, რომ ქვეყანაში მის გარდა არ არსებობს სხვა ძალა, რომელიც ქვეყნის მომავალს პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა. საქმე ის არის, რომ (რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) დემოკრატიული პარტიის მმართველობამ ქვეყანაში კონსერვატიული და რე-

ტროგრადული ძალები გამოაცოცხლა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ დემოკრატები ისლამს და სასულიერო პირების ავტორიტეტს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. 1960 წელს სამხედრო ელიტამ ათათურქის კურსზე ქვეყნის დასაბრუნებლად პირველი სამხედრო გადატრიალება მოაწყო. მას შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში ამგვარი „კორექტივები“ კიდევ სამჯერ, 1971, 1980 და 1997 წელს შეიტანა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლება (არჩევნების გზით) ძალიან მალევე ყოველთვის თურქ ხალხს უბრუნდებოდა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა შემდგომ რამდენჯერმე გადაყენებული სულიმიან დემირელისა და თანსუ ჩილერის მმართველობის წლები.

პირველმა სამხედრო გადატრიალებამ თურქეთის იდეოლოგიურ რუკაზე კიდევ ერთი განმტკიცება მონიშნა. 1960 წლის გადატრიალებას სათავეში პოლკოვნიკი თიურქეში ედგა, თანამედროვე პანთურანიზმის მამამთავარი. დიდი თურანის იდეა მთელი ევრაზიის ძირით თურქული ხალხების რასობრივ

ერთიანობას, ურთიერთსწრაფვას და პოლიტიკურ ძალად გაერთიანებას ემხრობა. ძნელი სათქმელია, რამდენადაა ეს მიმართულება თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი, მაგრამ გეოეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ მიმართულებებში თითქოს ახლა თავს მართლაც იჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული არმია ნებისმიერი თურქისთვის სიამაყის და მონივნების საგანი იყო და არის დღემდე, მოსახლეობის ფართო მასები, უმეტესად სოფლებისა და პატარა ქალაქების მკვიდრნი, ისლამის ნორმებით ცხოვრობდა და ისლამისტური პარტიების შეხედულებებს იზიარებდა. აქ იმალება როგორც თურქული პოლიტიკური განვითარების, ისე თურქი ადამიანის ცნობიერების პარადოქსულობა: სიმყარეს, ლავირების შესაძლებლობას ორივე შინაგანი კონფლიქტის ძალით ინარჩუნებს და ახალ, უფრო სასურველ რეალობას ამ ძალით ქმნის. ამ თურქულ პარადოქსს ერთ-ერთი ავტორი ასე აღწერს: თურქეთი. 60-იანი წლები. ქალებს, რომლებიც საკუთარ სოფლებში ჩა-



ბარკინი კვირკოსელაზი კონფლიქტის დროს დაპარბულ ნათესავეებს ეძიებენ, კვირკოსი, 1974



საკ პარტიის წინააღმდეგ გაპარტული დემონსტრაცია სტამბოლში, იანვარი 2010

დრს ვერ იხსნიან, ქალაქში ყოფნისას კი შებურული სახით რომ გამოჩნდნენ, დიდი გამბედაობა სჭირდებათ, სამხედრო ნაწილის გამოჩენაზე (არმია – ათათურქისეული ლაციზმის ყველაზე ერთგული დასაყრდენი) თვალეები აღფრთოვანებით უბრწყინავთ. დასკვნა: თურქული არმია თურქისთვის მუდმივი დღესასწაულია. უცნაურია, მაგრამ თურქების უმეტესობა სამხედრო გადატრიალებებს სწორედ საზეიმო განწყობით ეგებებოდა. „შესაძლო რეპრესიები, რომლებიც ალბათ გადატრიალებას მოჰყვება, ხალხის ცნობიერების მიღმა რჩება. სამაგიეროდ ცოცხლდება „ომის“ პარადიგმა, რომელიც მისთვის სამყაროს მიმართ ქმედების დეტერმინირებას ახდენს. თუ ანალოგებს გრამატიკაში მოვძებნით, მაშინ „ომი“ ზმნაა. ზმნა ქვემდებარეს, „საკუთარი თავის ხატს“ მოითხოვს. თურქისთვის ეს „მეომრების მასაა“, რომელშიც ყოველი თურქი საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცია“.

იسلامისტური განწყობილებები თურქეთში 90-იანი წლებიდან ძლიერდება. 2002 წელს თურქეთის არჩევენ-

ბში ხმების 34%-ით „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ იმარჯვებს. რესპუბლიკის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ კაბინეტის ყველა წევრი ისლამისტი ყოფილიყო (თუმცა, ეს პარტია ზომიერ ისლამისტურ ძალად განიხილება). თურქული დემოკრატია, რომელიც დასავლეთში ისლამური სამყაროს კვალობაზე ლამის იდეალურად იყო მიჩნეული, კრახს განიცდის. თუმცა, ასეთია ხალხის არჩევანი, მაშასადამე, ესეც დემოკრატის მონაპოვარია.

ჯერ რეჯებ ტაიპ ერდოღანის, შემდეგ კი აბდულა გიულის მეთაურობით, თურქეთი კვლავ ძველი კურსის ერთგული ხდება. დემოკრატის ქვეყანაში არაფერი ემუქრება, ევროკავშირისადმი სწრაფვა თითქოს ჯერ არ შემცირებულა, ქვეყანა პროამერიკული კურსის ბრმად მიმდევრობაზე უარს აცხადებს. პირველ სიურპრიზი აშშ-ს ხელმძღვანელობამ იმ წელსვე მიიღო: მაშინ ერდოღანმა თამამად განაცხადა, რომ ერაყის მიმართ ამერიკის პოლიტიკას მხარს არ დაუჭერს.

>>> გაგრძელება გვ. 94



საკ პარტიის წინააღმდეგ გაპარტული დემონსტრაცია სტამბოლში, თებერვალი 2010

„სვაბოდა“

ავტორი: პაატა საგულაშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ჯალღასანიშვილი

„სვაბოდა“ და არა ჯანმრთელობა, სიცოცხლე, მილიონი დოლარი, არამედ „სვაბოდა“ არის ის, რასაც დაცემინების დროს სხვა ტუსალები გეუბნებიან. ზოგჯერ, რომ დაახველებ, მაშინაც ამ სიტყვას დაგძახებენ. არასოდეს გამორჩებათ, არასოდეს დაავინყდებით, გითხრან „სვაბოდა“.

საინტერესო სიტყვაა. იმდენად საინტერესო, რომ ჯორჯ მაიქლის „ფრიდომსაც“ სხვაგვარად გასმენინებს. მაგრამ სიტყვა „თავისუფლება“ სულაც არ ასოცირდება „სვაბოდასთან“. „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“, „თავისუფლების მოედანი“, მეტროსადგური „თავისუფლების მოედანი“, „თავისუფლება დღეს ჩვენი“, „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“, „თავისუფლება პოლიტპატიმრებს“, „თავისუფალი თეატრი“, „აჭარა თავისუფალია“ და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი რამ – არც ერთი წამით არ გადმოსცემს იმ შეგრძნებათა ნაზავს, რასთანაც ეს „სვაბოდა“ ასოცირდება. ეს სიტყვა გახსენებს კაპუხეს, გასუდვას, კარანტინს, კამერაზე აწევას, კარმუშკას, პარაშას, შპონკას, ბალანდას, კონტროლიორს, შმონს, ფუქსს, აბანოს, რომელიც კვირაში ერთხელაა. მანამდე ამ ჩემს ყოველდღიურობად ქცეულ ატრიბუტებს ვერ აღვიქვამდი. ვიცოდი მათ შესახებ, კინოშიც ნანახი მქონდა, გაგონილიც უამრავჯერ, მაგრამ მათზე ასოციაცია, მოგონება და შეგრძნება არასოდეს გამჩენია. ამ ყბადალებული „სვაბოდას“ არსი არცთუ მარტივი გადმოსაცემია. რთული ფენომენია, ღმერთმანი, და ერთმნიშვნელოვანი სულაც არა. ალბათ ისეთივეა,

როგორც ჯანმრთელობა, სიცოცხლე და მილიონი დოლარი – ხიფათით სავსე სვაბოდა.

კაკეჯი

„დმი“ დროებითი მოთავსების იზოლატორს ნიშნავს. მე იქ გასული წლის 16 დეკემბრის გამთენიამდე, დაახლოებით დილის 3 საათზე მიმიყვანეს. მიმიყვანეს და კიდევ ერთხელ გამაშიშვლა უცნობმა ადამიანმა. ორჯერ ჩავიკუზუე, რომ ტრაკით რამე არ შემეტანა კამერაში. სამი ახალი რამ აღმოვაჩინე: 1. ფორმიანი ადამიანი აღარასოდეს იქნება სექსუალობის გამომწვევი; 2. გაშიშვლება არასოდეს იქნება იმ განცდებთან ასოცირებული, რომლებსაც ადრე ინვევდა; 3. ტრაკს ბევრი სასარგებლო ფუნქცია ჰქონია.

დამხსნეს ზონრები, სიგარეტს ფილტრები დაახიეს, ბრიტვა არ გააკეთო და ვენები არ გადაიჭრაო, მომცეს ორი პლედი (ადილა) და შემაგდეს მე-10 კამერაში.

მე ოთხი გრამი მარიხუანის აღმოჩენის გამო დამაკავეს.

კამერა ერთი ნათურით ნათდება, რომელიც შესასვლელი კარის თავზეა კედელში ჩახრახნილი და შიგნითაც ანათებს და კორიდორშიც. თვალეში განათებს და ისედაც ბნელ კამერას კიდევ უფრო რთულად დასათვალიერებელს ხდის. კამერა დაახლოებით ათი კვადრატული მეტრია, მისი ნახევარი ფიცარნაგია, რომელზეც ტუსალები წვანან, მეორე ნახევარი კი უკავია შესასვლელს და წელამდე ტიხრით გამოყოფილ ჩემმას, რომელშიც წყალი არ ჩადის. წყალს დიდი ხნის თხოვნის

მერე უშვებენ ხოლმე, დღეში ორჯერ, ან ცოტა უფრო ხშირად, თუ კარგი „სმენაა“. კედლები ყვინტილისფრადაა შელებილი.

კამერაში ორი ადამიანი დამხვდა. ერთი ფიცარნაგის შუაში ძალიან კომფორტულად იყო წამოგორებული და ეძინა, მეორე მის მარჯვნივ იჯდა. მას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, ვინაიდან მძინარე, ცხადია, არ ელაპარაკებოდა. ისიც პირველად იყო, სულ ცოტა ხნის წინ შემოეყვანათ. 21 წლის, სიმპათიური ბიჭი სუბოტექსის ყიდვის დროს დაიჭირეს და უთხრეს, შენს ბარიგას დიდი ხანია დავდევთ, მაგრამ შენთან ერთად გადაეწყვიტეთ აყვანა, რადგან მანქანაში შენ გარდა არავის უჯდებოდაო – რაც იმას ნიშნავს, რომ მანქანას „საჯარიმოზე“ გადაიყვანენ და ამ ჯიპით პოლიციელები მანამ იჯირითებენ, სანამ არ მობეზრდებით.

ბიჭი სამ რამეს განიცდიდა. იმას, თუ რა რეაქცია ექნებოდა მამამისს, გამოიყვანდა თუ არა, საერთოდ, აუყვანდა თუ არა ადვოკატს. განიცდიდა, თუ რას იფიქრებდა მისი ცოლი, რომელმაც არ იცოდა, რომ მისი ახალგაზრდა, ლამაზი, შეძლებული ქმარი ინტრავენურ ნარკოტიკებს მოიხმარდა, ანუ წამალზე იჯდა. დაბოლოს, მას ეშინოდა ლომკის.

ლომკის მის გარდა კიდევ სამ ადამიანს ეშინოდა იმ კაცებიდან, რომლებითაც დილამდე, მთელი ღამის განმავლობაში ავსებდნენ ჩვენს კამერას. ყველა თავის ამბავს ჰყვებოდა.

უცნაური დღე იყო. არავის აკითხავდნენ, არც საჭმელს უგზავნიდნენ. ჩემი ადვოკატი საღამოხანს მოვიდა



და გამომკითხა, თუ როგორ ვიყავი. მას ვთხოვე, ჩემებისთვის დაერეკა და საჭმელი და სიგარეტი გამოეტანებინა.

შემშლილ სულ არ მშობდა. კამერაში ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი იყო და ის გვეუბნებოდა, ძალით უნდა ჭამოთ, რომ არ დაავადდეთ. სალამოხანს, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, სიგარეტიც შემოგვაკლდა და ის ნათურაც გადაიწვა, რომელიც ოთახს ანათებდა. სიგარეტის ნამწვავების მოგროვება და სიგარეტის ზალატნიკაპრობილ ქალაქში გახვევა მოვახერხეთ. პარაშაში წყალი გაუშვეს. წყალი იატაკზე ისხმებოდა. ჩემი ტუალეტში „წასვლის“ პირველი მცდელობა იმით დასრულდა, რომ მუხლებამდე გავილუმპე. ეს ყველაფერი სრულ სიბნელეში ხდებოდა. შემდეგ მომიტანეს საჭმელი და სიგარეტი. იმასაც მივალწიეთ, რომ ნათურა გამოეცვალათ და წყლის დარეგულირება ცელოფანის პაკეტებით შევქელით.

სალამოს კიდევ ერთი პატიმარი დაგვიმატეს, 60-ს მიტანებული, რომელიც მკვლევლობის მცდელობის გამო დააკავეს. ნაცემი იყო. ვერ მივხვდი, რა მიზნით უნდა ეცემა პოლიციელს: ამ კაცს კიბო სჭირდა და სწორი ნაწლავი შარდსადენზე ჰქონდა მიკერებული. მისი ტუალეტში „შესვლა“ ძილს გვიფრთხობდა ხოლმე, დანარჩენ დროს კი პამპერსებით სარგებლობდა და მერე ამ პამპერსებს იქვე, კუთხეში ყრიდა.

მიუხედავად ყველაფრისა, კარგი სალამო იყო: საჭმელი გვქონდა და არ გვშობდა. დილით „გაგვახარეს“ – ადიელები მიგვაქვს გასარეცხადო. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ იმ ადიელებს რეცხავდნენ. ფიცარნაგზე საკუთარი ტრაკის ამარა დავრჩით და ტრაკის კიდევ ერთი ფუნქცია აღმოვაჩინე – საჯდომი. 21 წლის ბიჭმა გვითხრა, მამაჩემმა ადვოკატი ამიყვანაო. მოკლედ, გადარჩა. ამასობაში ჩემი

ადვოკატიც გამოჩნდა და სახალხო დამცველის წარმომადგენელიც. ამ უკანასკნელს ყველაფერი თავიდან, გულდასმით მოვუყევი.

მეორე დღემ უღიმღამოდ ჩაიარა. წამიყენეს ბრალი, ორი და არა ერთი მუხლით – ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანას შენახვისა და ამ უკანასკნელის ქვეყანაში შემოტანის გამო, და კიდევ ის მოხდა, რომ ახალი ადვოკატიც გავიცანი, რომელიც, მეგონა, წინამორბედზე მეტ იმედს მაინც ჩამისახავდა. ამოვად ვფიქრობდი ასე.

ისევ შემომივიდა „დაჩკა“ და წინა დღით შემოგზავნილი პროდუქტის მეორე ნახევარი, ტანსაცმელი (რომლის შემოგზავნის ფაქტმაც ყველა გააოცა), ღორის გრიპისაგან დამცავი ნიღაბი და დიდი რაოდენობით ნოტიო ხელსახოცები. აღარაფერს ვამბობ ახალთახალ „გლიანცევი“ ჟურნალებზე და „თბილისელებზე“, რომლის გამომგზავნის იუმორის გრძნობა სათანადოდ დავაფასე – აღარაფერს ვიტყვი ბარბარობა დღეს ჩემთვის ლობიანების შემოგზავნის იდეაზე:--)).

მთელი სალამო ჟურნალებს ვათვალიერებდით და ცელოფანის პაკეტით „დამულამებულ“ ტუალეტითაც ვსარგებლობდით. სალამოს სათადარიგო ადიელები მოგვეცეს, ფიცარზე რომ არ დაგვეძინა. ნოტიო ხელსახოცებით „ჯაკუზი“ მოვიწყვე და გულში ჩაკრული „გლიანცევი“ ჟურნალებით დავიძინე.

იმ ღამეს კიდევ ორი ადამიანი დაგვიმატეს. ერთი თავის ისტორიას ჰყვებოდა, მე კი მთელი ძალით ვცდილობდი, არ გამოვფხიზლებულიყავი – წოლაში დრო უფრო კარგად გადის. ერთი კი გავიგე, რომ არაყოველღიური სახელის პატრონი იყო და როდესაც ჰკითხეს, ეგ რა სახელიაო, მან უპასუხა, სომეხი ვარო. მეორე „ახალი“ უფრო გვიან შემოვიდა. ძალიან მთვრალი იყო და პირდაპირ ფიცარნაგზე განვა.

თურმე, ღამით ჩაიფსა და მე ფრიად გამომართლა, რომ დაქანების საპირისპირო მხარეს ვინეტი. როდესაც გაიღვიძა, ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. ალბათ, რცხვენოდა. მერე დაიწყო იმაზე საუბარი, თუ როგორ ვერ „გაქაჩეს“ რუსებმა და ვერ მოგვაშორეს ციხეზე მიშას დაყენებული „პალაჟენია“. მერე ისიც დასძინა, სააკიანის ბრალია, ამ დღეში რომ ვართო. სომეხმა ბიჭმა ჰკითხა: „ვინ, ვინო?“ „სააკაშვილი“, – მერეღა შეასწორა პრეზიდენტის გვარი და მას სომხური ბოლოსართი მოაცილა, – „ეჰ, რა ცოტა დააკლდათ რუსებს, რომ ეს პალაჟენია ვერ გადააგდეს“. ამით მან კიდევ ერთხელ მომპარა სასჯელალსრულების სისტემაში გატარებული „დიდი რეფორმაციის“ შედეგებთან შეჯახებით გამოწვეული პირადი პროტესტი. სომეხი ბიჭი გაჩუმდა. ქართველებიც დუმდნენ, მათ შორის მეც.

ბანკითხვის დღე

2009 წლის 18 დეკემბრის სუსხიან, მაგრამ მზიან დღეს პატივი მხვდა, პირველად წარმდგარიყავი ქართული მართლმსაჯულების წინაშე. გამომიყვანეს კამერიდან (მერე რა, რომ ტუალეტში შესვლა ვერ მოვასწარი) და გამიყენეს ჩემთვის ბავშვობიდან გაურკვეველი მოტივებით ინსპირირებული არქიტექტორის მიერ საბჭოთა პერიოდის ბინდუნდში აგებულ და შემდგომში კიდევ უფრო გაურკვეველი მოტივებით კოლონადამიშენებული შენობის გზას.

გზა კაპეხეს ავტოსადგომიდან საქალაქო სასამართლომდე მღელვარებით აღსავსე იყო. ბადრაგმა ხელბორკილით მიმიბა და ავტომანქანის უკანა სავარძელზე ჩამსვა. მანქანის პატრონი, რომელიც იმავდროულად ჩემი საქმის გამომძიებლის ფუნქციასაც ითავსებდა, ამ ავტომანქანას საკუთარი ცოლივით უფრთხილდებოდა, – ალბათ ჯერ არ



ჰყავდა, თორემ რატომ გაუფრთხილდებოდა ასე... სიგარეტს არ გვანევენება. შემდეგ გადმოვედით და ძალიან ბევრი სიგარეტი მოვნიე. ასეთი გრძნობა ევროპაში მეუფლებოდა – არ ვიცოდი, როდის მომეცემოდა შემდეგი ღერის მოწვევის შესაძლებლობა და ამიტომ გამალეებით ვენეოდი ხოლმე. ცალი ხელით დავიწყე ზონარის ფეხსაცმელში გაყრა. ბადრაგმა მითხრა:

– ტყუილად იკეთებ, მაინც დაგადრობენ.

რატომ-მეთქი?

– აბა, ციხეზე შწუროკს ვინ დაგიტოვებს?

არ ვიცი, რატომ, ალბათ იმიტომ, რომ აქ დამენერა, ვკითხე:

– როგორ, თქვენ წინასწარ იცით, რა სახის აღმკვეთ ღონისძიებას შემიფარდებს მოსამართლემ?

მან მოსალოდნელი ირონიით მიპასუხა:

– აბა, რა გგონია, პროკურორი რასაც მოითხოვს, იმას მოსამართლე არ დაეთანხმება?

დღემდე ვერ ვიჯერებ, რომ ასე მიპასუხა. იმიტომ კი არა, რომ არ ველოდი. უბრალოდ, ის, რომ მე ყველაფერ ამას დავწერდი, სულ არ აღელვებდა.

ჩემი გამომძიებლის გვერდით, წინა სავარძელში მჯდომი პოლიციელი დილიდან აქტიურობდა. ჩემს ბადრაგს ეუბნებოდა, როგორ უხდებით ერთმანეთს, სამუდამოდ ასე არ დარჩეთ ერთმანეთზე მიბმულიო. ჩემი ბადრაგი ნერვიულობდა.

სასამართლოზე გამოგვიძახეს მე-15 დაბაზში. დაბაზში ერთმანეთის მიყოლებით შემოვიდნენ ჩემი ადვოკატი, პროკურორი, გამომძიებელი, თანამშრომლები და მეგობრები. მივხვდი, რომ აჯობებდა, საერთოდ არ მოსულიყვნენ, უფრო მარტივი იქნებოდა ჩემთვის. ძალიან კი მომნატრებოდნენ, რაღაცნაირად, შიგნიდან გავთბი. ეს გრძნობა წამსვე გამიქრო პროკურო-

რის დანახვამ. პირიდან ყურამდე დიდი ნაიარევი დასდევდა და არ ილიმოდა – ალბათ, ნაიარევის გამო. მან ბრალი წამიყენა. ჩემი თანამშრომლების მიერ მომზადებული ჩემი დახასიათება ჩემმა ადვოკატმა ვერ ამოიკითხა და მოსამართლეს მიაწოდა. არც მის მიერ წართმეული სიტყვა იყო შთამბეჭდავი. მოსამართლემ სიტყვა მომცა. მე მივხვდი, რომ საკუთარი თავის საკუთარი ძალებით უიმედო დაცვა მელოდა.

მოსამართლემ გადაწყვიტა, ჩემთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდებინა.

ბადრაგი გაკაპასდა. კიდევ უფრო მეტად მიეცა გული და კიდევ უფრო დამცინავად დამიწყო ლაპარაკი, სანამ სასამართლოს დადგენილებას დაბეჭდილი სახით ველოდი. ალბათ, ბოლო წუთამდე მათაც არ სჯეროდათ, რომ ორთვიან პატიმრობას შემიფარდებდნენ. უცებ კიდევ ერთი აღმოჩენა გავაკეთე: ის თანამშრომელი, რომელზეც უშუალოდ ვიყავი მიბმული, თანაგრძნობით განიმსჭვალა და სასამართლოს შენობიდან გამოსულმა ფილტრიანის მოწვევაც კი შემომთავაზა. სამაგიეროდ, ჩემი გამომძიებლის გვერდით, წინა სავარძელზე მჯდომმა ბოლომდე გაშალა ფრთები. მისი ხუმრობები უკვე „ჩემს“ ბადრაგსაც აღიზიანებდა. ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდით ციხეში, რადგან დილიდან ტყუალეტში მინდოდა.

ქარანტინი

დიღმის ტრასა სწრაფად გავიარეთ. როგორც იქნა, ციხეს მივალწიეთ. წინა სავარძელში მჯდომი ბადრაგი სულ უფრო კარგ ხასიათზე დგებოდა. ის მანქანიდან გადავიდა და გვერდით მანქანაში გადაჯდა, რომელსაც ასევე პატიმარი ჰყავდა მოყვანილი ციხეში.

საათზე დიდხანს ლოღინის შემდეგ მანქანებიდან გადმოგვიყვანეს და უკვე ცოცხალ რიგში ჩავგაყენეს. მოპირდა-

პირე მანქანასთან ისევ ლაზლანდარაობდა წინ მჯდომი ბადრაგი. იგი ყველა პატიმრის გასაგონად გვიყვიროდა, როგორ უხდებით ერთმანეთსო, თან მეორე მანქანაში მჯდომ პატიმარს რაღაცას ეუბნებოდა. პატიმარი მიყურებდა და ელიმებოდა. სავარაუდოდ ისინი ჩემს სექსუალურ ორიენტაციასა და საქმიანობაზე საუბრობდნენ.

შეგვიყვანეს ციხეში. კიდევ ერთხელ გამაშიშვლეს, ახლა უკვე სხვა პატიმრების თვალწინ. ასე მითხრეს, პალტოს ვერ შეიტანო. ის მაინც მოვასწარი, რომ ბადრაგისათვის ის პალტო გამეტანებინა, რომ ნაგავში არ გადაედოთ. ზონრები და ძირები მომაძვრეს და ნაგავში გადაყარეს. ერთმა შემომწმებელმა მკითხა, პირში რა გიდევესო. სალექი რეზინი-მეთქი, ვუპასუხე. რო წამოვა სახეში მუშტი, მერე ველარ დალეჭავო. მე ვუთხარი, რომ პირველად ვიყავი ციხეში, ჩემთვის წესები არავის გაუცვინია, და შეეძლო, ნორმალურად ეთქვა, რომ კარანტინში სალექი რეზინი არ დაიშვება. ჩემმა ბადრაგმა დააშოშმინა და გალანუნებასაც გადავრჩი.

ფუქსში კიდევ გვაცდევინეს. იქ ჩემი ერთი თანაკაპეზელიც შემხვდა. მეუბნებოდა, ვეცადოთ, იქნებ ერთ კამერაში მოვხვდეთ და თუ რამე პრობლემა იქნება, ერთად დავცხოთ სხვა პატიმრებსო, მე კი იმაზე ვფიქრობდი, რომ მზად ვიყავი ყველას თვალწინ მომეფსა.

როგორც იქნა, ჩავგიყვანეს კარანტინში და მე-5 კამერაში შემიყვანეს.

კაპეზეზე კი მაფრთხილებდნენ, რომ კარანტინი საშინელებაა, მაგრამ ასეთს მაინც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. 6 ადამიანისთვის განკუთვნილ კამერაში 28 პატიმარი იჯდა. უფრო სწორად, იდგა. ასე იდგა ზოგი 5 დღის განმავლობაში, ზოგი – ერთი კვირა, ზოგი – 10 დღე.

შესვლისთანავე ყველას მივესალმე და პარაშას მივაშურე. გამოვედი თუ



არა, ჩემ გარშემო წრე შეიკრა და მი-
თხრეს, დაჯექი შუაშიო. მეც დავეჯექი.
ჩემი თანადამრტყმელი თანაკაპზელი
უკვე მტრული მზერით მიყურებდა.
ჩემს პუბლიკას თვალი გადავაველე და
ის პატიმარიც დავინახე, ჩემი ბადრაგი
რომ ელაპარაკებოდა. მაშინვე ყველა-
ფერს მივხვდი: „ძაღლებმა სიტყვა შე-
მაყოლეს“.

ყველაზე აქტიურმა და ცოცხალ-
მა ჩემთან ურთიერთობის გარკვევა
დაიწყო: ერთი გვითხარი, ვინ ხარ,
რა ორგანიზაციაში მუშაობ, რა ბარის
მფლობელი ხარ და რა ფართებს აწყო-
ბო? მე ვუთხარი, რომ ეს მათი საქმე
არ იყო. მე რე ერთი სვანი ჩამომიჯდა
და მითხრა: ხომ იცი, აქ ყველაფერი
გაირკვევა და გვითხარი, თუ ასეა,
უნდა ვიცოდეთ, შენთან ერთად პურს
ხომ არ შევჭამთო. მე ვუთხარი, რომ
მანცდამანც დიდი სურვილი არც მე
მქონდა მათთან ერთად პურიჭმისა –
„ძაღლების“ ენაზე ეს ქურდული სა-
მყაროს კაცები როდის აქეთაა დადი-
ხართ-მეთქი? უცებ ყველა მიტრიალდა
და ჩემდამი საყოველთაო ინტერესიც
მინელდა.

დავიწყე ახალი სამყოფელის თვა-
ლიერება, ტუსალთა რიცხვის შპონკე-
ბის რაოდენობაზე გაყოფა და მი-
ღებულ რიცხვით დღე-ღამის იმ
მონაკვეთის გამოანგარიშება, რაც
ერთ ადამიანს შეიძლებოდა შპონკაზე
მძინარეს გაეტარებინა. მე რე თავიდან
დავიანგარიშე, რადგან გამოვაკელი იმ
პატიმართა რიცხვი, ვისაც მუდმივად
წოლის უფლება ჰქონდათ, და მივხვდი,
რომ ამაზე ფიქრი კარგს არაფერს მო-
მიტანდა.

კარანტინზე სიგარეტი არ შემოდის.
თითო-ოროლა ღერი ჰქონდათ შემო-
პარებულნი და ერთი რომ მოუკიდებ-
და, ყველა თითო ნაფაზს არტყამდა.
ძალიან მინდოდა მონევა, მაგრამ შე-
მოთავაზებაზე უარი ვთქვი. ვიფიქრე,
სჯობს ეს ერთი კვირა იმისათვის გა-

მოვიყენო, რომ მონევას თავი დავანე-
ბო-მეთქი. ვითომ იმიტომ არ ვენევი,
რომ არ მინდა-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

ერთი ნატეხი პური ვჭამე. დავილა-
ლე. დავეჯექი მაგიდის კუთხესთან –
დაძინება მინდოდა. ის აქტიური და
ცოცხალი ბიჭი კიდევ ერთხელ ეცადა,
რაღაც ეთქვა ჩემთვის. სვანმა შეა-
წყვეტინა და უთხრა: „ადი ახლა, დაი-
ძინე, ერთ საათში უნდა გაგაღვიძო,
რომ მანდ ამან დაიძინოსო“. ბიჭს ხმა
ალარ ამოუღია.

პატიმრები კორიდორიდან მომავალ
ხმებს გამუდმებით აყურადებდნენ –
სცემენ, სცემენ, რა მაგარია, მგონი
კარანტინი იშლებაო. ვილაცამ თქვა,
ამ საახალწლოდ პრემიების გასაკე-
თებლად იმდენი შემოყარეს, ალბათ
ვეღარ ვეტყვი და ამიტომ შლიან კა-
რანტინსო.

მოგვადგნენ და გვარების ამოკითხვა
დაიწყეს. თითქმის ყველა გავიდა. იმე-
დი მომეცა, რომ კამერაზე აგვენვდნენ,
მაგრამ უცებ გაჩერდნენ და კარი მი-
ხურეს. სვანმა თქვა, ხუთდღიანები არ
აგვნიესო. მაშ, ხუთი დღე მანც მომიწე-
ვდა იქ ყოფნა. გული იმით დავიმშვიდე,
რომ კამერაში ცხრანილა დავრჩით.

სალამომდე 20-მდე შეგვაგესეს.
გვერდით კამერიდან დავიმატეს რა-
მდენიმე კაცი. იმ კამერაში შპონკები
საერთოდ არ იყო, კედლებზე შემოე-
ღებულნი ვინრო სკამების ამარა ყო-
ფილან, სამი ღამე ცემენტის იატაკზე
უძინიათ. ერთი ბიჭი ისეთი ღამაში
იყო, რომ ჩემი მდგომარეობის მიუხე-
დავად თვალს ვერ ვწყვეტიდი. ის და
მისი თანმხლები ჭავჭავაძის უნივერ-
სიტეტის სტუდენტები აღმოჩნდნენ: 7
თვის წინ ერთი აუდიტორიიდან მეორე-
ში პროექტორი გადავიტანეთ, გოგოე-
ბზე შთაბეჭდილების მოსახდენად, და
უკან გადატანა დაგვაფიქროდა, აუდი-
ტორიაზე პასუხისმგებელს პოლიციაში
განუცხადებია და ჩვენ არ ვიცოდითო,
18 წელი ახლახან შეგვისრულდა და

პოლიციამაც ახლალა დაგვაკავაო.

არა, ყველა ნაამბობის კი არ მჯე-
როდა. ნახევარზე მეტი არ მჯეროდა,
დღე-ღამის სხვადასხვა დროს რაღაც
ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს ასა-
ხელებდნენ. ვერაფრით მივხვდი, რაში
სჭირდებოდათ. სვანმა მირჩია, სიმარ-
თლე არავის მოუყვე, რასაც პოლიციას
ეუბნები, პატიმრებთანაც ის იბაზრეო.
მე ვუთხარი, ასეც ვიქცევი, ყველას
სიმართლეს ვუყვები-მეთქი. მეცო, მო-
მიგო მან ისეთი სახით, რომ აშკარად
ვერ მიმხვდარიყო, ეს რატომ უნდა გა-
მეკეთებინა.

ოთხი საათი მეძინა. შპონკა ისეთი
ვინროა, რომ ზედ ერთი ადამიანიც ვერ
გაიშლება, ჩვენ კი ორ-ორს გვეძინა,
წალმა-უკულმა. შპონკაზე ლეიბებს არ
დებენ, ზედ სხვა პატიმრების დანატო-
ვარი სვიტრები დაფენილი – რის ჩა-
ცმასაც ვერ მოასწრებ, კარანტინშივე
გატოვებინებენ. გამთენიისას კიდევ
ერთხელ მომინია შპონკის რიგმა. ის
დილა როგორ გავიდა, არ მახსოვს. კარი
კვლავ გაიღო და ყველას გვარი ამოიკი-
თხეს. იმდენი პატიმარი მოეყვანათ, რომ
მთლიანად დაგვშალეს. გამიმართლა.

ანეკა

კამერაზე აწევა ორმაგი განცდაა:
სიხარულისა, რომ უკეთეს პირობებ-
ში აღმოჩნდები და შიშისა, რადგან არ
იცი, რამდენად ნაცემი ახვალ. ეს მეო-
რე განცდა არ მქონდა, რადგან პირვე-
ლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ცემას
ნამდვილად არ დავეძებდი. მე სხვა რამ
მანუხებდა, რაც სხვა პატიმრებს ან არ
ედარდებოდათ, ან არ გამოხატავდნენ
– ვის კამერაში ამოვყოფდი თავს.

სირბილით გამოგვიყვანეს და იმ კა-
მერაში შეგვყარეს, სადაც მარტო სკა-
მები იყო. კარანტინის კამერები სარ-
დაფშია განთავსებული. ოთახს პატარა
სარკმელი ანათებს.



ბრწყინვალე დისკარმონიული გონება

სოფია გუზაიძულინა – ბახისა და შოსტაკოვიჩის ზღვაჩხე

ავტორი: ლავით ბუხრიკიძე

ნამდვილად ვაცნობიერებ, რომ გენდერული თვალსაზრისით უხერხული, მაგრამ ეგზისტენციური მნიშვნელობის შეკითხვა უნდა დავსვა: ცნობილი კომპოზიტორი ქალები თუ გაგიგიათ? კლასიკის მოყვარულები ალბათ კლარა შუმანს გაიხსენებენ. თუმცა, ჯერ ერთი, ის პიანისტი იყო და გენიალური მეუღლის, რობერტ შუმანის პირველი მსმენელი და მეორე, მუსიკის ისტორიაში შემორჩენილი კლარა შუმანის „მცირემეტრაჟიანი“ საფორტე-პიანო ოპუსები მხოლოდ გერმანული რომანტიზმის მკრთალი აჩრდილია, სადაც თავის შეფარება სერიოზულად არც ერთ შემსრულებელს თუ მუსიკოსს უცდია.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და გერმანიაში გამოჩნდნენ კომპოზიტორი ქალები, რომლებიც ფრანც ლეგარისა და იოჰან შტრაუსის გავლენით მსუბუქ, სასიმღერო ჟანრს ეტანებოდნენ, მაგრამ არც მათი გვარები და არც მათი ნაწარმოებები მუსიკის ისტორიამ არ შემოინახა. 30-50-იანი წლების ამერიკულმა ჯაზმა კი მხოლოდ შესანიშნავი შავკანიანი შემსრულებლები დაგვიტოვა – ბესი სმიტი, ელა ფიცჯერალდი, ბილი ჰოლიდეი, მაჰალია ჯეკსონი და არა რომელიმე ქალი კომპოზიტორი.

თუ კლასიკას შევეშვებით და მძიმე საბჭოთა საესტრადო წარსულს მსუბუქად მიანც

გადავხედავთ, შეიძლება ბრეჟნევის ეპოქის ერთი კავანდარა, მაგრამ პარტიულ „მესივეებში“ კარგად განვრთნილი ქალბატონი გავიხსენოთ – ალექსანდრა პახმუტოვა, რომელიც უცნაურად გულისამაჩუყებელ სიმღერებს წერდა კომკავშირსა და პარტიაზე. ისე, ჩვენც გვყავს დაახლოებითი კლასიკოსი ნუნუ გაბუნია, რომლის ნაწარმოებების ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება და ეროვნულ-ლირიკული კომპოზიტორი მაცაცოსების კვერადი, რომელსაც ალბათ სასიამოვნო იმერული სიმღერებისთვის გაუხსნეს ვარსკვლავი „ივენიტ ჰოლად“ შერაცხული ფილარმონიის წინ. თუმცა, მგონი, უანრი აგვერია და თემასაც ავცდით...



ალმონაჩინო და უსინო

ვალდარებ, რომ ძალიან დიდი ხანია, მსურდა ამ საოცარი ქალის შესახებ დამეწერა. მაგალითად, ჯერ კიდევ 2001 წელს, როცა 70 წლის გახდა, მაგრამ მაშინ არც გაზეთების რედაქტორები ინტერესდებოდნენ „ყაზანში დაბადებული თათარი კომპოზიტორი-ქალის“ არსებობით და არც კულტურულ-სევეტურ-პრიალა ჟურნალები არსებობდა. თითქოს არც ახლაა შესაფერისი დრო, განსაკუთრებით „მოდელირებული რეალობის“ შედეგებს თუ გაეითვალისწინებთ.

მამ ასე, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი, სოფია გუბაიდულინა. ურიცხვი პრესტიჟული მუსიკალური პრემიებისა და ჯილდოების მფლობელი; მათ შორის, მონაკოს პრინცის პრემია (1987), კომპოზიტორთა მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრემია ჰაიდელბერგში (1992), რუსეთის სახელმწიფო პრემია (1993), იაპონიის იმპერატორთა პრემია (1998), გოეთეს სახელობის მედალი (2001), Polar Music პრემია სტოკჰოლმში (2002), პრემია „ტრიუმფი“ (2006)... თუმცა პრემიების არასრული, მშრალი და საპატივცემულო ჩა-

მონათვალი მხოლოდ ხარისხის მოკრძალებული მინიმუმბაა, არსებითი კი მაინც მუსიკაა.

სოფია გუბაიდულინა 78 წლისაა. თითქმის ოცი წელია, რაც რუსეთი დატოვა და გერმანიაში, ჰამბურგის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ აპენში ცხოვრობს. მოშორებით ცივილიზაციისგან და ახლოს ბუნებასთან, რომლის საიდუმლოს ამოხსნას დისჰარმონიული, მასშტაბური, მისტიკური და მგრძობიარე მუსიკით ცდილობს. მსოფლიო აღიარების შემდეგ მშობლიურ რუსეთშიც გაახსენდათ მისი სახელი და საპატიო მოქალაქეობაც მიანიჭეს. თუმცა თავად გააკეთეს ყველაფერი, რომ ქვეყნიდან გაექციათ. და მერე, საჭირო დროს, გამოგონილ კვარცხლბეკზე გამოგონილი ქანდაკებასავით დაედგათ. ესეც ხომ ტიპური და დაუვინყარი საბჭოთა მითია – განადგურო და მერე განადიდო.

„პერესტროიკამდე,“ ფაქტობრივად, გუბაიდულინას მუსიკა აკრძალული იყო. საბჭოთა მუსიკალური ოფიციალიზი და კომპოზიტორთა კავშირი მას არასოდეს სწყალობდა. საჯაროდ მხოლოდ მისი ორი-სამი კამერული ნაწარმოები თუ შესრულდა და ისიც ანგაჟირებული საბჭოთა კრიტიკის ლანძღვა-გინების თანხლებით. არადა, დიდი ხნის შექმნილი ჰქონდა შესანიშნავი კანტატა მეცო-სოპრანოს, გუნდისა და ორკესტრისათვის – „ღამე მემფისში“, „ქრისტეს შვიდი სიტყვა“ ჩელოს, აკორდეონისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, De profundis – სოლო აკორდეონისათვის და, რაც მთავარია, გრანდიოზული ნაწარმოები Ofertorium („მსხვერპლშენიერვა“) – კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, რომელიც 1986 წელს ევროპაში პირველად შესრულდა.

გერმანელი კრიტიკოსი, ლიტერატორი, მუსიკოსი და ბიოგრაფი მიხაელ კურტიცი, რომელმაც 400-გვერდიანი მონოგრაფია მიუძღვნა სოფია გუბაიდულინას, წერს, რომ ის მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორია. ამის დასამტკიცებლად საფუძვლიანად აანალიზებს სწორედ სავიოლინო კონცერტს, „ალილიას“ (გუნდის, ორკესტრის, ორლანის, სოლისტისა და ფერადი პროექტორებისთვის), გიგანტურ, 12-ნაწილიან სიმფონიას (სახელწოდებით „მესმის... დადუმდა...“); აგრეთვე – კამერულ „რუბაიებს“ (ჰაფიზისა და ხაიამის ტექსტზე) და სიმფონიას „დროის ფიგურები“...

და მაინც, სოფია გუბაიდულინას მსოფლიო აღიარება ეპიკური ფორმის ვოკალურ-სიმფონიურმა „იონანეს ვნებებმა“ მოუტანა, რომელიც 2000 წელს, ქალაქ შტუტგარტის კულტურის საბჭოს დაკვეთით დაინერა. „ვნებანი“ იოჰან სებასტიან ბახის გარდაცვალების 250-ე წლისთავს მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორებმა პირველი შესრულება სწორედ ბახის ამავე სახელწოდების ნაწარმოების – „იონანეს ვნებების“ შესრულებას დაამთხვიეს. ასე რომ, შტუტგარტის საკონცერტო დარბაზში შეკრებილმა პუბლიკამ კონცერტის პირველ ნაწილში ბახის ვნებებით „გაიარა“ მუსიკალური გოლგოთა, შემდეგ კი გუბაიდულინას „სახარებას“ თანამედროვე მუსიკალური ენით ეზიარა.

მუსიკალური სამყაროს დისიდენტი

სოფია გუბაიდულინა თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის პატარა ქალაქ ჩისტოპოლში დაიბადა 1931 წლის 24 ოქტომბერს. მამა – ასგატ გუბაიდულინი ინჟინერ-გეოდეზისტი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. დედა – ფეოდოსია ფეოდოროვა პედაგოგი, რომელმაც სოფია





მუსიკას აზიარა, ხოლო ბაბუა – მასგულტ გუბაიდულინი სასულიერო პირი, რომელიც ზედმეტად ცნობისმოყვარე შეილიშვილს „ყურანსაც“ ხშირად უკითხავდა. მოგვიანებით ოჯახი საცხოვრებლად ყაზანში გადავიდა, სადაც სოფიამ მუსიკალური სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი ყაზანის კონსერვატორიაშიც ჩააბარა. 1954 წელს ის მოსკოვში გაემგზავრა, სადაც სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიტორ ალექსანდრ შებალინის კლასში კომპოზიციის საფუძვლებს ეუფლებოდა.

სწორედ მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოსმინა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა გუბაიდულინას ეტიუდები არფის, კონტრაბასისა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის და მას ასეთი „უცნაური“ დარიგება მისცა: „გისურვებთ მხოლოდ საკუთარი „არასწორი“ გზით იაროთ... რასაკვირველია თუ ამას შეძლებთ, რადგან, მხოლოდ ეს არის სწორი გზა ხელოვნებაში“. მაგრამ გუბაიდულინამ ამ დიდ გზამდემ მტანჯველი და დამამცირებელი ბილიკებით დიდხანს იარა. მოგვიანებით ქრისტიანულ რელიგიასა და ბუდიზმს ჩაულრმავდა და მართლმადიდებლურად მონათლულმა საკუთარი „შემოქმედებით-მუსიკალური გოლგოთა“ მოიგონა, რომელიც კულტურების, რელიგიებისა და განსხვავებული მსოფლმხედველობის ერთად

თავმოყრას ჰგავდა.

60-70-იანი წლების ავანგარდისტ-კომპოზიტორებთან – ალფრედ შნიტკესთან, ალექსანდრ სილვესტროვთან და ედისონ დენისოვთან ერთად სოფია გუბაიდულინა გამორჩეულ, ახალ მუსიკალურ ენას ქმნის. მაგრამ სწორედ მათთან ერთად აღმოჩნდა დასჯილი საბჭოთა იდეოლოგიის მიერ. „არასწორი“ შემოქმედებითი გზა და თავისუფალი არჩევანი სიცოცხლის ფასად დაუჯდათ შნიტკესაც და დენისოვსაც. იზოლირებულ გუბაიდულინას კი ხსნად მხოლოდ დასავლეთი მოევლინა, ისიც 80-იან წლებში...

ხრუშჩოვის „ოტტეპელის“ ეპოქის ხანმოკლე გამონათებამ, თითქოს რომანტიზმი და შემოქმედებითი იმედები გამოაცოცხლა. ეს გამოვლინდა გუბაიდულინას შემოქმედებაშიც, რომელიც გარკვეულწილად 60-იანელთა დისიდენტური სულისკვეთებით და პოეტურ-ფილოსოფიური გავლენით არის აღბეჭდილი. მაგალითად, „სულის საათი“ (ვოკალური ციკლი მარინა ცვეტაევის ლექსებზე) და ორატორია „ლაზე მემფისში“ (ანა ახმატოვას ტექსტის მიხედვით). პოეტური სიტყვის ტრანსფორმაცია და მისი მნიშვნელობა გუბაიდულინასთან ლამის თავად მუსიკასთან არის გათანაბრებული. ეს კი მომგებიანად გამოარჩევს მას კომპოზიტორებისაგან, რომელთა შემოქმედე-

ისტორია

ბაშიც გადამწყვეტია წმინდა მუსიკალური ტექნიკა და არა სიტყვასთან მუსიკის კავშირი.

სამოცდაათიან წლებში კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის, ტიხონ ხრენიკოვის „წყალობით“ გუბაიდულინას ნაწარმოებები „შავ სიაში“ მოხვდა. თითქმის ათი წლის განმავლობაში მისი მუსიკისათვის ყველა საკონცერტო დარბაზი ჩაირაზა. მოსკოვის ერთოთახიან ბინაში გამოკეტილი, უსახსროდ, თითქმის შიმშილობის ზღვარზე მყოფი ქმნის შთამბეჭდავ, მაგრამ დამთრგუნველ *De profundis* (სოლო აკორდეონისათვის); ასევე კანტატას რილკეს ლექსებზე. „გაზა არსაით“ – ასე უწოდებდა ალფრედ შნიტკემ 70-იანი წლების საბჭოთა კულტურას და სინამდვილეს, რომელიც ისეთი მოუსყიდველი და დაუცველი ხელოვანისთვის, როგორც გუბაიდულინა, დიდი გამოცდისა თუ გაძღების ხანაც იყო.

მხოლოდ „პერესტროიკის“ ხანაში, 1986 წელს შეძლო გუბაიდულინამ საავტორო კონცერტებით ჩასულიყო გერმანიაში, სადაც ტრიუმფით შესრულდა მისი სავიოლინო კონცერტი *Ofertorium*. ეს ჯერ კიდევ მყარად მდგარი ბერლინის კედლის

ლოცვა რწმენისა და დისპარმონიის ენაზე

გუბაიდულინას მუსიკალური ენა, ზოგადად, მისი მუსიკის სტრუქტურა თითქმის ყოველთვის ფილოსოფიურ სანწყის ან გარკვეულ კონცეფციას ეყრდნობა. გიგანტური, თითქმის 50-წუთიანი სიმფონია ორკესტრისა და ორლანისათვის სახელწოდებით „მესმის... დადუმდა...“ მეოცე საუკუნის პროგრამული სიმფონიების გამოძახილია, სადაც ბრუკნერის, მალერის, შონბერგისა და შოსტაკოვიჩის სიმფონიზმის გავლენა აშკარად იგრძნობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მის შემოქმედებაში რელიგიური მოტივები, რაც თითქმის ყველა მის ნაწარმოებში აირეკლება. შუა საუკუნეების ლეთისმეტყველის, მაისტერ ეკჰარდტის პოეტური სახეები, რომელიც ლოცვას უფრო ჰგავს („ცა წმინდაა და მის სინათლეს ვერაფერი აუფერულებს; მას არ ეხება არც დრო და არც სივრცე“) მუსიკის პოეტურ-რელიგიურ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. ფინალში დრამატულ-ქაოტური სანწყისი (რომელიც ბგერების წარმოდგენელი კონცენტრაციით ხასიათდება) მარტივ, ჰომოფონიურ და პოეტურ-ნაივურ თემას

„მუსიკა ხალხმანის ერთადერთი დარბია, სადას ლოგოსი ვერ მხრძანებლობს. მისი ახსნა ფაზულის ან სიუჟეტის საშუალებით შეუძლებელია, ამიტომაც ის თითქმის განთავისუფლებულია მოკალისა და ზნეობრიობისგან. თუმცა, ისტორიაში არის მაგალითი, როცა ნასიზმმა ვაზნარი ერთბაშად მიჰკაშირად აქცია. სტანლი კუბრიკის ფილმში „მეჰანისური ფორტოხალი“ მთავარი გმირი საღისტურ მკვლელობებს ხეიმკოვინის შთაგონებით ჩაღის“.

დაცემას ჰგავდა. იდეოლოგიური აკრძალვა გაუქმდა და ჰერმეტიულად დახშულმა მუსიკამ გარეთ ახალი, ტრადიციული ძალით გამოხეტქა. უჩვეულო, მყიფე, საბედისწერო „კრემჩენდომ“ და მასშტაბურმა ფინალმა, სადაც ბახის სიღრმე და შოსტაკოვიჩის სარკაზმი „პარალელური განცდებით“ აისახებოდა, ახალი, კოსმიური განზომილება შეიძინა.

ევროპულ პრესაში გაჩნდა რეცენზიები, სადაც მას მეოცე საუკუნის უდიდესი კომპოზიტორების – დიმიტრი შოსტაკოვიჩისა და ლუიჯი ნონოს გვერდით მოიხსენიებდნენ. სავიოლინო კონცერტი (რომელშიც სოლო პარტიას უკვე გიღონ კრემერი ასრულებდა) პარიზშიც აუღერდა, ხოლო კონცერტის შემდეგ საფრანგეთის რადიომ მას სიმებიანი ტრიო შეუკვეთა, რომელიც ბორის პასტერნაკის ხსოვნას მიეძღვნა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა „გზანი წამებისანი“ დასრულდა! ევროპისა და ამერიკის მუსიკალურ წრეებში უცნობი კომპოზიტორი-ქალბატონის ფენომენზე ალაპარაკდნენ. უკვე აღიარებული გუბაიდულინა გერმანიაში შეხვდა თანამედროვეობის ლამის მითითურ კომპოზიტორს, ჯონ კეიჯს, რომელთანაც ერთად მოგვიანებით სანკტ-პეტერბურგში გამართულ „თანამედროვე მუსიკის კვირეულში“ მონაწილეობდა. თუმცა სრულიად განსაკუთრებული და ალბათ, ისტორიული მნიშვნელობისაა 2000 წლის კონცერტი შტუტგარტში, სადაც ბახისა და გუბაიდულინას სახელები ვოკალურ-სიმფონიური „იონანეს ვნებებით“ ერთმანეთს სამუდამოდ გაერთიანა.

უპირისპირდება. ორლანის გიგანტური დისპარმონიული ყდერადობა და სიძლიერე ყველაფერს ნთქავს, მაგრამ სადაც შორიდან სუსტი, ძლივს გასაგონი მელოდია აღმოცენდება... როგორც კატასტროფის წინაშე მდგარი დედამინის ბავშვური აღსარება და ტიტინი; როგორც უმწეობა, რომელიც ძალადობას დაძლევეს. ჩინურ ანდაზაშიც ხომ ასეა – სისუსტე ძლიერება და ძალა არარაობა.

სხვათა შორის, აღმოსავლური კულტურისა და მუსიკის გავლენა გუბაიდულინას ბოლოდროინდელ მუსიკალურ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა. განსაკუთრებით 90-იანი წლების შემდეგ, როცა მან იაპონიაში იმოგზაურა და ადგილობრივ მუსიკალურ კულტურას, არქიტექტურას და პოეზიას ეზიარა. საბჭოთა გიგანტომანიით „მონამლული“ ადამიანისათვის აღმოსავლური დახვეწილობა, ხელოვნების ასკეტური ფორმები და ბუდისტური ფილოსოფია ერთგვარად შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. იაპონიაში გუბაიდულინა ცნობილი მუსიკოსისა და კომპოზიტორის კაზუე საგაის შემოქმედებას ეცნობა, რომელიც ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში შექმნილ ინსტრუმენტზე – კოტოზე უკრავს.

სწორედ ბუდიზმის გავლენით შეიქმნა მისი კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები „დილით ადრე, გავლიძებისა“ (1995) და „ხეების ჩრდილში“ (1998), რისთვისაც იაპონიის იმპერატორის პრემია მიიღო.

>>> **ბაზრქილება** გვ. 103





ვერა პავლოვა

მოუთმენლად ველი, როდის დაგპატიჟებენ საქართველოში

ავტორი: ია მერაქვილაძე

ვეკითხები, – „სექსუალნია კონტრ-რევოლუციონერკა“ ვარო, – რომ წერთ, – თანაც იატაკქვეშეთში გადასულხართ, „ჩვენკენ“ როდის და სად იყო ამგვარი რევოლუცია, რომ „სექსუალნია კონტრა“ ეშვა-თქო? ასე მპასუხობს: „მე მხედველობაში მქონდა პირადი ისტორია, ჩემი შინაგანი დრო. საბედნიეროდ, რევოლუცია მალე ჩაახშეს“...

იმასაც ვეკითხები, – მამაკაცს რომ მშობიარობის უნარი ჰქონდეს და პოსტ-სამშობიარო შოკი გამოსცადოს, პოეზია როგორი იქნებოდა-მეთქი? ვერა დიდხანს ფიქრობს და... დუმილით მპასუხობს. სამი წლის წინ ჩემს საყვარელ, ამჟამად 90 წლის ბებერ *New Yorker*-ში მაშინ ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი ვერა პავლოვას ლექსები აღმოვაჩინე – ოთხი პოემა. ინგლისურად კითხვას თავი მაშინვე მივანებე და ინტერნეტში ორიგინალური ტექსტის ძიება დაიწყე. *New Yorker*-ში გამოქვეყნება თავისთავად

დადებით რეცენზიას ნიშნავს, ანუ, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ, ავტორს „კარგი პრესა აქვსო“. მერე ვერა *Vogue*-ის ფურცლებზეც გაჩნდა თავისი ახალი ინგლისურენოვანი წიგნით ას სასიყვარულო ისტორიაზე. კინალამ *Playboys*-ის „ბინადარიც“ გახდა: ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ჟურნალის დასტამბვამდე გამოცემის ლიტერატურული გვერდი გაუქმდა და ვერაც „გააუქმეს“. *Vogue* პავლოვას ახმატოვასა და ცვეტაევას გამგრძელებელს უწოდებს, ხოლო მის ლექსებს – „მგრძობიარესა და ეპიგრამულს; ბედნიერი, ქედმაღლური, მაქმანური, რომანტიკული განწყობებით; მონვნენილი ხმა ძლიერი, განმენდილი ემოციის ნაცვლად; დროდადრო ეროტიკული, ნაზი და დედობრივი“...

როცა საუბრობს, ანუ როცა არ წერს, მაინც გგონია, რომ ლექსს ხმამაღლა წერს, რადგან არ უნდა თავის პოეტურ სტილს უღალატოს, პოეზიიდან გამო-

ვიდეს. შეიძლება იმის ბრალიცაა, რომ ინტერვიუები საშინლად არ უყვარს. იშვიათად საუბრობს კითხვა-პასუხის პროზით. მაგრამ, როგორც კი გაიგო, რომ მისი სიტყვები, როგორც თავად მითხრა, „ლამაზი ქართული ასოებით დაინერება“, ინტერვიუზე მაშინვე დამთანხმდა. ვერა პავლოვას ლექსებში პოეტური ეროტიკაა. „ცუდ“ გოგონას ძალიან კარგად თამაშობს და ალბათ ამიტომაც, ხუთიანის გარდა, სხვა ნიშანს არ ცნობს. საკუთარი სხეული და ვნება მისი მუზა და ექსლიბრისია. ზემოთ რომ თქვა, – საბედნიეროდ, რევოლუცია მალე ჩაახშესო, – ისევ „ვერკას“ „ხულიგანსკი“ დისკურსს შეიძლება დავაბრალოთ. ჰო, კიდევ ერთი რამ: ყველა პოეტს „თანამედროვეს“ უწოდებს.

ქართულ ასოებზე გაცილებით ადრე კი მისი ნააზრევი ლათინურით გაჩნდა. უფრო სწორად – ინგლისურად. ამას წინათ კი ნიუ-იორკის ლიტერატურის

მოყვარულთა მალაზიების თაროებზე გამოჩნდა ვერა პავლოვას ახალი ნიგნი If There Is Something To Desire – სიყვარულზე, სინაზეზე, ლტოლვაზე, მონატრებაზე, თავისიანებზე, ოჯახზე. ვერას ლექსებს მისი ამერიკელი ქმარი, პროფესიონალი მთარგმნელი თარგმნის.

ვიცი, რომ ლამაზად წერს, მელოდიურად, თან „კონტრრევოლუციურად“, თითქოს ჰარმონიას ნაიმღერებს, თანაც ცოცხალ რიტმში. განათლებაც შესაბამისი აქვს – მუსიკის ისტორიკოსია. დაამთავრა შნიტკეს სახელობის კოლეჯი და გენსინების სამუსიკო აკადემია. წერდა მუსიკას, 10 წელი საეკლესიო გუნდში მღეროდა, პოეტური ხელოვნების საბავშვო სტუდიაც გახსნა. როგორც თავად ამბობს, 4 წლის ასაკის 12 ბავშვი 15 წლის ასაკამდე ზარდა და თან მათი „ბავშვობა თავისთვის შეინახა“. დღეს უფრო მეტია, ვიდრე რუსი მოდური პოეტი, თანაც არ უყვარს სიტყვა „პოეტესა“. Если меня не любишь, значит, это не Я... აი, ასეთია.

ვთხოვ, იქნებ ისეთი რამ მითხრათ თქვენ შესახებ, რაც ინტეში არ არის-თქო...

– უბრალო კითხვაა, არა? – მპასუხობს, – „ჰაუ ა იუ?“ – ეს იმ რიგის კითხვაა, რომელსაც მე მხოლოდ ლექსებით შემიძლია ვუპასუხო. მაგალითად ასე:

АВТОПОРТРЕТ В ПРОФИЛЬ

Я _
та,
которая
просыпается
справа
от
тебя.

იმედი მაქვს, რომ ქართულად თარგმნისას კიბის მარჯვენა კიდე წვეტიან-ცხვირიან პროფილთან მსგავსებას შეინარჩუნებს, – თარგმანს ვერ ვპირდები და ვეკითხები:

– რატომ წერთ, რომ ანბანში იჭყლიტებით? ასოებს რომ არ ეარსებათ, მაშ რა იარსებებდა თქვენთვის?

– ნოტები. ასეც იყო: რვიდან თორმეტ წლამდე მუსიკას ვწერდი. მერე ასოები მოვიდნენ და გაიმარჯვეს.

– კიდევ: **Дарвин, Дарвин, хочу назад!** სად უკან?

– მინდორზე. მწერების საზოგადოება-

ში. ჭიამაიებთან და კალიებთან. დავილაღე ფიქრით.

– **საეკლესიო გუნდში თქვენი წარმოდგენა რატომღაც მიჭირს.**

– ჩემი სადიპლომო რომანის გმირი – შოსტაკოვიჩი გახლდათ. ჩემი ლექსები მუსიკას დაესესხნენ არა მარტო მელოდიურობას, არამედ ჰარმონიას, პოლიფონიას, კომპოზიციურ ხერხებს. რაც შეეხება გუნდს – ჩემი პირველი მეუღლე რეგენტი იყო.

– **თქვენ არამ ხაჩატურიანსაც იცნობდით...**

– ათი წლის ვიყავი. სამუსიკო სკოლაში ვსწავლობდი. ხაჩატურიანი ჩვენი კლასის კომპოზიციის კონცერტზე მოიყვანეს. ჩვენ ამ კომპოზიტორისთვის საკუთარ ნაწარმოებებს ვუკრავდით. ხაჩატურიანმა თავისი საფორტეპიანო პიესების კრებულზე გიგანტური ნაბეჭდი ასოებით დამინერა, – ВЕРОЧКЕ УСПЕХОВ В ТВОРЧЕСТВЕ. ერთი სიტყვით, დამლოცა, სანამ მიწაში ჩავიდოდა.

– **პირველი ქალიშვილის დაბადება ლექსების დაბადებას უკავშირდება? მეორის?**

– ოჰ, ასე იყო. მე ისე ხშირად ვყვები ამის შესახებ, რომ ჩემი თავი უკვე მომბეზრდა. მაგრამ სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოაგდებ: პირველი ლექსები სამშობიარო სახლში დავწერე. გრძნობების მოზღვავეებისგან. ანდა სულაც მშობიარობისშემდგომი შოკის გამო, რომელიც აგერ უკვე 26 წელი გრძელდება. გაუმჯობესება ჯერ არ ჩანს. მეორე ქალიშვილის დაბადებამ კი სიმპტომები კიდევ უფრო გაამძაფრა.

– **ზოგიერთებს მიაჩნიათ, წამიკითხავს, რომ თქვენს ლექსებში გენდერული იდენტობის ელემენტები გამოსჭვივის. ეთანხმებით ამას?**

– ეს იმათ ჰკითხეთ, ვინც ამას წერს. მე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ იმაზე, რასაც თავად ვწერ. თანაც არა – ყოველთვის, და არა – ყველას მიმართ.

– **ქალი არსებობს თუ – არა?**

– ვფიქრობ, ქალად გახდომა მთელი ცხოვრება გრძელდება. თუმცა, ეს ნამდვილ ქალებს ეხებათ – დიდი იშვიათობაა, გენიალურობის მსგავსი. დარჩე გოგონად, როცა ქალიშვილი ხდები, დარჩე ქალიშვილად, როცა ქალი ხდები, დარჩე ახალგაზრდად, როცა მოხუცდები და თან ისე, რომ ყველა ეს სტადია ერთიმე-

ორეს აშუქებდეს, გისხლტებოდეს, ფიქსირებას არ ექვემდებარებოდეს. რალაც-ნაირად ასე. აქ ყველაფერი დაშვებულია, ნებისმიერი წვრილმანი.

– **„ბრძენი სულელი ქალი“. ვინაა იგი? სულ ტირის?**

– ჰო, მან ტირილი სწორედ ყველაზე კარგად იცის! დროა ტირილის გაკვეთილებიც კი ჩაატაროს! რას აკეთებს? ნახეთ ჩემი ნიგნი «Мудрая дура» და გაიგებთ.

– **ერთ ქართველ პოეტს ვიცნობ, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ახალი წლის შეხვედრას Empire State Building-ის მწვერვალზე აპირებდა. თქვენ?**

– ამჯერად ახალ წელს ოდნავ დაბლა შევხვდი: მე ამ ახალ წელს არა „ემფაიერზე“, არამედ სხვა ცათამბჯენის სახურავზე შევხვდი, რომელიც იმ პარკთან – ცნობილი დაკოტას ახლოსაა, სადაც ლენონი მოკლეს. ეს უფრო მოკრძალებული სახლი იყო, მხოლოდ 38 სართული. „ემფაიერი“ ხომ 102-სართულიანია. მოსკოვში კი ახალ წელს ოსტანკინოში, სახლში, სახლის მე-18 სართულზე შევხვდებოდი და სწორედ ამ ბინის მაცხოვრებლებს ავიყვანდი ნიუ-იორკის სახურავზე: ჩემს ქალიშვილებს, მშობლებს, 97 წლის ბებოს. რათა ისინი ჩემთან ერთად დატკბნენ იმ სალუტით, რომელიც ფეხებქვეშ ცეკვავს.

– **რატომ ნიუ-იორკი?**

– მნიშვნელოვანი შესწორება: მე მართო ნიუ-იორკში არ ვცხოვრობ. მოსკოვსა და ევროპაში არანაკლებ დროს ვატარებ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ 37 წლის ასაკამდე მე არა მარტო სამშობლოს საზღვრებს არ გავცდენილვარ, არც არსად გადავბარგებულვარ. ვცხოვრობდი ბინაში, რომელშიც სამშობიარო სახლიდან მიმიყვანეს! ბოლო ათი წლის განმავლობაში კი, მოგზაურობის გარდა, სხვას აღარაფერს ვაკეთებ. ასე რომ, მე, რასაკვირველია, მწვავედ ვგრძნობ კონტრასტებს, როცა ამა თუ იმ საზღვარს ვკვეთ. ისე მწვავედ, რომ ეს განცდაც მხოლოდ ლექსებით შემიძლია გადმოვცე. ნიგნში, რომელზეც ამჟამად ვმუშაობ, ასეთი ლექსი ცოტა არ იქნება. მაგრამ გაცილებით ნაკლები, ვიდრე სასიყვარულო! სიყვარული ამერიკაშიც სიყვარულია!

– **რა არის თქვენთვის ამერიკის ვიზა?**

– ჩემთვის ამერიკის ვიზა არის ჩემს ქმართან ყოფნის საშუალება. ჩემი ქმარი – ასე მოხდა! – ამერიკელია. და მადლობა ღმერთს („ღმერთს“ მე დიდი ასოთი ვწერ!), რომ ჩვენ „ვეგეტარიანულ“ დროში ვცხოვრობთ, და მე არა ვარ ვალდებული, არჩევანი ქმარსა და მშობლებს შორის გავაკეთო – შემძლია ვიცხოვრო იქაც და აქაც. «Везде». ერთ-ერთ ჩემს წიგნს სწორედ ასე ჰქვია. აბა, სცადეთ და გადათარგმნეთ ეს სახელწოდება!

– ვერ გადათარგმნი. თქვენი წიგნები თქვენი შვილებია თუ ქმრები?

– შვილები და საყვარელი შვილები. ჩემი ამერიკული წიგნი („If There Is Nothing To Desire, Knopf“, 2010) – განსაკუთრებით მიყვარს: იგი ჩემმა ქმარმა სთივენ სეიმორმა გადათარგმნა. ის თარგმნიდა იმ ლექსებს, რომლებიც ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ, რომლებშიც მე მას სიყვარული აუხსენი. ჩვენ ერთად გავიარეთ წიგნის დაბადების ყველა სტადია. ამ ბედნიერ წიგნთან შედარებით, სხვა ჩემი წიგნები – მამით ობლები არიან. ჩვენი ქორწინების საფუძველი პატიოსნება და გულახდილობაა, და კიდევ – ერთგულება. და ცოლის ქმრისადმი მორჩილება. ეს ტრადიცია ჩემთვის წმინდაა. მე ვუმღერო ეროტიკას, და რაა გასაკვირი იმაში, რომ ბევრი ჩემი ლექსი ეროტიკულია? გასაკვირი სხვა რამ უფროა: როგორ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული

პოეზია ცოლ-ქმრის სანოლის სუფთა და ღრმა სიხარულებს.

– რატომ მაინცდამაინც მორჩილება? ქმარი – ცოლის მორჩილი?

– ცოლის ქმრისადმი მორჩილება სულიერი მამისადმი მონაზვნის მორჩილებას ჰგავს. მთავარია, იზოვო მამაკაცი, რომელსაც პატივს სცემ, რომლითაც აღფრთოვანებული ხარ, რომელიც ისე ალგამატება, რომ მისი მორჩილება – სიამოვნებაა, მას ეკუთვნოდე – პატივია. ვშიშობ, ასეთი ბევრი არაა. მე გამიმართლა.

– თქვენ წერთ, რომ ფატალისტი ხართ.

– არსებობს ლათინური გამონათქვამი: Amor Fati. აი, მეც მიყვარს ჩემი ბედი. და ამ სიყვარულის არაცალმხრივობის იმედი მაქვს. მე იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა ნიჭი და გემოვნება, რათა ზედმეტი მოძრაობებისგან დამიცვას.

– თქვენ ოჯახური ყოფისადმი ცვეტა-ევასეულ თავზარს არ იზიარებთ. ოჯახში როლების პატრიარქალური გადანაწილება ბევრ დროსა და ენერჯიას არ გართმევთ?

– სწორედაც რომ პატრიარქალური მოდელი, Домострой, თუმცა – ჩვენი მოსახერხებელი დროის კორექტივებით: სწრაფი მომზადების პროდუქტები, საოჯახო ტექნიკა.

– თქვენს ლექსებში სიმსუბუქე და ექსცენტრიულობა იგრძნობა. ეს თქვენი ცხოვრებისეული სტილიცაა, რადგან სტილი ყველაფერია?

– ვიმედოვნებ, რომ სიმსუბუქის ქვეშ თქვენ ფრენასა და მსუბუქწონიანობას გულისხმობთ. ფრენას ბუნებრივად ვაღწევ, რომელიც, თავის მხრივ, შრომით მიიღწევა; მე ვიტყვოდი – ოსტატობით. თან არ უნდა ვგრძნობდე, რომ ოსტატობა პოეტს მხოლოდ ხელს უშლის. რთულად მეძლევა? დიახ. მაგრამ ეს ნეტარი სიმძიმეა. იგი ნეტარია იმ მამაკაცის სიმძიმესავით, რომელიც ზევადან განეცხ – რადგან მე ეროტიკულ პოეტად ვითვლები.

– როდის წერთ? როდის ხართ საკუთარ თავთან ახლოს? როცა დუმხართ თუ – საწოლში?

– როცა უხმოდ სანოლში ვწერ. რადგანაც სწორედ იქ ვწერ. უფრო სწორად კი, ვწერ იმას, რაც აბაზანაში მოვიფიქრე. ალბათ იქ, აბაზანაში, ჩემს თავთან ყველაზე ახლოს ვარ.

– ბავშვობაში დაბრუნებისას?

– მე იქ მუდმივად ვბრუნდები. ლექსებში. ოღონდ რაღაცას ოდნავ ვცვლი ლექსების საშუალებით. მიყვარს საუბარი ჩემსა და სხვის ლექსებზე. ბოლოს და ბოლოს ეს ერთადერთი სფეროა, რომელშიც მე ნამდვილად კარგად ვერკვევი. არ მიყვარს იმაზე საუბარი, რაც არ ვიცი.

– თქვენ ცნობილი რუსი პოეტების ლექსები წაიკითხეთ და CD-ზე ჩანწერეთ.

– კომპანია „კონტენტ-მედიისთვის“ 7 დისკი – პასტერნაკი, ცვეტაევა, მანდელშტამი, ახმატოვა, კუზმინი, ბლოკი, ესენინი ჩავწერე. მე თავად შევარჩიე ლექსები, ამისთვის კი ამ მშვენიერთა მიერ დაწერილი ყველაფერი წავიკითხე: პირველიდან უკანასკნელ ასომდე. მგონი, მათი ლექსები უკეთესად წავიკითხე, ვიდრე, როგორც წესი, ჩემებს ვკითხულობ, რომლებსაც, გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან კარგად ვკითხულობ.

– თქვენს საიტზე ანიმაციაა – „ფრიადოსანი გოგონას ინტიმური დღიური“.

– ანიმაცია თანამედროვე პოეტების მოტივებზე შექმნილი კლიპების პროგრამისთვის გაკეთდა. „ფრიადოსანი გოგონას ინტიმური დღიური“ ჩემი მეექვსე წიგნია. მე არასოდეს ვყოფილვარ კარგოსანი, მით უმეტეს – ოროსანი. ღმერთმა დამიფაროს! ვერ ვიტან „ხალტურას“, მომბებრებელ გაკვეთილებს, ყველაზე მეტად ვაფასებ ფრიადს პლუსით და მასწავლებლის მიერ გამოხატულ მოწონებას.

– და, ბოლოს, ქართულ ლიტერატურაზე გკითხავთ.

– ქართულ ლიტერატურაზე გაცილებით ნაკლები ვიცი, ვიდრე სასურველი იქნებოდა. ჩემთვის ასევე რთულია ქართული და რუსული ლიტერატურული კავშირების წყვეტის შესახებ საუბარი. მაგრამ მოსკოვის ბიენალე-2007-ზე ქართველი პოეტების გამოსვლა ყველაზე დასამახსოვრებელი იყო. პოეტური სტიქია მათ ლექსებში ჩქეფდა, დულდა, ზღვარს გადადიოდა. მოუთმენლად ველი, როდის დამპატიებენ საქართველოში: მე ხომ საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ. და კიდევ ერთი რამ – ცოტაა ისეთი წიგნი, რომლებსაც ისე ხშირად ვუბრუნდები ხელახლა, როგორც მერაბ მამარდაშვილის წიგნებს.





მუსიკა

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

FM 105.5

გორი, ქარელი, საშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

FM 104.5

ურეკი, ქობულეთი, ბათუმი

FM 101.0

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9

ალარ იბეჭდება

ამერიკული გაზეთის სისოცხლე და აღსასრული

ავტორი: ერიკ ალტარმანი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე
ინტელისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

◦სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, მარტი 2008

ამერიკული გაზეთი არსებობის დაახლოებით სამას წელს ითვლის. 1690 წელს, ბენჯემინ ჰარისის თაოსნობით, „ფაბლიკ ოქუარენსის“ (Publick Occurrences, Both Forreign and Domestick) ერთადერთი ნომერი გამოვიდა, რომლის გამოსვლისთანავე მასაჩუსეტსის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაზეთი დახურა. ჰარისის პროზიცია ინდიელთა განდევნის მიმართ ხისტი და პოლიტიკურად გაუმართლებელი აღმოჩნდა, ვილაცუიდაცები კი იმ ცნობამ გააღიზიანა, რომ საფრანგეთის მეფე პრინცი მეუღლეს ეარშიყებოდა.

1721 წლამდე, როცა ბენჯემინ ფრანკლინის უფროსმა ძმამ, ტიპოგრაფმა ჯეიმს ფრანკლინმა „ნიუ ინგლენდ კურანტი“ (New England Courant) გამოუშვა, ჩრდილოეთი ამერიკის ტერიტორიაზე, ბრიტანულ კოლონიაში ნამდვილი გაზეთის მსგავსი არაფერი გამოდიოდა. ფრანკლინმა უარი თქვა სტანდარტული სალიცენზიო ხელშეკრულების დადებაზე. ამასთანავე, ის მუდმივად უპირისპირდებოდა ნიუ ინგლენდის მმართველ წრეებს, რის შედეგადაც სარედაქციო დამოუკიდებლობაც მოიპოვა და კომერციული წარმატებაც. გაზეთი ივსებოდა სხვადასხვა მოვლენის წინააღმდეგ მიმართული კამპანიებით (მეკობრეებით დაწყებული კოტენ და ინკრის მეზერების ძალაუფლებით დამთავრებული), ედისონისა და სტილის ლიტერატურული ესეებით, განსხვავებული ჩანახატებით, მრავალგვარი ფილოსოფიური განაზრებებით.

ფრანკლინის „კურანტის“ გამოსვლიდან სამი საუკუნის შემდეგ კი პესიმისტობა არ იქნება, თუკი დაინტერესდები – ვინ იქნება უკანასკნელი ნამდვილი ამერიკული გაზეთის გამომცემელი? ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ გაზე-

თები დღევანდელი, ნაბეჭდი ფორმით დიდხანს შეძლებენ არსებობას. მათი გამომცემელი კომპანიები ისეთი სისწრაფით კარგავენ რეკლამის შემკვეთებს, მკითხველს, საბაზრო ღირებულებას და, გარკვეული აზრით, საკუთარი მისიის განცდას, რომ ამას სულ რაღაც ოთხი წლის წინაც კი ვერავინ წარმოიდგენდა. ცოტა ხნის წინ „ტაიმსის“ აღმასრულებელმა რედაქტორმა, ბილ კელერმა ლონდონში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „იქ, სადაც გამომცემლები და რედაქტორები იკრიბებიან, ბოლო დროს ისეთი განწყობა სუფევს, თავი დაკრძალვაზე გეგონება. რედაქტორები ერთმანეთს ისე ფრთხილად ეკითხებიან: „როგორ ხარ?“, როგორც იმ მეგობარს შეეკითხებოდნენ, რომელმაც ახლახან სარეაბილიტაციო კურსი გაიარა ან განქორწინების უსიამოვნო პროცესი გადაიტანა“. კელერის სიტყვა „გარდაინის“ ვებგვერდზე განთავსდა, სათაურით: „ჯერ არ მომკვდარა“.

რას უნდა შეექმნა განწირულობის ამგვარი განცდა, თუ არა – ტირაჟებსა და რეკლამებთან დაკავშირებულ ტენდენციებს: ინტერნეტის მზარდ პოპულარობას, რომელმაც ყოველდღიური გაზეთი დაგვიანებულ და არაადეკვატურ მოპასუხედ აქცია; კრეგლისტის შექმნას, რომელმაც ერთიანად მოსპო საგაზეთო სარეკლამო განცხადებები. მედიაფლობელის, ალენ მატერის ნათქვამის თანახმად, ბოლო სამ წელიწადში სავაჭრო ქსელში არსებულმა, დამოუკიდებელმა ამერიკულმა გაზეთებმა საბაზრო ღირებულების 42% დაკარგეს. იშვიათად თუ დასჯილა უოლ სტრიტზე კორპორაცია ისე, როგორც ისინი, რომლებმაც საგაზეთო ბიზნესში ფულის ჩადება გაბედეს. 2005 წელს „მაკკლეი კამპნი“ ერთადერთი კომპანია იყო, რომელმაც აუქციონზე გამოტა-

ნილი „ნაით რიდერის“ შესაძენად განაცხადი გააკეთა, თუმცა მას შემდეგ 6,5 მილიონ დოლარად შეძენილი აქციების საბაზრო ღირებულებამ 80%-ზე მეტით დაიკლო. „ლი ენტერპრაიზის“ სააქციო კაპიტალი სამი მეოთხედით შემცირდა მას შემდეგ, რაც იმავე წელს მან „პულიცერი“ შეიძინა. ამერიკის ნაქები ბეჭდვითი ორგანოები მოულოდნელად კორპორაციებს მიმე ტვირთად დააწვეს. დაუნდობელი ტრანსფორმაციების ეპოქაში, სხვებისთვის კონკურენციის განწევის ნაცვლად, იმ ოჯახებმა, რომლებიც „ლოს ენჯილიზ ტაიმსსა“ და „უოლ სტრიტ ჯურნალს“ ფლობდნენ, აქციების დიდი ნაწილი გაყიდეს. 2004 წლის შემდეგ „ნიუ იორკ ტაიმსის“ აქციები 54%-ით შემცირდა, გასული წლის თებერვლის ბოლოს კი მან უფრო დიდი ზარალი ნახა, როცა „დოიჩე ბანკის“ ანალიტიკოსმა თავის კლიენტებს „ტაიმსის“ აქციების გაყიდვა ურჩია. „უოშინგტონ პოსტი“ ამგვარ ხვედრს მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ რებრენდინგს მიმართა და „საგანმანათლებლო მედიაკომპანია“ გადაიქცა. ახლა მისი შემოსავლის ნახევარი შემოაქვს „კაპლანს“, სადაც სხვადასხვა ტიპის გამოცდების ჩასაბარებლად მსურველებს ამზადებენ.

ბოლო დრომდე გაზეთები მონოპოლიისა და მაღალი შემოსავლის პირობებში გამოდიოდა. ათწლეულების მანძილზე არა მხოლოდ მონინავე, არამედ სტანდარტული, ამერიკული ქალაქის გაზეთის გამოცემაც კი თითქმის იმას ნიშნავდა, რომ ფულის მოჭრის უფლება გქონდა. და მაინც, ინტერნეტის ეპოქაში ვერავინ მოიფიქრა, როგორ უნდა გადაერჩინათ იგი შეერთებულ შტატებში თუ მის ფარგლებს გარეთ. გაზეთებმა ვებგვერდები შექმნეს, რომლებიც მზარდი ონლაინ-რეკლამების-

გან გარკვეულ სარგებელს იღებენ, მაგრამ მიღებული თანხა ოდნავადაც ვერ უახლოვდება შემოსავლის იმ რაოდენობას, რომელსაც ისინი გაყიდული ტირაჟებითა და საგაზეთო განცხადებებით იღებდნენ. აღნიშნულ სფეროში დასაქმებული მენეჯერების უმრავლესობამ ბიზნესის ჩავარდნას უპასუხა ბიუჯეტის შეკვეცით, ბიუროების დახურვით, აქციების საკონტროლო პაკეტის გაყიდვით, გამოცემის დროებითი შეჩერებით და გვერდების ზომისა თუ სვეტების სიგრძის შემცირებით. 1990 წლიდან დღემდე ამერიკულ გაზეთებში სამუშაო ადგილების მეოთხედი დაიკარგა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მიმომხილველი მოლი აივისი ჩიოდა: საგაზეთო კომპანიებმა პრობლემის გადასაჭრელად „ჩვენი პროდუქტი უფრო შეამცირეს, უფრო უსარგებლო და უინტერესო გახადეს“. სწორედ ამით ახსნება, თუ რატომ მცირდება დღითი დღე იმ ამერიკელების რიცხვი, რომლებიც ყოველდღიურ გაზეთს ყიდულობენ, მის წაკითხვას კი უფრო ცოტა დროს უთმობენ: საშუალოდ – თვეში თხუთმეტი საათზე ნაკლებს. 18-დან 34 წლამდე ამერიკელების მხოლოდ 19% თუ შეაველებს ხოლმე თვალს ყოველდღიურ გაზეთს. ამერიკული გაზე-

თების მკითხველების საშუალო ასაკი 55 წელია და ის კიდევ უფრო აიწეეს. ფილიპ მერი 2004 წელს გამოცემულ წიგნში „გამქრალი გაზეთი“ წინასწარმეტყველებს, რომ 2043 წლის ერთ მშვენიერ დღეს სახლის ზღურბლთან უკანასკნელი გაზეთის უკანასკნელი ეგზემპლარი დაგხვდებათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ავბედით ტენდენციას როგორღაც დაემთხვა გაზაფხულზე, ვაშინგტონში, 450 მილიონ დოლარად შეფასებული ჟურნალისტიკის მუზეუმის გახსნა. ის, რასაც ბილ კელერი „მელნიანი ცელულოზის ძველებურ, მიმზიდველ დასტას“ უწოდებს, სულ უფრო ემსგავსება ვიტრინაში გამოსაფენ არტეფაქტს. რასაკვირველია, გაზეთს ინტერნეტი ჩაენაცვლა, რომელიც სადაცაა, გაასწრებს კიდევ მას და ერთადერთი წყარო გახდება, საიდანაც ამერიკელი მკითხველები პოლიტიკურ სიახლეებს შეიტყობენ. ახალგაზრდებისა და პოლიტიკით დაინტერესებულების უმრავლესობისთვის ეს დღე უკვე დადგა. ჯერ კიდევ 2004 წლის მაისში ახალგაზრდები გაზეთებს, როგორც ახალი ამბების შეტყობის საშუალებას, ბოლო ადგილზე ასახელებდნენ. კარნეგის კორპორაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 35 წლამდე რესპონდენტების 39%-მა მკვლევრებს

განუცხადა, რომ მომავალში ახალი ამბების შესატყობად მხოლოდ ინტერნეტს გამოიყენებს. მხოლოდ 8%-მა თქვა, რომ ამ მიზნით გაზეთებს მიმართავს. არის რაღაც გაუმართლებელი ირონია იმაში, რომ ვებსივრცეში პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის ძებნისას მკითხველი ხშირად ისეთ გვერდს გადაწყდება ხოლმე, სადაც გაზეთებიდან ამოკრეფილი სტატიებია თავმოყრილი, თუმცა ამას აღარც საგაზეთო სამუშაო ადგილების გადარჩენა შეუძლია და აღარც ამ გამოცემების აქციების ღირებულების გაზრდა.

ქალაქის გაზეთებიდან ციფრული ინფორმაციის სამყაროში გადასვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს თავად „ახალი ამბების“ ბუნება წარმოადგენს. ამერიკული გაზეთები (და სალამოს ტელეგადაცემები) ურთიერთსაპირისპირო ღირებულებებითა და შეხედულებებით გამორჩეული ფართო აუდიტორიის მიზიდვას იმით ახერხებენ, რომ მიზნად დასახულ ობიექტურობას ბოლომდე იცავენ. ბევრი გაზეთი, წონასწორობისა და მოუკერძოებლობის საჩვენებლად, რეპორტიორებს საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოთქმის უფლებას არ აძლევს, უკრძალავს დემონსტრაციებში მონაწილეობას, პო-

რამდენადაც გაზთი პასუხისმგებლობას იღებს საქმთარ მასალაზე იმ სარაღაქსიო კროსანის საშუალებით, რომლის დროსაც პროფესიონალი რეპორტიორები და რაღაქმორები საბუღალბულოდ ამონებებან წყარობს, აუუსტებან ბამოსაქვეყნებულ ინფორმაციას, ბლოგოსფარო ხარისხის კონტროლს მთლიანად მკითხველბს ანდობს.



ლიტიკურ კამპანიებში მოხალისეებად ჩაბმას, პოლიტიკური ემბლემით გამორჩეული აქსესუარების ტარებას, მანქანებზე სტიკერების მინებებას.

პირად საუბრებში რეპორტიორებიც და რედაქტორებიც აღიარებენ, რომ ობიექტურობა იდეალია, მიუწვდომელი ჰორიზონტია. უურნალისტები კი, ცოტა არ იყოს, ფიცხი და იოლად გასანაწყენებელი ხალხია. ბევრ მათგანს გაუჭირდება საჯაროდ იმის აღიარება, რომ ნაბეჭდი ტექსტის თუნდაც მცირედ შესწორება მოუხდა. ისინი სკეპტიკურად უყურებენ იმას, რომ შესაძლოა, მათი წარმოდგენები ზეგავლენას ახდენდეს ამბის ობიექტურად გადმოცემაზე. როგორც „უოშინგტონ პოსტის“ სახელგანთქმული პოლიტიკური მიმომხილველი, დევიდ ბროდერი ამბობს, „საშუალო რეპორტიორს მხოლოდ ნამცეცისოდენა იდეოლოგია თუ აქვს“.

ამასობაში გაზეთების მიმართ საზოგადოების ნდობა სულ უფრო მცირდება. „სეიქრიდ ჰართ იუნივერსიტის“ (Sacred Heart University) მიერ ახლახან გამოქვეყნებული გამოკვლევა მონიშნავს, რომ ამერიკელების 20%-ზე ნაკლებს სჯერა მედიის „მთლიანად ან დიდწილად“. ბოლო ხუთ წელიწადში ეს ციფრი 27%-ით შემცირდა. „ხუთ კაცში ერთს თუ სჯერა იმის, რასაც უურნალ-გაზეთებში კითხულობ“, – ნათქვამია 2007 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში („საინფორმაციო მედიის დღევანდელი მდგომარეობა“), რომელიც მოამზადა კვლევითმა ორგანიზაციამ Project for Excellence in Journalism. აქვე ვკითხულობთ: „სინამდვილეში, CNN-ს Fox-ზე მეტად, ან ABC-ს NBC-ზე მეტად სულაც არ ენდობიან. ადგილობრივ გაზეთსაც ისე უყურებენ, როგორც „ნიუ იორკ ტაიმსს“. გაცილებით მეტ ამერიკელს სჯერა მფრინავი თევზების თუ 9/11-ის შეთქმულების თეორიის, ვიდრე მეინსტრიმული საინფორმაციო მედიის მიუკერძოებლობისა და მეტ-ნაკლები ობიექტურობის“. „სეიქრიდ ჰართის“ გამოკვლევის თანახმად, ათიდან ცხრა ამერიკელი ამბობს, რომ მედია მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენას, თუმცა მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ იმის თაობაზე, ლიბერალებისკენ უფრო იხრება მედია,

თუ კონსერვატორებისკენ.

არანაკლებ ანგარიშგასანეცია ის სწრაფი ტრანსფორმაცია, რომელიც თავად „ახალი ამბების“ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებამ და მოთხოვნებმა განიცადა. 2005 წლის აპრილში, Dow Jones & Co-სა და „უოლ სტრიტ ჯურნლის“ შექმნამდე ორი წლით ადრე, რუპერტ მერდოკი ამერიკული გაზეთების გამომცემელთა ასოციაციისადმი მიმართვაში მედია-ბიზნესში ჩართულ, ნამყვან რედაქტორებსა და გამომცემლებს აფრთხილებდა, რომ დასრულდა ის დრო, როცა „ინფორმაციის გადაცემას ბოლომდე აკონტროლებდა რამდენიმე რედაქტორი, რომელიც წყვეტდა, რა უნდა გვცოდნოდა და რა არა“. ხალხი აღარ დაუშვებს „ვინმე ღმერთის მსგავსის“ არსებობას, რომელიც ახალ ამბებს ზემოდან „სახარებასავით“ გადმოგვცემს. დღევანდელ მომხმარებლებს „სურთ, რომ ახალი ამბები უმაღლეს მიანოდო, მათ განახლებაზე მუდმივად იზრუნო. მათ მხოლოდ ის კი არ აინტერესებთ, რა მოხდა, არამედ ისიც, რაც ამ წამს ხდება... და ბოლოს, უნდათ, რომ ინფორმაცია უფრო ფართოდ გამოიყენონ – ისაუბრონ, იკამათონ, შეკითხვები დასვან, იმ ხალხს შეხვდნენ, ვისაც მათი მსგავსი ან მათგან განსხვავებული წარმოდგენა აქვს სამყაროზე“.

მერდოკის გამოსვლიდან ერთი თვის თავზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოცდილი ოსტატი, 31 წლის ჯონა პერეტი და AOL-ის ყოფილი ხელმძღვანელი, კენეტ ლერერი ყოვლისმნახველ მიმომხილველ-გუბერნატორობის კანდიდატ-პოლიტიკურ აქტივისტს ერინა ჰაფინგტონს დაუკავშირდნენ და მასთან ერთად ახალი ვებგვერდი შექმნეს, რომელსაც „ჰაფინგტონ პოსტი“ უწოდეს. თავიდან „დრაჯ რიფორტის“ (Drudge Report) ლიბერალურ ალტერნატივად ჩაფიქრებული გვერდი პოლიტიკური სახსრებითა და ჭორებით შეივსო. მალევე ბლოგიც შეიქმნა, რომელზეც ისინი წერდნენ, ვინც ერინა ჰაფინგტონის წარმოუდგენლად დიდ სამეგობროსანაცნობოს ეკუთვნოდა. ეს კავშირები ამ ქალბატონმა წლების განმავლობაში გააბა, როცა იყო მწერალი, რომელიც ყველაფერზე წერდა, ბერძნული ფი-

ლოსოფიით დაწყებული პიკასოს ცხოვრებით დამთავრებული; კალიფორნიის მდიდარი რესპუბლიკელი კონგრესმენის მეუღლე, განქორწინებისა და იდეოლოგიის შეცვლის შემდეგ კი – ლოს-ანჯელესელი ლიბერალი მიმომხილველი და გუბერნატორობის კანდიდატი.

მიუხედავად ყველაფრისა, „ჰაფინგტონ პოსტის“ მფლობელებმა თითქმის შემთხვევით აღმოაჩინეს ის ფორმულა, რომელმაც ინტერნეტის ეპოქაში გაზეთების წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდა. ისინი ირწმუნებიან, რომ მზად არიან, ამერიკული გაზეთი თავიდან შექმნან. ლერერი აცხადებს: „ადრევე დავინახეთ, რომ „დრაჯის“ მიბაძვა ამ საქმეში ბევრს ვერაფერს მოგვითმინებდა. ეს ჩვენი აუდიტორიის მოტყუება იქნებოდა. გამოსავალი ის გახლდათ, რომ აუდიტორიის თვალთ შეგვეხედა იმისთვის, რასაც ვაკეთებდით“.

ვებგვერდზე პერეტი განმარტავს, რომ ახალი ამბები ზემოდან კი არ უნდა მოგვანოდოს ვინმემ, არამედ „ეს პროცესი მომწოდებლისა და მომხმარებლის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად უნდა მიმდინარეობდეს“. იგი მერდოკსაც ეხმაურება და ამბობს, რომ ინტერნეტი რედაქტორებს „ყოველნაირ ინფორმაციას“ აწვდის იმის შესახებ, თუ რა აინტერესებთ მკითხველებს, რომელი სიახლე მისახურებს მათ კომენტარებს, რომელ ახალ ამბავს უზიარებენ ისინი მეგობრებს, და რას ეძებენ ყველაზე მეტად ვებსივრცეში. პერეტი ამტკიცებს, რომ ახალი ამბების ვებგვერდი „ყოველთვის ისეთი ცოცხალია, როგორც ვერასდროს იქნებოდა მელნიანი ფურცელი“.

მიუხედავად იმისა, რომ „ჰაფინგტონ პოსტს“ საკუთარი უურნალისტები ჰყავს (პატარა ჯგუფია, მაგრამ მომავალში მისი გაფართოების იმედი აქვთ), მასზე განთავსებული მასალების უმრავლესობა სადღაც სხვაგან იქმნება, ბეჭდურ მედიასა თუ ტელევიზიაში, ვიდეოს ვიდეოკამერითა თუ მობილური ტელეფონით. რედაქტორები ყველაფერს თავს უყრიან, რაც, მათი აზრით, მოცემულ თემაზე შექმნილ საუკეთესო მასალას წარმოადგენს. შემდეგ ისინი მას თვალმისაცემ, ხშირად ლიბერალური ჟღერ-

რადობის მქონე სათაურს ურჩევნ და ქვემოთ კომენტარების განყოფილებასაც მიაბამენ ხოლმე, სადაც მკითხველებს საუბრის გაბმა შეუძლიათ. სტატიების ირგვლივ როგორც ცნობილი (ნორა ეფრონი, ლარი დეივიდი), ასევე უცნობი ბლოგერების უსასრულო არმია კამათობს – მათი რიცხვი 1 800-ს აჭარბებს. ბლოგერებს ხელფასს არ უხდიან. სარგებელი, რომელიც ამ ყველაფერს მოაქვს, შესაძლოა, არც ისეთი თვალსაჩინო იყოს, მაგრამ, ლურერის მტკიცებით, „გადმოცემისა და გააზრების ახლებური გზა მთლიანად ცვლის ახალ ამბებს, ისევე, როგორც CNN-მა გააკეთა 30 წლის წინ“. ერინა ჰაფინგტონსა და მის პარტნიორებს სჯერათ, რომ მათი მოდელი იმაზე მიუთითებს, თუ საით მიდის საინფორმაციო მედიაბიზნესი. „ადამიანები ისე საუბრობენ გაზეთების აღსასრულზე, თითქოს ეს მომხდარი ფაქტი იყოს. ჩემი აზრით, სასაცილო ამბავია. უბრალოდ, ტრადიციულმა მედიამ უნდა გააცნობიეროს, რომ ინტერნეტ სამყარო მისი მტერი არ არის. სინამდვილეში, სწორედ ის გადაარჩენს მას, თუ ამ სივრცეს ბოლომდე აითვისებს“, – ამბობს ის.

თითქმის კომიკურად თამამი ამბიციაა იმ ექსპერიმენტისთვის, რომელსაც მხოლოდ 46 თანამშრომელი ახორციელებს. მათმა დიდმა ნაწილმა ხომ სულ ახლა-

ხან მიაღწია მანქანის დაქირავებისთვის საჭირო ასაკს. გარდა ამისა, ვებგვერდის განკარგულებაში დაახლოებით 11 მილიონი დოლარია, თუმცა ის მაინც შეინახავდა საკუთარ თავს რეკლამებიდან მიღებული წლიური შემოსავლით, რომლის ოდენობაც ექვსიდან ათ მილიონ დოლარამდე მერყეობს. ის, რაც ყველაზე მეტად ხიბლავს რეკლამების შემკვეთებს და სასონარკვეთაში აგდებს საგაზეთო კომპანიების ხელმძღვანელებს, ვებ-გვერდის ვიზიტორთა მზარდი რიცხვია. კომპანიის მონაცემების თანახმად, გასული 30 დღის განმავლობაში, დიდწილად დემოკრატების პრაიმერთან დაკავშირებული აჟიოტაჟის წყალობით, 11 მილიონამდე ავიდა „უნიკალური ვიზიტორების“ რიცხვი. ეს იმ კომპიუტერების რაოდენობას აღნიშნავს, რომლებიდანაც მომხმარებლები აღნიშნულ ვებგვერდზე ერთხელ მაინც შევიდნენ. Nielsen NetRating-ისა და ComScore-ს გამოთვლებით, დღეს „ჰაფინგტონ პოსტი“ გაზეთების ვებ-გვერდების რეიტინგში მე-8 ადგილზეა, დეკემბერში კი მე-16-ზე იმყოფებოდა.

ერთხელ არტურ მილერმა კარგი გაზეთი დაახასიათა, როგორც „საკუთარ თავთან მოლაპარაკე ერი“. მხოლოდ ამ აზრითაც, „ჰაფინგტონ პოსტი“ დიდი გაზეთია. არაფერია უჩვეულო იმაში, რომ

ბლოგზე გაკეთებულ პატარა ჩანაწერს ათასობით მკითხველის კომენტარი მოსდევს. საუბარი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და იმ არგუმენტებამდე, იმ დიალოგებამდე მიდის, რომლებიც მთავარ თემას აღარაფრით უკავშირდება. ხანდახან კომენტარებში მართლაც ორიგინალური ხედვა, დამაფიქრებელი არგუმენტები ჩანს, მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელიც აბანოს კედლის წარწერებს მოგვაგონებს.

ის, რომ „ჰაფინგტონ პოსტი“ კონკურენციას გაუწევს (თუმცა ნაკლებად ჩაანაცვლებს) საუკეთესო ტრადიციულ გაზეთებს, სხვა მხრივაც საკამათოა. თავად ვებგვერდის ჟურნალისტიკური რესურსი საკმაოდ მწირია. არ ხდება სპორტისა თუ წიგნების რეგულარული მიმოხილვა, გასართობი განყოფილება კი ინტერნეტის ჭორებით სავსე სანაგვეს ჰგავს. „ჰაფინგტონ პოსტმა“ წარმატებას მიაღწია იმაში, რომ პროგრესული პოლიტიკოსები და ჰოლივუდის ლიბერალურად მოაზროვნე ვარსკვლავები ბუშის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ სენტიმენტებს მის გვერდებზე აფრქვევენ, მაგრამ ამავე დროს იქ გამოქვეყნებული ბევრი ჩანაწერი „მაუსის“ დანკაპუნებასაც კი არ იმსახურებს.

>>> გაგრძელება გვ. 103

დღეს თითქმის ყველა სერიოზული გაზეთი სდილობს იმ ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებსაც ახალი აგებულის სიფრული გზით გავრცელება სთავაზობს. მათ შორისაა: ინდივიდუალური ბლოგები, ვიდეო რეპორტაჟები და მკითხველების დიალოგის შესაძლებლობა.



კონფორმიზმი და წინააღმდეგობა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის დაბადება

ავტორი: მალხაზ ხარბელია

ფსევდო-გზაჯვარედინები

ჟან სტარობინსკის ერთი ძალზე საინტერესო წიგნი აქვს, „1789 წელი: გონების ემბლემები“. წიგნში საფრანგეთის რევოლუციის თანადროულ ხელოვნებაზეა საუბარი, ხედვაზე და ხედვის ცვლილებაზე, იმაზე, თუ რამდენად რევოლუციურად შეიცვალა სამყაროს აღქმა, სად დაუკავშირდა ერთმანეთს რევოლუცია და ესთეტიკა, იყო თუ არა ეს რევოლუცია წყალგამყოფი, გზაჯვარედინი არა მხოლოდ ევროპის პოლიტიკური ისტორიის, არამედ სტილების ისტორიაშიც? ესაა წიგნი, სადაც ძალიან კარგად მოჩანს მაშინდელი კულტურის დინამიკა და თანამედროვე კულტურის საწყისები.

სტარობინსკი პირველ აბზაცში წერს: „რევოლუციები მაშინვე ვერ ქმნიან

მხატვრულ ენას, რომელიც ახალ პოლიტიკურ წყობას შეესაბამება. კიდევ დიდხანს რჩება წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ძველი სამყარო უკვე დაეცა“. დღევანდელ საქართველოს სწორედ ამგვარ პირობებში უწევს ცხოვრება. 1988 წლიდან, უფრო ზუსტად კი, 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული ჩვენი ქვეყანა განუწყვეტილად გზაჯვარედინების წინაშე დგას, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით ჰგავს რეალურ გზის დასაწყისს, ხელახალ გამოცოცხლებას. სინამდვილეში იგი მხოლოდ ილუზორული სულისმოთქმა აღმოჩნდება ხოლმე და მეტი არაფერი. სწორედ ამიტომაც, მთელ ამ ეპოქას 9 აპრილიდან დღემდე, მე ფსევდო-გზაჯვარედინების ხანას ვუწოდებდი.

უკანასკნელი ოცნლეულის ქართული ისტორია მითის ლევი-სტროსისეულ წაკითხვას დაემსგავსა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლევი-სტროსი პარადიგმატულ და სინტაგმატურ წაკითხვებს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა, ჩვენს ისტორიაში კი თხრობა და თანმიმდევრულობა არაა, იგი მხოლოდ რაღაც პარადიგმატულ სვეტებში გაქვავდა, სადაც არანაირი თანმიმდევრულობისთვის, ლოგიკისთვის და რეზიუმეებისთვის ადგილი და დრო არ დარჩა. ჩვენი ისტორია მხოლოდ ჩონჩხია, სადაც მხოლოდ მითოლოგემებისა და მარადიული განმეორებების მძლავრი მექანიზმები მუშაობენ. აქ რაღაცის ახლიდან დაწყება მხოლოდ ილუზიაა, რომელიც უკვე მომხდარს კი არ მოსდევს



და ავითარებს, არამედ ყველანაირად ცდილობს ისევ მომხდართან დაგვაბრუნოს, დაგვაბრუნოს არა გასააზრებლად, არამედ გასამეორებლად. ალბათ სწორედ ამიტომ მოვწყდით ისტორიას და მასში მხოლოდ ამ ისტორიის წაკითხვა და გააზრება თუ დაგვაბრუნებს.

დღევანდელი გადმოსახედიდან ის შორეული 1988 წელი უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად მოჩანს, პირადად ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვისაც. აქედან დაიწყო ჩვენი ახალი ცხოვრება, ორივემ ერთდროულად გავაკეთეთ არჩევანი, მეც და ქვეყანამაც და შემდეგ, ხან გააზრებულ ნაბიჯებს ვდგამდით, ხანაც რაღაც გაუგებარს მივერეკებოდით. ერთი ჭკუის ვიყავით, ერთად დავინწყეთ აზროვნება, და პირველი პროტესტის გრძნობაც ერთად გავგიჩნდა. 1988-შივე ჩამოყალიბდა რელიგიურობის ის ტიპი, რომელიც დღესაც ქვეყანაში გამეფებული, შესაბამისად, მე და თანამედროვე ქართული რელიგიური გრძნობაც თანატოლები ვართ, და

ასევე ჩემი კბილაა ახალი ქართული პატრიოტიზმიც.

სალ იზაღება „პოეზია“?

ზემოთ ჩამოთვლილი რელიგიურ-პატრიოტული პათოსებისა და ჩემი გზა დიდი ხნის წინ გაიყო, ჩვენ პარალელურად ვიზრდებოდით 20 წლის განმავლობაში და მთელი ამ პერიოდის მანძილზე, მე უფრო პოეტური აზროვნება მიინტერესებდა და მისკენ უფრო ვიხრებოდი. პოეზიაში სიახლე ამ დროის მანძილზე ბევრი იყო, თუმცა ძალიან ცოტა თუ დარჩა სათამაშო მოედანზე, ბოლომდე ვერ გაიარა გზა, ზოგს მკითხველი შემოეფანტა, ზოგს სიტყვები და სათქმელი, ზოგიც წავიდა ამ ქვეყნიდან. და, რაც მთავარია, სამწუხაროდ რელიგიური და პატრიოტული გრძნობები დარჩა ყველანაირი პოეზიის მიღმა.

მსცოვანი პოეტი, ივ ბონფუა, თავის ერთ-ერთ შარშანდელ ინტერვიუში ამბობდა: „მათ, ვისაც რელიგია იზიდავს, პოეზიაზე უნდა იფიქრონ“-ო. ჩვენთან

პირიქით მოხდა, პოეზია და პოეტები რაღაც მცირე სექტად იქცა, რელიგიური გრძნობა კი იმდენად ტოტალური გახდა, რომ დღეს უკვე პოეზიას კი არა, რეალობასაც ვეღარ ამჩნევს. რეალობაში უპირველეს ყოვლისა, რეალურ ადამიანს ვგულისხმობ, განუმეორებელი ხმით, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი სასრულობა და ამ ცოდნის ამარა დარჩენილი ეძიებს თავშესაფარს. რა თქმა უნდა, რელიგია თავშესაფარია, მაგრამ ხშირად იქ ერთი ადამიანის ადგილი არ არის, არამედ მხოლოდ ათასების. ამ დროს, „პოეზია ადამიანს არასოდეს იფიქრებს და გამუდმებით უბრუნდება მას და მისი ყოფიერების განსაკუთრებულობას წარმოაჩენს“ (ივ ბონფუა). სხვა საქმეა რამდენად წარმოაჩენს ამას თანამედროვე ქართული პოეზია, რამდენად სასონარკვეთილი, ფიქრიანი, ამბოხებული, სარკასტული, თავგანწირული იგი. ამაზე უკვე იწერება სტატიები, უკვე ვცდილობთ გავიზაროთ უკანასკნელი ოცნლეულის არა მხოლოდ ფორ-



მალური ძიებები, არამედ სექტამდე დავინროვებული „პოეტურობის ბუნე-ბა“, რაზე ფიქრიც გაცილებით მეტს მოგვცემს, ვიდრე ვილაცის ოსტატობა-ზე დაკვირვება. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ოსტატობას, გამართულ ლექსს, ერთგვარ პოეტურ აპოლონიზმს, თუმ-ცა დღეს ის უფრო მაინტერესებს, სად იბადება „პოეზია“ და ეს ინტერესი ყო-ველგვარ დახვეწილობაზე და გამარ-თულ ლექსზე მაღლა დგას.

ნესით თანამედროვე პოეზიის ასეთი დაბადების ადგილად მოედანი უნდა ქცეულიყო, თუმცა იმის მიუხედავად, რომ დღეს ყველა ძალიან აქტიურადაა ჩართული პოლიტიკაში, ეს ხმამაღ-ლი, ე.წ. სამოქალაქო ლირიკა ჩვენთან ისე ფართოდ მაინც ვერ გავრცელდა (ასეთი „ხმამაღალი პოეტებიდან“ პირ-ველ რიგში ზურაბ რთველიაშვილსა და კოტე ყუბანიევილს დავასახელებდი). 90-იანი წლებიდან მოყოლებული „სი-მართლის ლექსი“ სხვა მიმართულე-ბითაც იხვეწებოდა: პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ბოლო პერიოდის ოთარ ჭილაძის პოეზიაზე (გარდაიცვალა

2009 წელს), ბესიკ ხარანაულზე, ზვიად რატიანის ლექსებზე. გარდა ამისა, 90-იანი წლებიდანვე დაიწყო ახალი საინ-ტერესო ძვრები ქართულ პოეტურ აზროვნებაში, რომელსაც ერთმანე-თისგან აბსოლუტურად განსხვავებუ-ლი პოეტური კულტურის მატარებელი ავტორები იწვევდნენ: ანდრო ბუაჩი-ძე, დათო ბარბაქაძე, დათო ჩიხლაძე, შოთა იათაშვილი, რუსუდან კაიმაუ-რი, ელა გორიაშვილი, ზაზა თვარაძე (გარდაიცვალა 2007 წელს), ზვიად რა-ტიანი... უფრო მოგვიანებით კი მაია სარიშვილი, რატი ამაღლობელი, ნიკა ჯორჯანელი, ლელა სამნიაშვილი და რეზო გეთიაშვილი. დღეს აქტიურად წერენ 70-80-იანელთა თაობის პოე-ტებიც, ლია სტურუა, გივი ალხაზიშ-ვილი, ბათუ დანელია, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც გაურკვეველია, რა ადგილს დაიკავენ პოეტი და პოეზია იმ საზოგადოებაში, რომელსაც სულ უფრო ნაკლებად აინტერესებს წიგნი, სადაც ცოტა დრო რჩება სერიოზული კულტურისთვის, დიდად არ ადარდებს წარსული (ან მხოლოდ რაღაც აჩრდი-

ლების გამოსახმობად სჭირდება იგი) და საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ლიტერატურულ ღირებულებე-ბზე. ნუ დაგვაფიქვდება, რომ ესაა სა-ზოგადოება, სადაც ე.წ. „ინტელექტუ-ალებსაც“ კი არ აინტერესებთ პოეზია, სამაგიეროდ მეორე მხრივ პოეზიას ყოველთვის ფარად იფარებენ ჯგუ-ფები, რომელთა ხელშიც წარსული რაღაც მოუქნელ მონოლითად იქცევა, პოეზია კი სადღეგრძელოდ.

პროზა და მკითხველი

თანამედროვე ქართული ლიტერა-ტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლე-მა ის არის, რომ მან თავის დროზე, 80-90-იანი წლების მიჯნაზე აქტიუ-რი მკითხველი ვერ შეიძინა, ანუ ჯერ ერთი, არ მოხდა იმ ძველი, 80-იანე-ლი (გნებავთ საბჭოთა) მკითხველე-ბის „გადმოზირება“ და, მეორე მხრივ, ვერც ჩემი ასაკის ყმანვილებისგან (რომლებიც მაშინ 18-20 წლის იყვნენ) შეიქმნა კარგი მკითხველი. ძალიან ბევრი, ვინც მაშინდელ „თანამედროვე ლიტერატურას“ კითხულობდა, უცებ



თავად გახდა მწერალი, რამაც სულ მალე რალაც უცნაურ კლანებად დაყო ქართული მწერლობა, სადაც ყველანი ერთდროულად მწერლებიც იყვნენ და მკითხველებიც. პოტენციური მკითხველი კი ტელევიზორებს მიუჯდა.

ერთხელ მეგობარს გავუზიარე ჩემი ეს აზრი და მან მიპასუხა, რომ მთავარი მიზეზი საბჭოთა მკითხველის გაქრობა და ის სიცარიელე იყო, რაც მის შემდეგ გაჩნდა. 90-იანი წლების დასაწყისში და შემდეგაც, ეს სიცარიელე სულ რამდენიმე წიგნმა ამოავსო. პირველ რიგში ეს იყო ოთარ ჭილაძის „აველუმი“ და „გოდორი“ (2002), ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“, ჯემალ ქარჩხაძის „განზომილება“, ოთარ ჩხეიძის რომანები, თუმცა ახალი ეტაპი მაინც აკა მორჩილაძის პირველ რომანებს უკავშირდება. „მოგზაურობა ყარაბაღში“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „გადაფრენა მადათოვზე“ ის რომანები იყო, რომლებიც 1992-1998 წლების მანძილზე, შეიძლება ითქვას, ქართველ მკითხველს აყალიბებდა. ყოველი მისი რომანი

გარკვეული კულტურული ხარვეზის ამოვსების მცდელობა იყო და ერთადერთი „ლიტერატურა“, რომლის ველშიც მკითხველის მწერლად გადაქცევა არ ხდებოდა, აკა მორჩილაძის ბელეტრისტიკა იყო (ბელეტრისტიკადაც ალბათ მოგვიანებით იქცა აკა მორჩილაძის ნაწერები, რასაც ვერ ვიტყვით მის პირველ სამ რომანზე), რომელიც მაშინ მხოლოდ მკითხველზე იყო პასუხისმგებელი და მხოლოდ მის შექმნაზე ზრუნავდა.

ეს ახალი მკითხველიც რამდენიმე წელიწადში იშვა. იმავე პერიოდში გავიგონე „ცოცხალი კლასიკოსებისგან“, რომ მათაც კი წაიკითხეს აკა მორჩილაძე. თუმცა როცა მკითხველმა დაინახა, რომ აკა მორჩილაძეს ვერავენ აუბა მხარი და რომ მის გარდა ნამდვილი, გემრიელი, ჭკვიანური საკითხავი ვერავენ შექმნა, მკითხველი მალე გადაიღალა.

მცდელობები რა თქმა უნდა იყო, მაგრამ ეს ნაწერები ან აკას ემსგავსებოდა, ან ძალიან ეტყობოდა, რომ არ სურდა მას დამგვანებოდა. რალაც ახა-

ლის შექმნის ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა 2002 წელს ზაზა ბურჭულაძეს (ამ დროს გამოვიდა მისი „წერილი დედას“), მაგრამ სამწუხაროდ ეს მხოლოდ სურვილი იყო, რაც უკანასკნელი 7 წლის მანძილზე გაგრძელდა და სულ ცოტა ხნის წინ, 2009 წლის დეკემბერში მისი ეს მრავალჯერადი მცდელობები რომან „Adibas“-ით დაგვირგვინდა, ზაზამ შექმნა ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის დამაგვირგვინებელი, ძალზე ზუსტი, მოქნილი და დასრულებული ტექსტი, რომელიც მისი წინა ნაწარმოებებისგან განსხვავებით, უფრო ლალიცაა და მასში მწერალიც უფრო კარგად დავინახეთ.

თანამედროვე ქართველი პროზაიკოსებიდან აღნიშვნის ღირსია ასევე კოტე ჯანდიერი, ზაზა თვარაძე, ზურაბ ქარუმიძე, ირაკლი სამსონაძე, ზურა მესხი, გიგი სულაკაური, ბესო ხვედელიძე, ზურაბ ლეჟავა, გელა ჩქვანავა, ლაშა ბულაძე, დავით ქართველიშვილი და სხვ.

>>> ბაზრქილება გვ. 109



დისკუსია

„ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემები“

ავტორი: გიორგი ცხადანია



მონაწილეები:

მერაბ კაკულია
ეკონომიკური ექსპერტი

თამარ გურჩიანი
იურისტი

ირაკლი შავიშვილი
აუდიტორი

„გარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებამ გარკვეულწილად სამოქალაქო საზოგადოების შესუსტებაზეც იმოქმედა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ყველაზე უფრო აქტიური რევოლუციის წინა პერიოდში იყო. ტრადიციულად, ეს ორგანიზაციები არ იყვნენ და არ არიან მიზნულნი ადგილობრივი ბიზნესების, კორპორაციების თუ ინდივიდუალურ შეწირულობებს. მეორე მხრივ, ბიზნესები იმის გამო, რომ არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ვერ ახდენდნენ საკუთარი კოლექტიური ინტერესების არტიკულირებას. სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე აისახება არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ ზოგადად კანონის მმართველობის ხარისხზეც საქართველოში.

ამიტომ, ჩვენი დღევანდელი მიზანია, პირველ რიგში ფაქტობრივი ინფორმაცია მოვიპოვოთ მთელ რიგ საკითხებზე, რაც ეხება ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოებას, და ეს საკითხები გავაცნოთ მკითხველს; და მეორე – ვეცადოთ, ეს ინფორმაცია გარკვეულ კონცეპტუალურ ჩარჩოში მოვაქციოთ.

გიორგი ცხადაია: რატომ უჭირთ საქართველოში ბიზნესებს საკუთარი ინტერესების დაცვა? რა პრობლემები ექმნებათ მათ პოლიტიკური ისტებლიშმენტისგან?

თამარ გურჩიანი: ინტერესების დაცვა ხდება გარკვეული სამართლებრივი წესების მიხედვით. თუ რატომ არ არიან ისინი მონადინებული, რომ სამართლებრივ ზომებს მიმართონ, ამაზე მარტივი პასუხი არსებობს: ბიზნესს კიდევ სხვა წესები და სხვა ლოგიკა მართავს, ვიდრე ეს დაწესებულია, და ვუშვათ, სამართლებრივი რეგულაციებით.

გიორგი ცხადაია: მაგალითად, რა ლოგიკა?

თამარ გურჩიანი: ბიზნესს სფეროში ინტერესები აბალანსებს ერთმანეთს და არა ნორმებში მოქცეული სამართლებრივი ღირებულებები. ალბათ ამიტომ არ მიმართავენ ამ ზომებს. გარდა ამისა, არსებობს მათი დატერორების ძალიან სერიოზული საფრთხე. როდესაც სამართლებრივ სივრცეში კი არ ოპერირებ, არამედ სულ სხვა ინტერესების ლოგიკა გმართავს, შეუძლებელია, რომ თავად ბოლომდე ენდობოდე და არ გეშინოდეს პასუხისმგებლობის.

გიორგი ცხადაია: აქედან გამომდინარე, კითხვა: არის თუ არა ბიზნესების საქმიანობა სრულად ჰარმონიზებული კანონმდებლობასთან? და თუ არ არის, ეძლევა თუ არა ამით ხელისუფლებას ბიზნესზე ზეწოლის ბერკეტი?

ირაკლი შავიშვილი: მოდით, პირველ რიგში, ბიზნესები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ; იმიტომ, რომ ეს არ არის ერთგვაროვანი სივრცე. არის მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი. მსხვილ ბიზნესს თითქმის მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლება. ამიტომ, ამ ბიზნესს, პრინციპში, არაფერი უჭირს ამ თვალსაზრისით.

გიორგი ცხადაია: ამიტომ, ჩვენი კითხვა უფრო წვრილ და საშუალო ბიზნესებს შეეხება, რომლებსაც უფრო უჭირთ თავის დაცვა. არიან თუ არა ისინი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და თუ არიან, მაშინ რა პრობლემა იქმნება? რატომ ვერ გამოთქვამენ თავიანთ აზრს ხმამაღლა, ან რატომ ვერ იცავენ თავს?

ირაკლი შავიშვილი: ეს პრობლემა თავისთავად ძალიან მრავალნაზნაგოვანია და შეეცდები, რამდენიმე მათგანი გამოვყო. პირველი, რაც უნდა უცნაური იყოს, არის სასამართლოს პრობლემა, და ალბათ ბევრი ლაპარაკი არც არის საჭირო ამ პრობლემის აღსაწერად. მეორე, ეს არის კანონმდებლობის პრობლემა. კანონმდებლობა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ მისთვის თვალის მიდევნებაც შეუძლებელია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ საგადასახადო კოდექსში დღეს შესულია უკვე 56 თუ 57 ცვლილება, 57 საკანონმდებლო აქტით არის შესული ცვლილება. ზოგიერთი ცვლილება რედაქციული ხასიათისაა, ზოგი – ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული კონცეფციის მატარებელი.

გიორგი ცხადაია: რა მიზნით ახორციელებს ხელისუფლება ამ ცვლილებებს?

ირაკლი შავიშვილი: არ ვიცი, აქ მიზანი მრავალგვარი შეიძლება იყოს. შეიძლება იყოს, ვთქვათ, ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა. შეიძლება იყოს გაველენის მოპოვების პრობლემა. საქმე ის არის, რომ როდესაც ასე სწრაფად იცვლება კანონმდებლობა, თქვენ ვერ ასწრებთ საკუთარი ბიზნესის

დაგეგმვას. ამიტომ, ეს ბიზნესი გადადის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და გრძელ ვადაზე მისი განერა შეუძლებელი ხდება. ხუთ წელიწადში 57 შესწორებაა საგადასახადო კოდექსში შესული, ანუ – დაახლოებით თვეში ერთი შესწორება. იყო შემთხვევები, როდესაც ერთ დღეს სამი-ოთხი ცვლილება შესულა, რომლებიც შინაარსით ერთმანეთს ეწინააღმდეგება. კურორტული სიტუაციები იქმნება ხოლმე. შემდეგი საკითხი არის ამ კანონმდებლობის შეუსაბამობა ზოგადად სამართალთან. აქაც უამრავი დეტალია. შემდეგი პრობლემაა ხელისუფლების მხრიდან თავისივე დანერგილი კანონების დაუცველობა. ხელისუფლება იცევა სხვანაირად და წერს სხვანაირად. ამის ასევე უამრავი მაგალითია. ძირითადად, სახელმწიფოს ეკონომიკა არ დგას მსხვილ ბიზნესზე, ის დგას წვრილ და საშუალო ბიზნესზე. ეს არ არის ჩემი სიტყვები, ეს არის რეიგანის გამოხატულება. პრინციპში, ბიზნესის სფერო ერთადერთია, რომელიც მატერიალურ დოვლათს ქმნის. ყველა დანარჩენი არის ამ დოვლათის გამანაწილებელი და მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, მას აქვს ბუნებრივი წნეხი, რომ ყველას სურს მისი შექმნილი დოვლათის მოხმარება. ამაზეა აგებული სახელმწიფო სტრუქტურები, მისგან მოითხოვს შეწირულობას არასამთავრობო სექტორი, გნებავთ, რელიგიური ორგანიზაციები, ან დაუსაქმებელთა სექტორი, ასე ვთქვათ, უმუშევრები და ა.შ. ეს ყველაფერი ბუნებრივად ბიზნესს აწევს ტვირთად. ამას ემატება კიდევ ხელოვნური ტვირთები, რომელსაც ხელისუფლება ხშირად ქმნის. ამიტომ, როდესაც იმგვარ ქმედებებს ატარებს ბიზნესის მიმართ, როგორცაა, ვთქვათ, დალუქვები, ინვენტარიზაცია და საკონტროლო შესყიდვები, ბიზნესი ამას ერთი მიზეზის გამო არ ასაჩივრებს: მას არ სურს, ზედმეტად გააღიზიანოს ხელისუფლება, რადგან ბევრი აქვს დასაკარგი. მით უმეტეს, რომ კანონმდებლობა იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია კანონის მიხედვით მოქმედება.

გიორგი ცხადაია: ამ ყველაფრის მიუხედავად, ხომ არსებობს რაღაც მექანიზმები, რითაც წვრილმა და საშუალო ბიზნესმა შეიძლება თავი დაიცავს. ვთქვათ, შექმნას რაიმე სახის გაერთიანება. რამდენად რეალურია ასეთმა მექანიზმებმა მუშაობა შეძლონ?

მერაბ კაკულია: თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ყველაზე დაუცველია წვრილი და საშუალო ბიზნესი. არადა, მხოლოდ წვრილ ბიზნესზე მოდის რეგისტრირებულ სანარმოთა 80%, მაგრამ თუ ამ სანარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის ხვედრით წილზე ვისაუბრებთ, სურათი აბსოლუტურად სანაწილმდეგოა: მსხვილი სანარმოები მთლიანი პროდუქციის 60%-ზე მეტს ქმნიან. მსხვილ კომპანიებს უფრო უკეთესად შეუძლიათ თავის დაცვა იმის გამო, რომ მათ მეტი საშუალებები აქვთ. აქ არა მარტო ინდივიდუალურ საშუალებებს ვგულისხმობ (ვთქვათ კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით სარგებლობას), არამედ იმასაც, რომ მათ აქვთ საშუალება, კოლექტიური ინტერესებიც გამოხატონ. ამის მაგალითია სულ ახლახან შექმნილი „საქართველოს ბიზნეს ასოციაცია“.

ცია“, რომელიც ძირითადად მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული. მისი მთავარი ამოცანაა, სახელმწიფოსთან ურთიერთობის რეგულირება, მათ შორის – მუდმივი კონსულტაციები ხელისუფლებასთან სასურველი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბების მიზნით. გარდა ამისა, ასოციაცია მიზნად ისახავს მისი წევრების ინტერესების დაცვას ქვეყნის გარეთაც; ასევე, წევრებს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულებას. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ამ ასოციაციაში უბრალოდ წვრილი და საშუალო ბიზნესი ვერ გაერთიანდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასოციაცია ეყრდნობა თვითდაფინანსების პრინციპს, ანუ საწევრო გადასახადებს, რომელიც თვეში 850 ლარს შეადგენს. წვრილი ბიზნესისთვის ეს ძალიან დიდი თანხაა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ასოციაციის კონცეფციაში წვრილი და საშუალო ბიზნესისთვის

თვისაც ფისკალური ორგანოები ჯარიმებს ადებენ წვრილ მენარმეებს. მეორე თემა, რომელიც მათ დაასახელეს, არის ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემა, მოგეხსენებათ, რომ კარგ ბუღალტრს კარგი ანაზღაურება სჭირდება. ყველა კვალიფიცირებული ბუღალტერი ცდილობს, რომ მსხვილ კომპანიასთან ჰქონდეს საქმე, რადგან იქ ანაზღაურებაც უკეთესია და პერსპექტივაც მეტი. სამწუხაროდ, წვრილი და საშუალო ბიზნესი რჩება ნაკლებად კვალიფიცირებული სპეციალისტების ხელში. ამასთანავე დაკავშირებული შემდეგ ის სირთულეები, რაც მათ საგადასახადო კოდექსთან ექმნებათ; და მესამე, რაც მათ დაასახელეს, ეს არის ბიზნესის დაგეგმვის პრობლემა. მათ არ ჰყოფნით რესურსი, რომ ბიზნესგეგმა შეადგინონ ანუ თავიანთი საქმიანობის პარამეტრები განსაზღვრონ და რეალისტური მიზნები დაისახონ. ამ პრობლემების გადაწყვეტა, მნიშვნელოვანწილად, შეიძლება მათ მიერ ასოციაციების შექმნით, რაშიც მათ უცხოელი დონორებიც უნდა დაეხმარონ. რამდენადაც ვიცი, არსებობს მცირე და საშუალო მენარმეთა ასოციაცია, მაგრამ, მისი მომცველობა და გაგლეხა მინცდამინც დიდი არ უნდა იყოს. ბოლო დროს მოდაში შემოვიდა ასეთი პრაქტიკა: სახელისუფლებო ორგანოები სიამოვნებით ანერენ ხელს სხვადასხვა ასოციაციასთან მემორანდუმებს თანამშრომლობის შესახებ. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრომ ამას წინათ მოაწერა ხელი ანალოგიურ მემორანდუმს მთელ რიგ ასოციაციებთან, რომელთა შორის ვერ გხვდავთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. მსგავს მემორანდუმს მოეწერა ხელი პრემიერ-მინისტრთანაც, თუმცა საქმიან წრეებს, ამ შემთხვევაში, ძირითადად უცხოელი ბიზნესმენებით დაკომპლექტებული ასოციაციები წარმოადგენენ: ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში, საფრანგეთის სავაჭრო პალატა საქართველოში და სხვა. როგორც ჩანს, უცხოელი ბიზნესმენები ქმნიან ქმედით ასოციაციებს; ქმედითს იმიტომ ვამბობ, რომ მათ აქვთ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მეტი მექანიზმები, ისინი უცხოელები არიან და თავის დაცვის მეტი საშუალებები აქვთ. ისინი არ განიცდიან შიშს სახელმწიფოს მიმართ, თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ აზრს და ფინანსურად უზრუნველყოფილი არიან.



თამარ გურჯიანი

ბიზნეს სფეროში ინტერესები აბალანსებს ერთმანეთს და არა ნორმებში მოქცეული სამართლებრივი ღირებულებები. გარდა ამისა, არსებობს ბიზნესის დატერორების ძალიან სერიოზული საფრთხე. როდესაც სამართლებრივ სივრცეში არ ოპერირებ, შეუძლებელია, ბოლომდე ენდობოდე და არ გემინოდეს პასუხისმგებლობის.

ადგილი არ მოიძებნა. და ეს არ არის შემთხვევითი: წვრილი და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პრობლემატიკისგან, რომელიც მსხვილი ბიზნესისთვისაა აქტუალური. ავიღოთ თუნდაც სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმატი: მსხვილ ბიზნესს თავისი სპეციფიკური ურთიერთობა აქვს სახელმწიფოსთან. წვრილი ბიზნესმენისთვის პრობლემა არის, ვთქვათ, ის, რომ ხშირად სირთულის გამო ის სწორად ვერ იგებს საგადასახადო კოდექსის დებულებებს. სხვათა შორის, 2009 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც წვრილი ბიზნესი აწყდება, არის საგადასახადო კოდექსის გაუგებარი ენა და ბუნდოვანი ფრაზები. სხვათა შორის, ამაზე საუბარია მას შემდეგ, რაც დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიიღეს. ვერაფრით მოხერხდა, რომ ჩანაწერები გასაგები იყოს, რომ ეს არ გახდეს შემდეგ იმ ფინანსური დარღვევების საფუძველი, რის-

თამარ გურჯიანი: მე სკეპტიკურად ვუყურებ ასეთ გაერთიანებებს. რა თქმა უნდა, კარგია ნებისმიერ სფეროში გაერთიანებების შექმნა, მაგრამ პასუხისმგებლობა, რომელიც ბიზნესს ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან, არის აბსოლუტურად ინდივიდუალური. თუ ეს არის დაჯარიმება, ეს არის ადმინისტრაციული საკითხი, თუ ეს არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ეს არის აბსოლუტურად ინდივიდუალური იურიდიული პირების შემთხვევაშიც. ამიტომ, რა თქმა უნდა, ვერაფერს შეცვლიან ერთი რამის გარდა, რომ შიდა წრეში მოაგვარონ გარკვეული პრობლემები და ასეთი შესაძლებლობები ჩვენ გვაქვს კანონმდებლობით, როგორც არის არბიტრაჟი. თუ არ ენდობი სასამართლოს და ერთმანეთში გაქვთ რამე გასარკვევი, შეგიძლიათ მიმართოთ არბიტრაჟს.

მერაბ კაკულია: მე მაინც ბოლომდე ვერ დავეთანხმები თამარს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ბიზნეს ასოციაციებს, უბრალოდ, ერთი მარტივი რამ შეუძლიათ: თუნდაც კვალიფიცირებული იურიდიული მომსახურების გაწევა, ან კიდევ კვალიფიცირებული კონსულტაცია ბუღალტრული აღრიცხვის კუთხით. მათ შეუძლიათ, დავუშვათ, ტრენინგები ჩაატარონ. ის, რომ არ იკითხება საგადასახადო კოდექსი, ესეც ხომ შეიძლება რალაცნაირად მოაგვარონ. რაშია, იცით, საქმე? ამ სექტორს რომ არ აქვს თავისი ინტერესების გამოხატვის მექანიზმი, თუნდაც ასოციაციების სახით, ეს დაკავშირებულია დაფინანსების პრობლემასთან. მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში, ბოლო ათი წლის მანძილზე, უამრავი პროექტი განხორციელდა, რომელიც უცხოელი დონორების მიერ იყო დაფინანსებული: მსოფლიო ბანკიდან დაწყებული, ნაკლებად ცნობილი ორგანიზაციებით დამთავრებული. ეს პროექტები იწყებოდა და მთავრდებოდა თავისი ფაზებით და გაგრძელებებით, მაგრამ მათი შედეგიანობა მინიმალური იყო. ხომ შეიძლება, რომ ამ პროექტების ფარგლებში შექმნილიყო ქმედითი ასოციაციები მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებისთვის?

ირაკლი შავიშვილი: ეს პროექტები ხელისუფლების გავლით მტკიცდება და ამიტომაც ხდება ასე.

მერაბ კაკულია: არ არის მთლად ასე. მაგალითად, იყო მცირე ბიზნესის მხარდაჭერის USAID-ის პროექტი, რომელიც საკრედიტო კომპონენტსაც შეიცავდა. ამ პროექტის ფარგლებში, მთელი რიგი მცირე საწარმოებისა და დაფინანსეს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, ამით პრობლემას ვერ გადაწყვეტ. შეიძლება ვილაპაჟო დაეხმარო, რამდენიმე პილოტური პროექტი განხორციელო და მთლიანობაში, ამან სურათი ვერ შეცვალოს.

გიორგი ცხადაია: თამარ, როგორ ფიქრობთ, ბიზნესის პრობლემების (და არა მარტო) გადაჭრაში რა მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების ან მედიის აქტივობას? რამდენად აქვთ გააზრებული ბიზნესებს, რომ წარმატებული იურისტთა ასოციაცია, ამავე დროს, შეიძლება უდრდეს წარმატებულ ბიზნესს, იმიტომ, რომ მათი საქმიანობით შეიძლება გაიზარდოს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ?

თამარ გურჩიანი: რა თქმა უნდა, შეუძლია ამ როლის შესრულება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ვერ ასრულებს და ეს ისევ დაკავშირებულია იმ პრობლემასთან, რომელიც თვითონ ბიზნესს უდგას. მე მინდა, რომ უკან დავბრუნდე, ძალიან კარგად ჩამოაყალიბეს ბატონებმა ეს პრობლემები და მე უბრალოდ მათ სხვა პერსპექტივიდან შევხედავდი. ყურადღება მინდა გავამახვილო კანონმდებლობაზე და სასამართლოზე. მაგალითად, დავინყებ კანონმდებლობით. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა. არის კრიტიკრიუმები, რომლებიც დაადგინა ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ – რა კრიტიკრიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანონი, რომ ის ჩავთვალოთ კანონად, რომელიც ჩვენს უფლებებს ან შეზღუდავს ან ამ უფლებებს მოგვანიჭებს. პირველ რიგში, ეს უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ანუ ეს უნდა ქვეყნდებოდეს და ადამიანებისთვის ფიზიკურად უნდა იყოს



ირაკლი შავიშვილი

თუ ბიზნესის დანყების ადვილობაში ვგულისხმობთ გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დანყების შესახებ, ეს ძალიან რთული პროცედურაა, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც გვეუბნებიან, რომ ომი არის მოსალოდნელი.

ხელმისაწვდომი. მეორე, ეს უნდა იყოს ადვილად მისაგვედრი, ანუ იქ რაც წერია, ეს უნდა იყოს გასაგები და შენი მომავალი პროგნოზირებადი უნდა იყოს ამ კანონთან მიმართებაში; და მესამე – არ უნდა იყოს ორაზროვანი. არც ერთ ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობა. შემდეგი, რაც ბატონმა ირაკლიმ ახსენა და აბსოლუტურად ვეთანხმები: საკანონმდებლო ცვლილებების ინტენსივობა არის ასევე სერიოზული პრობლემა. არა მარტო ინტენსივობა, არამედ ის წინაპირობები, რომლებიც ამ საკანონმდებლო ცვლილებებს წინ უძღვის. ყოველთვის სპონტანტურად მიიღებოდა გადაწყვეტილებები. მაგალითისთვის ავიღოთ პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა გადასახადის შემოღება რეფერენდუმის გზით უნდა ხორციელდებოდეს. შემდეგ ვილაპაჟო დაფიქრდა, რომ ეს ინიციატივა მაინცდამაინც გონივრული არ იყო და, შესაბამისად, საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანამაც გადაინია, თუ არ ვცდები, 2012 წლამდე. მე ვერ გეტყვი, რომ სამოქალაქო საზოგადოებას მსგავს ინიციატივებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა შესწევს.

გიორგი ცხადაია: აინტერესებს კი სამოქალაქო საზოგადოებას ასეთი საკითხები?

მერაბ კაკულია: აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რამდენად აინტერესებს სამოქალაქო საზოგადოებას, კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესგარემოს მარეგულირებელი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ექსპერტიზა?

გიორგი ცხადაია: მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმრავლესობა საქართველოში, ორიენტირებულია რალაც ვინაო მიზნებზე, რომლებსაც დონორები აწვდიან. ესენი არ არიან ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული სამოქალაქო ორგანიზაციები.

ირაკლი შავიშვილი: კიდევ ერთი რამ დავაზუსტოთ – რას ვგულისხმობთ „სამოქალაქო საზოგადოებაში“? მაინცდამაინც არასამთავრობო სექტორს? იმიტომ რომ ბიზნესს დიდი როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

გიორგი ცხადაია: მოდით, მაშინ ეს ცნება უფრო დავაზუსტოთ: ესე იგი, როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესზე, ვსაუბრობთ ორგანიზაციაზე, რომელიც არის მოგებაზე ორიენტირებული და რომელსაც აინტერესებს თავისი პირადი მოგება, და არა სხვა ბიზნესის; როდესაც ვლაპარაკობთ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ეს არის ორგანიზაციები, რომლებიც იმისთვის იქმნება, რომ ის საკითხები გადაწყვიტონ, რომლებსაც ცალ-ცალკე ბიზნესები ვერ წყვეტენ. ისინი არ არიან მოგებაზე ორიენტირებულები, არამედ ცდილობენ, დაიცვან კოლექტიური ინტერესები.

თამარ გურჩიანი: გიორგი, თუ შეიძლება, მინდოდა კიდევ დამემატებინა, რომ სასამართლოს სფერო არ არის მიუკერძოებელი. სამწუხაროდ, და ეს ყველა დონეზე იჩენს თავს. საინტერესო დაკვირვება მინდა გაგიზიაროთ: სამოქალაქო კოლეგია როდესაც იხილავს დავებს, სადაც სახელმწიფო არ არის ჩარეული, გადაწყვეტილებები ყოველთვის უფრო ობიექტურია ხოლმე, და მიჩნეულია, რომ მოსამართლეთა კორუმპირებულობის დონეც დაბალია. როდესაც სახელმწიფოა ჩარეული, იქ სამოქალაქო საზოგადოებას უჭირს ზეგავლენის მოხდენა. მაგალითად, ჩვენ ვსაჩივრებდით დადგენილებებს, რომლითაც არამართლზომიერი კონტროლი ხდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტების, მაგალითად, სახელმწიფოს რწმუნებულების აპარატების მხრიდან, რომლებსაც მაშინ არანაირი ლეგალური სტატუსი არ ჰქონდათ; ვიდრე ჩვენს საქმეს სასამართლო განიხილავდა, საერთოდ შეცვალეს ეს კანონი, ანუ მანიპულაციების ავტორი არის არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებები, არამედ კანონმდებლობაც. თუმცა, კანონმდებლობის შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებას მოქმედების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე – სასამართლოს შემთხვევაში.

გიორგი ცხადაია: მაგრამ კანონმდებლობის მიღებაც ჩვენთან სპონტანურად ხდება. ვგულისხმობ იმას, რომ უცხოეთში, ამ პროცესში ჩართულნი არიან ინტერესთა ჯგუფები და მიმდინარეობს კონსენსუსზე ორიენტირებული დისკუსია. ჩვენთან ამ დროს ხდება უცხოური გამოცდილების კალკირება, რიგ შემთხვევებში – სრულიად არარაციონალურად და არაპრაგმატულად.

მერაბ კაკულია: ცვლილებების შეტანა ძალიან ხშირად ხდება საერთაშორისო ექსპერტების რჩევების საფუძველზე. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც უცხოელი ექსპერტები ცდილობენ იმ პრაქტიკის გადმოტანას ჩვენს სინამდვილეში, რომელიც მათ ქვეყნებში მოქმედებს, ან იმ ქვეყნებში, სადაც მათ უმუშავიათ. ხშირად ჩვენი ქართული სინამდვილე არარელევანტურია იმ სინამდვილის, რომელიც იქ არსებობს. ამიტომ მოხდა, რომ ფისკალურ კანონმდებლობაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებებისა, რომლებიც არ იყო ინიცირებული ადგილობრივი რეალობით და შემდეგ ამ ცვლილებებმა, ხშირ შემთხვევაში, არ იმუშავა. ნორმალურ ქვეყნებში ბიზნესთან და ეკონომიკასთან დაკავშირებული ცვლილებების ინიცირება სამი მთავარი წყაროდან ხდება: პირველი, სამოქალაქო საზოგადოების იმ სექტორიდან, რომელიც ბიზნესის ინტერესებს გამოხატავს, ანუ ბიზნეს ასოციაციებიდან,

მეორე, მომხმარებელთა და დასაქმებულთა ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, და მესამე – აკადემიური სექტორიდან, რომელიც ეყრდნობა როგორც ფუნდამენტურ, ისე ემპირიულ სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებს. ჩვენს სინამდვილეში, ბიზნეს ასოციაციები სუსტია და ისინი, უმეტეს შემთხვევაში, უკვე მოქმედი კანონმდებლობის უშედეგო კრიტიკით თუ არიან დაკავებულნი. კიდევ უფრო სუსტია მომხმარებელთა საზოგადოებები და დაქირავებულ მუშაკთა ინტერესების დამცველი საზოგადოებები, მათ შორის – პროფკავშირები. ამასთან, მათსა და ბიზნეს ასოციაციებს შორის არანაირი დიალოგი არ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ პროფკავშირების მიერ ინიცირებულ შრომის კანონმდებლობის ცვლილებების პროექტს „სოციალისტური“ უწოდა. დიამეტრულად განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, აჯობებდა, ამ საკითხის უფრო საგნობრივი განხილვა გამართულიყო ორივე მხარის მონაწილეობით. მით უმეტეს, რომ არსებობს ამგვარი დიალოგის პოზიტიური უცხოური გამოცდილება. რაც შეეხება აკადემიურ სექტორს, იგი იშვიათად თუ იჩენს ინიციატივას, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც კვლევებს დონორები აფინანსებენ. გამოდის, რომ ჩვენთან კანონმდებლობის მიღების მექანიზმი, ბიზნესთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ვგულისხმობ, არაფექტიანია, რაც აისახება კიდევ კანონმდებლობის ხარისხში.

თამარ გურჩიანი: დავამატებ გარკვეულ იურიდიულ დეტალებს, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია: წარმოვიდგინოთ, როგორ იქმნება ეს კანონპროექტები. მათი ინიციატივის უფლება ვის აქვს, ეს ვიცით. ჯერ გადის პარლამენტის ბიუროს, შემდეგ საკომიტეტო მოსმენებს, შემდეგ პლენარულ მოსმენებს, თან არის პირველი, მეორე და მესამე მოსმენა, და ბოლოს ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარლამენტის რეგლამენტი სულ ახლახან შეიცვალა და ეს პროცედურები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. მაგალითად, ისეთი ბუნდოვანი გახდა, რომ დღევანდელი რეგლამენტის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ მესამე მოსმენის დროს, როდესაც მხოლოდ სარედაქციო შესწორებები შეიძლება შევიდეს (ნერტილი და მძიმე დაესვას და ა.შ.), მაშინაც კი შეიძლება შეიცვალოს კანონი. ესე იგი, არსებობს საშუალება, რომ ნებისმიერ დროს ზემოქმედება მოხდეს კანონმდებლების მხრიდან. სამოქალაქო საზოგადოება წარადგენს თავის დასკვნებს, წარადგენს თავის ინიციატივებსაც, მაგალითად, ძალიან ბევრჯერ შეგვითავაზებია ალტერნატივები. არა მხოლოდ ვაკრიტიკებთ, არამედ ვთავაზობთ კიდევაც რალაცებს, მაგრამ როდესაც მესამე მოსმენაზე შეიძლება რალაც შეიცვალოს, შეუძლებელია, რომ რამე ვიღონოთ. იყო დრო, როდესაც საერთოდ არ გვისმენდნენ, ახლა გისმენენ და არ ითვალისწინებენ.

გიორგი ცხადაია: არ გისმენენ იმიტომ, რომ, ეტყობა, თქვენში ვერ ხედავენ ანგარიშგასანევ ძალას. ეს დაკავშირებულია, ჩემი აზრით, მედიის პრობლემასთანაც.

თამარ გურჩიანი: დიას, ძალიან ცოტა მედიის საშუალება

აქცევს ასეთ რამეებს ყურადღებას. ზოგიერთები ან საერთოდ ვერ იგებენ, ან არ მიაჩნიათ საერთოდ მნიშვნელოვანად.

გიორგი ცხადაია: თუმცა, მსოფლიო ბანკის 2005-2006 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების კუთხით მსოფლიოს რეფორმატორი ქვეყნების წლის ათეულში იყო შესული.

ირაკლი შავიშვილი: თუ „ბიზნესის ადვილობაში“ ვგულისხმობთ რეგისტრაციას, მაშინ, კი ბატონო, ადვილია. რეგისტრაცია დიდ დროს არ მოითხოვს. თუ ბიზნესის დაწყების ადვილობაში ვგულისხმობთ გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დაწყების შესახებ, ეს ძალიან რთული პროცედურაა, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც გვეუბნებიან, რომ ომი არის მოსალოდნელი. რატომ უნდა მივიღო ასეთი გადაწყვეტილება, გაუგებარია. ერთადერთი მოტივი, რის გამოც შეიძლება მივიღო ასეთი გადაწყვეტილება, ისაა, რომ შიმშილით არ მოვკვდე და ყოველდღიური სარჩო მოვიპოვო. სერიოზული ბიზნესის დაწყება აქ, ამ პირობებში სრულიად გამორიცხულია. მოდით, აქვე ვიკითხოთ – თითოეულ ჩვენგანს რომ ჰქონდეს მილიონი დოლარი თავისუფალი ფული, საქართველოში დავაბანდებთ?

გიორგი ცხადაია: მოდით, ეს საკითხი კიდევ გავშალოთ: ესე იგი, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც ხელისუფლება უგულვებელყოფს, არის სტაბილურობის პრობლემა.

ირაკლი შავიშვილი: აქ არის ასევე თვითონ კანონმდებლობის არასტაბილურობის საკითხი, სასამართლოს საკითხი, ხელისუფლების ზეწოლის საკითხი – ეს ყველაფერი რაღაც ერთ მანკიერ წრეს ქმნის. ხელისუფლება ატერორებს ბიზნესს, ბიზნესი იწყებს ყოველდღიურ სარჩო-საბადებელზე ფიქრს და არა გრძელვადიან პერსპექტივაზე, შესაბამისად, ის არ განავითარებს თავის ბიზნესს, მას აღარ უჩნდება დამატებითი ფინანსური სახსრები, რომლითაც უნდა დააფინანსოს სამოქალაქო საზოგადოება იმ გაგებით, რა გაგებითაც ჩვენ ვამბობთ. სამოქალაქო საზოგადოებას არ აქვს ადგილობრივი ფინანსური რესურსები, ამიტომ ის დამოკიდებულია უცხოურ დაკვეთებზე. ის უცხოური დაკვეთა არ იცნობს საქართველოს ბიზნესის პრობლემებს და, აქედან გამომდინარე, ადეკვატურ დაკვეთას ვერ აძლევს. საბოლოო ჯამში ისევე იქამდე მივდივართ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ ახდენს გავლენას ხელისუფლებაზე და ხელისუფლება ამით თავაშვებული ატერორებს ბიზნესს. მანკიერი წრეა, რომელიც სადღაც უნდა გაირღვეს.

გიორგი ცხადაია: კიდევ ერთი ფაქტორი: ომის მუდმივი შიში. აქ „იმედის“ სიუჟეტიც ვახსენოთ: რამდენად უწყობს ხელს მსგავსი გამოხდომები ქართული პროსახელისუფლებო მედიიდან შიშის და გაუგებრობის კულტივირებას?

მერაბ კაკულია: თავისთავად, ომისათვის მუდმივი მზადყოფნის გარემოს კულტივირება ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტივობაზე მთლიანობაში, მაგრამ – უფრო საინვესტიციო გარემოზე. ჩვენ, ვინც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ ბოლო ოცი წლის მანძილზე, სამწუხაროდ შევეჩვიეთ იმას, რომ საქართველოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, უცხოელებისთვის კი ეს ცალსახად უარყოფითი სიგნალია.



მერაბ კაკულია

2009 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც წვრილი ბიზნესი აწყდება, არის საგადასახადო კოდექსის გაუგებარი ენა და ბუნდოვანი ფრაზები. სხვათა შორის, ამაზე საუბარია მას შემდეგ, რაც დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიიღეს.

ირაკლი შავიშვილი: საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ აქვს კარგად გააზრებული, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი ბიზნესი უფრო ძლიერი და საყრდენია მისთვის, ვიდრე მონოპოლიზებული ბიზნესი.

გიორგი ცხადაია: 2004 წლიდან, შეგახსენებთ, რომ სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა, მშპ-ს 1%-დან 8%-მდე. თავიდანვე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო სამხედრო რიტორიკაზე აწყობილი. რამდენად გააზრებული აქვს ხელისუფლებას, რა სჭირდება ხალხს?

ირაკლი შავიშვილი: საქმე ის არის, რომ გარკვეულწილად ხელისუფლება ყოველთვის თამაშობს საზოგადოებრივ განწყობებზე. ჩვენს საზოგადოებაში ნამდვილად იყო ისეთი განწყობა, რომ დაკარგული ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ სამხედრო გზით. შესაბამისად, ხელისუფლებამ ითამაშა ამ განწყობაზე. საზოგადოების მიერ ეს ნაბიჯები, თუნდაც სამხედრო ბიუჯეტის ეს 8-ჯერადი ზრდა, ნახალისებული იყო. ამავდროულად, შეიქმნა ისეთი განწყობა, რომ მთავარია, ეს ტერიტორიები დავიბრუნოთ და ამის ხარჯზე შეიძლება ჩვენი თავისუფლების ნაწილიც დავთმოთ, მათ შორის – ეკონომიკური კეთილდღეობაც. ეს იყო თავიდანვე საზოგადოების არასწორი განწყობა, ჩემი აზრით. საზოგადოებას რომ სხვანაირი განწყობა ჰქონოდა, ხელისუფლება ამას ვერ გაბედავდა. ამ საზოგადოებას კიდევ სხვა პრობლემა აქვს: კომუნისტური წარსული. ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული, რაც კომუნისტურმა იდეოლოგიამ ჩაიდინა ადამიანის წინაშე – ამ ადამიანს დააკარგინა საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. ადამიანს აღარ სჭირდებოდა იმაზე ფიქრი, რა იყო მისი ინტერესი, რადგან მისი ყველა ინტერესი დაკმაყოფილებული იყო. შესაბამისად, ის დარჩა ისევე იმის მომლოდინე, რომ ვიღაც მოვა და მოუტანს ხვავს და ბარაქას: კიდევ დაასაქმებს, უზარმაზარ ხელფასს მისცემს და ა.შ.... ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.



პოსტკომუნისტური მდგომარეობა პოსტკომუნის შვილები

ავტორი: ზორის ბუღინი
ინტელისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

პოსტკომუნისტური ჟარგონი მეტად უცნაური მეტაფორებით გამოირჩევა: დემოკრატიის სწავლა, დემოკრატიის საკლასო ოთახები, დემოკრატიის გამოცდები, დემოკრატია, რომელიც იზრდება და მნიფდება, თუმცა ისიც შეიძლება, რომ მას პირზე რძე ჯერ არ შეშრობოდეს, ან ფეხს ახლა დგამდეს და, რა თქმა უნდა, საყმანვილო სენითაც იტანჯებოდეს. პოსტკომუნის ენა ისეთ პარადოქსს გვიმხელს, რომელიც უახლესი ისტორიის უდიდეს სკანდალს უნდა წარმოადგენდეს: ისინი, ვინც თავისი პოლიტიკური სიმწიფე 1989-80 წლების ე.წ. „დემოკრატიული რევოლუციების“ დროს დაამტკიცეს, ამის შემდეგ ერთ ღამეში ბავშვებად გადაიქცნენ! ჯერ კიდევ გუშინ მათ წარმატებით დაამხეს ტოტალიტარული რეჟიმები, რომელთა ურყევობისა და შეუვალობის მთელ ე.წ. „თავისუფალ“, „დემოკრატიულ“ სამყაროს ბოლო წუთამდე მტკიცედ სჯეროდა, ამ რეჟიმების ძლევა-მოსილება კი მას არამინიერი წარმო-

შობის ურჩხულივით აფრთხოდა. კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ სამყარომ მთელ თავის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სამხედრო ძალებს, უდიდეს პოლიტიკოსებსა და გენერლებს, ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს, პროპაგანდისტებსა და ჯაშუშებს მოუყარა თავი, თუმცა ტოტალიტარული მხეცი ოდნავადაც ვერ შეაშინა. მიუხედავად ამისა, მათ, ვინც შიშველი ხელებით გაუმკლავდა ამ ნადირს, ის „ბავშვებს“ უწოდებს. ჯერ კიდევ გუშინ ამ ხალხმა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მსოფლიო ისტორიას სული შთაბერა და დიდი ხნის შემდეგ წელში გამართვის საშუალება მისცა. დღეს კი მათ თავად უნდა აიდგან ფეხი. ჯერ კიდევ გუშინ ისინი მსოფლიოს ისტორიულ გაკვეთილს უტარებდნენ სიმამაცეში, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და სიმწიფეში, დღეს კი ახალი, თვითმარქვია მასწავლებლების წინაშე დამჯერე, გულისხმიერ მოსწავლეებად უნდა წარდგნენ. ჯერ კიდევ გუშინ

ისინი საბედისწეროდ დასწულულ საზოგადოებებს წამლობდნენ, დღეს კი თავად იტანჯებიან იმ საყმანვილო სენით, რომელიც აუცილებლად უნდა დაამარცხონ იმისთვის, რომ სიცოცხლის გაგრძელება შეძლონ. ასეთი რა სასწაული მოხდა ერთ ღამეში? რომელმა ჯადოქარმა გადააქცია ისინი ბავშვებად? რა თქმა უნდა – პოლიტიკამ. ბავშვი, რომელიც ამ მომწიფეულ ხალხში მოულოდნელად ამოიცნეს, არც ფსიქოლოგიური განვითარების შეფერხების შედეგია, არც ინფანტილური რეგრესიით ცნობილი ფსიქოპათოლოგიური ფენომენის ნიმუში – ის პოლიტიკური ცხოველია, ნამდვილი zoon politicon.

ტრანზიტოლოგია – ბარდამაჰალი კარიოდის ილეოლოგია

ადამიანი, როგორც პოლიტიკური ბავშვი, დემოკრატიული განახლებითვის აუცილებელ, თითქმის სრულყოფილ სუბიექტს წარმოადგენს.



მის მხრებს წარსულის სიმძიმე არ აწვება, მისი მზერა მთლიანად მომავლისკენაა მიმართული. ის სავსეა ენერჯითა და ფანტაზიით, დამყოლი და გულისხმიერია. თავისუფლებას მთელი არსებით ასხივებს, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ გახლავთ თავისუფალი. ბავშვი ყოველთვის სხვაზეა დამოკიდებული, ბავშვს უფროსები მართავენ და პატრონობენ. ამის წყალობით, ის საზოგადოებას უკეთ ემსახურება, სიახლის დანერგვისთვის ნოყიერ ნიადაგად გადაიქცევა. ასე ქრება ყოველგვარი წინააღმდეგობა, რაც საზოგადოებისთვის მოულოდნელად თავს დამტყდარ თავისუფლებას ახლავს ხოლმე, წინააღმდეგობა მმართველებსა და მართულებს შორის. უთანასწორო ურთიერთობის არც ერთი გამოვლინება არ არის ისეთი თვალსაჩინო და ბუნებრივი, როგორც ბავშვსა და მის პატრონს შორისაა, ზეგავლენის მოხდენის არც ერთი მცდელობა არ არის იმდენად უმანკო და კანონიერი, როგორც ბავშვების მიმართ განხორციელებული მცდელობებია. მათ არავინ ართმევს თავისუფლებას, უბრალოდ, დროებით შეუზღუდავენ, სამომავლოდ გადაუდებენ ხოლმე. პატრონიანი ბავშვი, როგორც პოლიტიკური არსება, ერთგვარად გადადე-

ბული თავისუფლებით ტკბება. და თუ ერთ დღესაც ეს დაპირებული თავისუფლება სიცრუე აღმოჩნდება, ყოველთვის შეიძლება იმის თქმა, რომ ის მხოლოდ საბავშვო ზღაპარი იყო და სხვა არაფერი.

კომუნიზმისგან ახლახან გათავისუფლებული საზოგადოებების რეპრესიული ინფანტილიზაცია ე.წ. პოსტკომუნისტური მდგომარეობის მთავარი მახასიათებელია. იგი პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიის ნაყოფია – იმ უცნაური თეორიისა, რომელიც დემოკრატიამდე გასავლელი გარდამავალი პერიოდის როლის გაგებასა და ასხნას ისახავს მიზნად. აქ ცინიზმი პოლიტიკური მეცნიერება ხდება. ამ პოლიტიკური მეცნიერების პერსპექტივიდან კი პოსტკომუნიზმი, პირველ რიგში, გარდამავალი პერიოდია, რომლის დროსაც „რეალურად სოციალისტურ“ საზოგადოება კაპიტალისტურ, დემოკრატიულ საზოგადოებად გადაიქმნება. პოლიტოლოგია ამ გარდამავალ პერიოდს სპეციფიკურ ისტორიულ ეპოქად არ განიხილავს. მას ხომ მთავარი საიდენტიფიკაციო მახასიათებლები აკლია: მაგალითად, სპეციფიკური პოსტკომუნისტური პოლიტიკური სუბიექტი თუ სისტემა, წარმოების სპეციფიკური პოსტკო-

მუნისტური წესი, საკუთრების ფორმა. სინამდვილეში პოლიტოლოგიას პოსტკომუნიზმის იდეა საერთოდ არ სჭირდება. მას ზემოთ ხსენებული „დემოკრატიამდე გასავლელი გარდამავალი პერიოდის“ იდეა ურჩევნია, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებულ დისციპლინას ქმნის – ტრანზიტოლოგიას, რომლის ამოცანაა აღნიშნული პროცესის შესწავლა. ის სწორედ ამ ცინიკურ იდეას ეფუძნება: ხალხმა, რომელმაც თავისუფლება ბრძოლით მოიპოვა, ახლა მისი სათანადოდ გამოყენება უნდა ისწავლოს. მოცემული პარადოქსის მნიშვნელობა ბევრად სცილდება იმ ისტორიულ სიტუაციას, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური საზოგადოებები აღმოჩნდნენ 1989 წლის შემდეგ.

გარდამავალი პერიოდის იდეა ორთოდოქსმა პოლიტოლოგებმა შემოტანეს 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისში, უმთავრესად სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ ევროპაში სხვადასხვა ტიპის რეჟიმების მონაცვლეობის ასახსნელად. თავდაპირველად გარდამავალი პერიოდი მხოლოდ „ორ განსხვავებულ პოლიტიკურ რეჟიმს შორის არსებულ ინტერვალს“ აღნიშნავდა – ასეთ მინიმალისტურ განსაზღვრებას იძლეოდნენ 1984 წელს. გარდამავალი

პერიოდი ყოველთვის „საიდანღაც გამოსვლას“ გულისხმობდა: მაგალითად, „ავტორიტარული მმართველობიდან“, როგორც ო’დონელის, უაითჰედისა და შმიტერის წიგნის სათაურშია. იმხანად პოლიტოლოგია რეჟიმის შეცვლის ფენომენს რეტროსპექტულად განიხილავდა და ცდილობდა, ისტორიული გამოცდილება გაკვეთილად გამოეყენებინა. მას მომავალი ნაკლებად აინტერესებდა, რადგან ამგვარი გარდამავალი პერიოდების შედეგები მეტ-ნაკლებად ცხადი იყო. მათ ყოველთვის დემოკრატია არ მოჰყვებოდა, შეიძლებოდა ავტორიტარული რეჟიმი ავტორიტარული მმართველობის სხვა ფორმით შეცვლილიყო. მაშინ ჯერ კიდევ თვლიდნენ, რომ სამხრეთ ამერიკაში სამხედრო დიქტატურას მარქსისტული ან სულაც მაოისტური დიქტატურა შეცვლიდა. მაგალითად, დემოკრატის მოსურნე ჩილეელი ხალხი, პრეზიდენტ ალიენდესთან ერთად, თავისებური „სოციალისტური დემოკრატის“ შენებას შეუდგა, მაგრამ სამხედრო ხუნტამ ის სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა.

მაშინდელი პოლიტოლოგების თვალში მსოფლიო ჯერ კიდევ ძალიან რთული და მრავალსახოვანი ჩანდა: მხოლოდ ორი დაპირისპირებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური სისტემა და სამხედრო ბლოკი კი არ აქტიურობდა, არამედ „მესამე სამყაროს“ ანტი-კოლონიალური მოძრაობებიც, რომლებსაც გაუთვალისწინებელი

პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე. იმ დროს ჯერ კიდევ ეგონათ, რომ არჩევანი არსებობდა, რომ ისტორიის განვითარება ნებისმიერი მიმართულებით შეიძლებოდა. 1980-იანი წლების ბოლოს რაღაც შეიცვალა და ტრანზიტოლოგიამაც საკუთარი კვლევის საგანი სხვაგვარად გაიაზრა. დღეს პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესი წინასწარ განსაზღვრას ითხოვს. მისი მიზანი ხომ ყველა შემთხვევაში ცნობილია: დასავლური ლიბერალური დემოკრატის გლობალურ კაპიტალისტურ სისტემაში ჩართვა. აქედან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის იდეა თითქმის ექსკლუზიურად ე.წ. პოსტკომუნისტურ საზოგადოებებს დაუკავშირდა. მან დემოკრატისკენ გადადგმული ის ნაბიჯები აღნიშნა, რომელთა დაწყება 1989-90 წლების ცნობილ ისტორიულ მოვლენებს დაემთხვა, პროცესი კი დღესაც მეტ-ნაკლები წარმატებით გრძელდება, უმთავრესად – აღმოსავლეთ ევროპაში. ამ სიტუაციას კარგად იცნობენ „კომუნიზმის შვილები“, რომლებსაც ისტორიული დეტერმინიზმის ლოგიკით ზრდიდნენ. საზოგადოება ხომ სწორედ კლასთა ბრძოლის მამოძრავებელ ძალას მიჰყავდა უკეთესი, უკლასო მომავლისკენ. იმხანად თავისუფლება იმას ნიშნავდა, რომ ისტორიის რკინის კანონები გელიარეზინა და მათ დამორჩილებოდი. გზა ბევრად უკეთესი, კომუნისტური მომავლისკენ არა მხოლოდ გარკვევით

ჩანდა, არამედ მასზე გავლა სრულიად გარდაუვალიც გამხდარიყო.

დღეს ამ ხალხს ეუბნებიან, რომ მათ ისევ მსგავსი გამოცდილება უნდა მიიღონ, ამჯერად ისტორიის ზოგად კანონს უპირობოდ უნდა დაემორჩილონ. მიზანი ნათლად და გარკვევით ჩანს, მისი მიღწევის შესაძლებლობაც გარანტირებულია. გარდამავალი პერიოდის ახალი იდეოლოგიის თანახმად, დემოკრატის გზაზე დიდი დაბრკოლებები არ შეგხვდება, თუ რეალურ გარე ფაქტორებს (ეკონომიკურს, კულტურულს, ინსტიტუციურს და ა.შ.) ზუსტად განსაზღვრავ და ანგარიშს გაუწევ. ზოგ შემთხვევაში, გეოგრაფიული მდებარეობაც საკმარისი აღმოჩნდება. „რასაკვირველია, გეოგრაფიული მდებარეობა ერთადერთი მიზეზია, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები დემოკრატისა და აღმშენებლობის გზას გაჰყვებიან. თუ ეკონომიკურ ზრდასა და ინსტიტუციურ ქსელს გავაკონტროლებთ, დემოკრატის ნამდვილად მივალწევთ“, – წერს ერთ-ერთი ტრანზიტოლოგი, ვისაც პოლიტიკა გარე ფაქტორების დასაძლევად წარმოებულ ბრძოლად მიაჩნია.

სხვები ცოტა შორს მიდიან. დემოკრატისკენ მიმავალი გზა თავად ბუნებამ განგვისაზღვრა. ეს „ბუნებრივი ტენდენციაა და ამრიგად, ძნელად მისაღწევი არ არის“.

>>> ბაზრძილება გვ. 111







ჩვენ არ წავალთ მოსკოვში 1990

ავტორი: აკაკი ბაქრაძე

მკითხველი მიხვდა, ალბათ, რომ სათაურად დასმული სიტყვები პერიფრაზია ცნობილი გამოთქმისა – „ჩვენ არ წავალთ კანოსაში“. თუმცა, ისიც შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რას ნიშნავს ეს და ამდენად პატარა განმარტებაა საჭირო.

შუა საუკუნეებში გერმანიაშიც ისე იყო, როგორც სხვაგან. ერთმანეთს მტრობდნენ საერო და სასულიერო ხელისუფალნი. მუდმივი შუღლი იყო

მეფესა და ფეოდალებს შორის. ორ დუშმანს შუა (ერთ მხარეს – ეკლესია, მეორე მხარეს – ფეოდალები) მოქცეულ მეფეს, დრო და ჟამის შესაფერად, ხან ერთი უნდა აერჩია მოკავშირედ, ხან – მეორე. ასეც იქცეოდნენ. ეკლესიის საშუალებით ფეოდალებს ავინროებდნენ. ფეოდალების მეოხებით ეკლესიას ბოჭავდნენ. წონასწორობა იმისდა მიხედვით იცვლებოდა, მეფეს როგორი ხასიათი ჰქონდა. მშვიდნი და ჭკუადა-

მჯდარნი ინარჩუნებდნენ შედარებით წყნარ ურთიერთობას. ჭირვეულნი და ძალაუფლებისმოყვარულნი გამუდმებულ ჭიდილში იყვნენ.

1075 წელს ჰაინრიხ მეოთხემ (1050-1106 წწ.) მილანოში მთავარეპისკოპოსი, ხოლო სპოლეტოსა და ფერმოში ეპისკოპოსები დანიშნა. ამან რომის პაპი გრიგოლ მეშვიდე ძალიან გააბრაზა – უჩემოდ როგორ გაბედაო. მაგრამ ამჯერად მეფის თავხედობა მოითმი-

ნა და ურთიერთობა აღარ გაამწვავა. ჰაინრიხმა პაპის სიჩუმე სისუსტედ მიიჩნია. თავს გავიდა. 1076 წელს, ვორმსში, გერმანელ მთავართა კრებაზე, გრიგოლ მეშვიდე პაპის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. გაცეცხლებულმა გრიგოლ მეშვიდემ ჰაინრიხ მეოთხე შეაჩვენა, ეკლესიიდან მოკვეთა და მისი ქვეშევრდომები მეფის ერთგულების ფიცისაგან გაათავისუფლა. იცოცხლეთ, ახლა კი შეშინდა მეფე. იფიქრა – პაპის წყევლას ფეოდალები ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებენო, ტახტი და ქვეყანა თავზე დამექცევადო – და 1077 წელს თავზენაცარდაყრილი ეახლა გრიგოლ მეშვიდეს კანოსაში (პაპების რეზიდენციაა ალპებში) პატიების სათხოვნელად. ჰაინრიხი შეინყაღეს, მაგრამ შერცხვენილი და დამცირებული დაბრუნდა სამშობლოში.

ამის მერე რვა საუკუნე გავიდა, როცა „რკინის კანცლერმა“ ოტო ბისმარკმა, 1872 წლის 14 მარტს გერმანელ ერს გამოუცხადა: „ჩვენ არ წავალთ კანოსაში“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმ დღიდან გერმანია აღარავის უზენაესობას არ ცნობდა. იგი იყო თავისუფალი და თავისთავადი.

შორს არ არის ის დღე, როცა ქართველმა ხელისუფალმაც უნდა თქვას: ჩვენ არ წავალთ მოსკოვში. მაგრამ ამ ქადილის ძალა ისევე უნდა შეგწევდეს, როგორც ოტო ბისმარკს. ამისათვის შექმნილ ვითარებას ფიზიკურად უნდა შევხედოთ. ყველაფერი ზუსტად გავთვალეთ. ის წინააღმდეგობები ნათლად გავითვალისწინოთ, რაც თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე გადაგვედობება. მართალია, შეცდომისაგან კაცი არასოდეს არის დაზღვეული, მაგრამ ჩვენ ჩვენი ხელი საქმეს არ უნდა დავაკლოთ.

სსრკ, როგორც ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო, ირღვევა. ეს აღარ არის საეჭვო. ამას არა მარტო ლიტვის გადანწყვეტილება ადასტურებს, არამედ საერთო მდგომარეობა-განწყობილებაც. ლიტვას მისი მეზობლები ლატვია და ესტონეთი მიჰყვებიან. მერე მოლდავეთი და საქართველო გაიკაფავს გზას და ასე სხვებიც თანდათანობით. მართალია, ხელისუფლება ებღაუჭება

სსრკ-ის შენარჩუნებას და ნაირ-ნაირი ახალი კანონებით ცდილობს პროცესის შეჩერებას, მაგრამ ეს მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძოლებაა. თუმცა ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ სსრკ სიკვდილს გულმშვიდად შეეგებება. უფრო ის არის მოსალოდნელი, რომ უკანასკნელი გაბრძოლება იქნება სასტიკი და დაუნდობელი. ხელისუფლების მზაკვრობას რომ თავი დავანებოთ, ცალკეულ, თავზეხელაღებულ, გონებაშერყეულ ტიპსაც კი შეუძლია უბედურების დატრიალება. კარგად იცით, სსრკ ტერიტორია დაფარულია ატომური ელსადგურებით, თერმობირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღის ქარხნებითა და საწყობებით. საკმარისია რომელიმე მათგანის აფეთქება და რა მოჰყვება ამას, რეი ბრედბერიც ვერ წარმოიდგენს. ყველაფერი როგორც ხალხის, ისე მთავრობის კეთილგონიერებაზე დამოკიდებული. ორივე მხარემ თანაბრად უნდა გაიგოს დღევანდელი ისტორიული პროცესის მოთხოვნილება: ყოველი ხალხი თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამ პროცესის ხელის შეშლა დამარცხებისათვის არის განწირული. ამიტომ მას ხელი უნდა შეუწყო და წინ არ გადაეღობო. ხელის შეშლა პროცესს ვერ შეაჩერებს, მსხვერპლს კი გამოიწვევს. ამის სრული გაცნობიერება აუცილებელია ხალხისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც.

დავაკვირდეთ საქართველოს კონკრეტულ მაგალითს.

დაიშალა საქართველოს კომკავშირი. ამან ქართველი ახალგაზრდობის სიხარული გამოიწვია. მაგრამ როგორ შეხვდება მას არაქართველი ყმანვილკაცობა? აფხაზები, ოსები, რუსები უეჭველია რუსეთის კომკავშირს შეუერთდებიან. ცხადია, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, ჩემი აზრით, დღესაც დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს ასე მოხდება. აზერბაიჯანელები და სომხები, ალბათ, ამჯობინებენ აზერბაიჯანისა და სომხეთის კომკავშირს შეუერთდენ. თუმცა არც ის არის გამორიცხვად, რომ მათაც რუსეთის კომკავშირი აირჩიონ. ამ საქმეში მეტად აქტიურად ჩაერევიან მოსკოვის ემისრებიც.

მაშასადამე, ეროვნული ნიშნის მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდობა გაიყოფა.

უახლოეს ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობა ჩატარდება. თუ საერთო ტენდენციას გავითვალისწინებთ, მაშინ საქართველოს კომპარტია გამოეყოფა სკკპ-ს. თუ ასე მოხდება, არც აქ არის არაფერი საეჭვო, რომ აფხაზთა და ოსთა პარტიული ორგანიზაციები დარჩებიან სკკპ-ში და არა საქართველოს კომპარტიაში. რას იზამენ აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები? უფრო ის არის სავარაუდებელი, რომ ისინიც სკკპ-ში ყოფნას ამჯობინებენ.

მაშასადამე, პარტიული და ეროვნული ნიშნით, საქართველოს მოსახლეობას გაყოფა ელის.

თუმცა რა დასამალია და ქართველობა უკვე გაყოფილია. ქართული ეროვნული მოძრაობის პარტიებისა და ორგანიზაციების გვერდით უკვე არსებობს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ორგანიზაცია „სტალინი“, იქმნება (თუ უკვე ჩამოყალიბებული არ არის) ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური პარტია (1936 წლის კონსტიტუციის პლატფორმაზე).

ყველაფერი ეს უთუოდ და უთუმცაოდ მეტყველებს ეროვნული მოძრაობის ყველა ორგანიზაციისა და პარტიის გაერთიანების აუცილებლობას, ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო, ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბების გარდაუვალობას.

1989 წლის ცნობების მიხედვით, საქართველოში სულ 5 მილიონ 400841 კაცი ცხოვრობს. აქედან ქართველი 3 მილიონ 787393 ადამიანია (გაზ. „კომუნისტი“, 1990 წ., 24 მარტი). დანარჩენ ერთ მილიონ 613248 არაქართველს მკაფიოდ, გასაგებად, დამაჯერებლად უნდა ვუთხრაო: ქართული ეროვნული მოძრაობა არ ემუქრება არც ერთი არაქართველის ეროვნულ უფლებას, ღირსებას, თავისუფლებას, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში მათ ექნებათ ყველა ის უფლება, რაც ქართველ მოქალაქეს. ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა ეროვნული დისკრიმინაციის პირობებში. მან კარგად იცის, რას ნიშნავს

ეს. ამიტომ იგი არასოდეს გაიმეტებს სხვას ჩაგვრისა და დამცირებისათვის.

თამარის სამეფოში მთელი ამიერკავკასია და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიაც იყო გაერთიანებული. რამდენადაც ვიცი, არც ერთ იმდროინდელ მემატთანეს (არც ქართველს და არც სომეხს, არც არაბსა და არც სპარსელს) არ დაუჩივლია, არ დაუწერია და უთქვამს – საქართველოში რელიგიურად ან ეროვნულად რომელიმე ხალხი იჩაგრებოდაო. თუკი XII საუკუნეში მოვძებნეთ თანაცხოვრების ფორმა და ენა, მე-20 საუკუნის ბოლოს რა ღმერთი უნდა გაგვიწყნარეს, რომ ეს ვერ მოვახერხოთ?!

დღევანდელ ვითარებაში გადაუდებლად მოსაგვარებელია პრობლემა: საქართველოს არაქართულმა მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ აზერბაიჯანელებს,

კიდებული საქართველო მონყობილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქართველო ადმინისტრაციულად, მისი ისტორიული პროვინციების მიხედვით, ოლქებად უნდა დაიყოს (ქართლის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს და ა.შ. ოლქები). როცა რუსთაველის საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციების ამგვარი დაყოფა მოვიხდომით, ამან სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია. კუთხურ განკერძოებულობას შეუწყობსო ხელს – შეეშინდათ. ეს მე საყურადღებო არგუმენტად არ მიმაჩნია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუ ჩვენ მე-20 საუკუნის ბოლოს ერთიანი ეროვნული ცნობიერება არ გვაქვს, მაშინ დალუპულა ჩვენი საქმე და ეს არის. მეორეც იმიტომ, რომ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ამ განკერძოებულობის არავითარ საშუალებას არ იძლევა. პირიქით, ერთიანობას მოითხოვს. ამის ჩინებული

იმ ოლქებში, სადაც ქართული მოსახლეობის გვერდით ცხოვრობს არაქართულიც, არაქართულ მოსახლეობას უნდა მიენიჭოს სრული ეროვნული თვითმმართველობის უფლება.

რა პრინციპებით და კანონებით მოქმედებს ეროვნული თვითმმართველობა, ეს უნდა შემუშავდეს ქართული ეროვნული მოძრაობისა და არაქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ერთობლივი შეთანხმებით.

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრინციპის სასწრაფო დამუშავება იმიტომაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ ამჟამად მოსკოვში, ამ კუთხით როგორც მთელ სსრკ, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მონყობის ნაირ-ნაირ ვარიანტები მუშავდება. მაგალითად, ვინმე ბოლტენკოვა, მოსკოვში, სულ ახლახან გამოცემულ წიგნში – „Межнациональные отношения в перспективе“ – გვიმტკიცებს, მოკავ-

შორს არ არის ის დღე, როცა ქართველმა ხალხს უფალმაც უნდა თქვას: ჩვენ არ ნაკვალთ მოსკოვში. ამისათვის შექმნილ ვითარებას უხიზლად უნდა შევხედოთ. ყველაფერი ზუსტად გავთვალოთ. ის წინააღმდეგობა ჩი თათლად გავითვალისწინოთ, რას თავისუფლებასაქან მივაპვალ გზაზე გადაგველოგება. მართალია, შეხდომისაგან კასი არასოდეს არის დასდვეული, მაგრამ ჩვენ ჩვენი ხალი საქმეს არ უნდა დავაკლოთ.

აფხაზებს, ბერძნებს, ოსებს, რუსებს, სომხებს, ქურთებს და სხვებს ეცოდინებათ, როგორია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაციონალური პოლიტიკა. დეკლარაციის სახით, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, შემუშავებული ყველა ქართული პარტიისა და ორგანიზაციის მიერ. მიეცეს სათანადო ახსნა-განმარტება, მოვისმინოთ არაქართული მოსახლეობის აზრი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ მკაფიოდ და უტყუარად – ვის უჭერს მხარს საქართველოს არაქართული მოსახლეობა, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თუ მის მოწინააღმდეგე ძალას.

ამის გარკვევა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ იქნება დამოუ-

მაგალითი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა. იქაც ისტორიული პროვინციების მიხედვით არის ადმინისტრაციულად ქვეყანა დაყოფილი. ჩვენ შეგვიძლია ამ გამოცდილების შესწავლა და გამოყენება (ამგვარი აზრი ირ. შენგელაიასაც აქვს გამოთქმული).

ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს დიდი თვითმმართველური უფლებები უნდა მიეცეს. ისინი არ უნდა იყვნენ მთლიანად საქართველოს მთავრობაზე დამოკიდებული. საქართველო წარმომადგენია რესპუბლიკად, რომელსაც პრეზიდენტი მართავს. ჩემი ვარაუდით, საქართველოს პრეზიდენტს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს, რაც საფრანგეთის პრეზიდენტს აქვს. აქ საფრანგეთის გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ.

შირე რესპუბლიკების სტატუსი საერთოდ არ უნდა არსებობდესო. ვთქვათ, ამიერკავკასიაში აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი კი არ უნდა იყვნენ, როგორც სახელმწიფო ერთეულები, არამედ ამიერკავკასიას უნდა ერქვას **Закавказский край**, სადაც ყველა მოსახლე ერს თანაბარი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული უფლებანი ექნებათ. ასევე ბალტიისპირეთში ესტონეთი, ლატვია, ლიტვა კი არ უნდა ფიგურირებდნენ, არამედ მათი საერთო სახელი **Прибалтийский край**. როცა ყველა ეროვნული სახელმწიფოებრიობა მოიშლება, მაშინ ეროვნული შუღლიც აღარ იქნებაო, – გვარწმუნებს ბოლტენკოვა.

არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ თავად კრემლში კარგა ხანია გაცხო-

ველებული საუბარია საბჭოური ფედერაციის ახლებურ ფორმაზე, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დაჩქარდა ამ კანონების შემუშავება-განხილვა. მართალია, ეს კანონპროექტი ჯერ საბოლოოდ მიღებულ-დამტკიცებული არ არის, მაგრამ სრულიად დაბეჯითებით წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ იგი უნდა უარყოს.

რატომ?

კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკას სსრკ-დან გასვლა. თუ რეფერენდუმი დაადასტურებს გასვლის სურვილს, მერე იგი უნდა განიხილოს სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ. ყრილობა უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილებას. თუ ყრილობა დაეთანხმება სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილებას, მოკავშირე რესპუბლიკა გავა სსრკ-დან. თუ არ დაეთანხმება, ვერ გავა.

რა გამოდის? მთელი ერის სურვილსა და გადაწყვეტილებაზე მალა დგას ყრილობის თანხმობა ან ართანხმობა. ქართველი ან რომელიმე სხვა ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ შეუძლია ჩაკლას ეროვნულად ჭრელი შემადგენლობის ყრილობამ. ქართველი ხალხი კი არ არის გადაწყვეტი თავისი ბედის, არამედ რომელიმე ჩუვაშის ან უდმურტის ხმა. ისევე, როგორც რომელიმე ქართველი დეპუტატის ხმას შეუძლია დააბრკოლოს იმავე ჩუვაშის და უდმურტის თავისუფლების საქმე.

მეორე, რასაც კანონპროექტი ითხოვს, გახლავთ ის, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულებს უფლება ექნებათ თავად გადაწყვიტონ სად დარჩნენ – იმ რესპუბლიკაში, რომელიც სსრკ-დან გადის თუ სსრკ-ში. ე.ი. ავტონომიური ერთეულები ცალკე ატარებენ რეფერენდუმს და არა მოკავშირე რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან ერთად.

გარეგნულად ეს ისე გამოიყურება, თითქოს ერთა თანასწორუფლებიანობას ითვალისწინებდეს, ნამდვილად კი მოკავშირე რესპუბლიკის ძირეულ მო-



Neu-Vatikanstadt * Vatikanischer Palaest ober Palaest Pontificio * Innere * Sala Regia * Zuccari, Maler: Wandbild "Kaiser Heinrich IV. vor Papst Gregor VII." * Aufnahm. 1900/1940

სახლეობას ყველა უფლებას ართმევს. საქართველოს ბედის გადაწყვეტა ქართველ ხალხზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის აო-ზე. თუ ქართველი ხალხი მოისურვებს სსრკ-დან გასვლას, ხოლო აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის აო სსრკ-ში დარჩენას, საქართველო კარგავს ამ მიწა-წყალს.

ამას ემატება ისიც, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში კომპაქტურად დასახლებულ სხვადასხვა ხალხს შეუძლია გამოსატოს თავისი ნება და სცნოს ან არა მიზანშეწონილად მოკავშირე რესპუბლიკის გასვლა სსრკ-დან.

შენს ერთადერთ საცხოვრისში, შენს ისტორიულ სამშობლოში რომ ყველა უფლებას ჩამოგართმევენ, ეს თურმე ხალხთა თანასწორუფლებიანობა ყოფილა.

საინტერესოა, რას იტყოდნენ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ავტორები, მათთვის ვინმეს რომ შეეთავაზებინა კანონი, რომლის თანახმად სახლის ყიდვა-გაყიდვა პატრონის უფლება კი არ არისო, არამედ – მდგმურის. ამაშიც თანასწორუფლებიანობას დაინახავდნენ?

კულუარებში ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება უნიფიცირებული არ იქნება. იგი მოკავშირეობის პრობლემას დიფერენცირებულად მიუდგება. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას უფლება მიენიჭება საკუთარი შეხედულებისამებრ დადოს ახალი ხელშეკრულება. ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. არაფერი ამგვარი კანონპროექტში არ არის.

>>> ბაზრქილება გვ. 116



მშობლიური შიშო

ანუ პათეტიკური ტექსტი საკუთარი ნიჰილიზმის ან (შეიძლება) სიზარმაცის გასამართლებლად

ავტორი: ზურა ჯიჰარიაანი

URBAN TRIBE

„მე ვარ პოეტი-ჯედაი“
დავით-დევი გოგიბედაშვილი

„დარი დური
დარი დური
დარი დარალე“
ხალხური

კავკასიური „ბეტონის ჯუნგლებში“ არსებობისას ძალაუნებურად იწყებ ფიქრს პიროვნული გადარჩენის სტრატეგიებზე, ხშირად ეს სპონტანური და გაუაზრებელი პროცესია,

მაგრამ ყველა შემთხვევაში სასონარკვეთილად მიმართულია მენტალური და ფიზიკური გადარჩენისკენ და თუ ჯიზასის სტილისტიკით ვიტყვით, – ვაი მათ, ვინც არაეფექტურ სტრატეგიას აირჩევს. შეიძლება საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1989-ში, მაგრამ პიროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად დღესაც აგრძელებს ბრძოლას. მთელი „სხვა საქართველო“ სიგარეტის ბოლით დამძიმებულ ოთახებსა და საბჭოთა თრეშით გავსებულ ფანტომურ ქალაქებში. შესაბამისად, ამ ჯუნგლებში

არსებობს თემური წყობილებისთვის დამახასიათებელი გემრიელი ტომობრივი სისტემა და ყოველი ტომი თავისი ტოტემებით და მეთოდებით იბრძვის, საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს – გადარჩენისთვის. ჩემი ტომი, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდა ტომები, შედარებით ახალია ამ ქაოტურ, იერარქიულ სისტემაში და ფორმირდება ისეთ დროს, როცა არ არსებობს მასალა ფორმირებისთვის, ხოლო ძველი ბერძენის ოპიუმნარევი სიტყვები – „მომეცი თ საყრდენი და მე ამოვატრიალებ მსო-

ფილოს“ – საკმაოდ აქტუალური თემაა და ძალიან ჰგავს ჩვენი ტომების დილის ზოდევებს, განსაკუთრებით იაფი სასმელების (რომლებიც გაძვირდა) და ორმაგ ფასში ნაყიდი ექსტაზის მოხმარების მეორე დღეს, როცა რთულია პატრიოტიზმი, ხოლო „გული ძგერს, გული, გული ძგერს...“ როგორც აქედან მიხვდებოდით, ახალგაზრდა ტომები გადარჩენის რადიკალურ მეთოდებსაც კი მიმართავენ ხოლმე, და ერთ-ერთი ასეთი ჩვენი საყვარელი მეთოდია ინფორმაცია, „ჭკვიანი წიგნები“: ფსიქოლოგიური ლიტერატურა, როგორც მენტალური იარაღი საკუთარი, ერთადერთი და ძვირფასი ტვინის პროფილაქტიკისთვის. ტვინის პროფილაქტიკა კი ჩემი ტომის საყვარელი მეთოდია.

ჩვენ გვანტერესებს პიროვნული დრამა როგორც პერფორმანსი, სტრესის ქვეშ მყოფი ნეირონების თეატრი, რომელიც ინვის, ქალაქის თავისუფალი ბინების რუკა (დროებითი ავტონომიური ზონები), თავისუფალი სექსი და ჩუმი ჩათლახური (კულტურული) ჩანაფიქრები. ორი სიტყვით, ის, რასაც ეძახიან ონტოლოგიურ ანარქიზმს. ჩვენ ნაკლებად გვჯერა, რომ სოციალური აქტივობა ბანანის რესპუბლიკაში იმდენად ეფექტური შეიძლება იყოს, რომ მეგობართან ცხელი ჩაის დაღევას („Star Wars“-ის ყურებას, სანოლში ჩაგორებას, სათევზაოდ წასვლას, კომპიუტერის თამაშს) საპროტესტო აქციაზე წასვლა არჩიო. შეიძლება ეს ნიჰილიზმია, და დაე იყოს, თუ ამ შემთხვევაში, ნიჰილიზმი წამლის ის პატარა დოზაა, რომელიც კურნავს ტოტალური შიზოფრენიისგან. (წაიკითხე: რომელსაც ბარბა მორფეუსი აძლევს ახალგაზრდა ჰაკერ ნეოს „მატრიცის“ პირველ სერიაში) სწორედ შიზოფრენიაზე ვილაპარაკებთ ქვევით.

ორგანი შეტყობინება, ანუ „ამისთანა ბედნიერი ბანა არის სადმე“...

„მკვდარი უკვე მე არის“

სპანდერა

„იდეოლოგია არის შიზოფრენია“

გი დებორი

რა აკავშირებს ერთმანეთთან პრეზიდენტს, აგვისტოს ომის დროინდელ მის პათოსურ გამოსვლებს და კადრებს, სადაც ის ისტერიკამდია შეშინებული, ჰელოუინის დარბევის ვიდეოს და განრისხებულ მღვდლებს, კვირის წირვების კაცთმოყვარე რიტორიკას, ქართულ ჟურნალისტიკას და სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ?

კავშირი ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს შორის ნეგატიურია და ჰქვია სიმულაკრი (იმედია, ფილოსოფოსი გოგოები და ბიჭები მაპატიებენ ამ ერთობ უხამსი და თავზე ლაფდასხმული სიტყვის ხმარებას). ეს კავშირი არის ჩავარდნილი პროპაგანდა, რეალობის კოლაფსი.

„იმედის“ ცნობილი სიუჟეტი რეალობის გაქრობის უმაღლესი პილოტაჟი იყო. ჩვენ ბილეთები მოგვცეს მედია ჯადოქრობის, კომუნიკაციური შავი მაგიის რიტუალზე დასასწრებად და გვანახეს, როგორ ხდება ყალბი რეალობის ფაბრიკაცია. თითქოს ცოტა ხნით აღმოვჩნდი უზარმაზარ ქარხანაში, სადაც ბრმა დეიდები და ბიძიები „აკეთებენ“ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მე მგონი ეს ამ გადაცემის ერთადერთი პლუსი იყო. „ქრონიკამ“ მოახერხა და ქართულენოვან მასობრივ სისტემებში უწყვეტად მიმდინარე შიზოფრენიის ყოველდღიურ დოზას რამდენჯერმე გადააჭარბა, ასეთი IL პროპაგანდისტული ოვერდოზი კი შეუძლებელია უკვალოდ გაქრეს. ახლა კი მივუბრუნდეთ პირველ აზვაცში დასმულ რიტორიკულ კითხვებს. მინდა, ცოტა გავხალისდეთ და თქვენი ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე შევაჩერო, რომელიც, უკვე დიდი ხანია, დაფინებული სიჯიუტით მეორდება ჩვენი ნაციის საკომუნიკაციო სისტემებში და ეთნოფსიქიატრების სათუთ ყურადღებას ელოდება.

შიზოფრენიის თეორიაში არსებობს ძალიან საინტერესო ტერმინი Double Bind ორმაგი შეტყობინება, ეს არის მდგომარეობა, რომელსაც ერთი ადამიანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად ინვესს მეორეში და რომლის დროსაც მეორეს აღარ რჩება შანსი, გააკეთოს სწორი არჩევანი. ორმაგი შეტყობინებაა, როცა ავტორიტე-

ტი (მაგ. დედა) ეუბნება შვილს: „გიბრძანებ, არ შეასრულო ჩემი ბრძანებები“. ასეთ შემთხვევაში, შვილის ნებისმიერი არჩევანი მცდარია და ინვესს ავტორიტეტული პიროვნების აგრესიას. შესაბამისად, ადამიანი, რომელმაც ორმაგი შეტყობინება მიიღო, იბნევა, ვერ აკეთებს სწორ არჩევანს. თუ ორმაგი შეტყობინებების ნაკადი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეორდება, ადამიანი საერთოდ კარგავს საკუთარ ნებას, უჭირს დამოუკიდებლად აზროვნება, რეალობის ადეკვატური აღქმა. ამხანაგი გრეგორი ბეიტსონი, „ორმაგი შეტყობინების“ ავტორი მიიჩნევს, რომ ორმაგი შეტყობინებები შიზოფრენიის გამომწვევი მთავარი მიზეზია. არ არის აუცილებელი, ასეთი შეტყობინება მაინცადამაინც ტექსტის სახით არსებობდეს. ნებისმიერ კომუნიკაციას რამდენიმე ლოგიკური დონე აქვს, და თუ ამ დონეებს შორის შეუთავსებლობაა, ე.ი. სახეზეა ორმაგი შეტყობინება (ცოტა უხეში მაგალითი: პრეზიდენტი ამბობს, რომ ომი მოვიგეთ და ბედნიერები უნდა ვიყოთ, სახეზე კი ფერი არ ადევს; ან პოპულარული ტელეარხი აცხადებს, რომ რუსეთმა დაბომბა აეროპორტი. თქვენ კი ფანჯრიდან ხედავთ, რომ აეროპორტი ადგილზეა და არ იცით, რას დაუჯეროთ – საკუთარ თვალებს თუ მასმედიას). ორმაგი შეტყობინების თეორიის ახალი დანამატია – სამმაგი შეტყობინება, რომელიც ჩნდება ხოლმე ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან ან ადამიანებთან კომუნიკაციის შემდეგ. მაგალითად, თუ მთავრობა აცხადებს, რომ სიტყვის თავისუფლება მისი უმთავრესი მიღწევა და საზრუნავია, თქვენ დიდი ყოყმანის შემდეგ გამოდინართ და ამ თავისუფალი სიტყვის გამოყენებით აკრიტიკებთ ძალაუფლებას, ხოლო ამის საპასუხოდ გესმით, რომ ასეთ დროს სიტყვის თავისუფლების გამოყენება ღალატია და ეს ისჯება – აი, ეს არის სამმაგი შეტყობინება. აი, ეს არის შიზოფრენიის ნამდვილი დიდი მუშტი, რომელიც თესავს კონსპიროლოგიურ პარანოიას, როგორც მართვის სისტემას გაბრუნებული ტვინების ფხვიერ ნიადაგზე.

ახლა დაფიქრდით და გაიხსენეთ საქართველოს უახლესი ისტორია –

პოლიტიკური დებატები, მთელი მას-მედიური თრემის ტერაბაიტები, რაც კი ამ ხნის განმავლობაში გიჭამიათ. გაიხსენეთ და შეეცადეთ, იპოვოთ ამ კადრებში ორმაგი შეტყობინების ნი-მუშები. ნუ შეგეშინდებათ, რომ ჩვე-ნი ორმაგი შეტყობინებების დღიური დოზა ბევრად აღემატება შიზოფრე-ნიული რისკის საშუალო მაჩვენებელს. როცა ერთსა და იმავე გადაცემაში ორი პოლიტიკოსი აგრესიული სასო-ნარკვეთილებით ამტკიცებს ორ შეუ-თავსებელ რამეს და თავისი ვერსიის დასადასტურებლად ორივე (!) „ფლო-ბს“ სპეციალურ დოკუმენტაციას და წონიან მტკიცებულებებს – ორმაგი შეტყობინებების გარდა, ადგილი აქვს რეალობის სპექტაკლად ქცევას, ვირ-ტუალიზაციას და თუ ეს „რეალობა“ ამავდროულად მაყურებლის ცოცხა-ლი ნაწილია, გამოდის, რომ ყველა – ეკრანს იქით, ეკრანს აქეთ – მთელი ქვეყანა გადაქცეულია ვირტუალურ, სიმულაციურ თამაშად. ამ გაუგებრო-ბაში მოხვედრილი ყველა ადამიანი შიზოფრენიული სპამის გენერატორი ხდება, დაჩლუნგებული „თავისუფალი“ ნებით. ყველას თავისი მატრიცა აქვს. „გიხაროდენ, გიხაროდენ, მზემ ღრუ-ბლები გადადევნაააა“...

ტაქტიკური მედია თუ ტაქტიკური რეალობა?

ტაქტიკური მედია მის პირველ მანი-ფესტში აღწერილია როგორც „კრიზი-სის, კრიტიკისა და ოპოზიციის მედია“. ეს ოფიციალური ტვინისრეცხვის წი-ნააღმდეგ ალტერნატიული, დამოუ-კიდებელი ინფორმაციული „მაუნყე-ბლობების“ პრაქტიკაა. ტექნიკურად ნებისმიერი ტაქტიკური მედია ეფუძ-ნება იაფფასიან ან უფასო ტექნოლო-გიებს, რაც პატარა საშუალებას მაინც იძლევა დიდი მედიების (ნაიკითხე: რეალობის ოფიციალური ვერსიის) წინააღმდეგ საკუთარი ტრიბუნის შე-საქმნელად. თითქოს საქართველოში უამრავი მიზეზი არსებობს ტაქტიკური მედიის არსებობისთვის, მაგრამ სა-ბოლოო ჯამში, რაც გვაქვს, ეს არის რამდენიმე ბლოგი და რამდენიმე ადა-მიანი, ვინც ადეკვატურ და დროულ რეაქციას ამჟღავნებს გარემოს ცვლი-

ლებებზე. იგივე სიტუაციაა ქართულ არტშიც, რომლის წარმომადგენელთა ძალიან დიდი ნაწილი დაკავებულია ან ზოგადი ხასიათის მასტურბაციით ან იაფფასიანი სახელმწიფო პროპაგანდის კონვეიერით (პატრიოტული კლიპები და ვიდეოები, მთავრობის ან ოპოზი-ციის მხარდამჭერი როკ ან საესტრადო კონცერტები და ა.შ.), საბოლოო ჯამში გროვდება ტონობით კიტჩი, რაც 5-ნ წლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ისეთივე სასაცილო თრემი იქნება, როგორც შევარდნადის დროინდელი ოფიციალური ქართული პოპ-კულ-ტურა. მაგრამ ვინც არ თვლის თავს პოპ-კულტურულ ბოტად (სპეციალუ-რი პროგრამა, რომელიც დაწერილია ერთი ფუნქციის შესასრულებლად) „მაგ. ქართველი პანკები, რას აკეთე-ბენ დღეს? ბოლო მინი პანკ-ფესტივა-ლი, რომელიც DVD-ზეც კი გამოვიდა, მოურიდებლად პატრიოტულ-ნაციონა-ლური დევიზით ჩატარდა: „პატივი ეცი შენს ერს, იმღერე ქართულ ენაზე“, რით განსხვავდება ლექსენის დისკურ-სისგან? თითქოს არავის არაფერი აქვს სათქმელი. ერეკლე დეისაძემ თავი-სი პროტესტი (როგორ შემძულეს ეს სიტყვა) ზუმბას „აფხაზეთოს“ ნიჰი-ლისტური პანკ-ვერსიის შესრულებით რომ გამოხატა, ლამის ფეხქვეშ გაიგ-დეს ქართველმა პატრიოტმა, მილი-ტარისტმა პანკ-როკერებმა (ორმაგი შეტყობინების ადამიანები). შემდეგ პანკ-როკ ფესტივალს ალბათ ერქმევა „ვაზის ნაჟური“ ან „მოკალი რუსი“.

აქტუალური არტის ასე მცირე დოზით არსებობა ყველგანმყოფის ორმაგი შეტყობინების თვალსაჩინო შედეგია. ამას ემატება მემარჯვენე მილიტარისტული დისკურსი და კონ-სერვატორული აზროვნების ტოტა-ლური მეფობა, ყოველდღიური ეკო-ნომიკური პრობლემების სიუხვე და საზოგადოების ტოტალური კონფორ-მიზმი, რომელიც შეიძლება უბრალო დადლილობითაც კი არის გამოწვეუ-ლი. ეს ფონი ძალიან მოუხერხებელი სამოქმედო არეალია ნებისმიერი მე-მარცხენე კრიტიკული არტისთვის, თუ აქტივობისთვის და, ამავდროუ-ლად, ზღვა მასალა და მიზეზი ამ არტის საკეთებლად. თუმცა პარა-

ნოიდალური შიზოფრენია იმდენად არეულია ყველა სფეროსა და ინფორ-მაციულ ნაკადში, რომ რთულია კლასიკური კრიტიკით საჭირო ეფექტის მიღწევა. მაგ. ტელეარხი „მანეტრო“ ან „კავკასია“ ხშირად იმდენად არა-პროფესიონალური და DIY ტაქტიკით მოქმედებს, რომ შეიძლება ტაქტიკუ-რი მედიის კარგ მაგალითად გამოდ-გეს, მაგრამ მათი მიზნები აბსოლუ-ტურად განსხვავებულია ნებისმიერი მედია-წინააღმდეგ მიზნებისგან, იგივეა ქართული მიტინგების, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის და „რევოლუ-ციების“ რიგი ტაქტიკები, რომლებიც აშკარად მემარცხენული „წარმოშო-ბისაა“, მაგრამ მემარჯვენე მიზნებით და მესიჯებით იკვებება. ამ ქაოტურ გარემოში მარტივია, ლიბერალურმა აქტივისტმა საკუთარი თავი ულტრა-მემარჯვენე მილიტარისტის გვერდით აღმოაჩინოს, როგორც ეს თუნდაც „იმედის“ პროტესტის დროს მოხდა. შესაბამისად, საკუთარი „ტრიბუნის“, ხმის არარსებობის გამო (თუ ამ ტრი-ბუნას არ შემოგსაზღვრავთ მხოლოდ სოციალური ქსელით ინტერნეტში), კრიტიკული აზრი ტრადიციულად (იხ. მიხაკო წერეთელი) სუსტია გურჯის-ტანში და ძალაუვნებურად დათმობაზე მიდის ნებისმიერ ავტორიტარულ, ში-ზო-პარანოიდულ დისკურსთან, რომე-ლიც უხვად იღვრება ტელეეყთიდან.

ერთი მხრივ, სოციალური მედია „ძლიერდება“, მოვიყვან დოდი ხარე-ლის (Dodka.ge) ფრაზას ფეისბუქიდან: „იმედთან“ დაკავშირებით უპრეცედენ-ტო ფაქტი მოხდა ქართულ სოციალურ მედიაში. გარდა განხილვებისა, ბლო-გებზე დაწერილი უამრავი პოსტი-სა, ფორუმებს და აქაურობას აღარც ვთვლი, სოც. მედიის საშუალებით მო-ხდა აქციების ორგანიზება და არხის დირექტორმაც კი განცხადება ფეის-ბუქის საშუალებით გააკეთა“.

ეს მართლა უპრეცედენტო სიტუ-აციაა საქართველოსთვის, მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიების სინათლის სიჩქარით გავრცელების პირობებში საკმაოდ ბუნებრივია სამოქალაქო ინტერნეტ აქტივო-ბა (თუნდაც ფორუმის საშუალებით საკუთარი აზრების დაფიქსირება).

„იმედის“ სწოხილი სიუჟეტი რეალოზის გაქრობის უმალესი კილოტაჟი იყო. ჩვენ ბილეთები მოგვსეს მედია ჯადოქრობის, კომუნიკაციური შავი მაგიის რიტუალზე დასასწრაზად და გვანახეს, როგორ ხდება ყალბი რეალოზის ფაბრიკაცია.

თუმცა გაცილებით საინტერესო იქნება კრიტიკული, ანტიავტორიტარული მედია ან ცალკეული სუბიექტი (რომელიც თავის მხრივ მონო-მედიაა), რომელიც სერიოზული ტრავმების გარეშე შეიძლება ორმაგი შეტყობინებების ეთნოფსიქიატრიულ სფეროში ოპერირებას. ტაქტიკური მედია (რომელიც აუცილებლად გულისხმობს სოც.მედიას და დაფუნდებულია მასზე) უფრო მეტ დროს უთმობს ძალაუფლებრივი, მანიპულაციური მესიჯების გამოვლენას, სპექტაკლის თვალთვალს სხვადასხვა კუთხიდან, საიდანაც მისი აბსურდულობა ჩანს. ის ახერხებს ღიპიანი პოლიტიკური ჭაობის წინააღმდეგ ახალგაზრდული ენერჯის და ულიმიტო პროტესტის რამდენიმე მუშტში მოგროვებას. მაგრამ როგორ შეიძლება პოზიტიური ახალგაზრდული ენერჯის კონცენტრაცია საზოგადოებაში, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნებისმიერი „პოზიტიური“ წამონყება იყო გაბრაზებული მასების გრიალი პარლამენტის შენობასთან, ტყუილი დაპირებები, ზემოდან ინსცენირებული სპექტაკლები, ნაციონალური თრეჟისა და ცრუ იდეალების ზეიმი? ყველა მიტინგი, ყოველი რევოლუცია „იმედის“ სიუჟეტისნაირი სპექტაკლი იყო (უბრალოდ იმ სპექტაკლების მერე არავის უთქვამს, რომ ეს იყო მოდელირება). და რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრების ვირტუალიზაცია ჩვენი ცნობიერების ისეთივე „ცოცხალი“ ნაწილია როგორც შიმშილის გრძნობა – ეს აბსურდის სპე-

ქტაკლები ჩვენი პირადი ისტორიის (ზოგჯერ მრწამსის და იმედების) ორგანული ნაწილი გახდა. ზუსტად აქ მინდა ისევ ვახსენო სოციალური ნიჰილიზმი, რომელიც ხშირად ბუნებრივი რეაქციაა ასეთ უნებისყოფო და გამანადგურებელ გარემოზე. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე სახის ნიჰილიზმი, და ტაქტიკური მედიის არარსებობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ასეთი ნიჰილიზმია, რომელიც ჩემს თაობას ახასიათებს. ამ შემთხვევაში, ჩვენ და ჩვენი ტომები არსებობის განსაკუთრებულ რითმზე გადავდით, რომელიც მხოლოდ პასიურ ამბოხს გულისხმობს – პროტესტს ცხოვრების სტილით, გულუბრყვილო იმედის და რწმენის გარეშე სოციალურ ცვლილებებში. ჩვენი ნიჰილიზმი განსხვავდება სხვა ზარმაცი მოქალაქის რელიგიური პროტესტისგან, ან პარანოიდული აგრესიისგან, ან ოპოზიციური რიტორიკისგან. ჩვენი ნიჰილიზმი პასიური სამოქალაქო დაუმორჩილებლობაა, უარია სპექტაკლში მონაწილეობაზე, პირადი ცხოვრების უფრო მეტი შინაარსით დატვირთვის ხარჯზე. ჩვენი ნიჰილიზმი საკუთარი კომუნიკაციური სისტემების მშენებლობაა, მთვრალი მოგზაურობა ხრუშჩოვებიდან ხრუშჩოვებში, ჩვენ გვაფრთხობს, მაგრამ ამავდროულად მოგვწონს საკუთარი თავის აღქმა ვირუსად, რომელიც არ ეკუთვნის მოცემულ სხეულს, ორმაგ შეტყობინებებს ჩვენ ვებრძვით თავისუფალი სიყვარულით,

არტით და თვითგანათლებით ინტერნეტში. ჩვენ ყველას წასვლა გვინდა ამ ქვეყნიდან, იმიტომ, რომ არ გვჯერა მომავლის, იმიტომ, რომ არ გვჯერა ტყუილების და ჩვენთვის ცალკეული მეგობრის, ინდივიდის ცხოვრება გაცილებით საინტერესო და გულისამაჩუყებელია, ვიდრე ნებისმიერი იდეოლოგიური ფიქცია ან ვალდებულება, რომელსაც თავს გვახვევს „სამშობლო“, რომელსაც არასოდეს არ გაუკეთებია ჩვენთვის რამე „კარგი“. ჩვენი ნიჰილიზმი შიზოფრენიის გადახარშვის ნამალია. და თუ დღეს ან ხვალ ჩვენ მაინც გადავალთ ტაქტიკური რეალობიდან ტაქტიკურ მედიაზე, არავითარ შემთხვევაში არ დაგვაინყდება, რომ „მიზანი სისტემის გაუმჯობესება კი არა, მისი მწყობრიდან გამოყვანაა. თუ ვირუსად გრძნობ თავს, რატომ უნდა გადარდებდეს ის, რომ მორიგ ბაგს წაანყდი?“ <@> დავით მაკარიძე [http://www.22111965.blogspot.com/] იმიტომ, რომ: „არაფერი იცვლება, ერთ წრეზე ვტრიალებთ და ასე გაგრძელდება უსასრულოდ, თავისი სამოქალაქო დაპირისპირებებით, არეულობებით, ტვინის რეცხვებით, მასობრივი შიზოფრენიით, შიშებით და მესიანური იდეებით შეპყრობილი პრეზიდენტების არჩევით, პატრიოტიზმის თავზე მოხვევით, მილიტარიზმის ქადაგებით და მოგებული, მაგრამ წაგებული ომებით. მოკლედ, დღეს ცუდ ხასიათზე ვარ!“ <@> ნაჯა ორასაკი [ნაწყვეტი ძველი იაპონური პაპირუსებიდან]



ბუტოვი

ავტორი: ლევან ბარძენიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ჯალღასტანიშვილი

შავი ზღვის მარგალიტი, შესანიშნავი ქალაქი ოდესა XIV საუკუნის ბოლოს დააარსა ლიტვის დიდმა მთავარმა ვიტოვტმა. მალე ოსმანებმა დაიპყრეს. მაშინ მას ხაჯიბეი, ან პოლონურად კოჩუბეი, ერქვა. ოსმანებმა ეს დასახლებული პუნქტი ედისანის პროვინციაში შეიტანეს. მეთვრამეტე საუკუნეში თურქებმა ხაჯიბეიში ციხე-სიმაგრე ხელახლა ააშენეს და მას ენი-დუნია უწოდეს. ხაჯიბეი მაშინ სილისტრის პროვინციის სანჯაყის ცენტრი იყო. ეკატერინეს მეცადინეობით, რუსეთმა შემოიერთა ეს ტერიტორიები და ოდესა „ახალი რუსეთის“ ანუ ნოვოროსიის დიდ საპორტო ქალაქად ჩამოყალიბდა. ერთი საუკუნის განმავლობაში იგი რუსეთის იმპერიის სიდიდით მეოთხე ქალაქი გახდა პეტერბურგის, მოსკოვისა და ვარშავის შემდეგ.

სხვა ტრადიციებთან ერთად, ოდესა სახელგანთქმული იყო ბაბელის მიერ რომანტიზებული დამნაშავეთა სა-

მყაროთი, ებრაული სათვისტომოთი, ყველა ეპოქის პოლიტიკური ანექლოტებით, მოქალაქეთა ფრონდორობით, თავისუფლებისადმი შესამჩნევი ლტოლვით და, შესაბამისად, დისიდენტების მრავალრიცხოვანი სახელებით. ჩვენს ზონაში ამ შესანიშნავ ქალაქს ღირსეულად წარმოადგენდა თეორეტიკოსი ფიზიკოსი პეტრე ბუტოვი. იგი 1982 წლის 10 თებერვალს იყო დაპატიმრებული და ოდესის საოლქო სასამართლოს მიერ 5 წელი ბანაკი და 2 წელი გადასახლება ჰქონდა მისჯილი.

პეტრე ბუტოვის დამსახურება დისიდენტური ისტორიის წინაშე უზარმაზარია: მან ვიარჩეს იგრუნოვისგან ჩაიბარა, გაზარდა და ისტორიის მონაპოვარი გახადა საბჭოთა იატაკქვეშეთის საოცრება, „სამიზდატისა“ თუ „ტამიზდატის“ პროდუქტებისგან შემდგარი ანტისაბჭოთა ლიტერატურის ვებერთელა ბიბლიოთეკა. რა არ იყო ამ ბიბლიოთეკაში: სოლჟენიცინიდან

და სახაროვიდან დაწყებული ბულგაკოვით, პლატონოვით, ზამიატინითა თუ პასტერნაკით დამთავრებული, „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკიდან“ დაწყებული და „ლიტვის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკებით“ დამთავრებული, ორუელის 1984-ით დაწყებული და ამალრიკის „გაძლებს თუ არა სსრკ 1984 წლამდე“ დამთავრებული, მაქსიმოვისეული ჟურნალ „კონტინენტი“ დაწყებული და რუსი სოლიდარისტების სახალხო-შრომითი კავშირის ჟურნალით, სახელგანთქმული „პოსევით“ დამთავრებული.

საბჭოთა ისტორიის მანძილზე ასეთი იატაკქვეშა ბიბლიოთეკები სულ სამი ყოფილა: მოსკოვის, პეტერბურგისა და ოდესის. საერთო აღიარებით, ყველაზე დიდი ყოფილა ოდესის ბიბლიოთეკა, რომელშიც 20 000-ზე მეტი დასახელების თითქმის 30 000 ბეჭდვითი ერთეული (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, პლაკატი და ა.შ.) და 20 000 მიკროფილმი

შედიოდა. ბიბლიოთეკას ჰქონდა საკუთარი გასამრავლებელი აპარატურა, UDC ანუ უნივერსალურ ათობით სისტემაზე აწყობილი ბიბლიოგრაფია, მიკროფილმების დამამზადებელი ლაბორატორია და საკუთარი ფინანსებიც კი (ბიბლიოთეკის წევრობა ფასიანი იყო, წლიური ბილეთი მანეთი ღირდა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ამზადებდა ასლებს, გამოსცემდა საკუთარ პროდუქციას, მაგალითად ყოველწლიურ აღმანახ „დერიბასოსკაიას“).

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამ ბიბლიოთეკის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო ლუდმილა ალექსეევას წიგნის (История инакомыслия в СССР, განსხვავებულად აზროვნების ისტორია სსრკ-ში, ვილნიუსი 1992) გამოსვლის შემდეგ; 1999 წელს მეც მქონდა მოხსენება აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში მსოფლიოს ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების წინაშე ოდესურ იგრუნოვ-ბუტოვის იატაკქვეშა ბიბლიოთეკაზე. მოხსენებამ განსაკუთრებული მონონება დამსახურა სამხრეთ ამერიკელ კოლეგებში, პორტუგალიურად და ესპანურად ითარგმნა და, რამდენადაც ვიცი, კუბაში ანალოგიური იატაკქვეშა ბიბლიოთეკის (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მედიათეკის, რადგან ბეჭდური ერთეულების გარდა, კუბურ იატაკქვეშეთში აკრძალული ვიდეოფილმების სოლიდური მარაგიც შევიდა) დაფუძნებას შეუნყო ხელი.

როგორც ლუდმილა ალექსეევა, რუსული დისიდენტობის სიამაყე და თავისუფლებისთვის მოძრაობის ნამდვილი დედოფალი აღნიშნავდა, „სამიზდატის“ სუსტ ტექნიკურ ბაზაში იმალებოდა მისი მაღალი ხარისხის საიდუმლო. მართლაც, ვინ გადაბეჭდავდა რამეს, ვინ განეკვდა სერიოზულ რისკს რაღაც უმნიშვნელო უაზრობის გამო? სტამბურად შეიძლება ყველა სისულელის ბეჭდვა, განსაკუთრებით, თუ ნაცნობი გყავს ან ფული გეგულება; ხოლო საბეჭდ მანქანაზე იბეჭდება მხოლოდ ის, რაც ადამიანს აინტერესებს, რისთვისაც ის მზადაა, დროც დახარჯოს და რისკიც გასწიოს. სწორედ ამიტომ, „სამიზდატი“ თვითგამო-

ცემა იყო იმდროინდელი მხატვრული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის კვინტესენცია.

იატაკქვეშა ბიბლიოთეკამ ბუტოვის ხელში თითქმის ათ წელიწადს იარსება, იგი ათასობით ადამიანს ისე მოემსახურა, რომ თავის არსებობას საფრთხე არ შეუქმნა. ბუტოვი შესანიშნავი დირექტორი იყო, ბრწყინვალე მენეჯერი და ადმინისტრატორი: სანამ თავისუფალი იყო, ბიბლიოთეკა ყვაოდა და იზრდებოდა. ასევე იზრდებოდა მისი სახელი და დიდება, ოდესის ბიბლიოთეკაზე უკვე მითები იქმნებოდა და ეს იქნებოდა იმის შესანიშნავი ილუსტრაცია, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს თუნდაც „ბოროტების იმპერიაში“. სამწუხაროდ, ოდესის ლეგენდარული ბიბლიოთეკა ისევე განადგურდა ცეცხლში, როგორც ამავე ქალაქის ლეგენდარული საზაფხულო თეატრი: ბუტოვის დაპატიმრების შემდეგ უმადურმა ჩეკისტებმა სამხრეზზე თითო ვარსკვლავი დაიმატეს და მთელი ოდესური ბიბლიოთეკა მოსპეს. ბუტოვი ხუმრობდა, – ჩემმა წინამორბედმა ბიბლიოთეკარებმა ხალხი ჩაუშვეს და მე მხოლოდ წიგნები გავიმეტეო. წარმომიდგენია, რა ბედნიერები იქნებოდნენ ჩეკისტები, როდესაც ოდესის ცენტრში, ბუტოვის მეგობარი ქალის სახლის საიდუმლო სარდაფიდან ანტისაბჭოთა ლიტერატურის ტომეულები ამოჰქონდათ და იქვე, სახელდახელოდ მოწყობილ აუტოდაფეზე წვადნენ მთელი კვირის განმავლობაში. სხვათა შორის, „ანტისაბჭოთა ლიტერატურის“, ანუ კარგი წიგნების განადგურების ეს სამარცხვინო პროცესი საბჭოთა პრესამაც გააშუქა და ქართული საბჭოთა პრესის ფლაგმანის, სახელგანთქმული ქართულ „კომუნისტის“ ფურცლებზეც კი მოხვდა.

ბუტოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ააწყო ანტისაბჭოთა წიგნების ჩამოტანის მარშრუტები ევროპიდან და ამერიკიდან ოდესის პორტამდე (შემდგომში მეუბნებოდა, – მხოლოდ მეზღვაურებს ვენდობოდი და არა გემის კაპიტანებს, ზამპოლიტებსა და პომპოლიტებს). თითქმის მთელი ანტისაბჭოთა ლიტერატურა აქცია მიკროფილმებად, ხოლო ორიგინალები –

წიგნები ხელუხლებელ ფონდში შეიტანა. სწორედ ამიტომ მის ბიბლიოთეკას ჩავარდნამდე რაიმე სერიოზული დანაკარგები არ ჰქონია. ბეჭდვით იშვიათად ბეჭდავდნენ, მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდნენ, პაპიროსის ქალაქს იყენებდნენ, რომელიც შვიდ ასლს იტანდა. თავის დროზე ჩვენი პარტიის ორგანოც, „სამრეკლოც“ ამ უეშმაკო მეთოდით იბეჭდებოდა. ასე რომ, პეტრე ბუტოვთან, ყველაფერთან ერთად, „ტექნოლოგიური ძმობაც“ მაკავშირებდა. ჩეკისტებმა სწორედ ხელუხლებელი ფონდი აღმოაჩინეს, მიკროფილმების სახით კი ბუტოვის ბიბლიოთეკამ დღევანდელობამდეც მოაღწია.

ბუტოვი უკვე პატიმარი იყო და პოლიტიკურ ბანაკშიც იყო გადაყვანილი, როდესაც კორეის თვითმფრინავის ტრაგედია მოხდა. ეს ამბავი გულთან ისე ახლოს მიიტანა, რომ თავის მუდმივ საფიქრალად და სამუშაოდ აქცია. ზონაში ყველა ახალმოსულს ეკითხებოდა თვითმფრინავის ამბავს, აინტერესებდა ყველაფერი: დრო, სტატისტიკა, კონკრეტული თვითმფრინავის ისტორია, მგზავრები, პოლიტიკურის რეაქცია, საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ პოზიცია, დასავლეთის რეაქცია და ა.შ., მოკლედ, ყველაფერი.

რეისი 007-ის ტრაგედია ბუტოვისთვის არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ვანდალიზმად, არამედ რაღაც პირად უბედურებად იქცა. 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა გამანადგურებლებმა კუნძულ სახალინის დასავლეთით, იაპონიის ზღვის თავზე, „აკრძალულ სივრცეში“ ჩამოაგდეს კორეის ავიანაზების სამოქალაქო თვითმფრინავი „ბონგ 747“, რომელიც ასრულებდა რეისს ნიუ იორკი-სეული (ანკორიჯში დაჯდომით და სანვავის შევსებით). თვითმფრინავის ბორტზე 269 ადამიანი იმყოფებოდა (246 მგზავრი და 23 ეკიპაჟის წევრი). ყველა, მათ შორის 12 წლამდე ასაკის 22 ბავშვი, დაიღუპა.

საბჭოთა კავშირი თავდაპირველად უარყოფდა, რომ რამე იცოდა ინციდენტის შესახებ, მაგრამ შემდეგ აღიარა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი და დაიწყო მტკიცება,



რომ ჩამოაგდო ჯაშუში თვითმფრინავი. პოლიტიკურად განაცხადა, რომ ეს იყო შეერთებული შტატების განზრახვი პროვოკაცია, შეემონებინა საბჭოთა კავშირის სამხედრო მზადყოფნა ან ომიც კი გამოუნვია. შეერთებულმა შტატებმა ბრალი დასდეს საბჭოთა კავშირს, რომ ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა ხსნისა და ძიების ოპერაციასაც კი. უკვე რუსეთმა მომხდარიდან მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ზენოლით გამოაქვეყნა ტრაგედიის ზუსტი მონაცემები.

ეს ინციდენტი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მომენტი იყო ცივი ომის ისტორიაში, რომელმაც გააძლიერა ანტისაბჭოთა განწყობები მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინციდენტის შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალა ალიასკიდან გასული რეისების ტრეკინგის სისტემა, შეიცვალა საავიაციო

ხაზების ავტოპილოტის სქემა, ხოლო პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა უბრძანა სამხედროებს, რომ გლობალური პოზიციონირების სისტემა (ჯიპიესი) სამოქალაქო რეისებისთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო (უფასოდ) მომავალში მსგავსი ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად.

ბევრი მკვლევრის აზრით, სწორედ მაშინ დაებადა რონალდ რეიგანს იდეა, საბჭოთა კავშირისათვის „ბოროტების იმპერია“ ეწოდებინა. აი, რა აქვს ნათქვამი შეერთებული შტატების პრეზიდენტს: „საბჭოთა კავშირი ქადაგებს სახელმწიფოს უპირატესობას, აცხადებს, რომ სახელმწიფო პიროვნებაზე და, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს ყველა ხალხზე მაღლა დგას და, ამდენად, სწორედ ამით იგი წარმოადგენს ბოროტების თავშესაფარს თანამედროვე მსოფლიოში“.

მგზავრების მესამედზე მეტი კორეელი იყო, თითქმის მეოთხედი – ამერიკელი (მათ შორის ჯორჯიის შტატის კონგრესმენი ლოურენს მაკდონალდი); იყვნენ იაპონელები, ჩინელები, ფილიპინელები, კანადელები, ტაილანდელები, ავსტრალიელები, ინგლისელები და სხვები. თხუთმეტი წუთის დაგვიანებით მას მიჰყვებოდა იმავე რეისის მეორე თვითმფრინავი, რომელმაც სეულს მშვიდობიანად მიაღწია.

საიდუმლო შეკრებაზე, რომელსაც ათიოდე პოლიტპატიმარი ესწრებოდა და რომელიც ზონის ბიბლიოთეკის პატარა ოთახში შედგა, ბუტოვმა წაიკითხა მოხსენება კორეული თვითმფრინავის შესახებ. მოხსენება მთავრდებოდა სიტყვებით: „არ ვიცი, იცოდა თუ არა ეს სკკპ-ს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, სულით და ხორცილთ ავადმყოფმა „პოეტმა“, იური ანდროპოვმა (აღარ ბრძანდება ცოცხალი), თავდაცვის მინისტრმა, გენერალიოტმა დიმიტრი უსტინოვმა (არც ეს არ ბრძანდება) და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეთაურმა ვიქტორ ჩებრიკოვმა (ამას რა მოკლავს!), მაგრამ თვითმფრინავი, რომელიც 1983 წლის 30 აგვისტოს აფრინდა ნიუ იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტიდან და რომელიც საბჭოთა „სუ-15“-მა ჩამოაგდო იაპონიის ზღვის

თავზე, არის სიმბოლო სსრკ-ს მომავალი დაცემისა. შორი არ არის ის დღე, როდესაც სსრკ შეწყვეტს თავის არსებობას და პოლიტიკურად გამოცდილ წევრებს უამრავ სხვა კითხვასთან ერთად მოუწვევთ პასუხის გაცემა ამ კითხვაზეც: კიდევ გახსოვთ ბავშვების სისხლის გემო?“

ბუტოვის ზონური ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველას დაამახსოვრდა: ერთხელ ფიზიკოსმა და სერიოზულმა ბუტოვმა შერლოკ ჰოლმსის როლი შეასრულა, დამნაშავე აღმოაჩინა და სახელდახელო სასჯელის განსაზღვრაშიც მიიღო მონაწილეობა.

ცხოვრება სავესტა მოულოდნელობით და ეს ისტორიაც მოულოდნელად დაიწყო. ქართული ენის მთელი სიმდიდრე რომ გამოვიყენოთ, ანაზღად წერილმა რამე-რუმეებმა ანუ რაღაც-რაღაცებმა მიყოლებით დაიწყო დაკარგვა. ასე, თავისით „დაიწყო“. წლების მანძილზე არ იკარგებოდა და ახლა დაიწყო. დაკარგული ნივთების უბრალო ჩამონათვალმა დაადასტურა, რომ რაიმე სისტემის შემუშავება მათ აღსაწერად ძნელი იქნებოდა. მართლაც, რა აკავშირებს ერთმანეთთან ლევან ბერძენიშვილის ნიგოზს და 1 ქილა შედეგებულ რძეს, რაფიკა პაპაიანის ერთ თავ ნიორს, საავადმყოფო დიეტაზე მყოფი ჯონი ლაშქარაშვილის სიმწრით შეგროვილ 20 გ კარაქს, გიორგი ხომიზურის 50 გ კვერცხის ფხვნილს, მიმა პოლიაკოვის 100 გ ფქვილს და ა.შ.?

ამ კითხვით მივადექი სახელგანთქმულ ფიზიკოსსა და შერლოკ ჰოლმსის უბადლო მიმდევარს, ოდესის სიამაყეს, პეტრო ბუტოვს (შერლოკ ჰოლმსთან მას პისტოლეტებისა და ვიოლინოს სიყვარულიც აკავშირებდა).

– უცნაურ კითხვებს სვამთ, მოქალაქე ქართველო! – სიხარულით მიიღო დავალება ბუტოვმა, რომელიც, თავისი დიდი წინამორბედის მსგავსად, მუდმივად უჩიოდა დანაშაულის ნაკლებობას პერესტროიკის პირველ წლებში. – მართლაც, რა საერთო უნდა ჰქონდეს ნიორს და კარაქს? ახლა ნადით, ბატონო ქართველო, და ერთ საათში მობრძანდით, პირველი პასუხი მექნება.

ერთი საათის შემდეგ ჟორა ხომიზურ-თან და ბორია მანილოვიჩთან ერთად მივაღეკი. ეს შემთხვევით არ გამიკეთებია: ჯერ ერთი, პაველსონსიდან დაწყებული და ბობკოვით დამთავრებული, ყველა ასეთი წვრილმანი ქურდობა ბოლოს მაინც ბორიას ბრალდებოდა, როგორც ყველაზე უფრო დამახასიათებელ სემიტს, გარდა ამისა, მანილოვიჩი კრიტიკულად იყო განწყობილი ბუტოვის მიმართ და მის ცალკეულ გამონათქვამებში ანტისემიტიზმის ელემენტებს ხედავდა. ამავე დროს, ჯოსს თავის მხარეს ხრიდა, როცა ამბობდა, – ბუტოვი არ უნდა წარმოადგენდეს ოდესას, ოდესა რომ წარმოადგინო, ამისთვის, სულ ცოტა, ბუტოვიჩი ან, კიდევ უკეთესი, ბუტკევიჩი უნდა იყო.

– მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო! – გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი დანახვა ბუტოვმა. – კარგია, დაზარალებულის გარდა, უოტსონიც რომ მომიყვანეთ, რადგან მე, პაველსონსის პრიმიტიული წარმოდგენებისგან და, მით უმეტეს, ბობკოვის ცხოველური ანტისემიტიზმისგან განსხვავებით, ებრაელების და, მით უფრო, ბატონი ექიმი ჟიდაგოს ანუ პროფესორი მანილოვიჩის ფუნქციას უფრო ფართოდ ვხედავ კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის კონტექსტში.

– ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, ბატონო ფიზიკოსო ბუტოვ, ოდესის სიამაყე, დილო ბიბლიოთეკარო და ადამიანი, რომ ამ წვრილ საქმეს იოლად და მიკბვ-მოკბვის გარეშე გამოიძიებთ, დამნაშავეს იპოვით და სამართალს აზეიმებთ. დაზარალებულებს შორის არიან სამხრეთი კავკასიის ხალხთა სწორუპოვარი წარმომადგენლებიც, – ჩამოაყალიბა საერთო სათქმელი მჭევრმეტყველმა გიორგი ხომიზურმა, სამხრეთი კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაციის ერთადერთმა და მუდმივმა თავმჯდომარემ.

– სწორად გაქვთ ჩემი იმედი, ბატონო გეოლოგო ჟორა. მე უკვე გადავდგი ერთი ნაბიჯი დანაშაულის გახსნის გზაზე. მე აღმოვაჩინე ღრმა კავშირები დაკარგულ ნივთებს შორის.

– ის ხომ არა, რომ კარაქიც და ნიორიც იჭმება? – მოკრძალებულად იკითხა ბორიამ.

– არა, ეგ თქვენი აღმოჩენაა, მე ვერ შეგეცილებით, მე გაცილებით უფრო მოკრძალებული აღმოჩენა მაქვს.

– ბრძანეთ, ჰოლმს.

– კარაქი ხომ ლაშქარაშვილს მოჰპარეს?

– ნამდვილად. მარჯვენა ფილტვში პროცესი გაეხსნა და ექიმმა ძლივს გაიმეტა დღეში 5 გრამი. ოთხი დღის კარაქი იყო დაგროვილი, 20 გრამი წაიღო ვიღაც არამზადამ! – აღშფოთდა ჟორა.

– ემოციები ვერ დაგვეხმარება. უბრალოდ, დავიმანსოვროთ, რომ კარაქი ავადმყოფს მოჰპარეს. თანაც მოჰპარეს ისეთ კაცს, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია მისი დამალვა.

– სრული სიმართლეა, ჰოლმს, – დაუდასტურა ბორია უოტსონმა.

– ხოლო ნიორი მოჰპარეს თვით რაფაელ პაპაიანს, რომელსაც იგი საიდუმლო სეიფში ჰქონდა ჩაკეტილი?

– საიდან მოიტანდა სეიფს ზონაში?

– გაიკვირვა ხომიზურმა. მე მის გაცეხას არ ვიზიარებდი.

– კი ბატონო, არ ვუნოდოთ სეიფი,

მაგრამ სპეციალურად გადამალული ხომ იყო ნიორი? თუ პაპაიანი გამოვიძახხო? – ჩუმად იკითხა ბუტოვმა.

– არა, რა საჭიროა გამოძახება, ნიორი კარგად იქნებოდა შენახული.

– ესეც პირველი მიგნება: ქურდისთვის სულ ერთია, კარგად ინახავს თუ არა თავის ქონებას პატრონი. ის იპარავს მიყოლებით და ყველაფერს, ის პოულობს პაპაიანის გადამალულ ნიორსაც კი, როდესაც, სამი თვეა, ერთი კბილი ნიორიც კი არ დაუნახავს ვინმეს! ქურდს არ ერიდება, ავადმყოფი გაძარცვოს, მას სრულიად არ აფერხებს მორალური ან ნაციონალური მიზეზები.

– ამით რისი თქმა გსურთ, ჰოლმს? – ვიკითხე მე.


– იმისი, რომ ჩვენი ქურდი შესანიშნავი ფსიქოლოგია და კავკასიელი არ არის.

– ფსიქოლოგი მთელ ზონაში მხოლოდ მანილოვიჩია, – შეახსენა ჟორამ.

– თან კავკასიელიც არ არის, – დავამატე მე.

– თქვენ გსურდათ გეთქვათ, რომ

ოლენის ბიბლიოთეკაზე უკვე მითავი იქმნებოდა და ეს იქმნებოდა იმის შესანიშნავი ილუსტრაციის, თუ რისი ბაქთება შეუძლიათ აღაშინებდნენ თუნდაც „ბოროტების იმპერიის“.





ფსიქოლოგის დიპლომი მხოლოდ მანილოვიჩს აქვს, მაგრამ მე უოტსონი თავიდანვე გამორიცხული მყავს, ის ასეთი წვრილი საქმეებისთვის არ გაუჩენია მამა იაჰვეს.

– რაში გამოიხატება დამნაშავეის ფსიქოლოგიზმი?

– იმაში, რომ ნივრის ქურდობაში ბრალი კი დაედება, მაგრამ ოქროსავით ნივრის გახმობისთვის არც პაპიანის მოიხსენიებს ვინმე კეთილად. ლაშქარაშვილიც, იმის მაგივრად, კარაქს ჭამდეს, ინახავს, ეს ჩვენს ქურდს სასაცილოდ არ ჰყოფნის. წარმოადგინო მსხვერპლი სასაცილო მდგომარეობაში – აი, ეს არის მისი ფსიქოლოგიური იარაღი.

– კარაქს რომ იპარავს, მაშინ ღორმუცელაა და ნივრის ქურდობისას დახვეწილი ფსიქოლოგი? – შევშფოთდი მე.

– რაღაც ხდება და მე არ მეუბნები? – შემოგვესწრო ვადიმ იანკოვი. ფიზიკოსები და ფილოლოგები ბჭობენ და საბრალო მათემატიკოსებისთვის ადგილი არ არის? პაპიანის ნიორი ნიორია და ჩემი მთელი ქილა ერბო ერბო არ არის?

– თქვენც მოგპარეს? – ვერ დავმაღლე გაკვირება მე, რადგან კოსი არაფერს არ ინახავდა, ყველა პროდუქტს ამანათის მიღებისთანავე, უმოკლეს დროში სპობდა.

– ჩემი დაკვირვებით, ჯერჯერობით იური ბაძიო ერთადერთია, ვისთვისაც არაფერი მოუპარავთ, რადგან მას

ყველაფერი თავისი თან დააქვს: „ომნია სუა სეცუმ პორტატ“, ასე არაა, ჩემო სოკრატე? (ბაძიოს მუდმივად თან დაჰქონდა თავისი მაგიდის საათი, რომლის ტარების უფლება რუსეთისა და უკრაინის „კა-გე-ბე“-სთან სამწლიანი ომის შემდეგ მოიპოვა).

– ჩვენ არ ვიცოდით, რომ ერბო გქონდათ, – შეაპარა ბუტოვმა.

– მე ხომ ვიცოდი! – არ გაიტეხა იხტიბარი ვადიმმა.

– ქურდს თქვენი შერცხვენა უნდა, ჩემად რომ ჭამდით ერბოს.

– ხმაურიანად უნდა მეჭამა?

– არა, ჩემთვის უნდა გაგესინჯებინათ, – დაგვიანებით ეწყინა ჟორა ხომიზურს.

– მაპოვინინეთ და ყველას გაგასინჯებთ თითო კოვზს. ჩაის კოვზი იგულისხმება. ფრანგული ერბოა.

– ბარემ ჩემი თამბაქოც იპოვეთ, „ბლექ კეპტენია“, – შემოგვიერთდა პოლიაკოვი.

– ახ, ქურდი კიდევ ჭამს და კიდევ ეწევა! – დაასკვნა ბორია უოტსონმა.

– არა, უოტსონ, არ ეწევა, არც ჭამს. ქურდი ნაქურდალით ვაჭრობს, – მნიშვნელოვანი ტონით განაცხადა ბუტოვ-ჰოლმსმა.

– ეს როგორ? – მართლა უოტსონით გაიკვირვა ბორიამ, – თან კავკასიელი არაა, თან ვაჭრობს და თან ფსიქოლოგია? ქურდი ეს მე ვარ?

– არა, შეგიძლია დამშვიდდე. შენ უფრო დიდი საქმეები გიხმობენ. წარმოიდგინე, რა მოუვა ადამიანს, რომე-

ლიც შეჭამს ერბოს, კარაქს და ნიორს.

– რა უნდა მოუვიდეს?

– დიარეა. მარტივი დიარეა. მისი პოვნა ძალიან იოლი იქნებოდა: ტულეტიდან ცხვირს ვერ გამოჰყოფდა. არადა, დიარეა არ აქვს. რამდენი ხანია, იქით ვიყურები და, რაზლაცკის გარდა, კაცი არ შესულა ტულეტში. ესე იგი, ქურდი ხარბად არ ნთქავს ნაშოვნს, თანაც შეუსვენებლად მუშაობს, აშკარად პროფესიონალია.

– პროფესიონალ ქურდს პოლიტიკურ ზონაში რა უნდა? აგერ არ არის მშობლიური „ტროიკა“? ქურდებიც არიან, მკვლელებიც და გამაუპატიურებლებიც.

– აქ პროფესიონალი ვაჭარიც ზის, „გულაგს“ რომ ას მანეთად ყიდდა, – შეახსენა თანამოაზრეს ბუტოვმა (მართლაც, რაც ბარაშევიში თავი მახსოვდა, გაუთავებლად მიმდინარეობდა პოლემიკა, უნდა ჩათვალოს თუ არა დისიდენტად ბატონი მელნიკოვი, რომელიც ანტისაბჭოთა ლიტერატურით კი ვაჭრობდა, მაგრამ საკუთარი „პროდუქტის“ იდეოლოგიას არ იზიარებდა. თავად მელნიკოვი თავს დისიდენტად არ მიიჩნევდა).

– ამ ბებრებში ვინ იცის, ვინ ვინ იყო თავის დროზე, – გადაიტანა ყურადღება სამხედრო დამნაშავეებზე ჟორა ხომიზურმა.

– ქურდი ახალგაზრდაა, – მოულოდნელად განაცხადა ბუტოვმა, – და გასამართლებული სამოცდამეათე მუხლით.

– საიდან იცი? – აშკარად გავიკვირვეთ ყველამ.

– პაპიანმა მანახა თავისი სამალავი. იმას რომ შენვე, ახალგაზრდა და ფიზიკურად კარგად მომზადებული უნდა იყო.

– დანარჩენი სტატისტიკის საკითხია, – განაცხადა ჟორამ. ჰეროდოტე ისტორიის მამა იყო, არისტოფანე – კომედიისა, ხოლო ჟორა სამართლიანად მიიჩნეოდა სტატისტიკის მამად. ნაპოლეონის სიტყვებით უყვარდა ხოლმე თქმა, სტატისტიკა საგანთა ბიუჯეტიაო. – სტატისტიკის მიხედვით, ამჟამად ზონაში ხუთი კაცია 30 წლამდე ასაკის. ხუთივე მამრობითი სქესისაა (ეს აშკარად ჭარბი მონაცემია), ხუთივეს სამოცდამეათე მუ-

ხლი აქვს მისადაგებული, ერთი მათგანი, მიშა რიკვინი, უკვე სამი თვეა, ПКТ (Помещение Камерного Типа) ანუ ბურში ზის და გამოირიცხება, დარჩა ოთხი: შაბონასი, ბარკანსი, მირონოვი და უდაჩინი.

– ჩავთვალეთ, რომ ქურდის სახელი დასახელებულია, – ბრძანა ბუტოვმა, – დარჩა მხოლოდ ეგრეთ წოდებული დავინროება და ოთხიდან ერთის შერჩევა, – გთხოვთ, თქვენ-თქვენი კანდიდატები დაასახელოთ.

– ჩემი აზრით, ძალიან სანყენი შედეგი გვექნება, მე არც ერთი მათგანი არ მემეტება ქურდის სახელისთვის, – გულწრფელად განაცხადა იანკოვმა.

– ლექსი დაიბადა ჩემში, – განაცხადა მანილოვიჩმა:

**Нечаянный вор неслышанных слов
Додумывал их, и попыток число
Росло без конца, ибо снова и снова
Ему не хватало то взгляда, то слова**

– არანაირი უნებური ქურდი ჩვენ არ გვყავს, – აღვშოთდი მე, – სრულიად კონკრეტული ნიგოზი მოიპარა, რომლისგანაც ხუთი კაცის ბაჟე კეთდებოდა, დაგვხატავდა ხუთივეს ახლავე.

– დაგვხატავდა კი არა, დაგვხატავს, – შემისწორა ბუტოვმა, – ბაჟე იქნება დღესვე. სხვა ინგრედიენტები ხომ გაქვს?

– ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი და წინაკა მაქვს; პაპაიანის ნიორიც თუ აღმოჩნდა, ბაჟე უკვე მზადაა.

– მიყვარს ბაჟე ყვითელი ყვავილით, – მეოცნებე ხმით წარმოთქვა ბუტოვმა.

– განსაკუთრებით, თუკი შიგ რამე დევს, – განაგრძო მანილოვიჩმა, – სამი თევზის კუდი ჩემზეა.

– მოვმკვდარვართ ჭამით და ეგაა, – აღმოთქვა ხომიზურმა, – ოლონდეს მაინტერესებს, ქურდს აღარ ვეძებთ? თავისით გამოვა ასპარეზზე და იტყვის, – მე ვარ ჰამლეტი და სისხლი მეყინებაო?

– შაბონასი უნდა გამოვრიცხოთ, – თქვა ბუტოვმა.

– რა საფუძველზე? – დაინტერესდა იანკოვი.

– ბევრს ლაპარაკობს, ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ქურდის პროფაილში არ ჯდება, – დაასკვნა ბუტოვმა.

– აკი ზონაში ერთი ფსიქოლოგიაო! – ძველი წყენა არ დამალა მანილოვიჩმა, – ესე იგი, ქურდის პროფაილი არსებობს. როგორია იგი?

– ჩვენი ქურდი არის ახალგაზრდა, ჯანმრთელი მუტრუკი, გამჭრიახი მზერით, ნათელი გონებით, დახვეწილი მანერებით, სიტყვაძუნნი... – მეტისმე-

ტად თვითდარწმუნებულად დაიწყო ბუტოვმა.

– ... და აქვს ცისფერი თვალები, – დაასრულა მანილოვიჩმა.

– აქილევსის სიმარდე, ოდისევსის გონება, ლინკევსის მზერა, ჰამლეტის სიღრმე, – დაასკვნა იანკოვმა, – ლამის ვალიარო, რომ ასეთმა კაცმა უნდა მოიპაროს კიდეც ჩემი ერბო და ბერძენიშვილის ნიგოზი.

– შენ გავიწყდება, ვადიმ, რომ მან პაპაიანის ნიორიც მოიპარა. არგიშტის სიკვდილისა და 26 კომისრის დახვრეტის შემდეგ სამხრეთი კავკასიისთვის ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია.

მიუხედავად იანკოვის აშკარად დამცინავი ტონისა და ხომიზურის საეჭვო აღუზიებისა, ბუტოვი არ აღელდა.

– ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომაა, ამას ადასტურებს პაპაიანის სამალავი. მოხუცი და ავადმყოფი იმას ვერ შეწვდებოდა ვერასოდეს. – გამჭრიახი გონება რომ არ ჰქონოდა, პაპაიანის სამალავს ვერ მიაგნებდა. დღისით იმ ადგილს ვერ გაეკარები, ღამით კი მართლა ლინკევსის მზერა გჭირდება.

– ან ფელდმანის ფარანი, – დავაყოლე მე.

>>> ბაბრქიძეა გვ. 118



ანდისაჭოთა ლიტერატურის“, ანუ ქარბი წიგნების განადგურების ეს საპარსხვინო პროცესის სახელბანთქმული ქართული „კომუნისტის“ ფურსტლებზეც კი მოხვდა.



პოსტსაბჭოთა ქავერი ანუ განდევნილი წარსული

„აქ, როგორც ყოველთვის, ამას უნდა ერქვას: pudenda origo! (სა-
სირცხვილო წარმომავლობა – გ.მ)“ ფრიდრიხ ნიცშე

ავტორი: ბიორბი მაისურაძე
ილუსტრაცია: მანია სუშაძე

„წითელი ზონის“ მიღმა და გადაღმა

ამ წერილის დაწერის სურვილი გასული წლის ოქტომბრის ბოლოს თბილისში, კერძოდ კი „ოკუპაციის მუზეუმში“ ყოფნისას გამიჩნდა. მუზეუმში რემონტი იყო და ექსპონატების ნახვა ვერ შევძელი, თუმცა კი იქ ამ მიზნით არც მივსულვარ. იმ დღეს გოგი გვახარიას გადაცემა „წითელ ზონაში“ ვმონაწილეობდი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის უშუალო ორგანიზატორსა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ დამაარსებელს ლევ ტროცკის ეძღვნებოდა. გადაცემის დასასრულს გოგი გვახარიას ბოლო შეკითხვაზე, – „რატომ არის დღევანდელ საქართველოში მემარცხენე იდეები არაპოპულარული?“ – ვუპასუხე, რომ ამის მიზეზი მემარცხენეობის საბჭოთა კავშირთან გაიგივება უნდა იყოს. ასეთი პასუხი არადაამაკმაყოფილებელია და უფრო ვრცელ განმარტებას საჭიროებს. თანაც მისი მართებულობა საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ჯგუფებზე შეიძლება ვრცელდებოდეს, ანუ ადამიანთა იმ კატეგორიაზე, რომლებშიც საბჭოთა ტოტალიტარიზმი პროტესტს იწვევდა და მის წინააღმდეგ მეტ-ნაკლებად აქტიური ქმედებისაკენ უბიძგებდა. ასეთი კატეგორიის ყველაზე რადიკალურ ფრთას დისიდენტები წარმოადგენდნენ, რომელთა საქმიანობის დიდი ნაწილი საბჭოთა სისტემის ღია კრიტიკასა და მის წინააღმდეგ ძირითადად

ორგანიზებულ სააგიტაციო-საპროტესტო ქმედებას ეთმობოდა.

მათ პარალელურად, არსებობდა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, „ინტელიგენციად“ წოდებული საზოგადოებრივი ფენა, რომლის წარმომადგენელთა უდიდეს ნაწილს არანაირი ილუზია საბჭოთა წყობილების აღმატებულებისა თუ კომუნიზმის იდეალების შესახებ არა ჰქონია, მაგრამ განსხვავებით დისიდენტებისგან, რომლებიც ძირითადად სწორედ ინტელიგენციის რიგებიდან იყვნენ გამოსულები, იგი არსებულ ვითარებასთან მორგებითა და მის თავის სასარგებლოდ გამოყენებით, საკუთარი საქმიანობის არეალს ნებადართულის ფარგლებში შემოსაზღვრავდა. ამით ინტელიგენცია საზოგადოების რეპრეზენტაციულ ან, უფრო სწორად, დეკორატიულ ელიტად ჩამოყალიბდა, რომელიც თუმცა ძალაუფლების რეალურ მექანიზმებს არ ფლობდა, მაგრამ ხელისუფლებასთან სიახლოვე მასაც მატერიალური თუ მორალური პრივილეგიებით ამკობდა. მიუხედავად შედარებით მაღალი ხელფასებისა და ზოგჯერ პრემიებისა, ინტელიგენციის ეკონომიკური მდგომარეობა ახლოსაც ვერ მივიდოდა მაღალ თუ საშუალო რანგის საბჭოთა საქმოსნებისა და კორუმპირებული ბიუროკრატის კეთილდღეობასთან. პოსტსტალინური ხანის კორუმპირებულ საბჭოთა საზოგად-

საბჭოთა კავშირი, რომლის პირველი შემდგარი მემარცხენე სახელმწიფო, ამ პოლიტიკური კლასტორების ახსოვლადი სახით გამოვლინება იყო, რომლის სწორად თავისი ახსოვლადი სახით და ჭეშმარიტებაში მოწოდების დაფუძნებით გადაიქცა ტოტალიტარულ სისტემად და ამით იმავი იდეალის მტრად, რომლისთვისაც ის თავად იბრძოდა.

დოქტორი ინტელიგენცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, საშუალო ფენას წარმოადგენდა, მაგრამ მისი ძალაუფლებისა და ელიტურობის განმსაზღვრელი ფაქტორი ამ საზოგადოებრივი ფენის რეპრეზენტაციული სტატუსი და ლავიერების უნარი იყო, რომელსაც ყველა სხვა ფენასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა: „უბრალო“ ხალხისათვის ის, როგორც „გამოჩენილი ადამიანის“ ხატი, თავყვანისცემის ობიექტი იყო, ფულიანი საქმოსნებისათვის – „პრესტიჟული“ ნაცნობ-მეგობარი, ხოლო ხელისუფლებისთვის – იდეოლოგიური საყრდენი. ინტელიგენცია იყო როგორც ოფიციალური საბჭოთა კულტურული ინდუსტრიის მთავარი მამოძრავებელი და აღმასრულებელი ძალა, ასევე იდეოლოგიურად ნებადართულის ფარგლებში საბჭოთა სისტემის ერთგვარი საპირისპირო, ე.წ. კონტრაპრეზენტული მითების ავტორიც.

„კონტრაპრეზენტული მითი“ ანმყოს, არსებული რეალობის სანინაღმდეგოდ, ერთგვარი ვირტუალური, გამოგონილი სამყაროს შექმნას ნიშნავს და ამდენად მასში სხვადასხვაგვარი შეფარული ფორმით მოცემულია ანმყოს კრიტიკა. საბჭოთა კონტრაპრეზენტულ მითოლოგიაში, განსაკუთრებით ბრეჟნევის ხანის, რომელსაც მეც მოვესწარი, სამი ძირითადი ტიპის გამოყოფა შეიძლება: პირველია მთლიანად ნაციონალისტური შინაარსის, რომელიც ისტორიული ფაქტების გადამეტებული პათეტიკითა და ჰეროიკული გამოსახვით იქმნება. ამ მითის ფუნქცია კი უფერული ანმყოს გმირული და საამაყო წარსულით ჩანაცვლებაა. ასეთი ჩანაცვლება ფსიქოლოგიურ კომპენსაციას ემსახურება: კი ვიცით, რომ ცუდ დღეში ვართ, მაგრამ სამაგიეროდ უნდა გვიხაროდეს, რომ ასეთი დიდებული წარსულის მქონე და ასეთი ბუმბერაზი კულტურის წარმომადგენლები ვართ („მე პატრონმა, მე პატრონმა ამისთანა ცის“...). მეორე ტიპიც ისტორიული ხასიათისაა, თუმცა მასში ეროვნული სიამაყის ადგილი ერთგვარ სოციალურ-კლასობრივ ნოსტალგიას უკავია. ესაა „რევოლუციამდელი“ ყოფის გაიდეალება, დეგრადირებულ საბჭოთა ადამიანების პარალელურად, როგორც ოთარ იოსელიანის ფილმებშია, არისტოკრატ წინაპრების გახუნებული ფოტოსურათებისა და ანტიკვარული ნივთების ჩვენება, რომლებიც ერთ დროს ამ ფოტოებზე გამოსახულ „კნეინებსა“ და მათ ოფიცრის მუნდირიან კავალრებს ეკუთვნოდათ. ასეთ მითებში კრიტიკული ელემენტი საბჭოთა ადამიანის ჰაბიტუსისა და მენტალიტეტისკენაა მიმართული, თუმცა კი თავისი შინაარსით იგი ელიტური ფენის – ინტელიგენციის დინასტიური მითიცაა, რომლის

მეშვეობითაც იგი საკუთარ „კეთილშობილურ“ წარმომავლობას დეკლარირებს და „უსახო“ საბჭოთა მასას ემიჯნება. ამით კი საზოგადოებრივი ელიტის განსაზღვრების არა მხოლოდ რევოლუციამდელი, არამედ პრემოდერნული, ფეოდალური სტერეოტიპების რეპროდუქცია ხდება, სადაც განმსაზღვრელია სოციალური წარმომავლობა.

მესამე ტიპის მითი ყველაზე მეტად „დისიდენტურია“ და მისი იდეალიზაციის ობიექტი არა მიღმიურ წარსულში, არამედ *ნითელი ზონის* გადაღმა მდებარე „საზღვარგარეთშია“. ეს მითი, რომელმაც არაოფიციალური და თითქმის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი დისკურსი წარმოშვა, საბჭოთა ნყობილებისა და მისი იდეოლოგიური მიზნებისადმი ყველაზე მძაფრი ნიჰილიზმის გამომხატველი იყო. ის „კაპიტალისტურ“ დასავლეთს ისე აიდეალებდა, რომ მის ავტორებს ხშირად ელემენტარული წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ არც დასავლეთზე და არც კაპიტალიზმზე. მაგრამ, ვინაიდან ბოროტი საბჭოთა კავშირი სოციალიზმის განსახიერებაა, კაპიტალიზმი თავად სიკეთის იდეის ხორცშესხმა უნდა იყოს. ამ მითის თანახმად, სოციალური ჩავვრა და ექსპლუატაცია საბჭოთა პროპაგანდისტული ტყუილება. სინამდვილეში კი კაპიტალისტურ ქვეყნებში ლამის მინიერი სამოთხე სუფევს, რაზეც საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ემიგრანტებიც მოწმობენ; თუმცა კი იქიდან უკან დაბრუნებული არავის ენახა, მაგრამ სამოთხეში მცხოვრები ემიგრანტები ამ მითის ლოგიკას შეეფერებოდა.

საბჭოთა დისიდენტების უმრავლესობა სწორედ ინტელიგენციის რიგებიდან იყო გამოსული და მათ, განსაკუთრებით ქართველებმა, სამივე შინაარსის მითის რადიკალიზაცია მოახდინეს. ამ დისიდენტურ პოლიტიკურ მითოლოგიაში კი სოციალურ კრიტიკას, ან თუნდაც საბჭოთა ისტორიისა და მარქსისტული იდეოლოგიის გააზრებას თითქმის არანაირი ადგილი აღარ ეკავა (გამონაკლისის სახით, 50-იანი წლების ბოლოს მოსკოვის ახალგაზრდა ფილოსოფოსთა წრეებში, რომელსაც მერაბ მამარდაშვილიც მიეკუთვნებოდა, მარქსის ნაშრომების ახლებური, არაოფიციალური მეთოდებით წაკითხვის მცდელობის გახსენება შეიძლება). თუმცა არსებობდა მეოთხე სახის კონტრაპრეზენტული მითიც, რომელიც საბჭოთა საზოგადოების „დაბალ“ ფენებში გაჩნდა და რომელიც სტალინის პიროვნებისა და მისი მმართველობის იდეალიზაციას ახდენდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მითი ერთადერთი იყო, რომელიც, თუმცა პრიმიტიული ფორმით, მაგრამ მაინც შეიცავდა სოციალურ კრიტიკას: უბრალო ადამიანები,

ანუ მოსახლეობის უმრავლესობა, რომლებიც გვიან საბჭოთა ხანაში კორუმპირებული ბიუროკრატისა და საქმოსნების ფონზე უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ და რომლებსაც არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლა უხდებოდათ, იმ ხანას აიდეალდებდნენ, როდესაც კორუფცია და ჩანცობები არ არსებობდა. მუშა-მოსამსახურეთა ფენა საკუთარ სახელმწიფოში აღმოჩნდა ყველაზე მეტად დაჩაგრული კლასი, რომელსაც სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ყოველგვარი შანსი ჰქონდა წართმეული. ან ვის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა, როდესაც სახელმწიფო რეჟიმს სოციალისტური ერქვა და საკუთარ თავს სოციალური თანასწორობის იდეალების ხორცშესხმად ასალებდა? ამდენად თვითგადარჩენის ერთადერთი შანსი იყო კორუმპირებული იერარქიის რაც შეიძლება მაღალ ეშელონებში მოხვედრა.

მითი და უტოპია

ერთი ანეკდოტის თანახმად, განსხვავება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის ისაა, რომ მემარჯვენეები წარსულის მითებს ქმნიან და მერე თავადვე იჯერებენ,

ეფუძნება, ანუ ღმერთის შექმნილ სამყაროში ყველაფერი სწორი და კარგია, და არანაირ რევიზიას არ უნდა ექვემდებარებოდეს. ამ ღვთაებრივ წესრიგს დაცვა სჭირდება იმათგან, ვისაც ამისი არ სჯერა...

თუმცა, დროთა განმავლობაში მემარჯვენეობაშიც და მემარცხენეობაშიც იმდენი სხვადასხვა მიმდინარეობა გაჩნდა, რომ რომელიმე მათგანის ერთ კრისტალურ ფორმაზე ლაპარაკი შეუძლებელია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დასავლურ სამყაროში ლიბერალური დემოკრატია დომინირებს, რაც, როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებს პოლარიზაციის საშუალებას არ აძლევს და არაერთ საკითხში მათ ერთმანეთთანაც აახლოებს. თანამედროვე დასავლეთი სწორედ ამ ორი პოლიტიკური მიმართულების ბალანსზეა დამყარებული. გარდა ამისა, არსებობს კიდევ პარტიულ-პოლიტიკურ სტრუქტურებს მიღმა არსებული, ე.წ. ინტელექტუალური მემარცხენეობა და მემარჯვენეობა. მემარჯვენე, ანუ კონსერვატორი ინტელექტუალები, ძირითადად ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების დაცვით არიან დაკავებული; მემარცხენეებისათვის კი,



რეალობად აღიქვამენ საკუთარ თხზულებას და მის სინამდვილეში გადმოტანას ცდილობენ. „ოდითგანვე ასე იყო, ამიტომაც ასევე უნდა დარჩეს!“ ამის საპირისპიროდ, მემარცხენეები მითს უტოპიას უპირისპირებენ: წარსულში არაფერი სანიმუშო და მისაბაძი არაა; ისტორია – ესაა ადამიანის ჩაგვრა და ძალადობა, სიცრუე და მანიპულაცია. ამიტომაც იდეალი მხოლოდ მომავალში შეიძლება არსებობდეს, რომელიც, რადიკალური მემარცხენეობის შემთხვევაში, სამყაროს წესრიგში ქირურგიული ჩარევებით, ანუ რევოლუციებითაა შესაძლებელი, როდესაც ადამიანები სამყაროს ღმერთის მიერ დაკანონებულ ჭეშმარიტებად და სიკეთედ კი არ მიიჩნევენ, არამედ თავადვე ქმნიან ისეთ წესრიგს, რომლიდანაც უსამართლობა და ჩაგვრა გაქრება. ამ თვალსაზრისით, რადიკალურ მემარცხენეობაში, რომელიც წარსულის ნეგაციით მომავალ კეთილდღეობაზე ოცნებობს, ქრისტიანული ესქატოლოგიის მოდელის დამინების დანახვა შეიძლება, მაშინ, როდესაც მემარჯვენეობა სამყაროს შესაქმნის მითსა და თეოდიციას

რომლებიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლურ ინტელექტუალურ სამყაროში უმრავლესობას წარმოადგენენ, კრიტიკის ძირითადი სამიზნე სწორედ ტრადიციული ღირებულებები და, რაც მთავარია, ძალაუფლების მექანიზმებია, რომელთა დემითოლოგიზაციით, მათთვის მისტიკური საბურველის ჩამოხსნით, შეუღამაზებელი სინამდვილის დანახვა უნდა იყოს შესაძლებელი. ეს თემა იმდენად ვრცელია, რომ მის ორიოდე სიტყვით მიმოხილვას აზრი არა აქვს. თანაც ნაკლებად ადეკვატურია არადასავლური განვითარების საბჭოთა სამყაროსათვის, რომლის დახასიათებასაც უფრო არქაული კატეგორიები, პირობითად, მითისა და უტოპიის მეტაფორები მიესადაგება და ამიტომაც, მეც მათზე დაყრდნობით გავაგრძელებ მსჯელობას.

საბჭოთა კავშირი, როგორც პირველი შემდგარი მემარცხენე სახელმწიფო, ამ პოლიტიკური პლატფორმის აბსოლუტური სახით გამოვლინება იყო, რომელიც სწორედ თავისი აბსოლუტიზაციით და ჭეშმარიტებაზე მონოპო-

კავიჭალისტური დასავლეთის, როგორც „ალთაჟული მიწის“ მითის ნაკვეთი დასავლეთის
გაცხოვრებისათვის დაიწყო: კოსტასაჟოთა ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ დასავლეთში
მატარიალურ კეთილდღეობასთან ერთად კიდევ ისეთი რაღაცების არსებობს, რაც მათთვის
ცხოვრილი მითიდან უცნობი იყო.

ლიის დამყარებით გადაიქცა ტოტალიტარულ სისტემად და ამით იმავე იდეალების მტრად, რომლისთვისაც ის თავად იბრძოდა. ამასთანავე, საბჭოთა კავშირი მაგალითითა უტოპიის – მითად, „ექსტატოლოგიის“ – „კოსმოგონიად“ ტრანსფორმაციისა. „უტოპიური“ პერიოდი, რომლის ძირითადი მახასიათებელი ნიშანიც – წარსულთან გამომშვიდობება, ყველაფრის ახლით და მომავლის პროექტებით შეცვლა იყო, 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო და 1927 წელს, ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავზე დასრულდა, ხოლო საიუბილეო თარიღი ახალ შესაქმნის მითად გარდაიქმნა, რომელმაც 10 წლის წინანდელი ისტორიაც კი ხსოვნიდან ამოშალა და გაყალბებული, გამოგონილი ამბებით შეცვალა. სტალინის ეპოქის ისტორიციზმი ისტორიის იდეოლოგიურ ზღაპრად, მითად გარდაქმნას და მის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებას გულისხმობდა. მომავალი აღარ იყო „ფუტურისტული“ პროექტი, რომელიც მანკიერ, ჩაგვრისა და ძალადობის ამსახველ წარსულთან გამიჯვნით, მისი გადმონაშთების დაძლევათა და ყველაფრის ნულიდან დაწყებით უნდა შექმნილიყო, არამედ იგი ანმყოში ზომბებად გაცოცხლებული ისტორიული ფიგურების პანთეონად იქცა, რომლებიც მკვდარ თუ ცოცხალ ბელადებთან ერთად ბედნიერი მომავლის უკვე დადგომასა და გამარჯვებას იუნყებოდნენ. ამით დასრულდა ექსპერიმენტებისა და ნოვატორობის ხანა, ისევე, როგორც საბჭოთა ავანგარდიზმი. არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ 30-იანი წლების რეპრესიები, 1937 წელი, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციონერთა და პირველი თაობის კომუნისტთა განადგურებისკენ იყო მიმართული; ანუ იმ ადამიანების ლიკვიდაცია მოხდა, რომლებსაც გულწრფელად სჯეროდათ კომუნისტური უტოპიის. მათი ადგილი კი უსიტყვოდ მორჩილმა სალდაფონმა ბიუროკრატებმა დაიკავეს, რომლის უმაღლესი იდეალიც არა რომელიმე იდეის ერთგულება, არამედ ბელადისადმი მონური მორჩილება იყო. უტოპიის სანაცვლოდ კი, საფუძველი ჩაეყარა სტალინურ მონუმენტურ ერთფეროვნებას – ხალხისა და სახელმწიფოს ერთ გიგანტურ კოლექტიურ სხეულად შედუღებას და ყოველგვარი ინდივიდუალური მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის სრულ მოსპობას. გმირული წარსულის მითოლოგია, რომელიც XIX საუკუნის ნაციონალიზმებმა წარმოშვა, სტალინის ხანაში გაცოცხლდა და აქამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. სახელოვან წინაპართა – მეფეთა და მხედართმთავართა კულტმა, რომელსაც აღარაფერი საერთო 20-იანი წლების „პროლეტკულტურასთან“ აღარ ჰქონდა, ნანამძღვრები

შეუქმნა პოსტსტალინური ხანის კონტრაპუნქტულ მითოლოგიებს და მის თანმხლებ ნაციონალიზმებსა თუ შოვინისტურ ტენდენციებს, რომლებიც უკვე არა არსებული რეალობის ალტერნატივა, არამედ სწორედ ამ რეალობის – სტალინური მონუმენტური კულტურის უშუალო პროდუქტი იყო.

1956 წელს სტალინის ოფიციალური კულტის დამხობით საბჭოთა კავშირში „ღმერთი მოკვდა“ და საყოველთაო ნიჰილიზმის ხანა დადგა. სტალინი მის მიერ შექმნილი საბჭოთა იმპერიის ერთადერთი გამაერთიანებელი და საინტეგრაციო ფიგურა იყო. მის პიროვნებაში უტოპიური ექსტატოლოგია მესიანურ იმპერიად განხორციელდა, რომელშიც სტალინის ხორცშესხმული მესიის ადგილი ეკავა. ოფიციალური იდეოლოგიიდან სტალინის კულტის გაქრობით თავად ეს იდეოლოგია აღმოჩნდა თავყანისცემის იმ ერთადერთი სუბიექტის გარეშე, რომელისადმი რწმენა და მორჩილება ასეთ მესიანურ იდეოლოგიას ქმედითუნარიანს ხდიდა. და, ვინაიდან „ღმერთი“ ა(ღა)რ არსებობს, ყველა სახის კორუფციაც ნებადართულია...

30-იანი წლებში დევნილობაში მყოფმა ტროცკიმ სტალინის რეჟიმის აღსასრული ბიუროკრატის გაბურჟუაზიულებით წარმოიდგინა, რომელიც ახალ მჩაგვრელ კლასად მოველინებოდა საბჭოთა ადამიანებს და, საბოლოო ჯამში, შიგნიდან დაანგრევდა ამ სახელმწიფო წყობილებას. პოსტსტალინურ ხანაში საყოველთაო კორუფცია, რომელსაც მოგვიანებით „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ უწოდეს, ერთგვარ პარალელურ თუ ზე-სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომელიც მოსახლეობისა და სახელმწიფო რესურსების ძარცვით, საკუთარი თავის ნგრევას შეუდგა. ასეთმა ჰიბრიდმა, რომელსაც აღარაფერი საერთო აღარ ჰქონდა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალებთან, საბჭოთა ადამიანთა ცნობიერებაში მემარცხენე პოლიტიკური პლატფორმის დისკრედიტაცია მოახდინა. მაგრამ არსებობს კიდევ სხვა, შეიძლება ითქვას, წმინდად ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რომლებიც უკვე პოსტ-საბჭოთა პერიოდში ანტი-მემარცხენე აფექტების სახით გამოვლინდა.

ჰომო პოსტსოვიეტისი

რუსი მწერალი და ფილოსოფოსი ალექსანდრ ზინოვიევი, რომელმაც ტერმინი homo sovieticus გამოიგონა, საბჭოთა ადამიანის ყველაზე მახასიათებელ თვისებებად გამოყოფდა, ერთი მხრივ, ოპორტუნისმს – უმრავლესობის აზრზე ყოფნას და ცხოვრების საყოველთაოდ აღი-

რებულ ნორმებთან მორგებას, და ამასთან დასავლური სამყაროს, როგორც „კაპიტალისტური საზოგადოების“, სრულიად იდეალიზებულ წარმოდგენას. ამან ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ ხანაში დაბადა დასავლეთის, როგორც საბჭოთა ხალხის მესიისა და განმათავისუფლებლის მითი. ასეთი მითოლოგიით, რადგან ამერიკის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა, მაშასადამე თავად რეიგანი უნდა ყოფილიყო ის მესია, რომელიც ბოროტების ამ ურჩხულს ანადგურებდა. თუმცა კი ამ მითს, რომელსაც ისტორიულ სინამდვილესთან ნაკლები საერთო აქვს (ჯერ კიდევ 1990 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშიმ განაცხადა, რომ სსრკ-ს დაშლა არანაირად არ შედის ამერიკის ინტერესებში; მოგვიანებით კი განმარტა, რომ ამერიკას სსრკ-ს, როგორც ზესახელმწიფოს გაუვნებელყოფა უნდოდა, ხოლო მისი დაშლა-დაქუცმაცების წინააღმდეგი იყო), სხვაგვარი ახსნაც შეიძლება მოეძებნოს: ჰეროიზმსა და მითებზე გაზრდილ საბჭოთა ადამიანებისათვის ძნელი მისაღები აღმოჩნდა საზოგადოების შინაგანი ხრწნისა და თვით-

აზროვნების განსხვავებულ ფორმათა მშვიდობიანი თანარსებობა, რომელიც საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორის დისკრიმინაციის ნებას არ იძლევა, და უფრო მეტიც, უმცირესობათა უფლებებს სახელმწიფო და მისი კანონმდებლობა იცავს.

არა მხოლოდ რიგითი ოპორტუნისტი ჰომო სოვიეტიკუსებისათვის, არამედ არაერთი საბჭოთა დისიდენტისათვის დასავლური საზოგადოება არანაკლებ მიუღებელი აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა ტოტალიტარიზმი. ამის საილუსტრაციო მაგალითია ცნობილი რუსი დისიდენტის ვლადიმერ ბუკოვსკის სულ ცოტა ხნის წინათ გამოთქმული აზრები დასავლური პოლიტიკორექტულობის შესახებ, რომელიც მას კომუნიზმზე უფრო დიდ საშიშრელობად მიაჩნია (<http://www.regions.ru/news/2242306/>). პოლიტიკორექტულობა, რომელიც არა სამართლებრივი, არამედ ეთიკური პრინციპია, ადამიანებს საზოგადოებრივ სივრცეში თვითგამოხატვის ისეთი ფორმებისაკენ მოუწოდებს, რომლებიც სხვა ადამიანის წარმომავლობას, სქესს, რასას, სექსუალურ ორიენტაციას, სოციალურ სტატუსს



გრევის აღიარება, რომელშიც იგი არა გმირად, არამედ ჩვეულებრივ პატარა თუ მსხვილ კრიმინალად წარმოჩინდებოდა. ამის საკომპენსაციოდ, საკუთარი „გათავისუფლებისათვის“ ბოროტების ურჩხულთან ბრძოლის გმირული სიუჟეტის გამოგონება გახდა აუცილებელი. უფრო ძნელად საღიარებელი კი ის იყო, რომ საბჭოთა კავშირი რაღაც აბსტრაქტული წარმოდგენა არ ყოფილა, არამედ კორუმპირებული და სოციალურ ცნობიერებას მოკლებული, უკრიტიკო და კონფორმისტი მოქალაქეებისგან შემდგარი სახელმწიფო, რომლის ყოველი წევრი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არსებული წყობილების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და მისგან ნაბოძებ „სიკეთეებზე“ უარს არასდროს ამბობდა.

კაპიტალისტური დასავლეთის, როგორც „აღთქმული მიწის“ მითის ნგრევა დასავლეთის გაცნობისთანავე დაიწყო: პოსტსაბჭოთა ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ დასავლეთში მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად კიდევ ისეთი რაღაცებიც არსებობს, რაც მათთვის ცნობილი მითიდან უცნობი იყო. ასეთია, მაგალითად, აზრთა პლურალიზმი, სოციალური სოლიდარობა, ცხოვრებისა და

ან ჯანმრთელობის მდგომარეობას დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გამოთქმებით არ დაახასიათებს. ესაა ადამიანების ამ ნიშნებით დისკრიმინაციის მიზნით გაჩენილ ტერმინოლოგიაზე უარის თქმის მოთხოვნა. საბჭოთა დისიდენტების დიდ ნაწილს კი თანასწორუფლებიანობის საკითხში ისეთივე ტოტალიტარული სტერეოტიპები და კლიშეები აღმოაჩნდათ, როგორც იმ სისტემას, რომელსაც ისინი უპირისპირდებოდნენ.

საქმე ისაა, რომ საბჭოთა დისიდენტების უმრავლესობა ზუსტად იმავე დისკურსის სტრუქტურას იმეორებდა, რომელზედაც ოფიციალური რეჟიმი იდგა. დისიდენტებიც საბჭოთა საზოგადოებისა და აზროვნების საბჭოური სტილის ნაწილი იყვნენ, რომლებიც, ფაქტობრივად, დასავლეთისაგან უკეთესი საბჭოთა კავშირის მითს თხზავდნენ. ისინი სიმბიოზს ქმნიდნენ საბჭოთა სისტემასთან, ურომლისოდაც მათი არსებობა თითქმის შეუძლებელი იყო. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ისინი უფუნქციოდ და „საარსებო სივრცის“ გარეშე აღმოჩნდნენ. დასავლურმა რეალობამ კი მათ უკანასკნელი საყრდენი დაუნგრია – მათივე შეთხზული მითი დასავლეთის შესახებ. მათთვის,

საკუთარი საჭოთა წარმომავლობის უარყოფა, მისგან გაქცევა, მისი არა გააზრება, არამედ კვალის წაშლა, გაბალითად თანამედროვე საქართველოში, ჰომო პოსტსოვიეტოკუსსების მხრიდან სრულიად დესტრუქციული სახითაც ვლინდება, რომლის საჭოთა წარსულის გამახსენებელი სიბოლოიკის განადგურებისკენაა მიმართული.

როგორც საბჭოთა კრეატურებისათვის, დასავლური პლურალიზმი და განსხვავებულ პოზიციათა თანაარსებობა გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა. მაგრამ, ამის გაცნობიერების სანაცვლოდ, კიდევ ახალი მითი დაიბადა: ესაა ევროპელი თუ ამერიკელი მემარცხენეები, როგორც ყოველივე ამ ბოროტების მთავარი მიზეზი – მემარცხენეები, როგორც ლიბერალიზმისა და დემოკრატიის მტრები, რომლებიც დასავლეთში საბჭოთა წყობილებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის იბრძვიან. „კომუნიზმის“ ჰალუცინაციები კი დისიდენტებისთვის დაკარგული საარსებო გარემოს რეპროდუქციას ნაგავს: საჭიროა ახალი მტრის ხატი, ევროპასა და ამერიკაში მოსიარულე კომუნიზმის აჩრდილი, მემარცხენეების, ფემინისტების, ჰომოსექსუალების მსოფლიო შეთქმულებების გამოგონება და მხილება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც ერთ დროს „განსხვავებულად მოაზროვნებს“ დაკარგულ ჰეროიკულ ფუნქციასა და სტატუსს დაუბრუნებს. ამიტომაც მათი მეკარტისტული ფანტაზიები ტოტალიტარიზმისა და საბჭოური ტიპის ნორმატიული მორალის იმაგინაციისკენაა მიმართული. დასავლეთის მათეული კრიტიკა მათივე ტოტალიტარულ ცნობიერებას ამჟღავნებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ნებისმიერი ნიშნით „უმცირესობის“ თემას. ეს თვისება საბჭოთა ადამიანმა თავის პირმშოს – ჰომო პოსტსოვიეტოკუსსაც უნადერძა, რომელიც აღმფოთებულია იმის გამო, რომ მას ვინმეს არ ანაგვრინებენ და, უფრო მეტიც, მას უთანაბრებენ.

ჰომო პოსტსოვიეტოკუსის მთავარი მახასიათებელი ნიშანი, რაც მას ასევე მემკვიდრეობით ერგო, უმრავლესობის მხარეს ყოფნაა, ანუ იქ, სადაც არა სოლიდარობა, არამედ ძალა და ერთობაა. იგი იქაა, სადაც ყველა და თანაც ვერ იტანს, ბრძოლას უცხადებს მათ, ვინც ამ უმრავლესობას ემიჯნება, არ სწამს კოლექტიური ეიფორიებისა და საყოველთაოდ აღიარებული თუ დამკვიდრებული ჭეშმარიტებების... ამავე დროს ჰომო პოსტსოვიეტოკუსები ყველაზე მტკივნეულად საკუთარი საბჭოთა *pudenda origo*-ს – „სასირცხვილო წარმომავლობის“ დავიწყებითა და მესხიერებიდან განდევნით არიან დაკავებული, რაც სხვადასხვა სახის აკვიატებული შეხედულებებით გამოიხატება. მათ საყოველთაო გამემარჯვენებასა და საკუთარი თავის ულტრაკონსერვატორად, რადიკალ ანტიკომუნისტად, ანტიმემარცხენედ წარმოსახვაში საბჭოთა კავშირთან, არა მხოლოდ როგორც ტოტალიტარულ სისტემასთან იდეოლოგიური გამიჯვნის მექანიზმი, არამედ უფრო მეტად ფსიქოლოგიური მოტივაციების მთელი კომპლექსი მოქმედებს.

უპირველეს ყოვლისა, ესაა საკუთარი საბჭოთა წარმომავლობის დაფარვა მისი პოლარულად სანინალმდეგო იდეოლოგიური პოზიციის უკრიტიკო და გაუაზრებელი მიღებით. თუკი საკუთარ თავს რაც შეიძლება მემარჯვენე-კონსერვატორად წარმოვაჩინო, მით უფრო ადვილი იქნება იმ ილუზიის შექმნა, რომ არაფერი საერთო საძულველ და თანაც დამარცხებულ საბჭოთა კავშირთან არ მაქვს. ეს მექანიზმი გვარის გადაკეთებას ნაგავს, განსაკუთრებით – არა საკუთარი ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის, არამედ სოციალური წარმომავლობის შეცვლის მიზნით, რასაც, გარდა ფსიქოლოგიური ზეკომპენსაციისა, არანაირი სხვა ფუნქცია არ გააჩნია. თუ ადამიანი „თავადურ“ გვარს ირქმევს, იგი ამით საკუთარი არისტოკრატიულობის, კლასობრივ იერარქიაში ამაღლების ილუზიას იქმნის, მხოლოდ იმის ვერგაცნობიერების ხარჯზე, რომ გვაროვნული არისტოკრატია, როგორც ფეოდალური კლასი, აღარ არსებობს და საკუთარი „კეთილშობილობისა“ და აღმატებულობის შუა საუკუნეების კრიტიკიუმებით გამოსახვა უბრალოდ სასაცილო ანაქრონიზმია. ასეთივე ანაქრონული კომპონენტი არსებობს ჰომო პოსტსოვიეტოკუსების აკვიატებულ მემარჯვენეობაშიც, როდესაც მათთვის მემარცხენეობა, როგორც მშრომელი და ჩაგრული ხალხის უფლებებისათვის გაჩენილი მსოფლმხედველობა, რომელიც სოციალურ იერარქიებსა და უთანასწორობას უპირისპირდება, მდებარე წარმომავლობასთან იგივედება. ამიტომაც რაც უფრო მეტად კონსერვატორი იქნება, რაც უფრო შეიძლება სოციალურად სუსტს და დაუცველს, მით უფრო გაეზრდება საკუთარი არასაბჭოური, „რევოლუციამდელი“ კეთილშობილობის განცდა.

აქ ცალკე აღნიშვნის ღირსია მემარჯვენე-კონსერვატორად კონვერტირებული ჰომო პოსტსოვიეტოკუსი ინტელექტუალის ტიპაჟი, რომელიც ფაქტების არა მხოლოდ ტენდენციური გაშუქებით, არამედ მათი დამახინჯებითაც ცდილობს უკვე დასავლეთის მემარცხენე ინტელექტუალების, როგორც სხვადასხვა სახის ტოტალიტარიზმის მქადაგებლების მხილებას. მხილების მთავარი სამიზნე კი 1968 წლის ევროპასა და ამერიკაში მომხდარი სტუდენტური გამოსვლები და მის ფონზე წარმოშობილი პოსტ-მოდერნიზმია. 1968 წლის ამბები, რომელიც ჰომო პოსტსოვიეტოკუსთა აზრით, სხვა არაფერი ყოფილა, გარდა ტოტალიტარული ლოზუნგებით ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ხოლო „პოსტმოდერნისტი“ ფილოსოფოსი მიშელ ფუკო კი აიათოლა ხომეინის კულტმსახური, საბჭოთა სატირულ ჟურნალ „ნიანგის“ პოლიტიკური

გვერდების ტრადიციის გაგრძელებას ჰგავს, რომელიც დასავლური იმპერიალიზმის გაშარჟებასა და დაგმობას ემსახურებოდა. რისი გახსენებაც 68 წლის მოვლენებზე საუბრისას ჰომო პოსტსოვიეტიკუსებს მუდამ ავინყდებათ, სწორედ ის ფაქტია, რომ ეს ამბოხი, უპირველეს ყოვლისა, ავტორიტარული საგანმანათლებლო სისტემისა და ოჯახური სტრუქტურის, მუშა-მოსამსახურეთა არაადეკვატური ანაზღაურებისა და მძიმე სოციალური პირობების და, რაც მთავარია, საკუთარი სახელმწიფოების კოლონიალური თუ ნეოკოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. მთავარი კითხვა, რომელსაც ამ თაობის ადამიანები საკუთარ მშობლებს და მასწავლებლებს უსვამდნენ, საკუთარ დანაშაულსა და კონფორმიზმს ეხებოდა და იგი უახლესი წარსულის გადაფასებასა და გააზრებას ემსახურებოდა. ფრანგები საფრანგეთის კოლონიალურ პოლიტიკას და 1954-1962 წლების ალჟირის ომში საკუთარი მთავრობისა და არმიის მიერ ჩადენილ სისასტიკეებს ამხელდნენ; გერმანიაში ამ პროცესის გაგრძელება არა მხოლოდ მემარცხენე ტერორი, არამედ გერმანიის მთა-

არამედ მისი განდევნა, როგორც დაკარგული უმანკოების დაფინყება და ყველაფერში სხვის, „უცხო ძალის“ დადანაშაულება. ამ მოვლენის საუკეთესო ილუსტრაციად ჰომო პოსტსოვიეტიკუსების გამოგონილი რიტორიკული ფორმულა „70 წელი“ გამოდგება, რომლის გაჩენითაც პოსტსაბჭოთა კავშირის ისტორია იწყება. ასეთი ფორმულა მთელ საბჭოთა პერიოდს ისე წარმოაჩენს, თითქოს საბჭოთა სისტემა რომელიღაც შორეული გალაქტიკიდან ჩამოსული აბსტრაქცია ყოფილიყო, რომლის შექმნასა და ზემოქმედებაშიც ადამიანები არ მონაწილეობდნენ. თუმცა ფარდობითობის პრინციპი „70 წელზეც“ გავრცელდა და მისი „ოკუპაციის მუზეუმად“ სახელდება მოხდა: საქართველო 70 წელი ოკუპირებული იყო, ამიტომაც ის ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია! ეს წარმოდგენა ქართველ ჰომო პოსტსოვიეტიკუსებს არა მხოლოდ მათ „სასირცხვილო წარმომავლობას“ ავინყებს, არამედ საკუთარი უცდომელობისა და უმანკოების ილუზიასაც უქმნის. როდესაც საბჭოურის საკუთარ თავში შეცნობა და მისგან გათავისუფლება არ ხდება, მთელი ენერგია „გა-



ვრობის მეთაურის, ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტის მიერ 1969 წელს ვარშავის გეტოს მემორიალთან მუხლის მოდრეკა და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება იყო; ამერიკელები კი ვიეტნამში ომს აპროტესტებდნენ და სწორედ ამ პროტესტში დაიბადა საერთაშორისო პაციფისტური მოძრაობა... საბოლოო ჯამში, ამ მოვლენებმა თავად დასავლური ლიბერალიზმი უფრო ლიბერალური და თვითკრიტიკული გახადა. პოსტმოდერნულმა კრიტიკამ კი თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებებისა და „უმალღესი იდეალების“ არსებობა ეჭვქვეშ დააყენა და მათი დემითოლოგიზაციით ასეთი მითების უკან მდგარი ძალაუფლების მანიპულატორული მექანიზმები გამოაშკარავა.

საკუთარი საბჭოთა წარმომავლობის უარყოფა, მისგან გაქცევა, მისი არა გააზრება, არამედ კვალის წაშლა, მაგალითად თანამედროვე საქართველოში, ჰომო პოსტსოვიეტიკუსების მხრიდან სრულიად დესტრუქციული სახითაც ვლინდება, რომელიც საბჭოთა წარსულის გამახსენებელი სიმბოლიკის განადგურებისკენაა მიმართული. ასეთი ქმედებების არსი წარსულის გადააზრება კი არაა,

რეგნულ“ ნიშნებზე გადადის: ყველაფერი, რაც ოკუპანტს, ანუ რუსეთს უკავშირდება – რუსული ენა, ლიტერატურა, კინო, მუსიკა, რომელზედაც არა მხოლოდ ქართველ ჰომო პოსტსოვიეტიკუსთა თაობებია გაზრდილი, რაც მათ საკუთარ საბჭოთა „სასირცხვილო წარმომავლობას“ ახსენებს, არამედ რომლის სიმბოლურ ნაწილსაც ბოლო ორი საუკუნის ქართული კულტურაც წარმოადგენდა, მეხსიერებიდან უნდა ამოიშალოს.

საბოლოო ჯამში, რეალობა, რომელსაც ჰომო პოსტსოვიეტიკუსები ქმნიან, არის საბჭოთა კავშირის ვირტუალური პოსტსაბჭოთა კავშირით შეცვლა, რომელიც საკუთარ თავში საბჭოური სტერეოტიპებისა და მითების დაძლევისკენ კი არაა მიმართული, არამედ სწორედ საბჭოთა ხანაში ჩამოყალიბებული მითოსური სააზროვნო სტრუქტურების კარიკატურულობამდე მისულ აბსოლუტიზაციას ცდილობს. მეხსიერებიდან განდევნილი და მითებად ქცეული წარსული აკვიატებული იდეებისა და ქმედებების სახით უკან ბრუნდება და ყველაზე მეტად სწორედ ტოტალიტარული წარსულისაგან გათავისუფლებას უშლის ხელს.



თურქული ღებარში

<<< ღასაწყისი გვ. 30

2008 წლის მარტში უპრეცედენტო რამ მოხდა: მმართველი „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა, იაღჩინკაიამ საქმე აღძრა და, ქვეყნის კონსტიტუციასთან და ლაიცისტურ პრინციპებთან წინააღმდეგობის გამო, მისი აკრძალვა მოითხოვა. იაღჩინკაია პარტიას ქვეყნის არაერთი სფეროს ფარულ ისლამიზაციაში სდებდა ბრალს. იმავე წელს საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ბრალდებას მოთხოვნაზე უარი ეთქვა, თუმცა, პარტიამ სერიოზული გაფრთხილება მიიღო და ბიუჯეტის შექვეცევა. პრეზიდენტი აბდულა გიული და პრემიერი ერდოღანი ხუთი წლით პოლიტიკურ საქმიანობასთან დამშვიდობებას გადაურჩნენ.

ორი წლის წინ ქალბატონი ერდოღანი ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში არ შეუშვეს, იმ დღეს მას, ისლამის წესით, ჰიჯაბი ეხურა, რომელიც ქალს მხოლოდ თმას უფარავს. სამხედრო ელიტის წარმომადგენლებმა

დათმობას პრემიერისთვის ბოდიშის მოხდა ამჯობინეს. თუმცა, ერდოღანს საკუთარი ცოლი ოფიციალურ შეხვედრებზე მაინც არასდროს დაჰყავს – თურქეთში მოქმედი კანონის გამო, რომელიც ქალებს სახელმწიფო დაწესებულებებში თავსაბურთით გამოჩენას უკრძალავს. 2008 წელს პარტიამ ამ აკრძალვის ნაწილობრივ გაუქმებას (უმალესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის) მიადნია. წელს პრემიერმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ჰიჯაბის აკრძალვა ადამიანის უფლების დარღვევაა, ატაროს ისეთი სამოსი, როგორც თავად სურს.

მუსტაფა ქემალის სამოქალაქო რეფორმის უდიდესი მიღწევა არათუ ისლამური სამყაროს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც კი, ხელისუფლების მხრიდან ქალთა ემანსიპაციის უპრეცედენტო მხარდაჭერა იყო. მაშინ ქალები გამოჩნდნენ საზოგადოებრივ ცხოვრების ბევრ სფეროში, მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება... კიდევ ერთი საინტერესო პარადოქსი ისაა, რომ როცა ქალის თუ მამაკაცის ჩაცმულობაში (ფეკის და ჩადრის ტარება) საკუთარი კორექტივები შეჰქონ-

და, ათათურქი ისევე ძალადობდა, როგორც პეტრე I რუსი თავადაზნაურობის მიმართ. ერდოღანის ინიციატივა კი თურქი ქალების იმ 2/3-ისთვისაა განკუთვნილი, ვინც ისლამის ტრადიციულ ნორმებს მისდევს, თურქულ გარემოში ეს შესწორება ბუნებრივად და მისაღებად გამოიყურება.

„სამართლიანობის და განვითარების“ პროსლამურმა ღონისძიებებმა პიკს წელს, 2010 წლის 22-23 თებერვალს მიადნია, როდესაც ერთდროულად სამხედრო ელიტის ორმოცდაათიოდე გამორჩეული წარმომადგენელი დააკავეს. მათ ბრალი წაუყენეს სამხედრო გადატრიალების მცდელობისთვის.

არმიის მიმართ ხალხის სიყვარულის მიუხედავად, ეს ამბები ქვეყანაში ერთგვაროვნად არ აღქმულა. „შესანიშნავი ამბავია თურქეთისთვის, შესანიშნავი ამბავია დემოკრატიისთვისაც“, – წერდა იმ დღეებში სტამბოლის ერთ-ერთი გაზეთი. ავტორის მტკიცებით, ძალიან მცდარია გავრცელებული შეხედულება, თითქოს თურქული არმია ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის დემოკრატიულობის გარანტი ყოფი-

ლიყოს. „პირიქით, – წერდა ჟურნალისტი, – დემოკრატია ჩვენ სწორედ სამხედროებმა წაგვართვეს“.

თურქეთმა გონივრულად გამოიყენა შექმნილი ვითარება და ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა: სამხედროების ძალაუფლების მოთოკვასაც შეუდგა და ევროკავშირის რეკომენდაციაც შეასრულა. ზედაპირული განხილვით, ეს შეიძლება კიდევ ერთ პარადოქსად გამოჩნდეს: პროდასავლური სამხედრო ელიტის მოთოკვას თურქეთს, დიდი ხანია, სწორედ ევროკავშირი სთხოვს. თუმცა, მოთხოვნის არსი ისაა, რომ არმია სამოქალაქო ხელისუფლებას უნდა ექვემდებარებოდეს. ასეთი ძალაუფლება არმიას ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ აქვს.

პროსლამურ ტალღაზე თურქეთს მეტისმეტად დაეძაბა ურთიერთობა თავის ძველ პარტნიორთან, ისრაელთან. არადა, 1949 წელს თურქეთი ისლამური სამყაროს პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ისრაელი აღიარა, და მას შემდეგ ორი ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობდა ბევრ, მათ შორის – სამხედრო სფეროშიც. უსიამოვნების მიზეზად (შესაძლოა, საბაბად) ისრაელის მიერ შარშან ლაზაში ჩატარებული ოპერაცია „მდნარი ტყვია“ იქცა. წელს, იანვარში თურქეთის ტელეარხმა TTR1 ამ ამბების ამსახველი ანტიისრაელური ტელესერიალის ჩვენება დაიწყო, რაც დიპლომატიური უთანხმოების პირველ ეტაპად იქცა. თურქეთმა ისრაელს უარი უთხრა ერთობლივ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობაზე. ამას იანვარში, დავოსის ფორუმზე ერდოღანის ანტიისრაელური რეპლიკები და კატეგორიული დემარში დაემატა. მაშინ პრემიერს სტამბოლში ეროვნული გმირივით დახვდნენ. მარტში თურქეთმა ისრაელი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის დროსაც არ დაიხმარა და შეთავაზებაზე უარი უთხრა.

ქემალისტური იდეოლოგიის თურქეთი ის ქვეყანაა, რომელიც XX საუკუნის ისლამურ სამყაროში ავტორიტეტით არასდროს სარგებლობდა. ახლა თურქეთი ირანსაც უახლოვდება, ერთი მხრივ, ისტერიული ანტისემიტის, აჰმადინეჟადის, და მეორე მხრივ, ისრაელთან მკვეთრი დაპირისპირებით

დღითი დღე იგებს არაბული სამყაროს გულს და აღმოსავლეთის მიმართულ ბითაც იხსნის გზას. წელს ერდოღანმა ჩინეთი მუსლიმი, და თან თურქული წარმოშობის ხალხის, უიგურების გენოციდში ამხილა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას სულაც არ გაჰფუჭებია ურთიერთობა რუსეთთან – ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმური მოსახლეობის მიმართ წარმოებული პოლიტიკის გამო. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში დაახლოების ახალი ეტაპი კი ლამის საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის დროს დაიწყო. ომის დღეებშივე, როცა ირანის ხელისუფლებამ ქართული მხარის მიერ აფხაზების და ოსების გენოციდი დაგმო, აბდულა გიულმა რუსეთს, სამხრეთ ოსეთში მისი 2000 მოქალაქის დაღუპვის გამო, თანაგრძნობა გამოუცხადა.

ბევრი რუსი ექსპერტის აზრით, თურქული დიპლომატია ბრწყინვალედ მუშაობს, და მსოფლიოს აჩვენებს, როგორ შეიძლება შედეგიანი ურთიერთობების დამყარება ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველო-რუსეთის ომს თურქეთის და სომხეთის ურთიერთობის საინტერესო, მაგრამ დროებითი და თბობა მოჰყვა. ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციაზე საუბარი, სამი წელია, მიმდინარეობს. 2008 წლის ცნობილი საფეხბურთო ვიზიტის შემდეგ, შარშან, 2009 წელს ორი ქვეყნის საგარეო უწყების წარმომადგენლებმა ციურხში ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას აპირებენ და სამოქმედო დოკუმენტზე, ე.წ. „საგზაო რუკის“ შემუშავებაზე მუშაობენ. ეს ამბავი მსოფლიომ სასიამოვნო სიახლედ მიიღო. თუმცა მალე პრობლემებიც გამოჩნდა. „საგზაო რუკა“ არსად გამოქვეყნებულა, და სომხურმა დიასპორამ, რომელიც გენოციდის აღიარების მსოფლიო პროცესის „ავანგარდში“ დგას, ახსნა-განმარტება მოითხოვა. სომხეთის ხელისუფლებასა და დიასპორას შორის ურთიერთობა დაიძაბა და პროცესი გაიყინა.

ამით ძირითადად თურქებმა მოიგეს: შარშანდელი აპრილის შემდეგ

გენოციდის აღიარების პროცესი მნიშვნელოვნად შეჩერდა, და მის მიმართ მტრულად განწყობილი და გავლენიანი სომხური დიასპორა სომხეთის ხელისუფლებას დაუპირისპირდა: თურქეთი გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს დროებით წევრად იქნა არჩეული: რეგიონული მნიშვნელობის პროცესებში მან საკუთარი როლი მნიშვნელოვნად გაზარდა, და თან შეერთებული შტატებისა თუ ევროკავშირის წინაშე მიმზიდველ მოთამაშედ წარმოჩინდა.

თუმცა, 2010 წლის დასაწყისი, გენოციდის აღიარების თვალსაზრისით, სომხებისთვის მოსავლიანი გამოდგა.

მარტში სომხების გენოციდი აღიარა შედეგით და კატალონიის პარლამენტებმა და, რაც მთავარია, მარტშივე, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ოსმალეთის იმპერიაში სომხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გენოციდადაა შეფასებული. თუმცა, ბარაკ ობამამ და ჰილარი კლინტონმა, რომლებიც ადრე აღიარების მომხრეებად მოიაზრებოდნენ, კომიტეტის განაწყვეტილება დაგმეს, და მიზეზად ის მოიტანეს, რომ ახალდაწყებულ თურქულ-სომხურ დიალოგს ეს ფაქტი ჩიხში შეიყვანს.

ამ ფონზე ძალიან მკაფიოდ იკვეთება თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობა. წინა საუკუნის ორმოციანი წლებიდან, უფრო კი 1952 -დან (ნატო-ში განწევრიანებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე) ეს ორი ქვეყანა მტრულ ბანაკებს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა, თურქეთი აქ საკუთარ გავლენას ნელ-ნელა და ძალზე ეფექტურად აფართოებდა. ისე რომ, დღემდე თან აშშ-ს ინტერესების გამტარებლად რჩებოდა და თან რუსეთთან დაახლოებასაც ახერხებდა.

პუტინის მოსვლასთან ერთად, და ევროკავშირთან დაუსრულებელი პოლიტიკური ვაჭრობის ფონზე, ორი სახელმწიფოს დაახლოება ევროპის მხრიდან მსგავსი დამოკიდებულების ჭრილში გაგრძელდა.

ურთიერთობის დათბობის ახალი

ტალღა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იწყება. ამ ხანმოკლე ომის აქტიურ ფაზაში თურქეთის როლმა რუსული მხარის მონონება დაიმსახურა. ომის ყველაზე მწვავე ფაზაში, თურქეთმა საქართველოსკენ მომავალი ამერიკული სამხედრო ტანკერები საკუთარ წყლებში არ შეუშვა. ომის დასრულებისთანავე კი, კავკასიის ხუთი რეგიონისთვის (თურქეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) სტაბილურობის პლატფორმის შექმნის იდეით მიმართა რუსეთს. და, რასაკვირველია, შეერთებული შტატების წყრომა კიდევ ერთხელ დაიმსახურა.

დაახლოებით ასეთივე იყო ჩინეთის ქმედებები აგვისტოს ომის შემდეგ. ჩინეთის წარმომადგენლობითი დელეგაცია რუსეთში ომის დასრულებისთანავე ჩავიდა და მხარდაჭერა გამოუცხადა. დელეგაციას, ბუნებრივია, ქართული მხარის პოზიციაც აინტერესებდა, მაგრამ რუსეთის გალიზიანებას მოერიდა და მხოლოდ რეგიონში, ბაქოში ჩასვლა გაბედა. თურქეთთან ამას კავშირი არ აქვს, მხოლოდ ის მომენტი იკვეთება, რომ ძლიერი სახელმწიფოების უმეტესობა, რომლებიც ევრაზიული ინტერესის ნაწილად განიხილებიან, რეგიონში რუსეთის დომინანტობას კითხვის ნიშანს არასდროს უსვამენ.

უკანასკნელ წლებში აშშ და რუსეთი ერთად უბიძგებენ სომხეთ-აზერბაიჯანს და სომხეთ-თურქეთს საერთო ენის გამონახვისკენ. აშშ-სთვის ეს დაახლოება სომხეთზე რუსეთის გავლენის შემცირებას მოასწავებს. ამერიკული ხაზი ამ ურთიერთობაში სრულიად მართებულად წამოსწევს ერთ დროს სომხებისგან დაეინყებულ რეალობას, რომ მათ გენოციდში რუსეთს თურქეთის თანაბარი როლი მიუძღვის. ეს მოსაზრება ყოველწლიურად მეტ მხარდამჭერს იძენს თავად სომხეთში (სომხურ დიასპორას მსგავსი სიმართლის აღიარების პრობლემა არ აქვს). 2003 წელს საკითხზე მომუშავე ერთ-ერთმა სომხურმა კომისიამ ორტომეული გამოსცა. მეორე ტომში ავტორები მხოლოდ რუსეთის წილ დანაშაულზე ამახვილებენ ყურადღებას.

თურქეთი ისე გაერთო რუსულ-სომხურ ხაზთან დაახლოებით, რომ ერთ-ერთ მოლაპარაკებაზე (მართალია, კულისებში) აზერბაიჯანის მხარეს შესთავაზა, ყარაბაღი სომხეთისთვის დაეთმო. ანუ, თურქეთისთვის მიებაძათ და ისე მოეშორებინათ ტვირთი თავიდან, როგორც თურქეთმა – კვიპროსის პრობლემა „მოაგვარა“. ასე რომ, როგორც ვხედავთ, და როგორც ბატონმა პუტინმა ბრძანა, „იქმნება ახალი რეალობა“ (თურქეთის მხარეს ალბათ უკეთ ესმის, როგორია ეს რელობა, რადგან პუტინის ეს მიმართვა პატრიოტ თურქ სამხედროებს ისე მოეწონათ, საკუთარ ვებგვერდზეც კი განათავსეს), რომელშიც პარტნიორები პროტეჟეებს, და ხანდახან არამხოლოდ მათ, „მსუბუქად“ ლალატობენ.

რეგიონის საკითხებზე მომუშავე ამერიკელი ექსპერტები – მეთიუ ბრაიზა და ზეინო ბარანი თურქეთის პრორუსული ნაბიჯების გამო შემფოთებას უკვე აგვისტოს ომის შემდეგ გამოთქვამდნენ. ზეინო ბარანი თურქეთის მიერ „ნაბუკოს“ პროექტის თავდაპირველი ჩანაფიქრის გაუთვალისწინებლობას და ეგრეთ წოდებული „სამხრეთის ნაკადის“ მიმართ რუსული ინტერესის გატარებას დიდ შეცდომად უთვლიდა. თუმცა, მხოლოდ რუსეთზე არ არის საუბარი. თურქეთმა „ნაბუკოს“ პროექტში მონაწილეობა ირანსაც შესთავაზა. მართალია, აშშ-ს კონგრესის მიერ ზემოთ ნახსენები რეზოლუციის მიღება სომხური დიასპორის ძალისხმევის შედეგაცაა, მაგრამ, შესაძლოა, თურქეთის მიმართ საგარეო პოლიტიკის ვექტორების გადანაცვლების, ასევე რუსეთთან მეტისმეტი დაახლოების გამო, პატარა პროფილაქტიკურ გაფრთხილებადაც მივიჩნიოთ.

თურქეთის მხრიდან მუსლიმურ სამყაროში პრესტიჟის ამაღლებაზე ზრუნვა უდავოდ გონივრული გადაწყვეტილებაა. ურიგო არ იქნებოდა, ამაზე სამომავლოდ ქართულ სახელმწიფოსაც ეზრუნა, ამგვარი კაპიტალის დაგროვების დაწყება უახლოესი წლებიდანაც შეიძლება, თუკი საქართველო დასავლეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ინტერესების გონივრულ გა-

დაბმას მოახერხებს და იქნებ, რეგიონში მცხოვრები პატარა მუსლიმური ერების ინტერესების პირველი გამტარებელიც კი გახდეს.

თურქეთის პროტესტი დასავლური სამყაროსადმი აბსოლუტურად გასაგებია. ოსმალურ-სომხური საკითხი ნამდვილად რთული სამეცნიერო პრობლემაა, ორივე მხარეს სერიოზული არგუმენტები და საკითხის საკუთარი, დამაჯერებელი ხედვა აქვს. დასაზუსტებელია, რით ხელმძღვანელობენ ევროპის პარლამენტები, როდესაც გენოციდს აღიარებენ. უცნაურია ისიც, რომ, ამ სადავო საკითხის გამო, არც აშშ-ს კონგრესი მოერიდა მასშტაბურ ცვლილებებს.

თურქი ავტორები, ყურნალისტები ახლა იმ დამოკიდებულებაზე საუბრობენ, რომელიც აშშ-მ რეგიონში თავისი მოკავშირეების მიმართ გამოიჩინა. ამერიკა, მათი თქმით, საკუთარი პარტნიორების ინტერესებს არ იცავს, მაშინ, როცა რუსეთმა თავისი მოკავშირეების რიცხვი რეგიონში სამამდე გაზარდა.

ასეა თუ ისე, შუა ევროპის აღმოსავლეთით საინტერესო სიტუაცია იქმნება. უკრაინის არჩევნებში პრორუსული იანუკოვიჩის არჩევის შემდეგ, როცა თურქეთი ვექტორებს დასავლეთის წინაშე კუნთებით ათამამებს, აზერბაიჯანს რეგიონის კვლობაზეც კი ძნელად შეიძლება ეწოდოს დემოკრატიული ქვეყანა, სომხეთი კი თურანული იდეების წინაშე პანიკურ შიშს და რუსულ პერსპექტივას ვერ ელევა, საქართველოს მნიშვნელოვნება რეგიონში, წესით, კიდევ მეტად უნდა წარმოიჩინილყო. წინა ათწლეულის საქართველოში აღსანიშნავი ტემპით ვითარდებოდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც დასავლეთიდან მეტი მხარდაჭერა და გაძლიერება სჭირდებოდა. მხარდაჭერა დღესაც სწორედ ქართველ მოქალაქეს სჭირდება, რომელიც შინ თუ გარეთ, მის გარშემო დაძრულ ვექტორებს შორის, ცვალებად რეალობაში, გაურკვეველი პერსპექტივების წინაშე მარტოა დარჩენილი.



„სვაბოლა“

<<< ლასაწყისი გვ. 36

ყველა გისოსზე აუცილებლად შეხვდებით დამბალი პურით მიწებულ, „ყვითელი“ ჟურნალებიდან ამოჭრილ ხატებსა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პორტრეტებს. ზურგზე ხელბედაკრეფილები ამ სარკმლისკენ პირით ვიდექით. კამერის მკვიდრნი ორ-ორად გაჰყავდათ დერეფანში, საიდანაც ცემა-ტყეპის ხმა მოისმოდა. დამამცირებელ გამონათქვამებზე პატიმრების შეპასუხების ხმა არ გაგვიგონია. ისმოდა მხოლოდ ტყლაშა-ტყელუმი და კედელზე

თავის მირტყმის ყრუ ბაგუნი. ჩვენი ჯერიც დადგა, მაგრამ ჯერ სხვა კამერაში გადაგვიყვანეს. ერთი მეთვალყურის ხელი თვალზე მომხვდა. არ მტკენია, თითქმის ამცდა.

ამ კამერაში გვერდით პროექტორის ქურდობაში ეჭვმიტანილი ბიჭი მედგა. ის არა, ლამაზი რომელიც იყო, მეორე. მან მითხრა, შენ ნარკოტიკების შემოტანა გინერია ბართში და მაგრად გცემენ, და მოდი, მე სხვასთან ერთად გავალო. კარგი, ბატონო-მეთქი. ის ბიჭი ჩემამდე გადა და მაგრად სცემეს – თუ სწა-

ვლობდი, გესწავლა, რას იპარავდი, რომ იპარავდიო.

ახლა კი ალიყურის კორიდორი უნდა გამეველო და ციხის უფროსისათვის ჩემი ბარათი მიმეცა. მანამდე პატიმრებმა გამაფრთხილეს, ფეხსაცმლის ენები გაისწორე, რომ კორიდორის გავლისას არ დაეცე, თორემ შენზე იხტუნავებენო. ისიც მითხრეს, ხმა არ ამოილო, თორემ უფრო მეტს გირტყამენო. ბლოკი თუ აუღე, ჰაერში გაბურთავებენო. ისიც არ ვიცოდი, ჩემს სასიკეთოდ მაძლევდნენ ამ რჩევებს თუ ლადაობდნენ. მოკლედ, ჩემი ჯერიც მოვიდა. გავედი კორიდორში, არც ერთ მეთვალყურეს არ შევხვდე, პირდაპირ ციხის უფროსს გავუსწორე თვალი და თავდაჯერებული და გამართული ნაბიჯით გავემართე მისკენ. ციხის უფროსს მივანოდე ჩემი ბარათი და საკუთარი გვარი, სახელი და მამის სახელი ვუთხარი. რაზე დაგიჭირესო. პლანზე-მეთქი, მივუგე. აქ ორი მუხლი გინერიაო. ბრალდებას ნაწილობრივ ვეთანხმები-მეთქი. ჰო, ჰო, ეგ ნაწილი გაასაჩივრეო, ირონიულად მომიგო. მისი ირონია ძალიან ტკბილად ჩამესმა, ის ფიზიკური გვემისაგან ინდულგენციის მომასწავებელი იყო. არ მცემეს.

შევედით კიდე ერთ, მსგავს კამერაში, სადაც უკვე ნაცემი ხალხი იდგა. ჩემ მიმართ ნაყენებული ბრალდებების სიმძიმით დაფიქრებული და მაინც სასტიკად ნაცემი სტუდენტი ისევ ჩემ გვერდით იდგა. შემეცოდა, მაგრამ ერთი ნიშნისმოგებით კი გადავხვდე. იმითღა დაიმშვიდა თავი, რომ მითხრა, თვალზე ფინგალი გაქვსო. წარმოვიდგინე, როგორ გაუხარდებოდა, მართლა რომ მომხვედროდა, მაგრამ ვერ მივართვი.

გამოგვიყვანეს კარანტინიდან და დაინყო კამერებზე აწევა. ადმინისტრაციიდან პირველივე კორპუსში შეგვიყვანეს და პირველივე სართულზე სხვადასხვა კამერასთან დაგვაყენეს. მანამდე ვცდილობდი მათთან მოვხვედრილიყავი, ვისაც ან კაპეზედან, ან კარანტინიდან ვიცნობდი. ახლა ასე აღარ ვფიქრობდი. პირველი, იგივე „ე“ კორპუსის X კამერაში შემიყვანეს.

ბაბრქელა

ძალიან გამიმართლა. გამიმართლა, რომ მოვახერხე თავდაცვა კარანტინში, გამიმართლა, რომ 24 საათში დაგვშალეს, გამიმართლა, რომ თითქმის არ მომხვედრია, ნამდვილად გამიმართლა, იმ კამერაში რომ მოვხვდი, სადაც ამნიეს, და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შევიტყვე, რომ იმდენადაც გამიმართლა, რომ კვირაში ერთხელ ხელმისაწვდომი აბანო 2 საათში იქნებოდა. მოკლედ, მაგარი გამიმართლა.

ქორკუსი 1, კამერა X

თავიდანვე ვიტყვი, რომ კარგ კამერაში მოვხვდი – მაძლარში, როგორც ასეთებს ციხის ადმინისტრაცია უწოდებს. სიგარეტისთვის თავის დანებების გეგმა ფილტრის სიგარეტის დანახვისთანავე ჩაიფარცხა. სიგარეტმა გამაბრუა, იმდენი ხანი არ მქონდა მონეული. კამერაში გარკვეული წესრიგი იდგა და მეც შევეცადე, ამ წესრიგის არსს ჩავენვდომოდი.

კამერაში რამდენიმე რამეს უნდა დაუკვირდე: ვინ წევს დაბლა და ვინ – მაღლა. უნდა გამორიცხო ფიზიკური ჯანმრთელობის ფაქტორი, რომლის გამოც ვინმე შეიძლება დაბლა იწევს. იმასაც უნდა მიაქციო ყურადღება, ვის მეტი აქვს ლაროკის ბარათზე, მიუხედავად ამისა, რამდენად ხელგაშლილია. თუ ხელგაშლილიცაა, კამერაში „მაცქერალობის“ პრეტენზიაც აქვს. „მაცქერალობა“ მათი მოგონილი სიტყვაა, ვინც მხოლოდ სოციალური უთანასწორობის გამო ვერ „მაყურებლობს“ და ხანდახან ამ მწარე სიტყვის სარკასტულად წარმოთქმით ეგუება რეალობას. კიდევ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: ვინც ხშირად „ატარებს“ უსიამოვნო, „მეგობრულ“ ხუმრობას, ყველაზე მოულოდნელ და რადიკალურ ქმედებებსაც მისგან უნდა ელოდე.

შესვლისთანავე ცივილიზებული ადამიანების ხელი ვიგრძენი. სიგარეტი შემომთავაზეს, გამოსაცვლელი ტანსაცმელი, პირსახოცი მომიხიეს და საპონი მომცეს. ჩემი ადგილი მაჩვენეს და ჩემი წინამორბედის კბილის ჯაგრისიც მომცეს, მითხრეს, საპნით გარეცხე, არაფერი სჭირდაო.

გავიხადე საცვლები და გავრეცხე, რომ აბანოდან გამოსულს სუფთა საცვლები მქონოდა. მითხრეს, სანამ ტანსაცმელი შემოგივა, არ მოგერიდოს, ყველაფერს გათხოვებო. ბევრ კითხვებს ვუსვამდი. ისინიც მოთმინებით მპასუხობდნენ. კამერაში იყო რადიო, რომლითაც საათს ვიგებდით, იყო ჟურნალ-გაზეთებიც და ჭადრაკიც. იგივე ზომის კამერა იყო, რაც კარანტინში, მაგრამ აქ მხოლოდ ექვსნი ვიყავით და რიგრიგობით ძილი არ გვჭირდებოდა. პატიმრები ყოველდღიურად საგულდაგულოდ ალაგებდნენ კამერას. პარამაზეც უჩვეულო სისუფთავე იყო. განწყობის ამაღლებაზე გივი ზრუნავდა, რომელიც კამერას „განაგებდა“.

გივი სურამელი ბიზნესმენი იყო, რომელმაც ნასესხები ფული დროულად ვერ დააბრუნა. მევალემაც არ დააყოვნა და უჩივლა. გივი ამის შესახებ შეიტყო და მთელი თავისი ქონებისა და ბიზნესების ახლობლებზე გადაფორმება მოასწრო, ამიტომაც „გასროკვას“ დიდად არ განიცდიდა. განათლებული კაცი იყო, საინტერესო. ამბობდა, დაცემინებისას „სვაბოდას“ ნუ იძახით, თავისუფლება თქვით, ეს ხომ უფრო ლამაზად ჟღერსო. ნ თვე იყო, რაც გივი იმ კამერაში იჯდა.

შედარებით ნაკლებსტაჟიანი თანაკამერელი იყო ზურა, ქურდობისათვის დაჭერილი ვეებერთელა კაცი, სახის ნაკვთებიც კი ვეებერთელა ჰქონდა. უშველებელი მხრები ჰქონდა, და როცა კამერაში შუადღის და საღამოს ლოცვის გაძლიერების რიტუალი იმართებოდა, მისი მხრების მეზობლად ჩუმად მდგომს სულ იმის შიში მქონდა, ყბაში არ გაერთყა პირჯვრის გადასაწერად მოქნეული ხელი. ეს შიში გავუზიარე კიდევ. ხუმრობა გაიგო.

21 წლის ჭიათურელი გიორგი შედარებით ცოტა ხნის წინ დაეჭირათ და კამერის დანარჩენ ბინადართა მსგავსად, ჯერაც „გაუსუდავი“ იყო (არა, ნუ, რალაცა არსებობს რა – ვისი ასაკიც გავიგე – სამისა – ყველა 21 წლის იყო). გიორგი ქურდულს აწვებოდა, რაც დანარჩენ თანაკამე-

რელებში ხშირად ხუმრობის საგნად იქცეოდა ხოლმე – არა იმიტომ, რომ ქურდულს პატივს არ სცემდნენ, არამედ იმიტომ, რომ ეგ პალაჟენია მიშას ხელში ვეღარ დაბრუნდებოდა, რადგანაც იმდენი ობშიაკი ვერასოდეს აიკრიფებოდა, რომ ახალი დროის ჩინოვნიკების ავტობანის მშენებლობიდან და სხვა ელიტური ბიზნესებიდან მიღებული წილი გადაეფარა. გიორგიმ თავისი მაისური მათხოვა. კარგი ბიჭი იყო გიორგი.

კონსტანტინოვიჩი ჩემი მეგობრის ძმაცაცის მამა აღმოჩნდა. ფიზიკოსი იყო, ინტელექტუალი, და კამერაში განვითარებული მოვლენებისა თუ საუბრების უმეტესობას მდუმარე ირონიით ადევნებდა თვალს. როდესაც ჩემი ისტორია მოვყევი, ჩუმად მითხრა, მთელ შენს ემოციებს ნუ გაამჟღავნებო. ალბათ, ჩემკენ იყო. მოკლედ, კონსტანტინოვიჩი ერთით მეტი ნუგეში მყავდა ტუსალობისას. ის იმიტომ დაიჭირეს, რომ მთვრალმა პოკერ კლუბში იჩხუბა. კონსტანტინოვიჩი აყვანის დროს სასტიკად სცემეს, ნეკნი სტკიოდა, ექთანს კი ომეპრაზოლი შემოჰქონდა. ომეპრაზოლი კუჭის წამალია, მაგრამ ექთანმა უთხრა, ნეკნებთან კუნთს დაგიაშესო. კონსტანტინოვიჩი მაინც კმაყოფილი იყო, რადგან კუჭიც აწუხებდა.

და ბოლოს, ვეშაპო, იგივე ზუგდიდელი ვატო. ვეშაპო იმიტომ შეარქვეს, რომ ვეებერთელა ზურას ხშირად უძახდა ასე და ეს სახელი ბოლოს ისევ თვითონ შერჩა. ვატო ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ვეშაპს: პატარა, გამხდარი, წარსულში ეფედრინის მიღებისაგან მუდამ მძინარე. ვეშაპო სულ კლუბურ ცხოვრებაზე მეკითხებოდა – რა ხდება „ნეთ ოფისში“. ეს კითხვები საყოველთაო ხორხოცს იწვევდა. ვუხსნიდი, რომ „ნეთ ოფისი“ სინამდვილეში ერთი დიდი ნაგვის ორმო იყო, მაგრამ მას მაინც სხვანაირად ეწებოდა თვალეები. მისთვის იმ ნაგვის ორმოს ხსენება სახეზე დაცემულ ეზოს ლამპიონებით განათებული გისოსების ჩრდილს ულტრათანამედროვე კლუბურ განათებად აქცევდა.

აი, აბანოზეც გაგვიყვანეს და ცოტა მომეშვა. მერე სადილიც მოვიდა. ბალანდა მდიდარი საკვები ღირებულების მქონე პროდუქტებისაგან კეთდება, მაგრამ როგორ ახერხებენ, რომ ასეთი უგემური იყოს, ვერაფრით დავადგინე. სამაგიეროდ, ლარიოკზე აჯიკა იღება და ყველაფერს, ტკბილს თუ ცხიმინას, აჯიკას ამატებ, რომ რამე გემო მიეცეს და ბოლოს მაკარონსაც, პიურესაც, სუპსაც და ბრინჯსაც მარტო აჯიკის გემო აქვს. ცალკე აღნიშნას იმსახურებს პური, რომელსაც დილით გაძლევენ. ახალი პური მოაქვთ, მაგრამ ხელში იშლება – უმარილოა. პატიმრები ამბობდნენ, ადრე კაცზე ნახევარ პურს იძლეოდნენ და მიშას მინისტრობის დროს მთელი პურის მოცემა დაიწყესო. ჩაი? ჩაიზე ამბობდნენ, ბრომს ურევენ, რომ ერთმანეთი არ დავამაკოთო. რა ვიცი, რა ვიცი...

ბალანდის მოსვლა მიხაროდა – ნახევარ საათს კლავს. ჭადრაკიც კლავს დროს. ბავშვობის მერე არ მეთამაშა და თავიდან „დავამულამე“. ერთის გარდა ყველას ვეთამაშე. იმ ერთთან რომ დავაპირებდი თამაშს, სულ რაღაც ხდებოდა. ერთხელ ბალანდა მოიტანეს, ერთხელ ლოცვის დრო დადგა, ერთხელ „პრავერკა“ დაიწყო, ერთხელაც კონტროლიორმა რადიო წაგვართვა და ყველანი გაბრაზებულები ვიყავით, და ბოლოს ერთხელაც ციხის უფროსმა მომაკითხა.

პალაჟინია

ციხის უფროსის პირადად სტუმრობა უცნაურად მეჩვენა. ხელები ზურგზე დავილაგე და დერეფანში გავედი. უცებ ნაცნობი ხმა შემომესმა, ციხის უფროსს ეკითხებოდა, ხელები ზურგზე რატომ უღაგიაო. ციხის უფროსმა მიუყო, წესია ასეთი ბატონო გიორგიო. ეს ნაცნობი ხმა ომბუდსმენს ეკუთვნოდა. წარმომადგენელი ახლდა, რომელიც პირველივე დღიდან ახდენდა ჩემი საქმის დოკუმენტირებას. გიორგის პირადად მოსვლამ ძალიან გამახარა. სამორიგეოში შევედი სასაუბროდ. ციხის უფროსს ქცევაზე შევატყე, რომ ომბუდსმენზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობ-

და – მაინც საჩვენებელი ციხეა. გიორგიმ პირობები გამომოთხა. მეც ყველაფერი ვუამბე. საერთოში რატომ ხარო, ცალკე არ შეგიყვანესო? მე არც ვიცოდი, ცალკე კამერებიც თუ იყო. ის თურმე „პალაჟინიას“ გულისხმობდა. საუბრის დასასრულს ციხის უფროსმა მითხრა, რატომ არ მითხარი, თუ ასეთი თემა იყო, თავიდანვე „პალაჟინიაზე“ გაგნედიო. მე ვუთხარი, რომ არანაირ პალაჟინიაზე განევა არ მინდოდა და ჩემს კამერაში დარჩენა მერჩინა. მან სასტიკი უარი თქვა იმ მოტივით, რომ მანდ დაცული ვერ იქნები და მე ღამე ვერ დავიძინებ, როდესაც ეს მეცოდინებო. წამით დავფიქრდი: როგორ შეიძლება, მთელ კარანტინს დეტალურად სცოდნოდა ჩემ შესახებ და ციხის უფროსს ვერ გაეგო.

თანაკამერელებთან ნორმალურად დამშვიდობებაც კი ვერ მოვახერხე, ისე გადამიყვანეს პალაჟინიაზე.

პალაჟინია ცალკე კორპუსია პარალელურად ჩამწკრივებული კორპუსების გვერდით. პირველ ორ სართულზე აბსლუგა ცხოვრობს. ეს ჩვეულებრივი პატიმრები არიან, სხვა პატიმრებისათვის ბალანდა და ლარიოკი დააქვთ. მათ უნიფორმით გამოარჩევთ. ამაში გასამრჯელოს არ უხდინან, თუმცა სიგარეტს აძლევენ და ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება აქვთ. მათი კამერები საღამოს 8 საათამდე არ იკეტება. ბოლო სართულზე კი საქათმეა. საქათმე იმიტომ ჰქვია, რომ იქ წესით ქათმები უნდა იხდნენ. ქათამი ციხის ჟარგონზე მამათმავალს ჰქვია. საქათმის რამდენიმე კამერაში ძირითადად პედოფილები და გაუპატიურებისთვის დაჭერილები იხდინან სასჯელს. არიან მესამე კატეგორიის პატიმრებიც, რომლებიც იქ გაურკვეველი მიზეზით სხედან. არ ვიცი, დანარჩენი პატიმრებისაგან მათი იზოლირება ალბათ სხვა ნიშნით წყდება.

მთელ საქათმეზე ერთი ქათამი იჯდა – ბათუმელი მაქსიმე. მის გარდა კამერაში იხდნენ მაქსიმეს „ქმარი“ და კიდევ ორნი, ვინც გაუპატიურებისთვის იხდიდნენ სასჯელს. მაქსიმემ მაშინვე გამარკვია იქაურ

წესებში. ვეცადე, მალე დამეძინა, რადგან თანამოსაუბრე ვერ ვნახე. ძალიან განვიცადე, რომ იქ მიმიყვანეს. ღამით მაქსიმემ ზედა შპონკიდან ზენარი ჩამოაფარა და, დამსწრეთა მიუხედავად, ძალიან ვოკალური აქტი მოაწყო „ქმართან“.

იმ ღამეს თუ დავიძინებდი, არ მეგონა. ქვედა შპონკიდან ისეთი სუნი ამოდიოდა, რომ ძილს მიფრთხობდა. ზენარიც ძალიან ჭუჭყიანი იყო. დილით მაქსიმესა და მისი ქმრის ჩხუბმა გამაღვიძა. სულ ჩხუბობდნენ, როგორც ნამდვილ ცოლ-ქმარს შეეფერება. ქმარი უმტიციცებდა, სვაბოდაზე კაცთან დანოლა გრეხია და შიგნით – არაო. მაქსიმე ირონიულად პასუხობდა, რაზეც ქმარი კიდევ უფრო ბრაზდებოდა.

დაიწყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. მივხვდი, რომ იმ კამერაში გაჩერება ჩემი ფსიქიკის დანგრევის ხარჯზე თუ მოხერხდებოდა. ქვედა მეზობელი, რომელსაც სტეფანე „იელოველოს“ ეძახდა, მთელი დღე ლოცულობდა. მერე მომიყვა ისტორია, რომელმაც „თეთრი ბაირაღების“ „შემომეუპატიურა“ გამახსენა. კამერის მეხუთე ბინადარმა კი მიაშობ, თუ როგორ წაუყვანა ძმაკაცს ქალი, რომელმაც აგრეთვე იჩივლა. ის მეხუთე ბინადარი გამუდმებით იღიმოდა. იელოველო სულ იმას ცდილობდა, მისთვის საკუთარი გონებრივი უპირატესობა დაემტკიცებინა – კროსვორდში ხმამალა ამოიკითხავდა ხოლმე ისეთ კითხვებს, რომელზეც თვითონ ჰქონდა პასუხი, და როდესაც მოსაუბრისგან პასუხს ვერ მოისმენდა, თვითონ ამბობდა და დებილოო, ეძახდა. ერთხელ მისი კროსვორდების გაზეთი ავიღე და თითო კროსვორდში 3-4 შევსებულ სიტყვაზე მეტი ვერ ვნახე. ძალიან, ძალიან გავბრაზდი იელოველოზე.

ამასობაში მაქსიმე მიყვებოდა, რომ ერთი სული ჰქონდა, ზონაზე როდის გადაიყვანდნენ. მეუბნებოდა, ზონაზე მაგრად იქნები, ფილტრინი და სგუშონი არ მოგაკლდებაო. ეს თურმე გასამრჯელოა სექსუალური სახის მომსახურებისათვის. ვკითხე, ციხეში ან ზონაში პრეზერვატივი თუ იყო.

ბაბრქელა

გაცივინა. რაც მეტს მიყვებოდა, მით უფრო დეპრესიაში ვვარდებოდი. ბოლოს ერთ წერტილს მივაშტერდი და ვეცადე, არაფერი გამეგო, რასაც მელაპარაკებოდნენ.

როგორც იქნა, დადგა ის ნანატრი წამი და ადვოკატთან გამიყვანეს. ჰაერი რომ ჩავისუნთქე, ბედნიერი ვიყავი – იმ კამერიდან გასვლა მელირსა. ამ დაცული პალაქინის ერთ თავისებურებასაც დავაკვირდი: როდესაც იმ კორპუსიდან გამოდიხარ, რამდენიმე კორპუსის პატიმრები ხვდებიან, რომ საქათმიდან მოჰყავხარ, რადგან აბსლუტის ფორმა არ გაცვია. თან კამერაში ისეთი ხალხი ზის, რომ როდის რა მოუვა თავში აზრად, ვერ მიხვდები. აი, ასეთი დაცული არის ეს პალაქინა. მერე კარანტინზე სვანის ნათქვამი გამახსენდა, პურს ერთად ხომ არ შევჭამთო, და მიხვდი, რატომ ათავსებდნენ ცალკე ზოგიერთ პატიმარს.

„ახალგაზრდა იურისტების“ ადვოკატი იყო. ძალიან შეშფოთებული მიყურებდა, რამე ხომ არ მოხდა, ადრე ასეთი დათრგუნული არ იყავიო. მე სულით და გულით ვთხოვე, ციხის უფროსი ენახა და იმ კამერიდან მოვეშორებინე.

მისი ნაჩუქარი ქალაქის ხელსახოცი შმონზე დამატოვებინეს, არ შეიძლებაო. ადვოკატმა პირობა შეასრულა და ციხის უფროსთან ერთად დაბრუნდა. გადავწყვიტე, ციხის უფროსთან ბლეფზე წავსულიყავი და ვუთხარი, რომ ომბუდსმენმა ჩემი დაცულ კამერაში გადაყვანა ჩემი მუშაობის თემის გამო მოითხოვა და არა ჩემი პირადი იდენტობის გამო. მე იქ ვერ გავჩერდები და ან შიმშილობას დავიწყებ, ან რამეს დავიმართებ-მეთქი. ძალიან შეშფოთდა. საერთოდ, არ აწყობდა ეს ამბავი. უნდა გავარკვიო და სალამოს მოვალ კამერაშიო.

ისევ იმ კამერაში დაბრუნება მომინია. არ გავამხილე, რომ სალამოს სულმოუთქმელად ველოდი, რომ არცერთი მათგანის სახე აღარ დამენახა. არადა, ადრე ასე არავის მოვქცევივარ, ამანაც ძალიან დამაფიქრა. მელირსა: ციხის უფროსმა რამდენიმე

დღე ითხოვა ჩემ მიერ გაზიარებული ინფორმაციის გადასამონებლად და სანაცვლოდ გვერდით კამერაში გადაყვანა შემომთავაზა. ვისარგებლე იმით, რომ ეს შემოთავაზება ბოლომდე დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა და სიგარეტი, ახალი ზენრები, ადიალა და ახალი საპარსი ვთხოვე. ციხის უფროსმა განკარგულებები გასცა და უმაღლე ყველაფერი მომიტანეს. კმაყოფილი ვიყავი, რადგან დეპრესიული გარემოს შემდეგ სიტუაციის ჩემს სასარგებლოდ გამოყენება მოვახერხე.

ბოლო პასაჟი

XX-დან XY კამერაში აღმოვჩნდი. მომიჯნავე კამერების ბინადარნი კომუნიკაციის პრიმიტიული ხერხებით სარგებლობენ – კედელზე აბრა-ხუნებენ და შემდეგ ტულეტში შედიან, რომ სავენტილაციო სისტემის გამოყენებით მიაწვდინონ ერთმანეთს ხმა. ამან დამაფიქრა, ვიცოდი, რომ მაქსიმეს მეგრულ „ქმარს“ ჩემს ახალ კამერაში ნაცნობი ჰყავდა და მეგრულად ესაუბრებოდა ხოლმე. არ მინდოდა, ჩემზე რამე რომ გაეგოთ ახალ კამერაში, რადგან ვივარაუდე, რომ ციხის უფროსი მათთანაც შეეცდებოდა ჩემი სქესობრივი იდენტობის დადგენას და შესაბამისად იმას, რომ ბლეფზე წავედი. თადარიგი დავიჭირე და ყველას ვუთხარი, რომ ჩემი საქმიანობის გამო მოვხვდი პალაქინაზე და რომ მაქსიმეს გეი ვეგონე.

იმ ორს კი სალაპარაკო ბევრი ჰქონდა, თან მეგრულად. არ ვიცოდი, რაზე დაილაპარაკებდნენ.

როდესაც ციხის უფროსმა კამერაში პირადად შემაცილა, ახალი ზენრების, სიგარეტის, საპარსის და ჩემ მიერ კომპენსაციად მიღებული სხვა ნადავლის თანხლებით, ყველამ ეჭვის თვალთ შემომხედა. თანაც პირველად მომთავსეს ქვედა შპონკაზე, ეგონათ, იმ ჩხუბის ამბის გარკვევაში დავხმარებოდი ციხის ადმინისტრაციას. ეს ჩემთვის არავის უთქვამს, მაგრამ პატიმრობის ცხრა დღის შემდეგ თანაკამერელთა განწყობის ამოცნობაც ვისწავლე.

ახალი კამერა ძველს არც შეედრებოდა. ის გაცილებით სუფთა და მონესრიგებული იყო. განწყობაც ყველას უფრო ოპტიმისტური ჰქონდა და საუბარაც ხუთიდან ოთხთან თავისუფლად იყო შესაძლებელი, დეპრესიულობის გარეშეც.

იმ კამერაში ადგილი რამდენიმე საათით ადრე გათავისუფლდა: პატიმრებს ჩხუბი მოუვიდათ. ვინმე პროკურორი, რომლის პროკურორობაც კამერის ბინადრებმა ჩემთან საუბარში ეჭვქვეშ დააყენეს, ნიკას წაეჩხუბა. ნიკამ შეწყალების შემდეგ პოლიციის თანამშრომელი მოკლა და კვლავ ციხეს დაუბრუნდა. ამ საქმემ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. თვითონ ნიკას ერთი თვის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ. ნაიარეები ჯერ კიდევ ეტყობოდა. როდესაც პროკურორთან ჩხუბის შემდეგ ორივენი კარანტინში ჩაიყვანეს, „პროკურორმა“ ციხის უფროსს შეახსენა, რომ ეს სწორედ ის პატიმარი იყო, რომელმაც პოლიციელი გამოასალმა სიცოცხლეს. როგორც ჩანს, ციხის უფროსს ის ნამება, რაც ამ პატიმარმა დაკავებისას გამოიარა, საკმარისად მიიჩნია და აღარ დასაჯა. მეტიც, საკუთარ კამერაში სწორედ ის დააბრუნა, „პროკურორი“ კი მაქსიმესთან გაამწესა, ჩემს ყოფილ კამერაში.

ნიკა ჩემზე ორიოდე წლით უმცროსი იყო. იგი ისე შეიწყალეს, რომ განცხადებაც არ ჰქონდა დაწერილი. მან გვიამბო, რომ როცა პოლიციელებმა ცემა დაუწყეს, ფორმა არ ეცვათ და თავიდან ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ყველასათვის საუბედუროდ, თან დანა ჰქონდა და პოლიციელები დაჭრა. ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა.

ნიკა განათლებული ბიჭი იყო. განათლება ჩემსავით საერთაშორისო ურთიერთობებში ჰქონდა მიღებული და ჩვენ შორის უთანხმოების მიზეზი, ძირითადად, კროსვორდების დატოვება ხდებოდა ხოლმე. ქალაქობანასაც ვთამაშობდით და სიტყვობანასაც. ჭკვიანი ბიჭი იყო ნიკა.

დონსკის კი 10 წელიწადზე მეტი ჰქონდა გატარებული ციხეში. ძირი-

თადად, ქურდობის გამო იჭერდნენ. მას შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ციხიდან გამოსვლისა და სტაბილური შემოსავლის წყაროს უშედეგო ძიების შემდეგ უარი თქვა ქორწინებაზე: არ უნდოდა, ცოლის ოჯახზე დამოკიდებული ყოფილიყო. დონსკი ძალიან მხიარული ბიჭი იყო, კარგად ხუმრობდა და თანაგრძნობასაც ხშირად გამოხატავდა. ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ ფეხზე ძალიან ლამაზი სვირინგიც ჰქონდა.

მინდია ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის მოხალისე ყოფილა და კოლეგებთან მოკითხვაც კი დამაბარა. მას მალე უპირებდნენ გათავისუფლებას. ის დონსკის გამუდმებით ეჩურჩულებოდა, ალბათ არ უნდოდა, მისი საქმის დეტალები შემეტყო. ტანმორჩილი მინდიაც ხშირად ხუმრობდა. დონსკის ესუბრებოდა, ცოლად უნდა შეგირთოო. ისიც ვალში არასდროს რჩებოდა და სულ ელადავებოდა. ერთხელ ტუალეტში მიმავალ დონსკის მინდიამ მიაძახა, კარი დატოვე ღიაო. დონსკი მოუბრუნდა და უთხრა, კოვზი გამოაყოლოო...

მერაბს კამერაში ყველაზე მისტიური პატიმრის ტიტულს ვერავინ შეეცილებოდა. მას ხულიგნობის გამო რამდენიმე წელი ჰქონდა მისჯილი და ბრალად ხულიგნობა ედებოდა. მან მიაბზო, რომ თავში ჩიპი ჰქონდა ჩამონტაჟებული. ეს რომ მითხრა, თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, რომ ასეთი ტიპის ჩიპი არ არსებობს, რომ ეს რელიგიური ისტერიის გამაღვივებელი თეორიაა. სხვებმა გადმომხედეს, მანიშნეს, შეეშვიო. მერაბი იმასაც მომიყვა, რომ როცა მისი დევნა დაიწყო, თბილისიდან გაიქცა და გზაში, ხარაგაულთან, ხმები შემოესმა, სოდის თანამშრომლები ეუბნებოდნენ, ჩაგვბარდიო. იგი ავტობუსიდან ჩამოვიდა და ხარაგაულის ტყეში იმალებოდა. როდესაც დარწმუნდა, რომ მასზე კოსმოსიდან ხორციელდებოდა მეთვალყურეობა, ტანსაცმელი გაიხადა და ისე დაიმაღლა, მაგრამ დიდხანს ველარ გაძლო და ხარაგაულის პოლიციას ჩაბარდა.

მერაბს ბოლომდე სწამდა, რომ მართლაც „დაჩიპული“ იყო და ამის

დამადასტურებლად ყვითელი ჟურნალებიდან საგულდაგულოდ ამოჭრილი სტატიებიც მანახა, რომლებიც სრულიად საქართველოს ანტიქრისტეს მანქანებზე ამცნობდა. მე ვურჩიე ომბუდსმენის ოფისისთვის მიემართა.

მერაბმა განცხადება დაწერა და სახალხო დამცველს გაუგზავნა. კონსულტაციისათვის მადლობა კი იმით გადამიხადა, რომ ციხის უფროსის ნაჩუქარი ერთჯერადი საპარსით თავი გადამპარსა. თავიდან გამიკვირდა, ის საპარსი, რომელმაც წვერიც კი ძლივს გამპარსა, მთელ სკალპს როგორ მომიპრიალებდა. მერაბმა კიდევ ერთი საიდუმლო გამიმხილა – ადიალას ძაფები გამოაძრო, მისგან დაქნა ბასრი საჭრელი, რითაც საპარსის დამცავი ტიხარი გადახერხა და სწორედ ასე მოახერხა ჩემი გადაპარსვა.

ყანდაურელი შაქრო ყველაზე სევდისმომგვრელი პატიმარი იყო. იგი თითქმის არ ლაპარაკობდა და დროის დიდ ნაწილს შპონკაზე მწოლი ატარებდა. 24 წლის შაქროს 24-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ვინაიდან მამიდა გააუპატიურა და შემდეგ მოახრჩო. რომ ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა, რომ მთვრალი იყო. შაქროს არავინ აკითხავდა. ალბათ ნათესავებმა მისი სახით მხოლოდ ბალასტი დაკარგეს. ყველა ეტაპირებული პატიმარი მას უტოვებდა ტანსაცმელს, კონტროლიორიც ძალიან კეთილად ეპყრობოდა. ვერ მივხვდი, ციხეში რას აკეთებდა, მის შერაცხადობაში ეჭვი მეპარებოდა.

ერთხელ ახალი კროსვორდები მოიტანეს და მინდიამ ჰკითხა შაქროს, აბა, რა ანერია ამ გაზეთსო. შაქრომ თავდაჯერებულად მიუგო, კროსვორდებიო. შემდეგ მინდიამ სიტყვა „ახალზე“ მიუთითა და ჰკითხა – აბა, აქ რა წერიაო. შაქრომ გაიცინა და არანაკლები თავდაჯერებულობით უპასუხა, სუდოკუო. ეს რომ მოვისმინე, ძალიან ცუდად გავხვდი და შევთავაზე, წერა-კითხვას გასწავლი-მეთქი. ბიჭებმა მითხრეს, რომ მათაც არაერთხელ შესთავაზეს იგივე, მაგრამ შაქრომ უარით გაისტუმრა. შაქრომ არც ანგარიში იცოდა.

ასეთი იყო ჩემი ახალი საბინადრო.

ბიჭები სულ მაიმედებდნენ, საკუთარ ნივთებს მიყოფდნენ, სიგარეტს მანევინებდნენ, რადგან ჩემი ლარიოკის ბარათი დამზადებული არ იყო და ვერაფრის ყიდვას ვერ ვახერხებდი.

გათენდა, კონტროლიორი შემოვიდა და გვითხრა, რომ პრაგულკაზე უნდა ჩავყევანეთ. გაკვირვებისაგან ყველას თვალები გაუფართოვდა, მე შემომხედეს. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ. კამერაში დაბრუნებულებმა მითხრეს, ამ კორპუსის ხალხს არასოდეს ასეირნებენ და შენ თუ გადაგიყვანეს, ალბათ მაშინვე შეწყვეტენ ამის კეთებასო.

...საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის წიაღში აღმოცენებული სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელად ქალი დაინიშნა. პატიმრები ამ ფაქტს დადებითი ანტიისპაციით შეხვდნენ. ვერ მივხვდი, რატომ. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ, მათი აზრით, ქალის მიერ მართულ სტრუქტურაში ამდენი სისასტიკე აღარ იქნებოდა. მეც დადებითად შევაფასე ეს მოვლენა, ვინაიდან კარგად ვიცნობ მენეჯმენტის ქალურ სტილს, ის უფრო ჰორიზონტალურია, უფრო დემოკრატიული და პატრიარქალურ იერარქიას ბზარს უჩენს, ეს კი თანამდებობრივ კიბეზე მცოცავ მამაკაცებს არაკეთილსინდისიერად მუშაობის, და კარიერული წინსვლისათვის ყველანაირი პრინციპის უგულვებელყოფის მოტივაციას უკარგავს. თუმცა ერთი რამ ვერ გავითვალისწინე – ამის გაკეთება მხოლოდ ისეთ ქალს შეუძლია, ვინც საკუთარ თავს არ დაუმორჩილებს იმ მანკიერებებს, რომლებითაც ასე უხვადაა ეს სისტემა გაჯერებული. ასეთ ქალს საქართველოში სასჯელალსრულების მინისტრად კიდევ დიდ ხანს არ დაინიშნავენ...

სვაბოლა

დასასრული ყველასათვის მოულოდნელად დადგა.

პარასკევი საღამო იყო. უქმეებით გამოწვეული მშვიდი და მოსანყენი რეალობისათვის განვენყვე. საახალწლო გეგმებიც დავანყვე: 25 დეკემბერი იყო და ჩემი საქმის და-

ჩქარების იმედიც აღარ მქონდა. მაშინ აღმოვაჩინე, რომ საახალწლო „ივენების“ რადიოთი ულიმიტოდ რეკლამირებას ჩემში დეპრესია აქამდე არ გამოუწვევია. მდუმარედ გავცქეროდი გისოსებს მიღმა მოელვარე დუმბაძის გამზირს, სადაც ერთი ძალიან მონატრებული ადამიანი მეგულებოდა. გვიანი საღამო იყო. ციხე ამ დროს დაკეტილია და გარეშე პირების შემოსვლაც იკრძალება. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როდესაც გამომიძახეს.

ოთახში ჩემი საქმის გამომძიებელი და ადვოკატი მელოდნენ. ძალიან გამიკვირდა. გამომძიებელი აღარ მეუხეშებოდა. გაღიმებულმა მომასხენა, რომ პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება შემომთავაზა. ადვოკატთან პირისპირ დარჩენა ვითხოვე, და მან მითხრა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების რეაქციის გამო სასწრაფოდ უნდათ ჩემი გათავისუფლება, იმდენად ჩქარობენ, ჩემი ციხეში დატოვება ორშაბათამდეც კი არ უნდათ.

რა პირობებით?
როდესაც შევიტყვე, რომ ჩემ მამართ წაყენებული ბრალი სრულად უნდა მელიარეზინა და განაჩენის გადასინჯვაც შეუძლებელი იქნებოდა, ვკითხე, ღირდა თუ არა, საქმის არსებითად განხილვას დავლოდებოდი. მან მიპასუხა, რომ მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო და აღარ გაეთვალისწინებინათ ის მხარდაჭერა, რომელიც ამდენმა ადამიანმა გამინია. მოკლედ, საპროცესო შეთანხმებას ხელი მოვანერე.

ციხის უფროსმა მომილოცა და მთხოვა, განცხადება დამენერა, რომ ციხეში ყოფნის დროს პრობლემები არ შემქმნია და რომ ამისათვის ადმინისტრაციის მადლობელი ვიყავი. ეს თხოვნაც შევასრულე.

გათავისუფლების შემდეგ ხშირად ვუსვამ ჩემს თავს შეკითხვას, თუ რატომ ვანერდი ხელს ამა თუ იმ დოკუმენტს. რატომ ჩავიყენე თავი ასეთ მდგომარეობაში. მაგრამ გისოსებს მიღმა ეს შეკითხვები არ გამჩენია – მე ხომ ასე მინდოდა თავისუფლება.

...
დავბრუნდი კამერაში. ერთი წუთი ჩუმი ვიჯექი, არ ვიცოდი, რა ფორმით მეცნობებინა სხვებისათვის ეს ამბავი. დუმილი თვითონ დაარღვიეს. მე ვუთხარი, რომ საპროცესოთი გამათავისუფლებდნენ, მეორე დღითვე, სასამართლო დარბაზიდან. ძალიან გაუხარდათ, თუმცა მალევე დანაღვლიანდნენ. ყველა მეუბნებოდა, როგორ გავახსენდები, როგორ შემეჩვივნენ და როგორ დაეაკლდები. მეც დავნაღვლიანდი.

იმ ღამეს გვიანობამდე ვისხედით და ვსაუბრობდით. ყველა რაღაც რჩევას მეკითხებოდა, შემომნატროდნენ და მპირდებოდნენ, რომ გათავისუფლების მერე მინახულებდნენ. მე დავპირდი, რომ საახალწლოდ დონსკის ბარათზე გარკვეულ თანხას დავურიცხავდი, რომ ჩემს სახელზე მოეხინათ. მათ მითხრეს, რომ ეს არ იყო საჭირო. დილით ერთმანეთს დავემშვიდობეთ. დიახ, აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად, რადგან ამისათვის ბევრ დროს არ გაძლევენ.

კორპუსიდან მორიგემ გამომიყვანა. გზად „სმენის“ უფროსი შეგვხვდა და გათავისუფლება მომილოცა. მე ვთხოვე, რომ იმ კორპუსის პატიმრების დილაობით სასაქონლოდ ჩაყვანა გაეგრძელებინათ. მითხრა თვითონ ერიდებოდნენ ადრეო. მე ვუთხარი, რომ სინამდვილეში მათ ეს ძალიან სჭირდებოდათ და ეს სამი დღე შეეჩვივნენ კიდევაც.

თავისუფლებისაკენ გზა იგივე მარშრუტით უნდა გამეგლო, რითაც ციხეში მიმიყვანეს. ჯერ კარანტინში ჩამიყვანეს და ფუქსში შემიყვანეს. როდესაც პატიმარი ფუქსში შეჰყავთ, ყველა ხვდება, რომ ის პალატენიდან არის ჩამოყვანილი. ერთ-ერთმა კონტროლიორმა შემომიყვინა და ცემით დამემუქრა – ჯიბიდან ხელი ამოიღეო. ამ დროს კიდევ ერთხელ მოვიშველიე ციხის უფროსთან პირადი ნაცნობობა და ასე მოვიშორე აბეზარი კონტროლიორი. თან საკუთარი საქციელიც აღარ მინანია, რომ ციხის ადმინისტრაციის მისამართით დადებითი განცხადება დავნერე წინა საღამოს.

...
ფურგონში შეგვიყვანეს. ბადრაგმა ციხის მცველებს ინფორმაცია მიაწოდა – 13 პატიმარია, ერთი „ერბედან“ (რეზბალნიცა, იგივე ციხის საავადმყოფო) და ერთი ქალიო. ვიფიქრე, რომ ციხეში ქალების კორპუსიც იყო და რომელიმე პატიმარ ქალს ამოიყვანდნენ. არადა, ყველა სხვა პატიმარი მიხვდა, რომ ჩემზე იყო საუბარი, რადგან ფუქსიდან გამოსვლის დროს დამინახეს.

სასამართლო დარბაზში ჩემი კოლეგები არ დამხვდნენ, იყვნენ დედაჩემი, ჩემი და და სიძე. დედაჩემი მკაცრად მიყურებდა, მაგრამ ცოტა ხანში ძალიან მოლბა და მის გამოხედვაში უფრო მეტი ალერსი და მონატრება ამოვიკითხე. ნაიარევი პროკურორი უჩვეულოდ კარგ ხასიათზე იყო, თითქოს უხაროდა ჩემი გათავისუფლება. მოსამართლემ უყოყმანოდ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. ხელბორკილები მომხსნეს. პროკურორმა ხელიც კი ჩამომართვა და მომილოცა. ახლობლებს გადავხვებო და სასამართლო დარბაზი დაეტოვებო.

აქ უნდა დავასრულო თხრობა, რადგან ყველაზე საინტერესო მოვლენები სწორედ სვაბოდაზე მოხდა. არცთუ ადვილი აღსაწერია ის, რაც გარეთ მელოდა. არცთუ თავშესაქცევი წასაკითხი იქნება. უნდობლობა, შიში, იმედგაცრუება, ლალატი, მიტოვება, შეურაცხყოფა, დამცირება, დაცინვა, მარტოობა, დეპრესია, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, ტკივილი, მოტყუება, დანაშაულის გრძნობა, შეცოდება, ხელმოცარულობა, იმედი, მოკლედ კლასიკა... ეს სიტყვები ძალიან, ძალიან სუსტად გამოხატავს იმას, რასაც მიქადადა ეს ყბადაღებული „სვაბოდა“.

P.S. „ჩიპიან“ მერაბს ეტაპირება გაუკეთეს და ზონაზე გადაიყვანეს. დამირეკა და მომიკითხა. მკითხა, დონსკის ბარათზე შენ ჩარიცხე ფულიო? მე მივუგე, რომ მხოლოდ დანაპირები შევასრულე. მან ნაღვლიანი ხმით მითხრა – ნეტავ იცოდე რამდენი დაგვპირებიაო... დონსკი მომეხატრა.



ბრწყინვალე დისკარმონიული ბონება

<<< ლასაწყისი გვ. 44

გუბაიდულინას ერთნაირად აღელვებს სოციალური, რელიგიური და ფილოსოფიური საწყისი. „მისტიკური კომენტარები“, ანუ ტექსტი, რომელიც მან პარიზში საკუთარი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებას დაურთო, სწორედ აღმოსავლური პოეზიისა და ფილოსოფიის გავლენის შედეგია. იგი თითქოს გაშმაგებით ეძებს „ვერტიკალის“ – ანუ სოციალური სფეროს და „ჰორიზონტალის“ – რელიგიის გადაკვეთას და ამ მისიას მუსიკალური ლიტურგიის ფორმას აკისრებს.

სოფია გუბაიდულინა: „არსებობს ფარული თუ გაცხადებული მიზეზი, რატომაც ირჩევდნენ კომპოზიტორები სასულიერო ჟანრის მუსიკას: ვენებებს, ორატორიებს, კანტატებს. ბახიდან ან ბუქსტეუდელან

მოყოლებული, ოლივიე მესიანი და მთავრებული, კომპოზიტორები ცდილობენ სულიერის ჩანაცვლებას მიწიერი, ანუ – სოციალურით. კომპოზიტორი, რომელიც დღეს მუსიკის რელიგიურ ფორმას ირჩევს, სინამდვილეში სტადიონზე ან ტელეეკრანის წინ შეკრებილ მაყურებელს მიმართავს. ეს პრაქტიკულად იგივეა, რაც საუკუნეების წინ წირვაზე მისული ხალხი, რომელიც ტაძარში ლოცვას ან ორლანს უსმენს“.

ბერძნული სიტყვა „ლიტურგია“ სწორედ „საერთო სამუშაოს“ ნიშნავს და კომპოზიტორიც ამ საერთოობისა და სამუშაოს „მსხვერპლია“, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანს მიმართავს – ცოდვილს, სუსტს, დაცემულს. რათა თავისი ხმა უზენაესს მიანვდინოს.

მხოლოდ ბრწყინვალე გონება არ იყენებს ამ ღვთიურ, დისკარმონიულ ხმას

მიწიერი დიდებისათვის. მაგრამ ეჭვგარეშეა თუ არა მიწიერი დიდებით სარგებლობა? ეს ხომ ძალიან დიდი ცდუნებაა. მეორე მხრივ, წარმატების შეგონება ხელოვანს საკუთარი შესაძლებლობის განმტკიცებაში ეხმარება.

დიდი ხელოვნება ისევ წარმოგვიდგება საიდუმლო ჰორიზონტად, ოკეანედ, რომელშიც სამოთხე მუდმივად დაფარულია ნისლით და მიუღწეველი სიხარულით. ცხადია, შემოქმედების საიდუმლო არსებობს, ისევე როგორც ამ საიდუმლოთი მოგვირილი ტკივილი, რომელიც ხელოვანს მუდამ თან სდევს. ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მაგრამ არსებობს უბრალოდ ტკივილი, რომელსაც ცხოვრება და ზოგჯერ საკუთარი ქვეყანა აყენებს ხელოვანს და რომელიც უბრალოდ წარუშლელია. უფრო სწორად, ტკივილის განცდა ერთ ადგილას გუბდება და მოგვიანებით მესხიერებაში ჭაობად იქცევა, საიდანაც გაქცევა თუ თავდახსნა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

სოფია გუბაიდულინა, დიდი ხანია, იმდროინდელი, შედეგებული საბჭოთა მესხიერებისა და ჯანდაბას გაგზავნილი კომპოზიტორთა კავშირის მიღმა ცხოვრობს. თითქოს საგანგებოდ გამოიკეტა პატარა, ეკოლოგიურად სუფთა, მშვიდ და უშფოთველ გერმანულ ქალაქში, რათა მუსიკის კარიბჭე გახსნას. დამღელი მეგაპოლისის შემდეგ ის ქმნის გიგანტურ, მშვიდ დისკარმონიას, რათა ადამიანებმა უბრალოდ იწამონ, მაგრამ ტკივილი არ დაივიწყონ.



ალარ იბეჭდება

<<< ლასაწყისი გვ. 54

ვებგვერდს სხვა უცნაურობებიც ახასიათებს. რამდენადაც გაზეთი პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ მასალაზე იმ საარქაქციო პროცესის საშუალებით, რომლის

დროსაც პროფესიონალი რეპორტიორები და რედაქტორები საგულდაგულოდ ამოწმებენ წყაროებს, აზუსტებენ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას, ბლოგოსფერო ხარისხის კონტროლს მთლიანად მკითხველებს ანდობს. „ჰაფინგტონ პოსტში“ ჯონა პერეტი განმარ-

ტავს, რომ რედაქტორები „მთავარ გვერდს აქცევენ ყურადღებას“ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მხოლოდ სანდო ბლოგერებმა დაწერონ და სარწმუნო ინფორმაცია მოხვდეს მასზე. მთელი გვერდის მასშტაბით კომენტარების უმრავლესობა კი მანამდე ქვეყნდება, ვიდრე რედაქტორი წაიკითხავს. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა დაუყოვნებლივ, თუ მკითხველი რომელიმე კომენტარს ცრუ ინფორმაციის ან ლანძღვარების შემცველად მიიჩნევს.

„ჰაფინგტონ პოსტის“ საარქაქციო პროცესები, პერეტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მალიტის სტრატეგიას“ (mullet* strategy) ეფუძნება („წინ წამოწეული ბიზნესი და უკან დატოვებული მკითხველების ჯგუფი“ – ასე ხატოვნად გვიხსნის ამ იდეას მონათესავე

ვებგვერდი BuzzFeed). „მომხმარებლების მიერ ვებგვერდის სივრცის შევსება ძალიან მოდურია, თუმცა მათი კომენტარების უმრავლესობა სრული ნაგავია“, – ამბობს პერეტი. მალიტის სტრატეგია მომხმარებლებს ინვესტს „მეორეხარისხოვან გვერდებზე საკამათოდ და აზრის გამოსატყეველად, იმ დროს, როცა პროფესიონალი რედაქტორები მთავარ გვერდზე წესრიგს მკაცრად იცავენ“. მალიტის სტრატეგია სწორედ ამ მიდგომას ავითარებს, რადგან ვებ-კომპანიებისთვის ტრეფიკის გაზრდის საუკეთესო საშუალებაა მომხმარებლებისთვის კონტროლის შეთავაზება, თუმცა რეკლამის მოზიდვის საუკეთესო გზას თვალშისაცემად მიმზიდველი მთავარი გვერდი წარმოადგენს, სადაც კორპორატიული სპონსორები საკუთარი ბრენდების ხილვით დატკბებოდნენ.

ეს პოლიტიკა უნაკლო ნამდვილად არ არის. იმ დროს, როცა ქარიშხალი კატრინა მქენივარებდა, აქტივისტმა რენდალ რობინსონმა ერთ-ერთ კომენტარში განაცხადა, რომ ის ნიუ ორლეანიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც, ზოგიერთები იქ „გვამებს ჭამდნენ, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ“. როცა ერენა ჰაფინგტონმა ამ კომენტარის შესახებ გაიგო, რობინსონს დაუკავშირდა და აღმოაჩინა, რომ მას არ შეეძლო, საკუთარი წარმოსახვის ნაყოფი ფაქტებით გაემყარებინა. ერენამ ამ ადამიანს საკუთარი სიტყვების საჯაროდ უარყოფა მოსთხოვა. ნამდვილად მისასალმებელი იყო ადეკვატური რეაქცია, რომლის შედეგადაც შეცდომა გამოსწორდა, მაგრამ ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი იმ ცრუ ინფორმაციის სწრაფად გავრცელებას, რომელიც ყველას პირზე ეკურა.

დაძაბულობა მიენსტრიუმულ მედიასა და ვებსივრცის წარმომადგენლებს შორის ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში ინიანსწარმეტყველეს, ერთ-ერთი ყველაზე ცხარე და ანგარიშგასანევი დისკუსიის დროს.

1920-1925 წლებში ახალგაზრდა უოლტერ ლიპმანმა სამი წიგნი გამოსცა, რომლებშიც დემოკრატიისა და პრესის თეორიულ კავშირებს იკვლევდა. მათ შორის იყო „საზოგადოებრივი აზრი“ (1922), რომელიც დადებითად მიიღო როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს პრაქტიკოსთა ჯგუფმა, ასევე ჟურნალისტიკის კვლევის აკადემიურმა წრემ. ლიპმანმა შენიშნა, რომ ერთმანეთს მტად დაშორებოდა ის, რასაც დემოკრატიისგან ბუნებრივად ელოდნენ

და ის, რაც ხალხის შესახებ იცოდნენ. დემოკრატიის თეორიის მოთხოვნით, მოქალაქეები კარგად უნდა ერკვეოდნენ სხვადასხვა საკითხში და იცნობდნენ იმ პირებს, რომლებსაც წინამძღოლობას სთხოვენ. ეს მოსაზრებები უდავოდ კეთილგონივრული იყო ჯეიმს ფრანკლინის დროინდელი ბოსტონის თეორეტიკანი, მამრობითი სქესის, მინათმფლობელთა კლასისთვის, მაგრამ, ლიპმანის აზრით, მისი თანადროული კაპიტალისტური საზოგადოება იმდენად გაზრდილიყო და გართულბულიყო, რომ საშუალო მოქალაქე ვეღარ ერკვეოდა უმნიშვნელოვანეს მოვლენებში.

ლიპმანი წერდა, რომ ჟურნალისტიკა თავის საქმეს კარგად ასრულებს, როცა „ის სპორტული შეჯიბრის ანგარიშს გვაცნობს, ტრანსატლანტიკური რეისის შესახებ მოგვითხრობს ან მონარქის სიკვდილს გვაუწყებს“. თუმცა სიტუაცია გაცილებით რთულდება, როცა „მაგალითად, საქმე ეხება პოლიტიკურ წარმატებას ან უცხოეთის რომელიმე ქვეყნის სოციალურ პირობებს, ანუ ისეთ შემთხვევებს, რომლებსაც მარტივი პასუხი არ მოეძებნება და ფაქიზი მიდგომა, მოუკერძოებელი გადმოცემა სჭირდება“. ამ დროს ჟურნალისტიკაში „სრული უთავბოლობაა, გაუგებრობა და ფაქტების დამახინჯების შემთხვევებიც კი“.

ლიპმანმა საშუალო ამერიკელი, რომელსაც ენამოსწრებულად „აუტსაიდერი“ უწოდა, სპორტულ შეჯიბრზე „ბოლო რიგში ჩამომჯდარ ყრუ მაყურებელს“ შეადარა: „მან არ იცის, რა ხდება, რატომ ხდება და რა უნდა მოხდეს“. ის „იმ სამყაროში ცხოვრობს, რომლის არც დანახვა შეუძლია, არც გაგება და არც მართვა“. საზოგადოების მიხედვით აღწერა იქნებ გულზეც მოხედეს მას, ვინც დღევანდელ საკაბელო არხებზე უყურებს ახალ ამბებს ან იმ რადიოგადაცემებს უსმენს, რომლებშიც მონეული სტუმრები საუბრობენ ხოლმე. მისი სიტყვებით, საზოგადოება „გვიან ფიზილდება, ყურადღება კი სწრაფად ეფანტება... და მხოლოდ მაშინ ინტერესდება, როცა მოვლენები მელოდრამატული კონფლიქტის სახეს იღებს“. ლიპმანი, ვინც თავგადაკული ელიტისტი იყო, ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა დაეზაფრა ვინმე მის დასკვნებს. საშუალო მოქალაქეებს ხომ არავინ სთხოვდა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკისა თუ პოსტსტრუქტურალიზმის სრულყოფილ ცოდნას. რატომ უნდა მოგვეთხოვა მათთვის, რომ კონგრესის პოლიტი-

კაში ბევრად უკეთ გარკვეულიყვნენ, ვიდრე შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოების სტრატეგიები?

ლიპმანის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი, არსებითად, დემოკრატიაზე ხელის აღებას გულისხმობდა. ამ მოსაზრებას ის იმით ამართლებდა, რომ მთავარი შედეგები იყო. მაშინაც კი, თუ ხალხი საკმარისად ინფორმირებული იქნებოდა და საკუთარი თავის სამართავად ბრძნული ნაბიჯების გადადგმას შეძლებდა, „საეჭოა, ბევრ ჩვენგანს თითის განძრევა მოესურვებინა“. აღნიშნული საკითხის ირგვლივ პირველად საუბრისას, 1920 წელს გამოცემულ წიგნში, „თავისუფლება და ახალი ამბები“, ლიპმანი აცხადებდა, რომ ეს პრობლემა მაშინ გადაიჭრებოდა, თუ ჟურნალისტიკა უფრო მეტად დაფასებული პროფესია გახდებოდა. ორი წლის შემდეგ დაწერილ „საზოგადოებრივ აზრში“ კი მან დაასკვნა, რომ ჟურნალისტიკა მოცემულ პრობლემას ვერ გაუმკლავდებოდა „24 საათის განმავლობაში ადამიანებზე მხოლოდ ოცდაათწუთიანი ზემოქმედებით“. ლიპმანმა თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მოვიქრებული ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ფორმულირება შემოგვთავაზა: უნდა შექმნილიყო „ინტელექტუალთა ბიუროები“, რომლებიც ყოველგვარი საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფილი იქნებოდნენ და მიუკერძოებლად განსჯიდნენ მთავრობის ქმედებებს, არ გაუწევდნენ ანგარიშს არც დემოკრატიულ ღირებულებებს და არც საზოგადოებრივ აზრს. მას არ აუხსნია, რა როლი უნდა შეესრულებინა (ან საერთოდ თუ უნდა შეესრულებინა რაიმე როლი) ამ პროცესში საზოგადოებას.

ჯონ დიუიმ „საზოგადოებრივ აზრს“ უწოდა „აღბათ ყველაზე მძიმე ბრალდება დემოკრატიის მიმართ, რაც კი ოდესმე ვინმეს გამოუთქვამს“. მომდევნო 5 წელიწადი მან სწორედ ამ წიგნის კრიტიკას მოანდომა. 1927 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, სახელწოდებით „საზოგადოება და მისი პრობლემები“, უკიდურესად ტენდენციური, მძიმედ ნასაკითხი რამ იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან წიგნს წარმოადგენდა. დიუი არ უპირისპირდებოდა ლიპმანის მოსაზრებებს ჟურნალისტიკის ხარვეზებსა თუ იოლად მანიპულირებადი საზოგადოების თაობაზე. ის უბრალოდ თვლიდა, რომ მის მიერ შეთავაზებული წამალი ბევრად მავნე იყო, ვიდრე თავად სნეულება. ლიპმანი საზოგადოებრივ აზრს ცალკეული ადამიანების მოსაზრე-

ბების ჯამად აღიქვამდა (სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მსგავსად), დიუი კი მნიშვნელობას ფოკუს ჯგუფებს ანიჭებდა. მისთვის დემოკრატიის დამკვიდრება უფრო საუბარს, განსჯას უკავშირდებოდა, ვიდრე ინფორმაციის ქონას. დემოკრატიული საზოგადოების წევრებს უნდა გამოემუშაებინათ ის, რასაც ჟურნალისტიკის მკვლევარი ჯეიმს კეირი დებატების აღწერისას დემოკრატიის „აქტიურ უნარ-ჩვევებს“ უწოდებდა – განსხვავებული თემების განხილვის, ღრმა ანალიზის უნარები და ასევე, იმგვარი კამათის უნარი, რომელსაც მოკამათებების კონსენსუსამდე მიყვანა შეეძლო.

დიუიმ ლიპმანი განათლებული, ინფორმირებული ელიტის ნდობისთვისაც გააკრიტიკა. „ექსპერტების წრისთვის იმდენად უცხოა საზოგადოების ინტერესები, რომ ის უდავოდ გადაიქცევა იმ ჯგუფად, რომელსაც პირადი ინტერესები ამოძრავებს. შესაბამისად, მისი ცოდნაც შეზღუდული იქნება. ფეხსაცმელების კერვის ოსტატმა შესანიშნავად იცის, როგორ უნდა მოარგოს კაცს ფეხსაცმელი, მაგრამ ვისაც ფეხსაცმელი აცვია, ის უკეთ გრძნობს, სად უჭერს იგი“, – ამტკიცებდა ის.

ლიპმანმა და დიუიმ ცხოვრების დიდი ნაწილი შესწირეს იმ პრობლემებთან გამკლავებას, რომელთა დიაგნოზიც თავად დასვეს: ლიპმანმა, როგორც არქექტიპულმა სწავლულ-განდობილმა და დიუიმ, როგორც დემოკრატიული განათლების პროფეტმა. რამდენადაც ამ კამათში გამარჯვებულის გამოვლენა მომდევნო თაობების გადასაწყვეტი გახდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალი უფრო ლიპმანის იდეალს დაუახლოვდა. დიუის დემოკრატიისადმი ნდობა კი მნიშვნელოვანწილად დარჩა „რწმენად, რომ შესაბამის პირობებში ადამიანებს გონივრული განსჯა და მოქმედება შეუძლიათ“. თეორეტიკოსის მრავალრიცხოვან ნაშრომებში მინიშნებასაც ვერ ნავაწყდებით იმის თაობაზე, რომ ასეთი პირობები – მისივე განსაზღვრებით, დემოკრატიული სკოლები, სანარმოები, თავისუფალი ასოციაციები და განსაკუთრებით, გაზეთები – მის სიცოცხლეში სადმე არსებობდა (92 წლის დიუი 1952 წელს გარდაიცვალა).

ამერიკული პრესის ისტორიაში პროფესიონალიზაციის ისეთი ტენდენცია შეინიშნება, როგორზეც ლიპმანი საუბრობდა. როდესაც ის ამ თემაზე წერდა, ბევრი გაზეთი ისევ მე-18-19 საუკუნეების ამერიკუ-

ლი პრესის მოდელის ერთგული რჩებოდა. რედაქტორები და გამომცემლები საკუთარ თავს რომელიმე პოლიტიკური ძალის ან მფარველთა ჯგუფის დამატებად თვლიდნენ და, შესაბამისად, ახალ ამბებსაც ტენდენციურად აშუქებდნენ (წარმოიდგინეთ თომას ჯეფერსონი და ელიგზანდერ ჰამილტონი, რომლებიც ერთმანეთს საკუთარი გაზეთების მეშვეობით ებაქერებოდნენ ჯორჯ ვაშინგტონის მინისტრთა კაბინეტში მსახურების დროს). სწორედ ლიპმანის დროს ჩაისახა მე-20 საუკუნის მოდელი – გაზეთების ბრძოლა პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის და მათ მიერ მედიატორის როლის შესრულების მცდელობა პარტიათა კონკურენციის პროცესში, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

რამდენადაც ჟურნალისტიკა სულ უფრო რთული და დაფასებული პროფესია ხდებოდა – ნაწილობრივ ლიპმანის ნიმუშის წყალობითაც – ნამყვანი რეპორტიორების, ტელენამყვანებისა თუ რედაქტორების სტატუსები ბუნებრივად იზრდებოდა და უთანაბრდებოდა სენატორების, მინისტრთა კაბინეტის მდივნების, კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორების სოციალურ სტატუსებს, რომელთა შესახებაც თავად მოგვითხრობდნენ. დიუის წინასწარმეტყველების კვალად, ეს რეპორტიორები და რედაქტორები საკუთარ თავს ბევრად უფრო ბუნებრივად აიგივებდნენ სიუჟეტების მთავარ მოქმედ პირებთან, ვიდრე მკითხველებთან. იმ არჩევნების გარდა, რომლებშიც სულ უფრო ცოტა ამომრჩეველი იღებდა მონაწილეობას, პოლიტიკა თანდათან პროფესიონალების საქმე გახდა და ამასთანავე, სასიერო სანახაობადაც იქცა ფართო მასებისთვის – როგორც ლიპმანი იმედოვნებდა და დიუი შიშობდა. მკითხველს სრულიად პასიური როლი დაეკისრა: ისიც საკმარისი იყო, ხანდახან რედაქტორს წერილს თუ მისწერდა.

თავდაპირველად ლიპმანის მოდელმა გამოწვევა შემარჯვენებისგან მიიღო. ბევრი კონსერვატორი მეინსტრიმული მედიას – ნამყვან ტელეარხებს, გაზეთებსა და ყოველკვირულ გამოცემებს აღიქვამდა, როგორც ლიბერალ მედიატორებს, რომლებსაც არ შეეძლოთ მიუკერძოებლად გაეშუქებინათ სამხრეთ შტატებში სამოქალაქო უფლებების დამცველთა მოქმედებები თუ ბარი გოლდუოთერის საპრეზიდენტო კამპანია. შემარჯვენებმა კვლევითი ცენტრები და

საკუთარი მედია-უნიტები შექმნეს, რომლებსაც მეინსტრიმული მედია უნდა გამოეწვია და ამასთანავე, მისი გვერდის ავლით ემოქმედა. ხელისუფლების სათავეში რეიგანისა და კონსერვატორების მოსვლა მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატის, როგორც „დიდებული მოსაუბრის“, პიროვნული ხიბლით კი არ იყო განპირობებული, არამედ – ათწლეულების მანძილზე ჩატარებული, მოსამზადებელი იდეოლოგიური საშუალებით. ეს ყველაფერი კი ისეთმა ჟურნალმა განახორციელეს, როგორებიცაა უილიამ ბაკლის „ნეშენელ რივიუ“ და ნორმან პოდჰორცის „კომენტარი“, თავისი წვლილი კი „უოლ სტრიტ ჯურნლის“ საბრძოლო სულისკვეთებით გამორჩეულმა იმ სარედაქციო წერილებმაც შეიტანა, რომლებსაც 30 წლის განმავლობაში რობერტ ბარტი წერდა. ე.წ. კონსერვატიული „კონტრისტებლიშმენტის“ დამკვიდრება, ხოლო მოგვიანებით ისეთი მედია-ფენომენების გაჩენა, როგორებიც იყვნენ რადიო გადაცემებში რაშ ლიმბო და საკაბელო ტელეგადაცემებში ბილ ო’რელი, შეიძლება განვიხილოთ დიუიანური გაერთიანების მცდელობად, რომლის მიზანი იყო ლიპმანისებური ელიტისთვის დემოკრატიული მმართველობისა და ინფორმაციის სადავების წართმევა.

დიუიანური გაერთიანების ლიბერალური ვარიანტის შექმნას დიდი დრო დასჭირდა, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ თავად ლიბერალებმა დიდხანს ვერ მოახერხეს იმ ხარვეზების აღმოჩენა, რომლებიც მედიასთან ურთიერთობაში ხელს უშლიდათ. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე ბევრი მეინსტრიმული გამოცემა ლიბერალიზმისკენ, რაზეც კონსერვატორები მათ მუდმივად მიუთითებდნენ. ამასთანავე, ეს გამოცემები სრულიად დარწმუნებულები ბრძანდებოდნენ ძლიერი, აქტიური მთავრობის აუცილებლობაში, რომელიც მორალურ პასუხისმგებლობას აიღებდა და უზრუნველყოფდა როგორც ქალთა უფლებების, ასევე – ეთნიკური თუ რასობრივი უმცირესობების უფლებების დაცვას. თუმცა მეინსტრიმული ჟურნალისტიკის თვალში მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა ახალი კონსერვატიული კონტრისტებლიშმენტიდან თანამედროვე სწავლულების გამოხმობა, რასაც თან დაერთო მდიდარი მემარჯვენე აქტივისტებისა თუ ბიზნესმენების მხრიდან ინვესტიციების განხორციელება კვლევით ცენტრებში, კონკრეტულ პოლიტიკურ წრე-

ბაბრქილება

ებში, პერიოდულ გამოცემებში, რადიოსადგურებსა თუ ტელეარხებზე. ამ ყველაფერმა კი ისეთი მიმზიდველი კონტექსტი შეუქმნა კონსერვატორ კანდიდატებს, როგორსაც გოლდუოთერის მხარდამჭერები ვერასდროს წარმოიდგენდნენ.

ეკონომიკის ყოფილი პროფესორი დანკენ ბლეკი, ვინც ეიტრიოუსის სახელით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბლოგი შექმნა, ამბობს, რომ ოდესღაც მასაც სჯეროდა „ლიბერალური მედიის მითის“: „მაგრამ პრესის კოლექტიურ გამოხმაურებაზე დაკვირვებამ კლინტონის იმპიჩმენტის მოთხოვნისა თუ გორის კამპანიის დროს, 11 სექტემბრის შემდეგ, ერაყის ომის დაწყების წინ და, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ბუშის ადმინისტრაციის აბსურდულმა და სახიფათო მონოდეტებმა ჩემი რწმენა აბსურდად აქცია. ამერიკული საზოგადოების 65% ბუშის ადმინისტრაციის ქმედებებს გამოხს, მაგრამ ამგვარ ხედვას დღესაც კი ძალიან იშვიათად გადაწყვეტით მეინსტრიმული მედიაში“.

ლიბერალური ბლოგოსფეროს დაბადება, რომლის წიაღშიც, დიდი მედია-ინსტიტუციების გვერდის ავლით, თანამოაზრეთა წრეში დიალოგების გამართვა შეიძლება, დიუსიული წარმოდგენის გამოცოცხლებასა და ახალი ამბების ლიპმანისებურ გაზრებასთან დაპირისპირებას ნიშნავს. ეს უკანასკნელი ჩვენს ხედვას ემთხვევა, აღნიშნულმა დაპირისპირებამ კი, შესაძლოა, დიუსის ცნებას – ქეშმარიტად დემოკრატიულ დისკურსს შთაბეროს სული. გლობალური ქსელი ჯგუფების შესაქმნელად მძლავრ პლატფორმას ქმნის, ამბების გადაცემა უწყვეტად, სწრაფად და იაფად ხდება. ძველი დემოკრატიული მოდელი ნიუ ინგლენდის იმ ქალაქების ერთობაზე იყო მორგებული, რომლებშიც კეთილშობილი, კარგად ინფორმირებული ფერმერები ცხოვრობდნენ. დღეს კი, გლობალური ქსელის წყალობით, ყველას შეგვიძლია დიუსიანურ დებატებში ჩავეერთოთ და ვიკამათოთ პრეზიდენტებზე, პოლიტიკაზე, სხვადასხვა გეგმაზე. ამისათვის მხოლოდ ხარისხიანი ინტერნეტი გვჭირდება.

„ჰაფინგტონ პოსტს“ პოპულარობა 2005 წლის ზაფხულსა და შემოდგომით გამოქვეყნებულმა იმ სტატიებმა მოუტანა, რომლებშიც ერიენა ჰაფინგტონი უმოწყალოდ აკრიტიკებდა „ტაიმის“ რეპორტიორის, ჯუდიტ მილერის რეპორტაჟებს სამხედრო ოპერაციებსა და საგარეო პოლიტიკაზე.

ის იმ გაჟონილ ინფორმაციასა და რჩევებს ეყრდნობოდა, რომლებსაც „ტაიმის“ რედაქტორებისა და რეპორტიორებისგან უწყვეტ ნაკადად იღებდა. მიუხედავად ამისა, უურნალისტიკის სფეროში მის კომპეტენტურობას მედიასამყარო მაინც ეჭვის თვალით უყურებდა.

„ჰაფინგტონ პოსტი“ სულაც არ ყოფილა პირველი ვებგვერდი, რომელმაც ამ ტექნიკას მიმართა: მკითხველების ცოდნა და ინტელექტი მეინსტრიმულ მედია-ნარატივთან დასაპირისპირებლად გამოიყენა. მაგალითად, კონსერვატორმა ბლოგერებმა „ლითლ გრინ ფუტბოლის“ ვებგვერდზე დიდი სია-მოვლებით გაანადგურეს დენ რეზერი მას შემდეგ, რაც მან საეჭვო ღირსების დოკუმენტური ფილმი აჩვენა იმის შესახებ, რომ თითქოს ჯორჯ ბუში ტექსასში, საჰაერო ძალების დანაყოფში მსახურობის დროს მკურნალობის განსაკუთრებულ კურსს გადიოდა.

დენ რეზერზე კონსერვატორების შეტევა-მდე დიდი ხნით ადრე ლიბერალმა უურნალისტმა, ჯოშუა მაიკა მარშალმა ვებგვერდი „თოქინგ პოინტს მემო“ (Talking Points Memo) შექმნა. მას სურდა, ინფორმაცია განსხვავებული არხებით მიეღო და არა იმ წყაროებიდან, რომლებიდანაც მეინსტრიმული მედია იღებდა. ამდენად, მარშალი ხშირად ეყრდნობოდა მოხალისეთა მოკვლევებსა თუ ერთუზისტი მკითხველების დროულად მონო-დებულ ინფორმაციებს. მისმა ვებგვერდმა, 2000 წლის ფლორიდის დებატებიდან მოყოლებული, რამდენიმე მონათესავე ვებგვერდს დაუდო დასაბამი, რომელთა საერთო სახელწოდებაა TPM Media. ისინი ფინანსდებიან როგორც მკითხველთა შემოსული თანხით, ასევე რეკლამიდან შემოსული თანხით. „კოლაშია ჯერნელიზმ რივიუს“ შეფასებით, „თოქინგ პოინტს მემო“ „თითქმის ერთადერთი ვებგვერდი იყო, რომელმაც ამერიკელი გადამდგარი პროკურორების თემა მთელი სიმძაფრით გააშუქა“. საბოლოოდ, ამ სკანდალს გენერალური პროკურორის, ალბერტო გონსალესის გადადგომა მოჰყვა, მარშალი კი პირველი ბლოგერი გახდა, რომელიც ჯორჯ პოლკის პრემიით დააჯილდოვეს. „თოქინგ პოინტს მემომ“ აგრეთვე მთავარი როლი შეასრულა ბუშის სოციალური უსაფრთხოების გეგმის ჩავარდნაში და იმ ფაქტის ფართოდ გაშუქებაში, რომ ტრენტ ლოტმა პოზიტიურად შეაფასა სტრომ ტერმონდის 1948 წლის სეგრეგაციონისტული საპრეზიდენტო კამპანია. შედეგად, ლოტი

იძულებული გახდა, სენატის უმრავლესობის ლიდერის თანამდებობიდან გამდგარიყო.

მარშალის თანახმად, ვებგვერდის „თანამშრომლობითი ასპექტი“ „სრული შემთხვევითობის ნაყოფია“. თავიდან მას სურდა, ყველაფერი „გამჭვირვალე“ ყოფილიყო და მკითხველებს მისი „მკაფიოდ გამოკვეთილი თვალსაზრისი“ კარგად გაერჩიათ შეთავაზებული ფაქტების ფონზე. დროთა განმავლობაში კი მან აღმოაჩინა, რომ იმ უზარმაზარ საპასუხო რეაქციას, რასაც მისი ნაშრომი იწვევდა, „დიდი რაოდენობით ღირებულ ინფორმაციამდე“ მიჰყავდა. მეინსტრიმული მედიის რეპორტიორებისთვის ეს ინფორმაცია ყოველთვის ხელმისაწვდომი არ გახლდათ. ისინი ხომ საქმეს უმთავრესად, მარშალის გამოთქმა რომ გავიგეოროთ, „პროფესიონალ წყაროებთან“ იჭერდნენ. მაგალითად, ქარიშხალ კატრინას მძვინვარების დროს მან აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი მკითხველი კლიმატსა და ამინდზე დაკვირვების ფედერალურ სამსახურში მუშაობდა. ისინი ისეთ სანდო ინფორმაციას აწვდიდნენ მას და მის ვებგვერდს, როგორსაც სხვაგან ვერსად ნახავდით.

მიუხედავად მარშალის უდავო წარმატებისა, ტრადიციული გაზეთების თანამშრომლებზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს იმ სტილის უურნალისტიკა, როგორსაც პოლიტიკური ვებგვერდები ირჩევენ. ტრადიციის მიმდევრები ისევ ლიპმანისებურად აღმერთებენ კულუარულ ინფორმაციას და მათთან შეჯიბრს, ვისაც მასზე ხელი არ მიუწვდება. ბევრი მათგანი ამ ვებგვერდებს ისე უყურებს, როგორც სერიოზული რომანისტები შეხედავდნენ გარუებნიდან სამსახურში მიმავალი იაპონელების მობილურ ტელეფონებში ჩაყრილ „რომანებს“. გაზეთების თანამშრომლები გვახსენებენ, რომ ნამდვილი რეპორტაჟის, უურნალისტური გამოძიების მომზადება ძვირი სიამოვნებაა, კომპილაცია და აზრების ფრქვევა კი იაფია.

მართალიცაა: არც ერთი ვებგვერდი იმ თანხის ნახევარსაც კი არ ხარჯავს, რასაც საუკეთესო გაზეთები ხარჯავენ რეპორტაჟების მომზადებაზე. ბოლო სამტატო შემცირებისა და აქციების ნაწილის გაყიდვის შემდეგ „ტაიმის“ 1200-ზე მეტი უურნალისტიკისგან შემდგარ ბირთვის ინარჩუნებს, რაც დაახლოებით 50-ჯერ აღემატება „ჰაფინგტონ პოსტისას“. „უოშინგტონ პოსტსა“ და „ლოს ენჯილიზ ტაიმსს“ 800-900 თანამშრომელი ჰყავთ. მხოლოდ „ტაიმისი“ ბაღდადის

ბიუროს შენახვა წელნაღამო დაახლოებით სამი მილიონი დოლარი ჯდება. ამ ინვესტიციებით გარკვეულწილად „ჰაფინგტონ პოსტიც“ სარგებლობს, თუმცა თავად მცირედსაც არ ხარჯავს.

გაზეთებში დაშვებული უამრავი შეცდომის მიუხედავად, რეპორტიორებისა და რედაქტორების დიდი უმრავლესობა წლები, ათწლეულების მანძილზეც კი უტრიალებს საკუთარი სტატიების თემებს და ყველა წერილმანში გარკვევას ცდილობს. გაგვიჭირდება რომელიმე ბლოგერის დასახელება, ვინც იმ დონის პროფესიონალი ჟურნალისტი იქნებოდა, როგორებიც არიან „უოშინგტონ პოსტის“ ბარტონ გელმანი და დანა პრისტი, „ტაიმის“ დექსტერ ფილკინსი და ელისა რუბინი.

2005 წლის ოქტომბერში, ფინიქსში, რეკლამის სფეროს წარმომადგენელთა კონფერენციაზე, ბილ კელერმა დაიწყო, რომ ბლოგერები, უბრალოდ, „ახალ ამბებს თავიდან ღეჭავენ“. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ დროს „ტაიმის“ ბევრად მეტ ყურადღებას აქცევს „გადამონუმების ჟურნალისტიკას“ (ეს მისი გამოთქმაა), ვიდრე უბრალოდ „რალიცის მტკიცებას“.

„ბლოგერები ახალ ამბებს არ ღეჭავენ. ისინი ახალ ამბებს ფეჭავენ“, – უეცრად იტყობს ვერ დამალა ერიენა ჰაფინგტონმა საკუთარ ბლოგზე. ბევრი ლიბერალი ბლოგერის მსგავსად, ის არ ეთანხმება ტრადიციის მიმდევარი ჟურნალისტების ვარაუდს, თითქოს სიმართლის გულისგულში ჩასაწვდომად ისინი ბლოგერებზე მეტს მუშაობენ. ერაყის ომის დროს მეინსტრიმული მედიის რეპორტაჟებში ბლოგერების მიერ აღმოჩენილმა ხარვეზებმა „ე.წ. მეინსტრიმული მედიისა და ბლოგისფეროს სანდოობის შედარების სრული აბსურდულობა აჩვენა, – ამბობს ის, – ერაყის ომის დაწყებისას მრავალმა მეინსტრიმულმა მედია-საშუალებამ, მათ შორის „ნიუ იორკ ტაიმსმა“, ეჭვიმუტანელი ჭეშმარიტების მლაღადებლის გარეგნული იერსახე დაკარგა ბევრი მკითხველისა და მაყურებლის თვალში. ჰოდა, ნათელი გახდა, რომ ახალი წყაროების ნდობაც შეიძლებოდა. ისინი ხომ ხშირად ტრადიციულ წყაროებზე უფრო სწრაფად ასწორებენ დამკვიდრებულ შეცდომებს“.

ჰაფინგტონი ყურადღებას არ ამახვილებს გაზეთების მიმართ იმ პარაზიტულ დამოკიდებულებაზე, რომელიც ფაქტობრივად ყველა საინფორმაციო ვებგვერდსა და

ბლოგის მიმომხილველს ახასიათებს. თუმცა „ჰაფინგტონ პოსტმა“ გასულ წელს მანც გადადგა ნაბიჯი პროფესიონალიზმისა და ტრადიციული რეპორტირების მიმართულებით, როცა პოლიტიკურ რედაქტორად „უოშინგტონ პოსტსა“ და არაერთ სხვა გაზეთში ნამუშევარი, 40 წლის გამოცდილი ჟურნალისტი ტომას ედსოლი აიყვანა. „ჰაფინგტონ პოსტში“ გადმოსვლისას ედსოლმა განაცხადა, რომ გრძნობდა, როგორ „ჩაითრია „უოშინგტონ პოსტი“ შიშის ტალღამ: შეეშინდა მკითხველების განდგომის, რეკლამის და მკვლევების დაკარგვის, შემოსავლების შემცირების, იმის, რომ ინტერნეტი წაღეკავდა, რომ სრულიად უსარგებლო გახდებოდა. ამ შიშმა გაზეთს ერთიანად დარია ხელი და ახალი ამბების მომზადების პროცესი თავდაყირა დააყენა“. ედსოლის თქმით, „ჰაფინგტონ პოსტში“ გადმოსვლა რაღაცით „ციხის კედლების დატოვებას“ ჰგავდა. მან ისიც აღიარა, რომ მას შემდეგ სრული თავისუფლების განცდით წერს. თუმცა ასეთი მაგალითები მეტად იშვიათია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰაფინგტონის მიერ „ტაიმის“ მისამართით გამოთქმულ მწარე-მწარე შენიშვნებს და „უოშინგტონ პოსტის“ ედსოლისეულ კრიტიკას გავიზიარებთ, შეუძლებელია, არ დავინტერესდეთ: რა დამართება არა მხოლოდ ახალ ამბებს, არამედ თავად დემოკრატიას იმ მსოფლიოში, სადაც აღარ დაგვეჭირდება გაზეთები, არც მათ მიერ წარმოუდგენლად დიდი რესურსების დახარჯვა და პროფესიული სიამაყის გამოვლენა იმის სათქმელად – თუნდაც არასრულყოფილი სახით – თუ რა უნდა ვიცოდეთ.

„სიმფსონების“ ახალ სერიაში დენ რეზერის ანიმაციურ ორეულს ხელში პანო უჭირავს, წარწერით: „რონ ლეჰარი, „უოშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი“. ბარტის დაუძინებელი მტერი, ნელსონი შეხედავს და ნამოიყვირებს: „ჰა, შენი მედიუმი კვდება! ნელსონ!“ – ბიჭს სკინერი გამოეკომაგება. „მართლა კვდება!“ – არ ჩერდება ნელსონი.

ის არ ცდება. გაზეთები მართლაც კვდება. ყველგან თვალნათლივ ჩანს, როგორ მცირდება მათი სიცოცხლისუნარიანობა, შემოსავლები, ხარისხი, სიღრმე, თანამშრომელთა რაოდენობა და გვერდების რიცხვი. რთული სათქმელია, რას გვიქადის მომავალში ეს ყველაფერი. სამი წლის წინ რუპერტ მერდოკმა გაზეთების რედაქტორები გააფრთხილა: „ბევრი ჩვენგანი საოცრად,

გამაოგნებლად თვითკმაყოფილი იყო... და იმ იმედით იკვებებოდა, რომ ის, რასაც ციფრულ რევოლუციას უწოდებენ ხოლმე, გვერდით ჩაუვლიდა“. დღეს თითქმის ყველა სერიოზული გაზეთი ცდილობს იმ ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებსაც ახალი ამბების ციფრული გზით გავრცელება სთავაზობს. მათ შორისაა: ინდივიდუალური ბლოგები, ვიდეო რეპორტაჟები და მკითხველების დიალოგის შესაძლებლობა. ზოგიერთი გაზეთი, „ტაიმისსა“ და „პოსტის“ მსგავსად, ალბათ მანც გაუძლებს ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას და სხვა ფორმას მიიღებს. ისინი თანამშრომლების რაოდენობას შეამცირებენ, ონლაინ ვერსიების სიღრმესა და მოცულობას გაზრდიან. სხვები ეცდებიან, რომ ლოკალური მნიშვნელობა შეიძინონ. დღეს გაზეთების რედაქტორები აღიარებენ, რომ „მაგრად მოხვდათ“. მიუხედავად ამისა, ტრადიციის მიმდევარ ჟურნალისტებს მანც აბრმავეთ იმ სტატუსზე ემოციური მიჯაჭვულობა, რომელიც ლიპმანმა მოუგონათ: ექსკლუზიური ინფორმაციის მფლობელი. ისინი არა მხოლოდ ბლოგისფეროდან წამოსულ კრიტიკას არ იღებენ, არამედ არც იმ დემოკრატიულ ვნებათაღელვას იზიარებენ, რომელიც ამ კრიტიკას შობს. ახლახან „ჩიკაგო ტრიბიუნი“ იძულებული გახდა, ყველა პოლიტიკური სტატიის კომენტარების განყოფილება დაეხურა საკუთარ ვებგვერდზე. მისი რედაქტორი ტიმოთი ჯ. მაკნალთი არცთუ უსაფუძვლოდ ჩიოდა, რომ „იქაურობა ბილნსიტყვობის ასპარეზად იქცა“.

თავის მხრივ, ერიენა ჰაფინგტონს სჯერა, რომ ონლაინ-გაზეთები და ბექდური მედია ერთმანეთს სულ უფრო უახლოვდება: „რადგან რეკლამიდან ვებგვერდების მიმართულებით დოლარების ნაკადი მოდის – მართალია, ნელა, მაგრამ შეუქცევად – „ჰაფინგტონ პოსტი“ მეტ რეპორტაჟს მოამზადებს, „ნიუ იორკ ტაიმსი“, „უოშინგტონ პოსტი“ და მათნაირი გაზეთები კი ისევ ტრადიციულ რეპორტაჟებს შემოგვთავაზებენ, მაგრამ მათ დიდ ნაწილს ვებგვერდებზე მოამზადებენ“. ის წინასწარმეტყველებს კიდევ: „მომავალში კიდევ უფრო მძაფრი რეპორტაჟები იქნება, რაც ჟურნალისტების ერთობლივ მუშაობასა და საქმის გადანაწილებას მოითხოვს – ისეთი ჭკვიანურად მომზადებული რეპორტაჟები, როგორმაც გენერალურ პროკურორთან დაკავშირებული სკანდალი ააგორა“. მას არ აღეგულებს ის,

რაც ამ დროს შეიძლება დაიკარგოს: „დღეს რეპორტაჟების უმრავლესობა ტრადიციული ერუდიციის ხარჯზე მზადდება, მნიშვნელოვანი ამბები კი „ნიუ იორკ ტაიმის“ წინა გვერდზე ლაფავს სულს“.

დიდ გაზეთებს შორის ისინი გადარჩებიან, რომლებსაც არაკომერციული სექტორი დაეხმარება. ლიბერალი მილიონერების, ჰერბ და მერიონ სენდლერების მიერ დაფუძნებული ProPublica, რომლის სათავეშიც „უოლ სტრიტ ჯერნელის“ ყოფილი აღმასრულებელი რედაქტორი პოლ სტიეგერი დგას, იმედოვნებს, რომ მენისტრიმულ მედიას იმგვარი ჟურნალისტური გამოძიებებით მოამარაგებს, როგორც ბევრმა გამოცემამ თქვა უარი. „უაიედს“ (Wired) ყოფილი ავტორის, დევიდ ბენეჰამის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი მედიის ცენტრმა“ ახლახან „უოშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი ჯეფერსონ მორლი და „ლოს ენჯილიზ ტაიმისა“ და „ნიუ იორკ ტაიმის“ ყოფილი რედაქტორი ელისონ სილვერი აიყვანა საკუთარი ვებგვერდის „უოშინგტონ ინდიპენდენტის“ მოსამზადებლად. იგი იმ საინფორმაციო ბლოგების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა მიზანიც ადგილობრივი თუ ვაშინგტონის გაზეთების შემცირებული ჟურნალისტური კორპუსის მუშაობისას გაჩენილი ხარვეზების ამოვსებაა. მათ იმედი აქვთ, რომ ინფორმაციებს ყველგან გაავრცელებენ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება იმაზე, რომ ფილანთროპიის გზით შეივსოს ჟურნალისტების შემცირებით გამოწვეული ყველა ხარვეზი.

ასე რომ, სადაცაა, იმ დანაწევრებულ, ქაოსურ საინფორმაციო სივრცეში ამოვყოფთ თავს, რომელსაც უფრო მეტი საუბრები და ხარისხიანი ჟურნალისტიკის შედარებით დაბალი დონე ახასიათებს. გაზეთების ტრანსფორმაცია ინფორმაციის ობიექტურად მომწოდებელი ორგანიზაციებიდან იმ ჯგუფების ერთობლიობად, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ინფორმაციები აინტერესებთ (ამასთანავე, თითოეულ მათგანს თავისი „სიმართლებები“ აქვს, რომლების ირგვლივაც დებატებსა და დისკუსიებს მართავს), უდავოდ ერთიანი ეროვნული ნარატივის დაკარგვაზე მიგვანიშნებს. იკარგება ერთგვარად შეთანხმებული „ფაქტების“ მთლიანობაც, რის მიხედვითაც პოლიტიკა უნდა აგვეგო. ინფორმაცია ან „წითელია“, ან „ციხფერი“. ეს კი სულაც არ არის ახალი. სანამ ადოლფ ოქსი 1896 წელს „ნიუ იორკ ტაიმსს“ ჩაუდ-

გებოდა სათავეში და საზოგადოებას ცნობილი დეკლარაციით მიმართავდა, ამერიკა სავსე იყო სამარცხვინოდ მიკერძოებული გაზეთებით. დიდი ხნის წინ ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც ჟურნალისტური კულტურა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ნარატივების დაპირისპირებას გულისხმობდა, თითოეული გაზეთი ამა თუ იმ პარტიის თვალსაზრისს გამოხატავდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დღეს ამ ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლა იმ დონეს აღწევს, რომლის ფონზეც ამერიკული დაპირისპირება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება.

ეს ტრანსფორმაცია სერიოზულ დანაკარგს გამოიწვევს. „ტაიმის“ რედაქტორის, ბილ კელერის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სისწრაფესა და მკითხველების ჩართულობაზე ორიენტირებული ვებგვერდის ფორმატში ველარ გამეორდება ბედნიერი შემთხვევები“, რომელთა წყალობითაც, გაზეთებმა ამერიკის მნიშვნელობა განუმარტეს მის მოქალაქეებს (სხვაობა ვებგვერდებსა და გაზეთებს შორის მას „საათსა და კალენდარს შორის არსებულ განსხვავებას“ აგონებს). 11 თებერვლის დილით (ეს დღე შემთხვევით შევარჩიე) სახლის ზღურბლთან მივედი და „ნიუ იორკ ტაიმსი“ ავიღე. იმ ამბებთან ერთად, რომელთა შესახებაც ყველგან წაიკითხავდით (ობამა კიდევ ერთხელ ამარცხებს კლინტონს, ბუშის ადმინისტრაცია ექვსი გუანტანამოელი პატიმრის სიკვდილით დასჯას ითხოვს) პირველი გვერდი სტატიების უნიკალურ კომბინაციას მთავაზობდა. ასეთი ამბები შეიძლება სულაც გაქრეს ჩვენი კოლექტიური ცნობიერებიდან, თუ აღარ იქნება ინსტიტუცია, რომელიც მათ მოამზადებს და გამოაქვეყნებს. იმ დილით კი მათ შორის იყო: ჯეფრი ჯეთლმანის მიერ ნაირობიში მომზადებული რეპორტაჟი იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეთნიკური დაპირისპირებები და ძალადობის შემთხვევები კენიის მოსახლეობის საშუალო ფენაზე; თამარ ლევისის შეტყობინება დოჰადან, კატარში ამერიკული უნივერსიტეტების კამპუსების მატების თაობაზე; „ჰაფინგტონ პოსტის“ პოლიტიკის გვერდზე გამოქვეყნებული სენსაცია, რომელმაც იმ დღეს მთელი ბლოგოსფერო ააფორიაქა: მაიკლ გორდონის სტატია არაკომერციული კვლევითი ცენტრის RAND-ის მიერ მომზადებული კვლევის შესახებ, რომელშიც მძაფრად იყო გაკრიტიკებული ბუშის ადმინისტრაციის ქმედებები ერაყში. ამგვარად თავმოყრილი

განსხვავებული თემები არა მხოლოდ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს გაზეთის მკითხველებისთვის, არამედ იმ სამყაროს სურათსაც უხატავს მათ, რომელშიც ცხოვრობენ. ნაციონალიზმის ფესვების შესახებ დაწერილ უმნიშვნელოვანეს წიგნში „წარმოსახვითი ერთობები“ (1983) პოლიტოლოგი ბენიდიქტ ანდერსონი ჰეგელის შედარებას იხსენებს, თუ როგორ ჰგავს დილის გაზეთის კითხვის რიტუალი დილის ლოცვას: „ერთობის თითოეულმა წევრმა იცის, რომ მის მიერ შესრულებულ ცერემონიას იმავედროულად ათასობით (ან მილიონობით) სხვა იმეორებს, რომელთა არსებობაშიც მას ეჭვი არ ეპარება, თუმცა კი მათი ვინაობის შესახებ უმცირესი წარმოდგენაც არ აქვს“. ანდერსონი წერს, რომ ნაწილობრივ ყოველდღიური გაზეთების მიერ უზრუნველყოფილი ეს „წარმოსახვითი ერთობაც“ განაპირობებს ერების კავშირს.

და ბოლოს, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რა დემარტებათ იმ ადამიანებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც ჟურნალისტური ინიციატივები იცავს წამების, შევიწროებისა და უსამართლობის სხვადასხვა გამოვლინებისგან. „ადამიანები ათას საშინელებას უკეთებენ ერთმანეთს. იქ კი, სადაც ყველა წყვილად იმყოფება, ბევრად უარესი ამბები ხდება“, – ამბობს ომის ვეტერანი, ფოტოგრაფი ჯორჯ გასრი 1978 წელს უცხოეთის კორესპონდენტების შესახებ დაწერილ ტომ სტოპარდის პიესაში. მას შემდეგ, რაც ჯეიმს ფრანკლინის „ნიუ ინგლენდ კურანტმა“ პირველი წარმატება მოიპოვა, ყოველდღიური გაზეთი ნებისმიერ სხვა საშუალებაზე მეტად უზრუნველყოფდა მთელ ერს იმ ინფორმაციით, რომელიც მას იმისთვის სჭირდებოდა, რომ „წყვილად იმყოფილიყო. როგორ გაავრცელებს ინტერნეტზე ორიენტირებული საინფორმაციო კულტურა იმგვარ „სინათლეს“, რაც ხალხის საშინელებებისგან დასაცავდა საჭირო, მით უფრო რეპორტიორებისა და ფოტოგრაფებისგან შემდგარი ტრადიციული ჯარის გარეშე? – ეს ის შეკითხვაა, რომლის პასუხიც ჯონ დიუის სტილის ყველაზე გულმზურვალ დემოკრატსაც კი თავზარს დასცემდა.

* mullet – საფეთქლებსა და თხემზე აჭრილი თმა, რომლის ქვედა ნაწილიც გრძელია და ადამიანს მხრებამდე სწვდება.



კონფორმიზმი და წინააღმდეგობა

<<< ლასაწყისი გვ. 58

ამ მწერალთა ნაწილი ირონიულ, ენობრივ-ინტელექტუალური თამაშებით აღსავსე პროზას ქმნის, რომელსაც ზოგიერთი კრიტიკოსი, მეტი მოხერხებულობისთვის, პოსტმოდერნულსაც უწოდებს. თუმცა მათ შორის ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავეთ აღწერენ ბოლოდროინდელ მოვლენებს. უკანასკნელ წლებში სრულიად ახალი გზების ძიებაში ჩართული თანამედროვე კლასიკოსი გურამ დოჩანაშვილიც, ხშირად იბეჭდება რეზო ჭეიშვილი, ასევე გურამ გეგეშიძე და ვაჟა გიგაშვილი. გასულ წელს გარდაიცვალა ნუგზარ შატაიძე, ვისი პროზაც, ერთი მხრივ, ქართულ ტრადიციულ კულტურას უტრიალებდა, მეორე მხრივ კი, ძალზე ზუსტად ხატავდა თანამედროვე ურბანულ სამყაროს.

განსაკუთრებული თემა ქალი მწერლები, რომელთაგანაც ნაირა გელაშვილს, მაკა მიქელაძეს, ანა კორძაიასამადაშვილსა და თამარი ფხაკაძეს გამოვარჩევდი. 2009 წლის ბოლოს გამოსული ნაირა გელაშვილის რომანი „პირველი ორი წრე...“ ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელი ოცნლეულის ყველაზე ამბიციურ ჩანაფიქრად. ეს უცნაური ფორმით დანე-

რილი 800-გვერდიანი რომანი „მთარგმნელობითი კოლეჯის“ ბედის ფონზე აღწერს ჩემ მიერ ზემოთ დასახელებულ ფსევდო-გზაჯვარედინების პერიოდის საქართველოს.

ყველა ზემოჩამოთვლილი მწერალი ძალზე მცირე ტირაჟით ვრცელდება ქართულ ბაზარზე. მათგან ყველაზე კარგად აკა მორჩილადის რომანები იყიდება (იგი ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელიც ყოველ წელს გამოსცემს წიგნს, ზოგჯერ რამდენიმესაც). ყველა ბოლოდროინდელი რეკორდი მოხსნა დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობამ“, წიგნმა, რომელიც 1983 წელს, ქართველი ახალგაზრდების მიერ თვითმფრინავის გატაცების საქმეს ეძღვნება.

ინფანტილიზმი და კონფორმიზმი

საქართველოში კარგად მხოლოდ საბავშვო წიგნები იყიდება და ბევრს იგი დანარჩენი ლიტერატურის ლამის ერთადერთ ხსნად მიაჩნია. ყოველ შემთხვევაში, თუკი გამომცემლებს ვენდობით, ერთი შემოსავლიანი მიმართულება მეორე, არაშემოსავლიან მიმართულებაში ფულის ჩადების საშუალებას იძლევა. საშუალებას კი იძლევა, მაგრამ ყოველთვის ასე იქცევიან გამომცემლები? რა თქმა უნდა

არა. გადაშლი რომელიმე არაშემოსავლიანი ავტორიელი ავტორის ცუდ ქართულ თარგმანს, ანდა კარგ საენათმეცნიერო გამოკვლევას და აღმოაჩენ, რომ წიგნი ან უცხოურმა ფონდმა დააფინანსა, ან ავტორის მეგობარმა, რომელიც სადმე უცხოეთში მოღვაწეობს და მეგობარს არ ივინყებს.

საბავშვო ლიტერატურა მომგებიანი საქმეა, იგი წიგნების მოზრდილი ტირაჟებით დაბეჭდვის საშუალებას იძლევა, თანაც ამ წიგნებს ბეჭდავენ სადმე თურქეთში, ან უნგრეთში, სადაც მაღალპოლიგრაფიული გამოცემა ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ქართულ სტამბებში ასეთივე ხარისხის წიგნის დაბეჭდვა.

საბავშვო ლიტერატურაზე გამახსენდა და ცალკე უნდა აღინიშნოს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ინფანტილური ბუნებაც. მწერლების ბანალურ-ინფანტილურ კონფორმიზმზე აქ არაფერს ვიტყვი, ავტორები ამჯერად არ მაინტერესებს, არამედ ის რაღაცაა, რაც თავისდაუნებურად ძალაუფლებას უმყარებს საფუძველს, ძალაუფლებას, რომელიც სხვადასხვა ნიღბის მიღმა იმალება, და ერთ-ერთი ასეთი ნიღბი, სამწუხაროდ, საბავშვო, ანუ ბავშვური ლიტერატურაცაა. დღეს მთელი ქართული ლიტერატურა, არსებითად, ინფანტილობაშია ჩაფლული, იგი საბავშვოა იმ გაგებით, რომ მისი წაკითხვა მხოლოდ ყურადღებას თუ გადაგატანინებს (საბავშვო ლიტერატურაც ხომ ესაა, მთავარია მოსმენის ან თვალიერების პროცესში ბავშვმა საჭირო რაოდენობის ლუკმა გადაყლაპოს, დროზე დაიძინოს, არ იცელქოს და ა.შ.), ამ ლიტერატურის კითხვას მხოლოდ მოდუნება მოსდევს, ხშირად აპათია გეუფლება ხოლმე, უფრო იშვიათად კი გასართობად თუ გამოდგება. უახლეს ქართულ ლიტერატურაში იშვიათად ნახავთ ძლიერ, ამბოხებულ, ჭკვიანურ, მახვილგონივრულ, გესლიან ტექსტებს და ძველი თუ ახალი თაობის ქართველი ფსევდო-ბიტნიკები სამწუხაროდ საქმეს ვერ შევლიან, ისევე როგორც უცხოურ სამწერლო პიარ ტექნოლოგიებს აყოლილი და მშობლიურ წიაღში ენასთან ხან წარმატებით და ხან წარუმატებლად მოთამაშე სკანდა-

ბაბრქალა

ლისტი პერმეტივები, რომ არაფერი ვთქვათ ენაში და ამბებში ჩაღრმავებულ ნაყოფიერ ოსტატებზე და ხუმარა რომანისტებზე.

მწერლები მწერლების შესახებ

ასევე ძალზე მტკივნეული თემაა კრიტიკა და ლიტერატურული პროცესების შეფასება. აქ საქმე მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტების, ესეისტებისა და რეცენზენტების დეფიციტში არაა, არამედ თავად მწერლების სიზარმაცეში. ახლანდელი ქართველი მწერლებიდან მხოლოდ სამი-ოთხის დასახელება შემიძლია, ვინც ბევრს წერს ან საუბრობს თანამედროვე კოლეგებზე. ბოლო ათწლეულების მანძილზე თანამედროვე კლასიკოსების, ცნობილი ან თუნდაც ახალგაზრდა მწერლების ინტერვიუები რომ ნახოთ, თავად დარწმუნდებით, რომ მათ ყოველთვის ძალიან უჭირთ გვარების დასახელება. ჯერ ერთი არ იცნობენ კოლეგების ნაწერს და თუკი იცნობენ, სიტყვა არ ემეტებათ მათთვის. ანდა პირიქით, ასახელებენ მხოლოდ თავიანთ მეგობრებს, მათ „ქაჩავენ“.

მახსოვს რამდენიმე წლის წინ გამოშვალ ერთ ლიტერატურულ გაზეთში, სადაც ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ინტერვიუები, კითხვაზე, ვის გამოყოფდით თანამედროვე მწერლებიდან, სულ ერთი და იგივე ავტორებს ასახელებდნენ და ასე გრძელდებოდა გამუდმებით. განსაკუთრებული პრობლემა ექმნებათ თანამედროვე კლასიკოსებს. თავის დროზე ერთი კორესპონდენტი სამჯერ, სამი სხვადასხვა კითხვით შეეცადა დაეცდინებინა სახელოვანი მწერლისთვის თუნდაც ერთი სახელი უმცროსი თაობიდან, და მანაც ვერაფერს გახდა. იცოდა, მაგრამ არ თქვა, ნაკითხულიც ჰქონდა ზოგიერთი მათგანი, მაგრამ ვერ ათქმევინეს.

უკვე რამდენიმე წელია ვოცნებობ, რომ საქართველოში რეცენზირების, მიმოხილვისა თუ კრიტიკის სხვა, უფრო თანამედროვე წესები დამკვიდრდეს, სადაც ვერავინ წინასწარ ვერ განჭვრეტს, თუ რას დაწერს ერთი ავტორი მეორეზე. რა თქმა უნდა, ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ

ავტორის ნება არ არსებობს, დაწეროს მეორე ავტორზე. არ იქნებოდა ურიგო, რომ მწერლები ერთი მხრივ წიგნის გაყიდვაში დაეხმარონ კოლეგებს, მეორე მხრივ კი, მკითხველს ახალი და საინტერესო წიგნი აპოვნინონ. სწორედ ასეა შესაძლებელი, რომ ლიტერატურა არ დარჩეს ისტორიის, საზოგადოების, პროტესტის ან თუნდაც, ანეკდოტებისა და ხუმრობების მიღმა. არ უნდა დაგვაკინცდეს, რომ ლიტერატურა ზოგიერთისთვის ბიზნესიცაა, თუმცა მეორე მხრივ ლიტერატურა ყოველთვის უარს ამბობს „რაციონალურ დისკურსზე“, განონასწორებულობაზე, კონფორმისტულ კომფორტზე...

პროსისი, რომლის „გაბაასება“

ჩვენთან წლის ლიტერატურული პროდუქციის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეფასებას ერთადერთი ლიტერატურული პრემია, „საბა“ ახერხებს, თუმცა ხარვეზები აქაც შეინიშნება. ეს პირველ რიგში პრემიის საინფორმაციო უზრუნველყოფას შეეხება. ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამარჯვებულების, არამედ ე.წ. „მორთლისტებში“ მოხვედრილი ავტორების წინ წამოწევა, მათთან ინტერვიუები, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში დაიბეჭდება. კარგი იქნება, თუკი ყველა ამ ნაწარმოებზე დაინერება არა შიდა, არამედ პრესისთვის (შესაბამისად, ფართო მკითხველისთვის) განკუთვნილი რეცენზიები, გაიმართება მრგვალი მაგიდები, შედგება კითხვარები, რომელიც დაეგზავნებათ ლიტერატორებს და სხვ.

დარწმუნებული ვარ, ლიტერატურული პროცესი გაცილებით უფრო საინტერესო გახდება, თუკი ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული პრემიის ყველა ნომინანტს ჩაერთავთ საქმეში, ანუ თითო ნომინაციიდან ერთს კი არა, რამდენიმე ავტორს გავაცნობთ მკითხველს. ამით მედია ავტორსაც დაეხმარება, მკითხველსაც, გამომცემლობასაც და, შესაბამისად, გამოირიცხება ისეთი ნომინანტის „გაყვანაც“, რომელზეც არავის არაფერი აქვს სათქმელი. ეს იქნება გარანტი იმისა, რომ თანამედროვე ლიტერატურული პრემიები ციებ-ცხელების რეჟიმიდან

– შეფასებისა და დასკვნების რეჟიმში გადავიდეს.

თანამედროვე საქართველოში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ლიტერატურული პერიოდიკა, სადაც უახლესი ნაწარმოებები იბეჭდება, თუმცა სასურველი იქნებოდა ამ გამოცემებში მეტი ანალიზი, კრიტიკული შეფასებები, რეცენზიები და ინფორმაცია გვენახა. დღეს ძალიან მომრავლდა ლიტერატურული პორტალები, ფორუმები თუ ბლოგებიც, რომლებიც აუცილებლად იმსახურებენ ყურადღებას, მეორე მხრივ კი, გასათვალისწინებელია მათი შენიშვნებიც, რომლებსაც ისინი ბეჭდური გამოცემების მიმართ გამოთქვამენ ხოლმე. მეტი ყურადღება მისაქცევი თარგმნის ხარისხზეც, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს საქართველოში გაცილებით მეტი თარგმნილი წიგნი გამოდის, ვიდრე ორიგინალური ლიტერატურა, რაც გვაძლავს კიდევ უფრო ყურადღებებიანები ვიყოთ ამ გამოცემების მიმართ. ცალკე საკითხია ბეჭდური და სატელევიზიო მედია, მკითხველის მოპოვების ყველაზე მძლავრი იარაღი მთელს მსოფლიოში, რომელიც საქართველოში იმდენად სუსტია, რომ მისი წყალობით ლიტერატურა დღეს ყველაზე მოსაწყენ რამეებთან ასოცირდება.

ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებელია, რომ მედია და კრიტიკა შეეცადოს წესრიგი შეიტანოს თანამედროვე ლიტერატურულ ქაოსში. ამ მოწესრიგების მცდელობას შესაძლოა უარესი არეულობაც მოჰყვეს, რალაცის გარკვევასა და კლასიფიკაციას კი – ქაოსი და საყვედურები. და ეს კარგია, იმიტომ, რომ ერთადერთი, რასაც ლიტერატურა ვერ ეგუება, კლასიფიკაციაა, იგი მუდამ ატარებს თავის თავში წინააღმდეგობას და ცხადყოფისკენ გადადგმულ ყოველ ასეთ ნაბიჯს მყისვე მოჰყვება პასუხი ლიტერატურის, პოეზიის მხრიდან. ლიტერატურულ პროცესსაც სწორედ ეს შეჰპასუხება, ეს „გაბაასება“ ქმნის.



კოსტკომუნისტური მდგომარეობა კოსტკომუნის შვილები

<<< დასაწყისი გვ. 68

თვით პოლიტიკის იდეაც კი დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიას ეფუძნება. დემოკრატიის დარვინისტული თეორიის ავტორს, ტატუ ვანჰანენს იმისაც სჯერა, რომ დემოკრატია გაზომვადი კატეგორიაა. ჰოდა, მან ე.წ. დემოკრატიულობის ინდექსი შემოიღო, რომელიც გვიჩვენებს, თუ დემოკრატიული განვითარების რა ეტაპზე იმყოფება საზოგადოება. შესაბამისად, ამ ავტორმა დემოკრატიული საზოგადოებების კლასიფიკაციაც მოახდინა. კომუნის მარცხამდე ცოტა ხნით ადრე შედგენილ სიაში მან 61 ქვეყანა განსაზღვრა დემოკრატიულად, 5 – ნახევრად დემოკრატიულად და 81 – არადემოკრატიულად. ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებად ვანჰანენმა მხოლოდ ისინი აღიარა, რომლებმაც 5 ქულაზე მეტი დააგროვეს. ამ ნიშნულს ქვემოთ ავტორიტარული ქვეყნები განთავსდნენ. ორი პოლუსი: „ავტორიტარული მმართველობა“ და „ნამდვილი თავისუფლება“ (ანუ ლიბერალური დემოკრატია) ისტორიული განვითარების ხაზს გვიჩვენებს – ავტორიტარიზმიდან დემოკრატიამდე. გარდამავალი პერიოდი ტელეოლოგიურად განისაზღვრა, ანუ მოსალოდნელი შედეგის პერსპექტივას დაუკავშირდა. მთავარია, დემოკრატიულობის სკალას თავში მოექცე, ლიბერალური დემოკრატიის სისტემაში ნამდვილი თავისუფლების მდგომარეობას მიაღწიო. ამისათვის კი მხოლოდ ბუნების კანონს უნდა მიჰყვე.

ერთი მხრივ, ავტორიტარიზმი და მეორე მხრივ, თავისუფლება (ავტონომია) – ეს ორი პოლუსი ცრურწმენებისგან თავისუფალი, თანამედროვე განათლების იდეალსაც განსაზღვრავს: ავტორიტეტულ პირზე დამოკიდებული, უმნიშვნური ყმანვილის აღზრდა და თავისუფალი საზოგადოების დამოუკიდებელ,

მომნიშვნებულ ნევრად ჩამოყალიბება. ვანჰანენის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს დემოკრატიულობის ინდექსზე, კონკურენცია და პარტნიორობაა. მისი ფორმულა მარტივია: რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო მაღალია კონკურენციისა და პარტნიორობის დონე. ეს უკანასკნელი კი პოლიტიკური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, განსხვავებული ინტერესების, პოლიტიკური და იდეოლოგიური ალტერნატივების სიმრავლეს განაპირობებს. „პარტნიორობა“ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების ნებაყოფლობით ჩართვასა და პოლიტიკური გადანეყვტილებების მიღებას გულისხმობს. ჭეშმარიტად მომნიშვნეული დემოკრატია მომნიშვნეულ დემოკრატებს ითხოვს, რომლებსაც დამოუკიდებლად ფიქრი და მოქმედება შეუძლიათ.

ამ კონცეპტუალური დებულებების ფონზე, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდი საგანმანათლებლო პროცესად მოჩანს, რომლის იდეალსაც წარმოადგენს განათლება სიმნიშვნისა და პასუხისმგებლობისთვის. თუმცა ის ამ ძველი, განმანათლებლობისდროინდელი იდეის სრულიად საპირისპირო მხარესაც გვიჩვენებს.

განათლება უმნიშვნელოვნისა და უპასუხისმგებლობისთვის

როგორც ცნობილია, ანალოგია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებასა და ბავშვის აღზრდას (მის მიზანმიმართულ განათლებას) შორის განმანათლებლების გამოგონებაა. რასაკვირველია, განათლების მიღების პროცესი მხოლოდ გარდამავალი პერიოდი უმნიშვნელობიდან სიმნიშვნემდე, ან, როგორც 1784 წელს დაწერილ კანტის ცნობილი ესეს პირველ წინადადებაში ვკითხულობთ, „კაცის

მიერ საკუთარი ხელით თავსმოხვეული უმნიშვნელობის დატეხება“. ამ უკანასკნელს კი ის „სხვისი ხელით მართვის გარეშე, მხოლოდ საკუთარი აზროვნებით სარგებლის ნახვის უუნარობად“ განსაზღვრავს. რა აზრითაც უმნიშვნელობა „საკუთარი ხელით თავსმოხვეულია“, იმავე აზრით სიმნიშვნე საკუთარი ძალისხმევის შედეგად მიიღწევა. შეუძლებელია, ვინმეს ან რაიმეს მომნიშვნეულად მარტივად გამოცხადება, მოვლის, გაზრდის პროცესისთვის გვერდის ავლით – სულ ერთია, ბუნება იქნება, ღმერთი თუ რომელიმე მოძღვარი. ემანსიპაციის იდეაც თავდაპირველად სწორედ ამას გულისხმობდა: მამობრივი მზრუნველობისგან, მონური მდგომარეობიდან გათავისუფლებას. განმანათლებელთა მიერ მოგონილი, სიმნიშვნემდე გასავლელი გარდამავალი პერიოდის იდეას უფრო რეფლექსური აზრი აქვს, ის უფრო თვითემანსიპაციაა. რა თქმა უნდა, ეს გარდამავალი პერიოდი რევოლუციაში არ უნდა აგვერიოს. განმანათლებლობის კანტისტული კონცეფცია ისეთ ემანსიპაციას გულისხმობს, რომელიც რევოლუციური ნახტომით კი არ მიიღწევა, არამედ აზროვნების წესის შეცვლით, მუდმივი განვითარებით – მხოლოდ ასეა შესაძლებელი სუბიექტის იდენტობის შენარჩუნება, განმანათლებლობის სუბიექტად დარჩენა.

კანტის შემდეგ განმანათლებლობისდროინდელმა სიმნიშვნის იდეალმა და მასთან ერთად ემანსიპაციის, როგორც ისტორიის მსვლელობისას ხანგრძლივი პერიოდის აღქმამ, მნიშვნელობა თანდათან დაკარგა. მისი ადგილი ემანსიპაციის სხვა იდეამ დაიკავა. ამჯერად ის უსამართლოდ თავსმოხვეული უთანასწორობისგან გათავისუფლების აქტს აღნიშნავდა. მის მიზანს მომნიშვნეული ადამიანი კი აღარ წარმოადგენდა, არამედ ყოველგვარი უთანასწორობისგან თავისუფალი საზოგადოება. ამ მოძრაობის დროს „სიმნიშვნე“ ემანსიპაციის ემფატიკური მნიშვნელობა დაკარგა.

უცნაურია, მაგრამ აღნიშნული იდეით ხელახლა მხოლოდ 1945 წელს დაინტერესდნენ. რასაკვირველია, ეს გარდამავალი პერიოდი იყო: ფაშისტური დიქტატურა დემოკრატიული მმართველობით იცვლებოდა. მასების მტკივნეულმა ისტორიულმა გამოცდილებამ, რომელთა უდიდესი ნაწილი ბოლომდე ბრმად მიჰყვა ფიურერს და კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისევ მიმზიდველი გახადა დამოუკიდებელი, მომნიშვნეული, პასუხისმგებლობით გამოჩენილი კაცებისა და ქალების არსებობის იდეა. „სიმნიშვნე“ დე-

მოკრატის წინაპირობად აღიარეს. ხანგრძლივი ისტორიული განმორების შემდეგ „სიმნიფე“ და „ემანსიპაცია“ ერთმანეთს ისე შეხვედნენ, რამაც ომისშემდგომ ფილოსოფიურ აზრზეც მოახდინა ზეგავლენა. მაგალითად, ჰაბერმასი ემანსიპატორულ ცოდნა-ინტერესს სიმნიფით დაინტერესებას უკავშირებდა. ამავე დროს „სიმნიფის“ იდეა პედაგოგიკამაც აღმოაჩინა. ის განათლების მიზნად, ემანსიპატორული საგანმანათლებლო თეორიის მთავარ პრინციპად იქცა. პოსტფაშისტურ გარდამავალ პერიოდში სიმნიფით, პასუხისმგებლობით გამორჩეული მოქალაქეების იდეალი ახალი, დემოკრატიული საზოგადოების აშენებისას მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. რა გასაკვირია, რომ ეს იდეალი პოსტკომუნისტურმა გარდამავალმა პერიოდმაც შეინარჩუნა. საბოლოო ჯამში, ეს ახალი მდგომარეობა პოსტტოტალიტარულად მოიაზრება, რადგან ორივე ტოტალიტარული რეჟიმისგან – როგორც ფაშისტურისგან, ასევე კომუნისტურისგან – იდეოლოგიურად და ისტორიულად თავისუფლდება. ამგვარად ხდება წარსულში სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული ორი იდეოლოგიისა და პოლიტიკური მოძრაობის რეტროაქტიური გათანაბრება.

მომნიფებელი, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელი მოქალაქეების პოსტკომუნისტური იდეალი არასდროს ისე ნათლად არ გამოჩენილა, როგორც ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების“ მშენებლობისას. ეს უკანასკნელი ხომ დემოკრატიული ცხოვრების ამოსავალ ნერტილად, დემოკრატიული ღირებულებების, სამართლის, საჯარო პირთა თუ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველად მოიაზრება. ითვლება, რომ კომუნისტური მმართველობისგან გათავისუფლებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება ძალიან სუსტია. შეიძლება ვთქვათ, მას „პირზე რძეც კი არ შემობია“ – აი, რატომ უნდა აღიზარდოს, განათლდეს, განვითარდეს, ფეხი აიდგას. საოცარია, რომ არავის გაუჩნდა კითხვები: განა სამოქალაქო საზოგადოებებმა არ დაანგრის ძველი რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპაში? განა პოლონური „სოლიდარობა“ შეუვალი, მეტრძოლი და რადიკალური ცვლილებების მომხრე სამოქალაქო საზოგადოების პარადიგმულ ინსტიტუციას არ წარმოადგენდა? როგორ დასუსტდა ასე უცებ, თუ გუშინ კომუნისტების დამხობა შეეძლო? ვინ მოაცხო პირზე რძე პოლონელ მშრომლებს, იმ მამაც კაცებსა და ქალებს, რომლებმაც დემოკრატიული რევოლუცია

დაიწყეს, კონტრრევოლუციის სასტიკ რეპრესიებს გაუძლეს და დემოკრატიისთვის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებით დააგვირგვინეს? ვინ და რატომ ჩააცვა მათ ამის შემდეგ ფაჩურები, ყმანვილური სწეულების დიაგნოზი დაუდგინა, სკოლის გზას გაუყენა და გამოცდების ჩაბარება მოსთხოვა?

ეს გარდამავალი პერიოდის ცინიკოსმა იდეოლოგებმა, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სულისჩამდგმელებმა გააკეთეს, როგორც მათ ვუნოდებთ ხოლმე. და მინც, მათ ცინიზმში ლოგოკა ჩანდა, გაბატონებულია ლოგოკა. თუ „განათლება სიმნიფისა და პასუხისმგებლობისთვის“ სწორედ გაბატონებულია ინტერესს წარმოადგენს და ამდენად, იმ უსასრულო პროცესად იქცევა, რომლის დასრულებაც მხოლოდ განმანათლებელთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაშინ, როგორც რობერტ შპაენანი წერს, მოწოდება „სიმნიფისა და პასუხისმგებლობისკენ“ „მომნიფებულთა რიცხვს კი აღარ ზრდის, არამედ მათ რიგებს, ვინც ამერიდან უმნიფრად გამოცხადდებიან“. ასე რომ, ბავშვის მეტაფორა, რომელიც პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის ჟარგონისთვის ასეთი ტიპურია, სინამდვილეში, ახალი სახელისუფლებო ურთიერთობების სიმპტომად გვევლინება. ის ნათლად მიუთითებს რეპრესიულ შეზღუდვებზე, თუ „დემოკრატიული ცვლილების“ ნამდვილი სუბიექტის სწავლა-აღზრდის პროცესზე, ისევე, როგორც მის რეტროაქტიურ დესუბიექტივაციაზე. სწორედ ამას ამბობდა ადორნო, როცა რადიოში საუბრისას (თემა: „განათლება სიმნიფისა და პასუხისმგებლობისთვის“) აღნიშნავდა: „დღევანდელ მსოფლიოში მოწოდება სიმნიფისა და პასუხისმგებლობისკენ, შესაძლოა, ერთგვარ კამუფლაჟად იქცეს, რომელიც ხალხის სამუდამოდ უმნიფრად დატოვებას შენიღბავს“.

ვის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ეს ყველაფერი? ვინ უნდა გზავნიდეს ისტორიული ქარტეხილების პროტაგონისტებს სასწავლებლად და აღსაზრდელად? ვინ უნდა ართმევედეს მათ საკუთარ სტატუსს? ეს შეკითხვები ისეთივე ძველია, როგორც განმანათლებლობისდროინდელი სიმნიფის იდეა. ჰამანიც პირდაპირ კანტს გადასწვდა: „ვინ არის... საძაგელი მეურვე“? ის თავად კანტს, უფრო ზუსტად კი, განმანათლებლის კრებით სახეს მოიაზრებდა ამ მეურვედ. დღეს მასში დასავლელი დამკვირვებლები უნდა მოვიზროთ, რომლებმაც 1989-90 წლების რევოლუციებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ისინი აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული რევოლუციების პროტაგონისტების საგმირო საქმეებს ნამდვილად არ შეხვედრიან „ენტო-ზოაზმითა და პარტინიორობის სურვილით“, რომლითაც კანტის პასიური დამკვირვებლები საფრანგეთის რევოლუციას შეეგებნენ. პირიქით, კომუნისტების დამხობის შემდეგ მათ ერთგვარი ცინიკური „პარტინიორობა“ მოუწდათ, რაშიც მხოლოდ ძალაუფლების აღების, გაბატონების სურვილი იკითხება. ფეოდალური აბსოლუტიზმის აღსასრულის (1789 წ.) დამკვირვებლების მსგავსად, ამ ისტორიულ მოვლენაში მათ მართლაც „სრულყოფილებსკენ სწრაფვა“ ამოიცნეს, როგორც „მთელი კაცობრიობის ტენდენცია“. თუმცა ამ ხალხმა ჩათვალა, რომ ეს ტენდენცია მათ რეალობაში დიდი ხნის წინ განხორციელდა და, ჰეგელისებურად რომ ვთქვათ, ისტორიის მსვლელობისას მნიშვნელოვნად შესუსტდა კიდეც. „თქვენ უკეთესი სამყარო გნებავთ, უკეთესი სამყარო კი ჩვენ ვართ“, – ასე უპასუხეს დასავლელმა დამკვირვებლებმა აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარ დემოკრატიულ რევოლუციებს. ამ აზრით, ისინი სრულიად განსხვავდებიან მათგან, ვინც 1789 წელს უდიდესი ენთუზიაზმით შეეგებნენ პარიზის მოვლენებს. იმ დროს, როცა ამ უკანასკნელებმა სხვების რევოლუციურ სინამდვილეში საკუთარ ოცნებას მოჰკრეს თვალი, დღევანდელმა დამკვირვებლებმა სხვების რევოლუციურ ოცნებებში მხოლოდ საკუთარი სინამდვილე დაინახეს.

ამ განსხვავებამ შესაბამისი შედეგიც მოიტანა: მათ, ვინც თავისუფლებისთვის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებით დააგვირგვინა აღმოსავლეთ ევროპაში, თითქმის ერთ ღამეში ყველაფერი დაკარგეს. არა, ამაში შავი მაგია არ უნდა, ეს ჰეგემონიის ხელით აღსრულდა. სწორედ ჰეგემონიამ აქცია დასავლელი დამკვირვებლები ნამდვილ გამარჯვებულებად, რომლებმაც მხოლოდ კომუნისტური კი არ დაამარცხეს, არამედ რევოლუციის პროტაგონისტებიც. მოდი, თავად ჰეგემონიის მიერ ამ გამარჯვების აღიარება მოვისმინოთ:

„მართალია, გამარჯვებულთა ჯარს დამარცხებულთა ტერიტორია არ დაუკავებია, მაგრამ კონფლიქტის ბუნებიდან და მისი დასასრულიდან გამომდინარე, დამარცხებულებმა ლოგიკურად გაითავისეს გამარჯვებულთა ინსტიტუციები და რწმენა-წარმოდგენები. ეს ლოგიკური იყო, რადგან სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის დასავლურმა მეთოდებმა გამარჯვა და არა ჯარმა“.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ სიტყვების

ავტორი, მაიკლ მანდელბაუმი და მისი კოლეგა, პოლიტოლოგი ჯონ მიულერი არაორაზროვნად ლაპარაკობენ იმიტაციაზე, როგორც დემოკრატიისკენ მიმავალ საუკეთესო გზაზე.

ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს: დემოკრატიული რეგოლაციების პროტაგონისტებს მხოლოდ გამარჯვება კი არ წაართვეს და დამარცხებულებად აქციეს, ამავე დროს მათ აღზრდა-განათლებლასაც მიჰყვეს ხელი და დაუნესეს, ბრმად მიბადონ მეურვეებს რაღაც სულელური რწმენით, თითქოს სწორედ ასე ისწავლიან დამოუკიდებლობას. ამასი მხოლოდ ამ ახალი მმართველების ახირება კი არა, უპირველეს ყოვლისა, მათი მმართველობის ლოგიკა ჩანს.

განათლება გასულიწლებისთვის

ამდენად, ცნება – „კომუნისტების შვილები“ მეტაფორა არ არის. ის ერთგვარად დაქვემდებარებულ სუბიექტებს აღნიშნავს, ვისი მდგომარეობაც იმ ახლებურმა „ისტორიულმა აუცილებლობამ“ განაპირობა, რომელიც პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდს იწყებს და მის მსვლელობას მთლიანად განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, დემოკრატიის მშენებლობა არაფრიდან იწყება. შესაბამისად, 1989 წლის შემდეგ აღმოსავლეთი ევროპა ისტორიული ნაწარმებით მოფენილ ადგილს წარმოადგენს, სადაც მხოლოდ ბავშვები, უმნიშვარი ადამიანები ცხოვრობენ. მათ არ შეუძლიათ დემოკრატიის პრინციპებით ცხოვრება სხვისი მეურვეობის გარეშე. ისინი საკუთარ თავს არც ამ პროცესის სუბიექტებად აღიქვამენ, არც ავტორებად, თუმცა დემოკრატია სრულიად მარტოებმა ბრძოლით მოიპოვეს. პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში მათ ის წაართვეს, რათა თავიდან შეეთავაზებინათ, როგორც უცხო რამ, რის მოსაპოვებლადაც ხანგრძლივი, რთული და დამღლევი გზის გავლა მოუხდებოდათ. პოსტკომუნისტურ უცნაურ სამყაროში დემოკრატია ერთდროულად მიზანიც არის, რომელსაც უნდა მიაღწიო, და რაღაც, რაც დაიკარგა. ამგვარად, „კომუნისტების შვილები-სთვის“ უკეთესი მომავლის პერსპექტივა მხოლოდ მელანქოლიურ ჭრილში ჩანს. გასაკვირი არ არის, რომ მათი პოსტკომუნისტური ანმყო ასე ძალიან ჰგავს მათსავე კომუნისტურ წარსულს. ამ ხალხს თავისუფალი არჩევანი არა აქვს. „კომუნისტების შვილები“ იმად რჩებიან, ვინც იყვნენ: უბრალო მარიონეტებად ისტორიულ პროცესში, რომელიც მათი ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად მიმ-

დინარეობს და თითოეულ მათგანს უკეთესი მომავლისკენ მიათრევს. ჰოდა, ისინი კარგად იცნობენ სოციალური ცხოვრების იმ უცნაურ ფორმას, რომელსაც „გარდამავალ პერიოდს“ ვუწოდებთ. როგორც ცნობილია, ე.წ. რეალურად არსებული სოციალიზმი, იდეოლოგიური დებულებების მიხედვით, მხოლოდ ერთგვარი გარდამავალი ფორმაცია იყო კაპიტალიზმიდან კომუნისტურად და სხვა არაფერი. ასე რომ, გარდამავალი პერიოდის ერთი ფორმა მეორემ შეცვალა. ისტორიული განვითარების აუცილებლობისა და გარდაუვლობის რწმენაც გარდამავალი პერიოდის მუდმივ მახასიათებლად ბოლომდე შენარჩუნდა.

აქედან გამომდინარე, პოსტკომუნისტურ ეპოქაში მომავალი უკვე გარკვეულია, წარსულს კი ყოველგვარი აზრი დაჰკარგვია. კომუნისტების შვილებისგან არავინ ელის კომუნისტური წარსულის კრიტიკულად გააზრებას. აი, ზუსტად ამიტომ აქციეს ისინი ბავშვებად: წარსული რომ არ გაეხსენებინათ. ბავშვებს ხომ ის საერთოდ არ აქვთ. პარადოქსია: მხოლოდ პოსტკომუნისტურ პერიოდში გრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს კომუნისტური არსადროს არსებობდა. უკვე 1991 წელს საუბრობდა ჟან-ლუკ ნანსი იმ გაღიზიანებაზე, რომელსაც „კომუნისტების დასარღის“ შესახებ გაუთავებელი ლაქლაქი იწვევდა. ის აზრი, რომ ისტორია საბოლოოდ დასრულდა მარქსიზმსა და კომუნისტთან ერთად, მას სასაცილოდ არ ჰყოფინდა:

„თითქოს ისტორია, ჩვენი ისტორია, რაღაც წარმოსახვითი, გამჭვირვალე, ფაფუკი სუბსტანცია იყოს, რომელიც ასორმოცდაათი წლის მანძილზე ღრუბლებში დაგვალღვივებდა, ერთ დღეს კი ეს ღრუბლები გაიფანტა. თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ შეცდომა, ნამდვილი, სულელური შეცდომა ამგვარად გამოსწორდეს და აღმოიფხვრას. თითქოს ათასობით ე.წ. „ინტელექტუალი“, უბრალოდ, გაბრიყვდა, მილიონობით ადამიანი კი კიდევ უფრო ბრიყვი აღმოჩნდა, როცა მათი ბოდა დაიჯერა“.

ნანსის გაღიზიანებასა და შეშფოთებას იწვევს არა იმდენად კომუნისტების, როგორც ისტორიული ფაქტის მიჩქმალვა, პოსტკომუნისტური წარსულის ნაშლა მთელი თანმხლები ინტელექტუალურ-პოლიტიკური მახასიათებლებით, არამედ ის უნაპირო უმეცრება, რომლითაც პოსტკომუნისტური სამყარო უარს აცხადებს წარსულის გააზრებაზე. ის არ სვამს შეკითხვას: „რატომ მოხდა

ეს ყველაფერი?“ ნანსი ამაში პოსტკომუნისტური პერიოდის ჭეშმარიტ, თითქმის ეპოქალურ სიბრყველს ხედავს.

რა თქმა უნდა, ბავშვები სულელები არ არიან. მიუხედავად ამისა, მანაც შესაძლებელია მათი გასულელება, უფრო ზუსტად – განათლების გზით გასულელება. ასი წლის წინ ფროიდი წერდა, – სწავლა-აღზრდის მეშვეობით, კულტურა აზროვნების კომპლექსებს უნერგავს მოსწავლეებს, რათა ისინი უფრო მორჩილები და დამყოლები გახადოსო. ის ამგვარი შეზღუდვის სამ ტიპს გამოყოფდა: ავტორიტარულს, სექსუალურსა და რელიგიურს, რომლებსაც „განათლების სამი პროდუქტი“ შეესაბამებოდა: მორჩილი, სექსუალურად განუვითარებელი, რელიგიური ადამიანები. ინტელექტუალური ატროფიის ამ ფორმებს ფროიდი ქალებისა და კაცებისთვის ბავშვობაში თავსმოხვეული აკრძალვების შედეგებად განიხილავდა. მათ ხომ იმაზე ფიქრსაც უკრძალავდნენ, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდათ. ფროიდის დროს განათლების ყველაზე თვალსაჩინო ამოცანას სექსუალობის დათრგუნვა წარმოადგენდა. როგორც კი კომპლექსი წარმატებით ჩაინერგებოდა სექსუალობის სფეროში, ის სხვა მიმართულებებითაც ვრცელდებოდა და ამგვარად, პროცესების უმთავრესი მახასიათებელი ხდებოდა.

რა როლსაც იმ დროს სექსუალობა ასრულებდა, პოსტკომუნისტური სამყაროში პოლიტიკა ასრულებს. მასწავლებლები ყოველმხრივ ეხმარებიან კომუნისტების შვილებს სექსუალური თავისუფლების მიღწევაში, დათრგუნული სექსუალური იდენტობების ხმამაღლა გაცხადებასა და საყოველთაოდ წარმოჩენაში, საკუთარი მნიშვნელობის შეცნობაში, დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მოაზროვნე, თავისუფალ ნებრებად ჩამოყალიბებაში (ტოტალიტარული სახელმწიფოს მორჩილი ადამიანების ნაცვლად). მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ მათ გათავისუფლებულ ინტელექტს არაფერი ესაქმება პოლიტიკაში. თითქოს რა უნდა იყოს საკვირველი: ყველა პოლიტიკურ შეკითხვას ხომ სწორი პასუხი დიდი ხნის წინ გაეცა. განა მხოლოდ იმაზე არ უნდა ვფიქრობდეთ, როგორ დავენერგოთ ეს ყველაფერი, როგორ მოვერგოთ წინასწარ განსაზღვრული მოდელებს და როგორ განუხრელად მივყვეთ მეურვეთა ბრძნულ რჩევა-დარიგებებს? ჩანს, რომ განმანათლებლობისდროინდელი დიალექტიკა პოსტკომუნისტურმა სამყარომაც კარგად

მოირგო, ამჯერად – პოლიტიკური კუთხით. განათლება, რომლის მიზანიც საზოგადოების სიმნიფისა და პასუხისმგებლობის ზრდა უნდა ყოფილიყო და რომელსაც ახალი ხელისუფლებისთვის სამსახური უნდა გაენია, გადაიქცა განათლებად, რომელმაც მიზნად ხალხის პოლიტიკური გასულელება დაისახა. ეს თავდაყირა აყენებს კანტის იდეალს, რადგან ზუსტად იმ ადამიანებს ეყრდნობა, ვისაც საკუთარი ინტელექტი არაფრად არგია და მუდამ სხვისგან კარნახს ელის. ამგვარად, სიბრიყვე, რომელსაც ნანსი პოსტკომუნისტურ ეპოქას მიაწერს, სინამდვილეში იმ კომპლექსის შედეგია, რომელიც პოსტკომუნისტურ პოლიტიკურ აზრში ხელოვნურად ჩანერგეს. სწორედ პოლიტიკური კუთხით დაიწყო პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხალხის აღზრდა-განათლება, ადამიანები – ბავშვებად და საბოლოოდ, პოლიტიკურ ბრიყვეებად აქციეს.

ამის გააზრებამ კი არ უნდა დაგვაზაროს, პირიქით, სიმნიფის მიღწევაში უნდა შეგვიწყოს ხელი. „ბავშვი“, როგორც წამყვანი პოლიტიკური ფიგურა პოსტკომუნისტური ეპოქაში, მხოლოდ ახალი ჰეგემონის უბრალო ინსტრუმენტი არ გახლავთ. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ახალი სოციალური რეალობის წარმოსადგენად, რომელიც პოსტკომუნისტურ სამყაროს საბოლოო ფორმას აძლევს. როგორც გარდამავალი პერიოდის საზოგადოების ერთგვარი ბიოპოლიტიკური აბსტრაქცია, ის იმ სუბიექტის როლს ასრულებს, რომელიც თავისუფალია კომუნისტური კრიმინალური წარსულისგან და ახალ სოციალურ ურთიერთობებს (მათ შორის, სხვის ბატონობას) მორალურად სუფთა ეგებება. გარდა ამისა, როგორც „ბავშვს“, მას არც პოსტკომუნისტური დანაშაულების მიმართ აკისრია რაიმე პასუხისმგებლობა. ის პასუხს არ აგებს იმ კრიმინალური პრივატიზაციისთვის, რომლის დროსაც თითქმის ერთ ღამეში ეროვნული სიმდიდრე რამდენიმე ადამიანს ჩაუვარდა ხელში; მასების ხელახალი გაღატაკებისთვის, მთელი თავისი სოციალური და ინდივიდუალური შედეგებით; იმ ისტორიული რეგრესისთვის, რომელმაც ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა ეკონომიკურად, კულტურულად და მორალურად იმაზე ბევრად უკან დასწია, ვიდრე კომუნისტების დროს იყო; და ბოლოს, ყველანაირი ნაციონალიზმისთვის, რასიზმისთვის, ფაშიზმისთვის, სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომებისთვის და გენოციდებისთვისაც კი. დღეს ეს ყველაფერი გარდაუვალ საყმანვილო

სახადად გვიჩვენება, ან უხეშად რომ ვთქვათ, ახლად დაბადებული ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების ჩასვრის საფენებში გახვეულ უსიამოვნო, თუმცა კი სრულიად ჩვეულებრივი განავლის მასად.

ბახსოვლემ: პროტესტი და წინააღმდეგობა

პოსტკომუნისტური დროს „ბავშვი“ საზოგადოების ერთგვარი „გრაუნდ ზეროა“, რომლითაც ყოველგვარი კატასტროფის გადაფარვა შეიძლება: როგორც წარსულისგან მემკვიდრეობით მიღებულის, ასევე ახლის, ახლად წარმოქმნილის. ის პირველქმნილი სოციალური უმანკობის ნიშნებია, რომლის ნყალობითაც შესაძლებელი ხდება ნებისმიერი რამის (მათ შორის, „დაუშვებლის, შეუწყნარებლის“ (ნანსი)) ჩართვა ახალ ჰეროიკულ რობინზონადაში. უმანკო პირველი ნაბიჯების შესახებ საყოველთაოდ მიღებულ ნარატივსაც თავიდან ვისმენთ. უცოდველი ბავშვის იდეოლოგიური ფიგურის შემოტანით კაპიტალისტური ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოება ტოტალური იდეოლოგიური გამეორების ეპოქას იწყებს. ყველაზე შორეულ კუნძულზეც კი შეიძლება ჩვილის აკვანი რაღაც დროით დაიწინეს, სულ ერთია, რის საფასურად. საბოლოოდ, გლობალიზაციის ხანაში ინფანტილური უმანკობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბურჟუაზიული ინდივიდუალისტური იდეოლოგიის მთელ ჰორიზონტზე. ის ხელს უწყობს კაცობრიობის ისტორიის ანტაგონისტური, პოლიტიკური სიმართლის დაყვანას იმ ურთიერთობამდე, რომელიც სასამართლოს მოდელის მიხედვით არის აგებული (ურთიერთობა ბორტომქმედთა და მათ უმანკო მსხვერპლთა შორის). ისტორიასაც მხოლოდ ერთგვარ სასამართლო ექსპერტიზას უტარებენ, როგორც იმ გვამს, რომლის გაკვეთითაც საყურადღებო ინფორმაციის მოპოვება შეიძლება.

შეგვლმა იცოდა, რომ უმანკო მხოლოდ ქვაა, როგორც უძრაობის მეტაფორა („ბავშვიც კი არა“). ამ აზრით, პოსტკომუნისტური საზოგადოების ახალი, უმანკო პირველი ნაბიჯების წარმოდგენა მხოლოდ შეწყვეტილი ისტორიული განვითარების პერსპექტივიდანა შესაძლებელი. შეწყვეტისთანავე მან გაყინული ბავშვის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის ფორმა მიიღო. ამ დროს, გარდამავალ პერიოდში მონობა თავისუფლებამ შეცვალა, რომელსაც ბავშვები იმისთვის სჭირდება, რომ მათ ყველაფერზე უარი უთხრას.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ, როგორც ნანსი აღნიშნავს, ეპოქის ცინიზმი ხალხის გალიზიანებასა და გაბრაზებას იწვევს. პოსტკომუნისტური ტრიუმფალიზმით გამოწვეულ გალიზიანებაში ის ტიპურ პოლიტიკურ განწყობილებას ხედავს, სახელდობრ, „დაუშვებლის, შეუწყნარებლის“ მიმართ რეაქციას. მოუღებლობის, წინააღმდეგობის ეს გამოხატულება მეტად შორს მიდის. გაბრაზება, რომელზეც ნანსი მსჯელობს, პოლიტიკურია, რადგან იგი გამოწვეულია პოლიტიკის დაწვრილმანებით „კეთილმონყობამდე და გაველენებამდე“, რაც პოსტკომუნისტური ეპოქაში ისტორიულად შესაძლებლის ფარგლებს განსაზღვრავს. ეს გაბრაზება კარს უღებს იმ პოლიტიკურ განზომილებას, რომელიც მოცემული ფარგლებიდან გასვლის შემდეგ ჩნდება. ამდენად, პოსტკომუნისტური სწავლა-აღზრდის საბოლოო განადგურება მხოლოდ ნამდვილი სიმნიფის პირობებში გახდება შესაძლებელი და სწორედ მის მაცნედ მოგვევლინება.

ადორნოს მიხედვით, „სიმნიფის მისაღწევი ერთადერთი გზა“ არის „განათლება პროტესტისა და წინააღმდეგობისთვის“. განათლების შესახებ საუბარი მან გაფრთხილებით დაასრულა (ეს მისი ბოლო საჯარო გამოსვლა გახლდათ, რამდენიმე კვირაში იგი გარდაიცვალა). ადორნოს გაფრთხილება პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიისა და პრაქტიკის შეჯამებადაც შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ის ამტკიცებს, ზუსტად ცვლილების ჩვენეული სურვილის ფონზე, რომელსაც ასე იოლად ვახშობთ ხოლმე საკუთარ თავში, სამყაროს შეცვლის აქტიურ მცდელობებს უმაღვე უპირისპირდება არსებულის ყოვლისნამღეკავი ძალა და მათ მეტისმეტად ასუსტებს. ასე რომ, „ნებისმიერი, ვისაც ცვლილების განხორციელება სურს, ამას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ სწორედ ამ უძღურებას, თავის უძღურებას აქტიურ ინგრედიენტად გადააქცევს საკუთარ აზროვნებაში და ალბათ ქმედებებშიც“.

ჩვენში რეპრესიულად ინფანტილიზებული ბავშვი მხოლოდ პოლიტიკური და ისტორიული უძღურების სუფთა განსხეულებად გვევლინება პოსტკომუნისტური იდეალურ სამყაროში. ეპოქალური მეგალომანიის პირობებში ის საკუთარ თავს შეცდომით ალიქვამს თავისუფლების ახდენილ ოცნებად. საკუთარი თავისთვის თავსმოხვეული უმნიფარობის დაძლევის ერთადერთი გზა კი მის მიმართ პროტესტის გამოხატვა და წინააღმდეგობის განწევაა.



ლიტერატურული კავში „ქარავანი“
წარმოგიდგინეთ:

12 აპრილი, ორშაბათი, 19 საათი
შეხვედრა პოეტ შოთა იათაშვილთან
და მისი წერილების კრებულის „დალაგება“
პრეზენტაცია

26 აპრილი, ორშაბათი, 19 საათი
გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამო





ჩვენ არ ნავალი მოსკოვში

<<< დასაწყისი გვ. 72

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ც მორიგი ტყუილი გამოდგა.

საგანგებოდ შექმნილი ყველა ბარიერის გადასალახავად უნდა გამოინახოს სათანადო ხერხები და საშუალებანი. იურიდიული ბარიერის გადამლახავი ხერხიც იურიდიული უნდა იყოს. ეკონომიკური ბარიერის დამძლევი ხერხიც ეკონომიკური უნდა იყოს. თქმა არ უნდა, როგორც კი დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ, მაშინვე ეკონომიკურ ბლოკადას მოგვინყობენ. ამას ლიტვის მაგალითიც მოწმობს. როგორ გავუძლოთ ბლოკადას? ეს პროგრამა უკვე უნდა მუშავდებოდეს. თან ერთი კი არა, რამდენიმე ვარიანტი უნდა გვექონდეს, მანევრირება რომ შეგვეძლოს.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. თუ შევადარებთ მას ფინეთის ან ნორვეგიის ეკონომიკას, დავინახავთ განსხვავების

თვალუწვენდენელ უფსკრულს. სანამ საქართველო სსრკ-შია, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების არავითარი იმედი არ უნდა გვექონდეს. პირიქით, უფრო უარესად იქნება საქმე. რამდენადაც შეიძლება, ჩქარა უნდა დავაღწიოთ თავი საბჭოური ეკონომიკის ჩიხს, გადაარჩენა თუ გვინდა. მართალია, თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ იგი უნდა დავძლიოთ, რომ ფეხზე დავდგეთ და ჭეშმარიტი ეკონომიკური სისტემა დავაფუძნოთ. აუცილებელია, ჩვენმა ეკონომისტებმა ქართველ ხალხს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის უტყუარი სურათი დაუხატონ. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, რა დღეში ვართ. ჯერ კიდევ ილუზიებს ვებლაუჭებით, რაკი სუფრაზე არც შემწვარი გოჭი მოგვკლებია, არც საცივი და არც ხაჭაპურები. ღვთის მადლით, საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ კაცი ეკალათიც შეინახავს თავს და ჭინჭრის

საჭამადითაც. მაგრამ რუსთაველის ქვეყანას არ ეკადრება მსოფლიოს ორლობეში ეგდოს უპატრონოდ. მდიდარ და განათლებულ კაცობრიობას, სიონის გლახასავით, კუდში მისჩანჩალებდეს.

არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავდასხნის ერთი გზა გვაქვს – თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ეკონომიკური ვითარება უკეთესისაკენ შეიცვლება. შეცვლას დროც დასჭირდება, დისციპლინაც, თავდადებული შრომაც, მაგრამ რაც მთავარია, დასჭირდება მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გააზრებული ეკონომიკური სისტემა. როცა ველოსიპედი გამოგონებულა, მე არ ვარ ახლის გამოგონების მომხრე. ამას ქართულად ტვინისწყლეტა ჰქვია. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავეცნოთ ფინურ, დანიურ, ნორვეგიულ, ჰოლანდიურ ეკონომიკურ სისტემას. ავირჩიოთ, რომელიც უფრო გამოადგება ჩვენს ქვეყანას და საქმეს შევებათ. დღეს ფართო ინფორმაცია უნდა მივანოდოთ ჩვენს ხალხს ჩამოთვლილი ქვეყნების ეკონომიკაზე, რომ ჭურში არ ვისხდეთ ახლის მოლოდინში. ახალგაზრდა, ნიჭიერი ეკონომისტები გავზავნოთ იმ ქვეყნებში, რომ თავის თვალთ ნახონ, რა ხდება, თავის ყურით გაიგონ, რას ამბობენ, რაზე მსჯელობენ. თავადაც შეისწავლონ და ჩვენც გვასწავლონ – როგორ მოვიქცეთ, როგორ ავაშენოთ მომავალი საქართველო.

მაგრამ სანამ ევროპაში განსწავლული ეკონომისტები დაგვიბრუნდებიან, გავკადნიერდები და ამ მიმართულებით რამდენიმე სიტყვას ვიტყვი.

მე ყოველთვის ვიყავი კერძო საკუთრების მომხრე და ასეთივე დავრჩი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს კერძო საკუთრების ეშინია.

ერთნი დამფრთხალნი არიან იმით, რომ კომუნისტების ხანგრძლივმა პროპაგანდამ ხალხს კერძო საკუთრება რალაც სისხლისმწოველ ურჩხულად წარმოუდგინა. მეორენი დაშინებულნი არიან იმით, რომ თანამედროვე კერძო საკუთრებაზე აგებული მეურნეობის

ჩვენ არაფერი გვესმის. ხომ არ მოხდება ისე, რომ უკან, სოლომონ ისაკირ მეჯღანუაშვილის ეპოქაში, დავბრუნდებით და მაშინ მთლად დავილუპებით. დამერწმუნეთ, არც ერთი საშიში და არც მეორე. არც სისხლს გამოვწვავთ ვინმეს და არც უკან დავბრუნდებით.

თუ ჩვენ კოლექტივიზმი გვიყვარს და მისგან ვერაფრით გავთავისუფლებულვართ, მაშინ შეიძლება ისე მოვექცეულიყავით, როგორც იაპონელები. იქაური მუშები კაპიტალისტისაგან ქარხანას ყიდულობენ. ერთად მართავენ და მოგებას თანაბრად ინაწილებენ. ასე ყოველ ქარხანასა, ფაბრიკასა თუ კოლმეურნეობაში შეიძლება დანესდეს თვითმმართველობა.

თუ ამგვარი კოლექტივიზმიც არ გვაკმაყოფილებს, მაშინ სოფლის მმართველობას უფლებამოსილება მივცეთ, რომ მინები გლეხებს მუდმივ მფლობელობაში გაუნაწილდეს. მისცეს მათ თავისუფალი ინდივიდუალური შრომის საშუალება. ფაბრიკა-ქარხანა კი იმ მრეწველს მივანდოთ, ვისიც სწამთ მუშებს, როგორც საქმის კაცისა. მერე, თანდათან, ამ მრეწველისაგან თანამედროვე კაპიტალისტი ჩამოყალიბდება და პირველის პატრონალიზმს დააფუძნებს. ან თავად უკეთესიც შეიძლება მოიგონოს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მშრომელს, მუშა იქნება იგი, გლეხი თუ ინტელიგენტი, მისი ნაშრომით მიღებული შემოსავალი მასვე დარჩეს და სხვამ არ მიითვისოს. ყოველი მშრომელი თავისი წლიური შემოსავლის 10%-ზე მეტს გადასახადის სახით, სახელმწიფოს არ უნდა აძლევდეს. 90% უკლებლივ უნდა რჩებოდეს იმას, ვინც შრომობს.

როცა მოქალაქე მდიდარია, ქვეყანაც მდიდარია. როცა სახელმწიფოა მდიდარი (ან ცდილობს იყოს მდიდარი), მაშინ ქვეყანა ლატაკია. მოქმედებს თივისა და ავი ძალის „პრინციპი“: არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს. სახელმწიფო ბიუროკრატიაში ახშობს პიროვნების ინიციატივას, ენთუზიაზმს, ენერგიას. პიროვნება ხდება პასიური, უქნარა, გულგრილი. პიროვნებამ ეკონომიკურ საქმიანობაში შეუზღუდავად უნდა შეძლოს ნიჭის გამოვლენა, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

რა თქმა უნდა, თუ გასაგებად ვთქვი და ფართო საზოგადოება ჩემს წინადადებას მისაღებად მიიჩნევს, მაშინ მას დეტალური დამუშავება დასჭირდება, რაც სამართლის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სპეციალისტებთან ერთად უნდა მოხდეს. თუ არ მოეწონებათ, მაშინ სხვა ვარიანტები უნდა შემუშავდეს. მთავარი და არსებითი აქ ის არის, რომ დაყოვნება არ შეიძლება. თუნდაც თეორიულად, ნათლად უნდა გვექონდეს წარმოდგენილი – როგორი ეკონომიკის დამკვიდრება გვინდა. თუ ჩვენი ეკონომიკა ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის საყრდენი არ იქნება, ქართველი ხალხის თავისუფლებას დიდი ხიფათი დაემუქრება.

თავისუფლების შენობას ორივე ბოძი თანაბრად სჭირდება – პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც.

ნურავის გაუკვირდება და ნურც შეეშინდება, თუ აღმშენებლობის გზაზე ბევრ ქვას და ღორღს დაგვახვედრებენ, ბევრ თხრილსა და ორმოს, ბევრ ყორესა და ღობეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მტერი თავისას ეცდება. მთავარია და არსებითი, ერთმანეთს არ შევეშალოთ ხელი. შინაურმა განხეთქილებამ არ გველიოს. ამიტომ არის ერთიანობა საჭირო. სტრატეგიული მიზანი რომ ერთი გვაქვს, ეს არავის გაუხდია სადავოდ. მაგრამ ტაქტიკური გზების გამო კი ხშირად არის ცხარე სჯა-ბაასი. ზოგჯერ შეურიგებელიც. თითქოს ესეც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაინც არის რაღაც დამაფიქრებელი. ქაჯეთის ციხის ასაღებად მიმავალ ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს შორის თათბირი აუცილებელია, მაგრამ განხეთქილებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ნესტანის გათავისუფლება მაშინ შეიძლება, თუ ისინი ერთად შეუტყვევენ სხვადასხვა მხრიდან. ტაქტიკა მრავალფეროვანი უნდა იყოს, ოღონდ ერთად შეთანხმებული. ტაქტიკის ერთფეროვნება სისუსტის ნიშანია. შეუთანხმებლობა კი შიშის გამომწვევია. ამ შიშმა, სამწუხაროდ, აქა-იქ თავი უკვე იჩინა. ალბათ, არც ეს უნდა იყოს მოულოდნელი. სსრკ-ის მოქალაქისათვის შიში ბუნებრივი თვისებაა, გამომუშა-

ვებული 70 წლის მანძილზე. მაგრამ გულდასაწყვეტია ის, რომ ზოგიერთს შიში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ გაუჩნდა. ეს შეიძლება, ერთი მხრივ, მოუშაადებლობის ბრალიც იყოს, ხოლო, მეორე მხრივ, მტრული ძალების ჩუმი პროპაგანდისა.

გეხსომებათ, ალ. გრიბოედოვის კომედიამი „ვაი ჭკუისაგან“ ჩაცკის საქციელით შეწუხებული ფამუსოვი შემფოთებული კითხულობს – **что станет говорить княгиня Мария Алексеевна.**

70 წლის მანძილზე დამფრთხალი საბჭოელი მოქალაქენი წამდაუნუმ კითხულობენ – რას იტყვოდა კნიაგინია მარია ალექსეევნა, ანუ კომპარტია. ახლა კომპარტიის აღარავის ეშინია. ხალხი შიშისაგან თავისუფლდება. მაგრამ ბნელ ძალებს არ მოსწონთ ეს. ისევ ისე უნდათ, იყოს ხალხი შიშით თავზარდაცემული. ამიტომ ახლა კნიაგინია მარია ალექსეევნას როლში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოყვანა სურთ. უნდათ, რომ დამფრთხალი ადამიანები კითხულობდნენ: რას იტყვის კნიაგინია მარია ალექსეევნა, ანუ ეროვნული მოძრაობა.

თავისუფლება მაშინ არის თავისუფლება, როცა არანაირი შიში აღარ არსებობს. როცა მის მაგიერ ადამიანს ამოძრავებს მორიდება, მოკრძალება, პატივისცემა.

როცა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იქნება ერთიანი და მთლიანი სტრატეგიული მიზნითაც და ტაქტიკური გზითაც,

როცა შემუშავებული გვექნება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული პოლიტიკის პროგრამა,

როცა ყოველი მოქალაქისათვის ცხადი და ნათელი იქნება მომავალი საქართველოს ეკონომიკური სისტემა, როცა კრემლის იურიდიულ მზაკვრობას დაეუპირისპირებთ საკაცობრიო, ჰუმანისტური, სამართლებრივი პრინციპებით გამართულ კანონებს,

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ამაყად და რწმენით შეეძლება განაცხადოს – ჩვენ არ წავალთ მოსკოვში.



ბუტოვი

<<< ღასაწყისი გვ. 80

– ან ალაღინის ფარანი, – ამყვა მანილოვიჩი.

– სიტყვაძუნნი რომაა, საიდან ვიცით? – დაინტერესდა ჩვენ შორის ყველაზე სიტყვაძუნნი პოლიაკოვი.

– რალაც მაინც წამოცდებოდა, რადგან უალრესად ამპარტავანი ვინმე ბრძანდება. დარწმუნებული ვარ, ახლა გვიყურებს და სიცილით კვდება, – განაცხადა ბუტოვი.

– ესე იგი, შაბონასი არ არის. შაბონასი არასოდეს არ იცინის, – ვთქვი მე.

– შაბონასს არაფერი არ შეუძლია,

არც ტირილი, არც სიცილი. იგი მუდმივად ლაპარაკობს. ესაა ლაპარაკის მამა, სიტყვებისა და ფრაზების გენერირების მანქანა, – ბრძანა იანკოვი.

– ჩვენი ჟორას ნათესავი ყოფილა, – ოდნავ წაკბინა ჟორას მანილოვიჩმა.

– დარჩა სამი: ბარკანსი, მირონოვი და უდაჩინი, – ვთქვი მე.

– ჭეშმარიტად რკინის ლოგიკა გაქვთ ქართველებს, – დამეთანხმა ბუტოვი.

– ოდესელი რუსებისგან ვსწავლობთ, – სიტყვა არ შევარჩინე მე.

– ოდესაში ჩახვიდე და რუსისგან ისწავლო... – გაიკვირვა მანილოვიჩმა.

– ბარკანსი უნდა გამოვრიცხოთ, – ბრძანა შერლოკ ბუტოვი.

– ვითომ რატომაო, სერ? – გაიკვირვა მანილოვიჩმა, – ხმას არ იღებს და ჯანმრთელობას არ უჩივის.

– უმეგობრო კაცია, თანაც ნიგვზის კომერციულ პოტენციალში დარწმუნებული ვერ იქნება.

– მეგობარი რა შუაშია? – აღელდა პოეტი და, შესაბამისად, მარტოსული მანილოვიჩი.

– ქურდი ამპარტავანია, აუდიტორია უყვარს, ერთი ახლო მეგობარი მაინც ეყოლება. ვილაცასთან ხომ უნდა გამოავლინოს, რომ ნიჭიერი და გამჭრიახია.

– ბარკანსს მეგობრები არ ჰყავს?

– არა, რომანტიკოსი პოეტივით სულ მარტო დაიარება.

– და ღამით მკვდარვით სძინავს, – დაასრულა იანკოვი, ბარაკში ბარკანსის მეზობელმა.

– ეგ რა იცი? – იკითხა მანილოვიჩმა.

– მე მძინავს ცუდად, – სევდიანად გაიღიმა იანკოვი.

– დარჩა ორი: მირონოვი და უდაჩინი, – დავასკვენი მე.

– დაგვიმთავრებია ძიება, ამხანაგებო, – მოგვილოცა ჟორამ. სოლჟენიცინის „პირველ წრეში“ ატომური ბომბის საქმეში ორი ეჭვიმტანილი რომ დარჩა, ორივე დააპატიმრეს.

– ჩვენ სხვა გზით წავალთ, – კლასიკა დააციტრა ბუტოვი, – ჩვენ არ მოვიქცევით სიონისტი ლიოვა რუბინივით ანუ მისი პროტოტიპი ლევ კოპელევივით.

– რუბინი სიონისტი კი არა, იდეალისტი კომუნისტი იყო, – ლიტერატურისადმი ზერეღე დამოკიდებულებაში ამხილა მანილოვიჩმა ბუტოვი.

– არ გეწყინოს, ჩემო ბორია, რუბინის და სოლოგდინის კამათში მე ნერუინისკენ ვარ, ხომ იცი, – არ დამალა თავისი საყვარელი პერსონაჟისადმი ნაზი დამოკიდებულება ბუტოვი.

– რუბინის და სოლოგდინის კამათი... ლოდოვიკო სეტემბრინისა და ლეო ნაფტას კამათის რუსული ვარიანტი, – გამოამჟღავნა თავისი უკიდევანო ერუდიცია და სოლჟენიცინისადმი არამონინებითი დამოკიდებულება ვადიმ იანკოვი.

კოვა


მარჯანიშვილის

სახელოების

სახელმწიფო

დრამატული

თეატრი



სეზონის მომავალი პრემიერები

დიდი სცენა

ილია ჭავჭავაძის მიხედვით

ლუარსაბ თათქარიძე

რეჟისორი გიორგი შორღანიძე

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

რეჟისორი ლევან წულაძე

სხვენი

ინსცენირება მეთევან ხარშილაძის

ტანგო ნაბიჭვართან

რეჟისორები მეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაქიძე

ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით

მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები

რეჟისორი გოგა თაყაიძე

ბრანიენ ფრილი

მოლის სუინი

რეჟისორი თემურ ჩხეიძე

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი
სლავომირ გროსმანი

ემიგრაცია №

რეჟისორი ბექა მავთულაძე

ლალი როსაბა

პრემიერა

რეჟისორი დიმიტრი ხვთინიაშვილი

KOTE
MARJANISHVILI
STATE
DRAMA THEATRE



განვალდებულებული პარტნიორი

სეზონის პარტნიორი

საინფორმაციო მხარდაჭერა



ტელეფონით დაკავშირება

www.marjanishvili.ge

საინფორმაციო მხარდაჭერა

ბაბრქელა

– მირონოვი თუ უდაჩინი? – ვიკი-თხე მე.

– ორივე ახალგაზრდაა, ფიზიკურად მშვენიერ ფორმაშია ორივე, გონიერი ყმანვილები არიან, მირონოვს გამოთვლითი ტექნიკა იტაცებს, უდაჩინი ფანტასტიკას ეტანება. მირონოვი ლევანთან მეგობრობს და უდაჩინი ანდერსონთან, – მოგვანოდა ინფორმაცია ხომიზურმა.

– იცნობდეთ უდაჩინს, მეგობრებო, როგორც შკოდნიკს, პოლიტიკური ბანაკის №X 385/3-5 შინაურ ქურდს, – თითქმის საზეიმოდ გამოაცხადა ბუტოვმა, – ამ დილას სახეზე პატარა გამონაყარიც დავუნახე, ეტყობა ბერძენიშვილის ნიგვზის გასინჯვა მოასწრო Juglans Regia, ეს არ არის ნიგვზის ლათინური სახელი?

– დამნაშავე ნაპოვინა, ახლა რა ვქნათ? – იკითხა ჟორამ.

– ვერ ვიტან ჩერნიშევსკის, – მოულოდნელად უპასუხა პოლიაკოვმა.

– რა ვქნათ და მის მეგობარს, ანდერსონს ვესტუმროთ ბიბლიოთეკაში, გავესაუბროთ.

მივადექით ანდერსონს. ბუტოვმა

მოკლედ გაცნო გამოძიების მიმდინარეობა და შედეგები. ანდერსონი რატომღაც იოლად დარწმუნდა და სამპუნქტიანი გამოსავალი შემოგვთავაზა:

1. უდაჩინი საჯაროდ აღიარებს დანაშაულს.

2. დააბრუნებს ნაქურდალს.

3. სპეციალურად დააშავებს და ჩაჯდება საჯარიმო იზოლატორში ანუ შიზოში.

წინადადება მიიღეს. ხალხი დაიშალა. ბიბლიოთეკასთან დავრჩით სამნი: მე, ბუტოვი და ანდერსონი. სამივემ ვიცოდით, რომ ანდერსონი ზონის საკმაოდ მოკრძალებულ, მაგრამ „იდეურად გამართულ“ ბიბლიოთეკას განაგებდა. ანდერსონმა არ იცოდა, რომ მის წინაშე იდგა კაცი, რომელმაც იატაკქვეშეთში ანტისაბჭოთა ლიტერატურის ლეგენდარული ბიბლიოთეკა შექმნა, ისეთი დიდი და სრულყოფილი და, რაც მთავარია, იდეურად ისე გამართული, რომ რამდენიმე წელი ღამის ძილს უფრთხოვდა მთელი სსრკ-ს უშიშროებას. და, რა თქმა უნდა, არც ერთმა არ ვიცოდით, რომ წლე-

ბის შემდეგ მე დამეკისრებოდა ყოფილი სსრკ-ს სიდიდით მესამე, შესანიშნავი ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა.

უდაჩინმა დანაშაული თავზედურად აღიარა. სალამოს ექვსეული (გამომძიებლებს პლუს დაზარალებული პაპაიანი თავის ნივრიანად; ანდერსონმა მკვლევრებთან ერთად „პურის გატეხვაზე“ უარი განაცხადა) უკვე ბაჟეს მიერთმედა, ხოლო დეპენკა სურაიკინს „დებოშისთვის“ უდაჩინი შიზოში მიჰყავდა თხუთმეტი დღით განსამართლებლად და ცხოვრების საზრისზე დასაფიქრებლად.

განთავისუფლების შემდეგ ბუტოვი ემიგრაციაში წავიდა. ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და, პროფესიით, ფიზიკოსად მუშაობს. მისი თანამოსაქმე ვიარჩესლავ იგრუნოვი რუსულ პოლიტიკაშია, მეორე კაცია პარტია „იაბლოკოში“, თუმცა თავად პარტია სერიოზულ კრიზისს განიცდის. კორეის თვითმფრინავები ავტოპილოტს არ ენდობიან და რუსეთის საზღვრებს ახლოსაც აღარ ეკარებიან.

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

გახდი მსოფლიოს ნაწილი ევროპული სკოლის IB სადიპლომო პროგრამის დახმარებით



2010 წლის სექტემბრიდან, წამყვანი ქართული საგანმანათლებლო დაწესებულება – „ევროპული სკოლა“ – პირველად საქართველოში დანერგავს IB სადიპლომო პროგრამას. IBO (International Baccalaureate Organization), საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია არის განათლების სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებული ლიდერი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს განათლებული, აქტიური, შემოქმედებითი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას.

„ევროპული სკოლის“ IB სადიპლომო პროგრამა წარმოადგენს ორწლიან უნიკალურ წინასაუნივერსიტეტო კურსს მე-11 და მე-12 კლასელთათვის. ყველა მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, სტუდენტი 6 საგნობრივი ჯგუფიდან თავის სურვილისამებრ ირჩევს 6 საგანს. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. მოსწავლე ვალდებულია არჩეული ექვსი საგნიდან სამი ისწავლოს მაღალ დონეზე (High Level) და სამი – სტანდარტულ დონეზე (Standard level). საგნების არჩევანი სტუდენტმა უნდა გააკეთოს სადიპლომო კურსის დაწყებისთანავე და ორიენტაცია აიღოს თავისი მომავალი პროფესიული ინტერესების მიხედვით.

გარდა ექვსი საგნისა, მოსწავლე ვალდებულია, ორწლიანი კურსის განმავლობაში შეასრულოს სადიპლომო პროგრამის სამი უმთავრესი მოთხოვნა.

პირველი – შეისწავლოს ცოდნის თეორიის TOK (Theory of Knowledge) კურსი და მეორე კურსზე დაწეროს ნაშრომი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების მიერ ფასდება.

მეორე – შეასრულოს CAS (Creativity, Action, Service) პროგრამის სავალდებულო აქტივობები, რომლის შედეგაშიც მას ეხმარება CAS კოორდინატორი. CAS-ის აქტივობებში მოიაზრება სპორტი, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. ეს კურსი ხელს უწყობს სტუდენტის არა მხოლოდ ხარისხიან განათლებას, არამედ მის პიროვნულ სრულყოფასა და მოქალაქედ ჩამოყალიბებას. CAS მოთხოვნების სრულფასოვნად შესრულება აუცილებელია დიპლომის მისაღებად.

მესამე – დაწეროს სადიპლომო ნაშრომი EE (Extended Essay) – ეს არის სტუდენტის ინდივიდუალური კვლევა მისთვის საინტერესო საგანში ერთ კონკრეტულ თემაზე, რომლის მოცულობა დაახლოებით 4 000 სიტყვა უნდა იყოს. ეს ნაშრომიც ფასდება საერთაშორისო ექსპერტებისა და გამომცდელების მიერ.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის წარმატებით დასრულების შემდეგ საერთაშორისო ბაკალავრიატის საგამოცდო კომისია აჯამებს მოსწავლის მიერ დაგროვილ ქულებს და კანდიდატს ენიჭება დიპლომი. თითოეულ საგანში შეფასება ხდება 7-ბალიანი სისტემით. დასაგროვებელი ქულების მაქსიმალური რაოდენობაა 45, (ექვსი სასწავლო საგნის 7 ქულა (ჯამური 42 ქულა), რასაც ემა-

ტება ცოდნის თეორიისა და სადიპლომო ნაშრომში ერთობლივად მიღებული ჯამური 3 ქულა). იმისათვის, რომ კანდიდატს მიენიჭოს დიპლომი, იგი ვალდებულია დააგროვოს სულ მცირე 24 ქულა. სასურველ ქულათა რაოდენობა განისაზღვრება იმ უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნათა კრიტერიუმებით, რომელშიც კანდიდატი აპირებს სწავლის გაგრძელებას. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლებისთვის მისაღებაა IB-ს 38-ქულიანი დიპლომი.

სწრაფად მზარდ კონკურენტულ გარემოში მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ IB-ს სტუდენტების მიღებას, რადგან დღევანდელ მობილურ სამყაროში სტუდენტები, მასწავლებლები და ზოგადად მოსახლეობა აქტიურად გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე. ამის გამო უმაღლესი სასწავლებლებისათვის ძალიან ხელსაყრელია IB-ს კურს-დამთავრებულების მიღება, ამასთან ერთად, IB-ს სტანდარტი და მოთხოვნები ერთნაირია მთელს მსოფლიოში, რაც იმას ნიშნავს, რომ მიღწეული შედეგები და შეფასებები უნიფიცირებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს ის უპირატესობები, რომლებიც სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულებს გააჩნიათ:

- ❑ კანდიდატს საშუალება აქვს IB სადიპლომო პროგრამის დამთავრებული გამოცდების შედეგების მიხედვით პირდაპირ ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში.

- ❑ მოიპოვოს სპეციალური სტიპენდია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის.

- ❑ ზოგიერთ შემთხვევაში უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა შეამციროს ნახევარი ან ერთი წლით.

IBO (საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია) დაარსდა 1968 წელს ჟენევის საერთაშორისო სკოლის მასწავლებლების ინიციატივით და სხვა საერთაშორისო სკოლების დახმარებით. მისი ფუნქციონირება დაიწყო სადიპლომო პროგრამით და წლების შემდეგ დაგროვილი გამოცდილების შედეგად IBO გვთავაზობს სასკოლო განათლების სრულ პროგრამებს 3-დან 19 წლის ჩათვლით. IBO, ახორციელებს რა მისი დამფუძნებლების იდეებსა და ოცნებებს, ემსახურება მაღალი ხარისხის განათლებას უკეთესი მსოფლიოსათვის. ამჟამად IBO პროგრამით მსოფლიოს 138 ქვეყნის 2 825 სკოლაში სწავლობს 778,000 მოსწავლე. მსოფლიოს 1 700-ზე მეტი წამყვანი უნივერსიტეტი, რომელთა ჩამონათვალი იწყება ჰარვარდით, ოქსფორდით, ოკლენდით და ბრიტომ კოლამბიით, ცნობს და აღიარებს საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომს. სადიპლომო კურსის (DP) გარდა, რომელიც სასკოლო განათლების ბოლო ეტაპს მოიცავს, IB-ს ასევე გააჩნია საკუთარი სტანდარტები დაწყებითი (PYP) და საბაზისო ეტაპებისთვის (MYP). მომავალი წლიდან „ევროპული სკოლა“ ამ ახალ სტანდარტებსაც დანერგავს.



**რადიო „ნაცნობი“ გეკატეხებათ
კლუბში „ნაცნობი“**

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



MON
group

UPgrade
Your
Life



www.mon.ge





WWW.LIBERALI.GE
